


# ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით

ფასი 1,50 ლარი

25 მაისი 2007

№11 (37)



ჩვენც ვხედავთ მზეს  
ეს არ არის საქართველო!  
26 მაისიდან 9 აპრილამდე  
მანანა ავალიშვილის ნოველა  
თეა თოფურიას კიდობნელები  
„ამერიკის ხმის“ პირველი დირექტორი

## შინაარსი

<b>რედაქტორის გვირგვინი</b>	<b>2</b>	<b>თარიღი და მისი შარავნადი</b> (26 მაისიდან 9 აპრილამდე)
<b>მესპირს-ინტერვიუ</b>	<b>3</b>	<b>პირველი საერთაშორისო სიმპოზიუმი</b> (საუბარი მაკა ელბაქიძესთან)
<b>საღ ნაიჟან სდაურსა</b>	<b>5</b>	<b>რუსუდან დაუშვილი „ამერიკის ხმა“ და მისი პირველი დირექტორი</b> (ერეკლე ორბელიანი)
<b>პროზა</b>	<b>7</b>	<b>მანანა ავალიშვილი ჭილყვაკვაპი მოყვინდნენ</b>
	<b>9</b>	<b>თეა თოფურია კიდობნალების დაბრუნება</b>
<b>პოეზია</b>	<b>12</b>	<b>ეთერ თათარაიძე ჩიტაბიც გადამაღნენ მთოიარე ცას</b>
	<b>15</b>	<b>უჩა ზაქაშვილი ჩვენი ციხე</b>
<b>ახინსტიკა</b>	<b>16</b>	<b>ამინ არ-რეიჰანი მწერლები</b>
<b>ისტორიის თეთრი ლაქები</b>	<b>19</b>	<b>გივი გამრეკელი ბენერალი ტოტლებანი ყველას დალატობდა</b>
<b>ფაქტობრივი მკვირ</b>	<b>23</b>	<b>როზა დევდარიანი ერთი პალინდრომის კვალდაკვალ</b>
<b>ილიას გვით</b>	<b>27</b>	<b>თეიმურაზ დოიაშვილი ეს არ არის საქართველო!</b>
<b>დაუნიწარი სახელები</b>	<b>30</b>	<b>თამაზ ლეჟავა ერთიანი ქართული თვითშეგნება და ივანე მარგინი</b>
<b>პარადოქსები</b>	<b>33</b>	<b>საბა სულხანიშვილი ჭადრაკის უხილავი კედელი</b>
<b>ნამოხრები</b>	<b>34</b>	<b>ლიტერატურული ამბები და კურიოზები</b>
<b>გამომხატვა</b>	<b>35</b>	<b>ნინო ვახანია რომანისტს ქალიან გამომადგება</b> (სოლომონ დოდაშვილმა შინიდან გააგდო გერცენი)
<b>რეპორტაჟი</b>	<b>37</b>	<b>თათია ჯგუშია ჩვენც ვხედავთ მზეს</b>
	<b>38</b>	<b>ეკა ბუჯიაშვილი ბზა პოეზიის გოლგოთისაკენ</b>
<b>კრიტიკა</b>	<b>40</b>	<b>თემურ ამყოლაძე როგორ ვკითხულობთ პოეტურ ტექსტს</b>
<b>არი და გედინარა</b>	<b>46</b>	<b>როსტომ ჩხეიძე მზის შვილები</b>
<b>ფიქრები</b>	<b>55</b>	<b>ვანო ჩხიკვაძე მცირე პროზა</b>
<b>უხსოვარი ნოველა</b>	<b>59</b>	<b>ტაჰარ ბენ ჯელუნი ორი ნოველა</b>
<b>მოზაიკა</b>	<b>63</b>	<b>ფილმი და მათარაბელი</b>

დამფუძნებელი „ილიონი“

მისამართი: თბილისი,  
ჩუბინაშვილის №41

რედაქცია – (995 32) 96-20-62

რეკლამა – (995 77) 48-12-24

გაერცელება – (995 99) 93-18-52

ფაქსი: (995 32) 96-20-62

E-mail: info@mtserloba.ge



დაბაჟილია საბაჟო „ომეგა თეგი“  
საბაჟო-ტოიონი, თბილისი, საბაჟიშვილის 17  
ტელეფონი: +995 32 53 03 62

PRINTED BY "OMEGA TEGI" PRINT HOUSE  
TBILISI, GEORGIA, 17 SARAJISHVILI STREET  
TELEPHONE: +995 32 53 03 62

მთავარი რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე

პროზის რედაქტორი – მაკა ჯოხაძე პოეზიის რედაქტორი – გიორგი ლობჯანიძე

კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – თამაზ ნატროშვილი

დიზაინერი – მალხაზ იაშვილი მხატვრული რედაქტორი – კარლო ფაჩულია

კორექტორი – ნინო დეკანოიძე დაკაბადონება – ლევან ჩხეიძე

ოპერატორი – თამარ ჩიხლაძე სარეკლამო მენეჯერი – მაკა ჯაფარიძე

გაერცელების სამსახური – ლევან ბინაძე

გარეკანზე: ლიუდმილა სევერინა, „სალამოს მზის სხივები“

ეთერ თათარაიძე, ამირან არაბულის ფოტოგრაფიული

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 8 ივნისს



# თარიღი და მისი შარავანდი

\*

## 26 მაისიდან 9 აპრილამდე

ხვალ 26 მაისია, დღე, რომელმაც 1991 წლის 9 აპრილის შემდეგ თავისთავად გადაინაცვლა ისტორიულ თარიღთა შორის... მაგრამ სახელმწიფო გადატრიალებამ დაისაჭიროვა და ძალიანაც დაისაჭიროვა მისი შენარჩუნება, რათა სწორედ 26 მაისით გადაეფარათ საქართველოს დამოუკიდებლობის ახალი თარიღი. როგორც ზვიად გამსახურდიას სახელის განდევნას შეეცადნენ საზოგადოებრივი ცნობიერებიდან, ისე მისი ღვანლისა, რომლის გვირგვინიც სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღდგენა გახლდათ.

ასე დაეკისრა 26 მაისს ახალი დანიშნულება – ისტორიისა და რეალობის გაყალბება, საზოგადოებრივი ცხოვრების ამღვრევა, ქვეყნის პირველი პრეზიდენტის ღვანლის მიჩქმალვა-დასამარება.

არადა, საქართველოს კანონმდებლობა უკვე მოქმედებდა 9 აპრილის აქტის საფუძველზე, საერთაშორისო ურთიერთობებში განისაზღვრებოდა ამავე აქტით და, როდესაც უცხო ქვეყნები აღიარებდნენ ჩვენს სახელმწიფოებრიობასა და დამოუკიდებლობას, მხოლოდ და მხოლოდ 9 აპრილის გადაწყვეტილებას სცნობდნენ.

და არა 26 მაისისა, რომელიც სამოცდაათი და მეტი წლის წინათ ასევე განსაზღვრავდა საქართველოს კანონმდებლობასა და საერთაშორისო ურთიერთობებს.

25 თებერვალმა აღკვეთა ამ თარიღის ზეგავლენა საქართველოს რესპუბლიკის პოლიტიკურ ცხოვრებაზე, მაგრამ ვერაფრისდიდებით ვერ ამოშალა საზოგადოებრივი ცნობიერებიდან და თაობები მისი გახსენებით ითქვამდნენ სულს და სიმხნევითა და იმედითაც ივსებოდნენ სახელმწიფო დამოუკიდებლობის ხელახლა მოსაპოვებლად.

ასე აგულიანებდა 26 მაისი კოტე აფხაზსა და მის სამხედრო ცენტრს

აგულიანებდა ქაქუცა ჩოლოყაშვილსა და მის შეფიცულებს. 1942 წლის შეთქმულებს.

სამანელებს.

აგულიანებდა კატორღამოვლილ მწერლებს, ხელოვანთ, ათასგვარი ხელობის ადამიანებს.

რეჟიმთან შეურიგებელ პიროვნებებს, ჯიუტად რომ მიეზიდებოდნენ საკუთარი მხრებით ეროვნულ მოძრაობას.

ასე აგულიანებდა 26 მაისი ზვიად გამსახურდიასაც, ვიდრე ორსაუკუნოვანი ოცნება აგვისრულდებოდა და 9 აპრილი მოგვევლინებოდა დამოუკიდებლობის გამოცხადების ახალ თარიღად.

ჩვენ ყველა – იმის მიუხედავად, ვაღიარებთ თუ არა – ვცხოვრობთ იმ რეალობაში, რომლის დასაბამიც 1991 წლის 9 აპრილია.

ამა თუ იმ პიროვნებას უფლება აქვს, არა სცნოს ესა თუ ის რეალობა ან თვალი მოარიდოს, მაგრამ ამის უფლება არ გააჩნია არც საზოგადოებასა და არც ხელისუფლებას.

რაც საკამათო არ არის, ძალისძალათი რატომ ვხდით სადისკუსიოდ?

და ესეც ვიკითხოთ:

ზვიად გამსახურდიას დამამხობელი პოლიტიკური რეჟიმი რის მიჩქმალვასაც ღამობდა ასე მიზანდასახულად,

ახალი ხელისუფლების პირობებში რატომღა უნდა გრძელდებოდეს ის სულისკვეთება?

გნებავთ შეგნებულად და გნებავთ უნებურად.

მაგრამ მთავარი ისაა, რომ როდემდე შეიძლება 26 მაისი კვლავ შემოსილი იყოს დამოუკიდებლობის დღესასწაულის შარავანდით?

დაე ამ ისტორიულ თარიღს დავუტოვოთ თავისი საპატიო დანიშნულება, პატივს მივაგებდეთ, როგორც ილია ჭავჭავაძისა და მისი თაობის უშუალო მონაპოვარს (თუმცა ოფიციალურად ილიას ერთი ყველაზე შეურიგებელი მონინააღმდეგე გამოაცხადებდა!) და ძვირფასსა და სანუკვარს თაობებისათვის.

ილიას სახება გადმოწვდა 9 აპრილის დამოუკიდებლობასაც და კვლავაც შეინარჩუნებს ეს ზეგავლენა სიმართლეს, ძალასა და ენერჯიას, შეინარჩუნებს დაუოკებელ ლტოლვას, ვიდრე ძლიერ, ტერიტორიებადგენილ სახელმწიფოდ დავმკვიდრდებოდეთ.

ჩვენი სწრაფვა ყოველთვის მისი ეროვნული და ეთიკური მოძღვრების ნერგზე იქნება ამოზრდილი, იმ თარგს მორგებული, იმ იდეალს შეტოლებული.

26 მაისს კი –

დაე დავუტოვოთ თავისი საპატიო დანიშნულებაო...

ყოველ შემთხვევაში, ჩვენი რედაქცია ვერ მიიღებს მონაწილეობას 26 მაისის დღესასწაულად აღნიშვნაში, ისევე, როგორც აღარ გვიცვნია ეს თარიღი დამოუკიდებლობის ემბლემად 1991 წლის შემდეგ.

არადა, ჩვენ ვართ ის ადამიანები, რომელნიც ნაკვერჩხალოვით ინახავდნენ 26 მაისის ხსოვნას კომუნისტური რეჟიმის პირობებში და კიდევ აღნიშნავდნენ ფარულად პატარ-პატარა სუფრებზე.

ის ადამიანები, ვინც მონაწილეობდნენ 1988 წლის 26 მაისის დიდ საპროტესტო აქციაში, ერთ-ერთ ნიშანსვეტად რომ მოჩანს იმ წლების – ეპოქების დამტევ – მღელვარებებში და უმნიშვნელოვანესი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცვლილებების შესამზადებლად.

ის ადამიანები, ვინც მონაწილეობდნენ 1989 წლის 26 მაისის გრანდიოზულ აქციაშიც, რომლის შემდეგაც გზა გაეხსნა საყოველთაო-მრავალპარტიულ არჩევნებსაც, საერთო-სახალხო რეფერენდუმსაც და დამოუკიდებლობის აღდგენასაც.

ამიტომაც ნურავინ შეეცდება გვასწავლოს ამ თარიღის ნურც სიყვარული და ნურც დაფასება.

ეგაა, ვერასოდეს შევეგუებით ისტორიის ნაღმა-უკულმა ტრიალს მიკერძოებულ ადამიანთა თუ მედროვეთა ხელში და 26 მაისის გადამეტებული გაბუქვა-გაფეტიშებით მისი მნიშვნელობის დაკნინებას.

ასე ყოფილა და ასე იქნება – როდესაც სიმბოლოსა თუ მოვლენას დანიშნულება ხელოვნურად ეცვლება, კომიკური ხდება.

და განა იმსახურებს 26 მაისი, სხვა ყველაფერთან ერთად ეროვნული ნიჰილიზმისაგან ჩვენი გადამრჩენი, რომ კომიკურად გამოიყურებოდეს?

# პირველი საერთაშორისო სიმპოზიუმი

\*

საუბარი  
მაკა ელბაქიძესთან

2007 წლის 3-5 აპრილს შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში ჩატარდა I საერთაშორისო სიმპოზიუმი – „ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები“. ეს, მართლაც, ღირსშესანიშნავი მოვლენა იყო ინსტიტუტის ცხოვრებაში. სიმპოზიუმმა, რომელიც ლიტერატურათმცოდნეობის აქტუალურ პრობლემებს მიეძღვნა, ამ სფეროში მოღვაწე არაერთ გამოჩენილ მკვლევარს უმასპინძლა.

3 აპრილს საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკაში სიმპოზიუმი გახსნა შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა ირმა რატიანმა. დამსწრე საზოგადოებას მიესალმნენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე, ქალბატონი ბელა წიფურია და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი გიორგი ხუბუა.

სიმპოზიუმის მიმდინარეობის შესახებ ვესაუბრეთ ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს, ქალბატონ მაკა ელბაქიძეს.

– ქალბატონო მაკა, როგორ დაიბადა სიმპოზიუმის ჩატარების იდეა და როგორ შეძლო ინსტიტუტმა მისი განხორციელება?

– მოგეხსენებათ, რომ თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობა უკვე აღარ შემოიფარგლება ლიტერატურული პროცესების ოდენ მექანიკური რეგისტრაციითა თუ აღწუსხვით, არამედ ისტორიზმის პრინციპის გათვალისწინებით და მასზე დაყრდნობით ადგენს მსგავსება-განსხვავებებს ეროვნულ ლიტერატურათა შორის, შესაბამისად, უფრო თვალსაჩინოს ხდის ლიტერატურულ მოვლენათა კანონზომიერებებს, უკეთ წარმოა-

ჩენს თხზულებათა ჟანრულ სპეციფიკას და მრავალფეროვნებას, მწერლის მხატვრულ სტილსა თუ გემოვნებას. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ლიტერატურის ინსტიტუტში მომნიშვნელოვან იდეა დარგობრივი სიმპოზიუმის ჩატარებისა, რომელიც საკუთრივ ლიტერატურათმცოდნეობის საკითხებს მიეძღვნებოდა და განიხილავდა ეროვნული ლიტერატურის პრობლემებს, ლიტერატურულ ურთიერთობებსა და გავლენებს საერთაშორისო ისტორიულ კონტექსტში, ინტერკულტურულ ასპექტში.



ამ იდეის ხორცშესხმა შესაძლებელი გახდა როგორც შოთა რუსთაველის ლიტერატურის ინსტიტუტის დირექციისა და ადმინისტრაციის, ყოველი თანამშრომლის მონდომებითა და უდიდესი ძალისხმევით, ასევე თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის, კერძოდ კი, მისი რექტორის, ბატონ გიორგი ხუბუას მხარდაჭერით.

– თქვენი საუბრიდან გამომდინარე, საკმაოდ ფართო უნდა ყოფილიყო როგორც სიმპოზიუმის თემატიკა, ასევე წარმოდგენილ მოხსენებთა სპექტრი.

– სიმპოზიუმზე მუშაობდა ხუთი სექცია: 1. მედიევისტიკა; 2. ნარატივი, ფორმა, მშვენიერება; 3. თანამედროვე ლიტერატურული პროცესები; 4. ინტერკულტურული კომუნიკაციები; 5. მითი, რიტუალი, სიმბოლო. გაიმართა დისკუსიები თემებზე: ლიტერატურის ისტორიის პერიოდიზაცია და პოსტმოდერნიზმი. შესაბამისად, სამი საკმაოდ დატვირთული სამუშაო დღის განმავლობაში მომხსენებლებმა მიმოიხილეს განსხვავებული ისტორიული ეპოქების (ანტიკური პერიოდი – ადრეული და გვიანდელი შუა საუკუნეები – XIX-XX საუკუნეები – მიმდინარე ლიტერატურული პროცესი), გეოგრაფიული ლოკალის (აღმოსავლეთი და დასავლეთი), ჟანრისა (აგიოგრაფია, სქოლიოგრაფია, ეგზეგეტიკა, შუასაუკუნეების რომანი, ბაროკო, რომანტიზმი, სიმბოლიზი, მოდერნიზმი, პოსტმოდერნიზმი და სხვ) თუ დარგის (მითოლოგია, ფოლკლორი, ლიტერატურის ისტორია, ლიტე-

სამშაბათს, 29 მაისს  
ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“  
დარბაზში გაიმართება  
განხილვა  
**ელგუჯა თავბერიძის**  
პიკარესკული რომანისა

**„აირაპი იპირია  
აწუ  
ჯანტლმან სოლომონ აპორდიას  
ცხოვრება და შეხედულება“**

მომხსენებელი  
**როსტომ ჩხეიძე**

დასაწყისი 14 საათზე  
ჩუბინაშვილის №41

რატურის თეორია, პოეტიკა, კომპარატივისტიკა) პრობლემატიკა, თანაც არა მსოფლიო ლიტერატურული პროცესისგან იზოლირებულად და მისგან მონყვევით, არამედ სწორედ ინტერკულტურულ კონტექსტში. დამეთანხმებით, რომ აქტუალურობასთან ერთად კვლევის ამგვარი მეთოდის გამოყენება იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ უფრო თვალსაჩინოს ხდის ეროვნული შემოქმედებითი შემკვიდრების წვლილსა და ადგილს მსოფლიო ლიტერატურულ პროცესში. ერთგვარი სიამაყით მინდა აღვნიშნო, რომ სიმპოზიუმმა წარმოაჩინა ქართველ მეცნიერთა მაღალი პროფესიონალიზმი, რაც ეროვნული ლიტერატურათმცოდნეობითი სკოლის ტრადიციების ღირსეულ გაგრძელებაზე მეტყველებს.

**– ორიოდ სიტყვით სიმპოზიუმის მონაწილეებზეც გვიახლო.**

– საორგანიზაციო კომიტეტის მიზანი იყო დედაქალაქის უმაღლეს სასწავლებლებსა თუ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში მოღვაწე პროფესორისა თუ უცხოელ მკვლევართა გარდა, სიმპოზიუმის მუშაობაში ჩაერთო საქართველოს სხვადასხვა რეგიონების მეცნიერებიც. ასე რომ, I საერთაშორისო სიმპოზიუმი მრავალფეროვანი იყო მომხსენებელთა თვალსაზრისითაც. სექციურ მუშაობაში მონაწილეობდნენ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა თუ ამავე სასწავლო დაწესებულების სოხუმისა და სიღნაღის ფილიალის, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, შავი ზღვის უნივერსიტეტის, გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის, მეტეხის საერო უნივერსიტეტის, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის, გიორგი წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის, კორნელი კეკელიძის ხელნაწერთა ინსტიტუტის წარმომადგენლები, ასევე, უცხოელი სტუმრები იერუსალიმის (რუბენ ენოქი), სანკტ-პეტერბურგის (ირინა ალექსეევა), ბაქოს (სარა აბდულაზადე), ერევნის (ოლღა ვარდაზარიანი), ვაშინგტონის (მერი ცაილდსი), ვარშავის (კაზიმეჟ პოდოლსკი) და გრანდის (რაფაელ გუსმანტირადო) უნივერსიტეტებიდან, აგრეთვე, ამჟამად თბილისში მოღვაწე ამერიკელი მკვლევარები

ლანსელოტ ფლეტჩერი და კრის მიჩელი. სიმპოზიუმის საორგანიზაციო კომიტეტმა უცხოელ სტუმართათვის საგანგებოდ შეადგინა კულტურული პროგრამა და საკმაოდ ხანმოკლე ვიზიტის ფარგლებშიც კი შეძლებისდაგვარად გააცნო მათ დედაქალაქისა და მისი შემოგარენის ღირსშესანიშნაობები, ქართული ნაციონალური ფოლკლორი, ხელოვნების ნიმუშები. მინდა საგანგებოდ აღვნიშნო ის განსაკუთრებული ინტერესი და კეთილგანწყობა, რაც უცხოელმა მეცნიერებმა ქართული ლიტერატურის, ჩვენი ეროვნული კულტურის მიმართ გამოიჩინეს. დამეთანხმებით, ამგვარი დამოკიდებულება საწინდარია სამეცნიერო კონტაქტების კიდევ უფრო გაღრმავებისა და გაფართოებისა. სიმპოზიუმის დღეებშივე შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტსა და რამდენიმე საზღვარგარეთულ სამეცნიერო ცენტრს შორის უკვე ჩაისახა ერთობლივი პროექტების განხორციელების იდეა და ამჟამად მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა მათ ხორცშესახსმელად.

სიმპოზიუმის ფარგლებში ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე გამოიცა სამუშაო პროგრამა და მოხსენებათა თეზისები. უახლოეს მომავალში დაიბეჭდება სიმპოზიუმის მასალები ორ ნივნად, რომლის ინგლისური ვერსიაც განთავსდება ლიტერატურის ინსტიტუტის ელექტრონულ ჟურნალ „ლიტინფოში“, რაც გაცილებით გააფართოებს აღნიშნული საკითხებით დაინტერესებულ მკვლევართა აუდიტორიას.

**– და ბოლოს, ქალბატონო მაკა, როგორი პერიოდულობით გეგმავთ ლიტერატურათმცოდნეობითი სიმპოზიუმების ჩატარებას?**

– ჩატარებულმა ღონისძიებამ ცხადყო, რომ ამ ტიპისა და თემატიკის სამეცნიერო ფორუმების მოწყობა ძალზე აქტუალურია და ლიტერატურათმცოდნეობის სფეროში მოღვაწე მკვლევართა დიდ ინტერესს იწვევს. შესაბამისად, საორგანიზაციო კომიტეტმა გადაწყვიტა, რომ სიმპოზიუმი ყოველწლიურად ჩატარდეს და, შეძლებისდაგვარად, გააფართოვოს თავის ფარგლებს, როგორც სამეცნიერო კონტაქტების, ასევე, სასექციო თემატიკის თვალსაზრისით.

ესაუბრა  
მარიამ ლანდია

ძრონიკა

11 მაისს, გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში გაიხსნა ლადო ასათიანისა და მირზა გელოვანის დაბადებიდან 90 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა – „... და არ დასცალდათ შთაგონების დავაუკაცება“, და გაიმართა, ლადო ასათიანის საიუბილეო საღამო.

ექსპოზიციასზე წარმოდგენილია ადრე წასული პოეტების: ლადო ასათიანის, მირზა გელოვანის, ალექსანდრე საჯაიას, გიორგი ნაფეტავარიძის ფოტოები, ხელნაწერები და ნივნები, გამოფენა გახსნა მუზეუმის დირექტორმა, ქალბატონმა იზა ორჯონიკიძემ, რომელმაც სტუმრებს გააცნო მუზეუმის საქმიანობა, გამოფენის მიზანი და დანიშნულება, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლისა და მუზეუმის ურთიერთობებზე, აღინიშნა, რომ ახალგაზრდა თაობა მასწავლებელთა რჩევით უნდა ეზიაროს ლადოსა და მირზას პოეზიას, მადლობა გადაუხადა გამოფენის ავტორს — საექსპოზიციო განყოფილების გამგეს ქალბატონ

ნატო სეიდიშვილს და ამავე განყოფილების თანამშრომლებს: მარინე ირემაშვილს, ლიკა დრუიძეს, ნათია გაგნიძეს, ცირა კაპანაძეს, ფოტოხელოვან მირიან კილაძეს, რომლებმაც ძალა და ენერჯია არ დაიშურეს საინტერესო ექსპოზიციის მოსაწყობად.

ლიტერატურულ საღამოზე კი, რომლის სცენარის ავტორი მუზეუმის დირექტორის მოადგილე ქალბატონი თეა თვალავაძე გახლდათ, მსახიობებთან კოტე მუჟაიასა და ლამა-გიორგი პაპუაშვილთან ერთად მუზეუმის თანამშრომლებმა თამარ ხმელიძემ და მარინე კურტანიძემ ნაიკითხეს ლადო ასათიანის ლექსები, პირადი წერილები, ნიკა აგიაშვილის, ვახტანგ ჭყელიძის, ლადო ავალიანისა და სხვათა მოგონებები. მუსიკალური გაფორმება ანანო ლლონტს ეკუთვნოდა.

იმდღევანდელმა ღონისძიებამ, ერთგვარად, კიდევ ერთხელ წარმოაჩინა „ადრე წასული პოეტების“ ხანმოკლე ცხოვრებისა და შემოქმედების გზა.

რუსუდან დაუშვილი

# „ამერიკის ხმა“ და მისი პირველი დირექტორი

\*

ერეკლე ორბელიანი

„სიტყვა საქართველო ჩვენში ინვეს არგონავტთა მოგზაურობის მოგონებას, რომლებიც იქ ოქროს ვერძს ეძიებდნენ; გვაგონებს პრომეთეს, რომელმაც ზეცას წმინდა ცეცხლი მოსტაცა და ადამიანს გადასცა, როგორც ბრძოლის იარაღი. მსოფლიოს კარგად ახსოვს ათეული წლების განმავლობაში ქართველი ერის განუწყვეტელი ბრძოლა თავისუფლებისათვის, ძველი კულტურისა და ქართული ცივილიზაციის დასაცავად. ხშირად ყოფილა საქართველო დაპყრობილი, მაგრამ არასოდეს – დამორჩილებული. ქართველმა ხალხმა დღემდე შეინარჩუნა თავისი სახე და არ დაუკარგავს ნება ადამიანების უფლებების დაცვისათვის ბრძოლაში, ამიტომაც ჩვენს აღფრთოვანებას ინვეს ქართველი ხალხის ურყევი სულიერი სიმტკიცე... „ამერიკის ხმა“ დღიდან თქვენ, ქართველებს გაძლევთ საშუალებას საკუთარ ენაზე ამცნოთ ქართველ ხალხს ჭეშმარიტება, რომელსაც კომუნისტები მას უმაღავენ“, – 1951 წლის 26 მაისს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის დინ არესონის ამ გამოსვლით, რომელმაც ამერიკის მთავრობის სახელით ქართველ ხალხს დამოუკიდებლობის დღე მიულოცა, მუშაობა დაიწყო რადიოსადგურ „ამერიკის ხმის“ ქართულმა რედაქციამ.

რადიოსადგური „ამერიკის ხმა“, რომელიც ცნობილია „შეერთებული შტატების საინფორმაციო სააგენტოს“ განყოფილების სახელით, ვაშინგტონიდან გადაცემებს 38 ენაზე წარმართავდა. ქართული რედაქცია მასალებს ინგლისურ ენაზე იღებდა, შემდეგ ხდებოდა ქართულად მასალის დამუშავება და მომზადება. ყოველდღიური ერთსაათიანი პროგრამა შეიცავდა ახალ ამბებს, კომენტარებს, ინტერვიუებს, კორესპონდენციებს, მუსიკას და სხვა.

ქართული გადაცემები დილის 8 საათზე იწყებოდა. 9 საათიანი განსხვავების გამო, საქართველოში ნაშუადღევის 5-6 საათზე გადაიცემოდა. ქართველი დიქტორები ღია ეთერში ჩანანერის გარეშე გადიოდნენ. სხვადასხვა დროს რედაქციის თანამშრომლები იყვნენ: სიკო კობიაშვილი (ირაკლი ბარამიძე), გიორგი გამყრელიძე (გიორგი ლაშხი),

მერაბ კვიციანი (ნიკო რაჭველი), ლეილა ფიჩხაძე (ლეილა ქუთათელი), პეტრე ხვედელიძე (კიკა ჭალელი), მიშა დადიანი (ფარნაოზ მეგობრიშვილი), გივი კობახიძე (მალხაზ წკადელი), შოთა საღირაშვილი, თეო ჯაფარიძე, მიხეილ ფოფხაძე, გოგი თოფურიძე, ლეო ლევიანი, ლალი შიუკაშვილი-ერისთავი (ბეილი), ნოდარ ჯინჯიხაშვილი, ლეო ჩიქოვანი, ლადო ბაბიშვილი, ნიუ-იორკელი კორესპონდენტი – მანანა ჯინჯიხაშვილი და სხვები.

რადიოსადგურებს საქართველოში 70-იან წლებამდე ან საბჭოთა სპეცსამსახურები, ან თითო-ორი დისიდენტი და თავგადასხვებული ადამიანი თუ ისმენდა – სიმართლის გაგების სურვილი შიშს სძლედა. სწორედ „ამერიკის ხმის“ და „თავისუფლების“ საშუალებით ვიგებდით, რა ხდებოდა საბჭოთა კავშირში. 70-იანი წლებიდან, ჩახშობის მიუხედავად, რადიოსადგურებმა უფრო მრავალრიცხოვანი მსმენელი შეიძინეს. თავის დროზე მათ დიდი როლი შეასრულეს ანტისაბჭოთა პროპაგანდისა და საბჭოთა რესპუბლიკათა „მძლავრი კავშირის“ დანგრევის საქმეში. იმ გადაცემათა მოსმენა, რაც ადრე დიდი რისკთან იყო დაკავშირებული, ბოლო ხანებამდე საქართველოს რადიოს ხაზითაც შეიძლებოდა. 2007 წლის თებერვალში რადიოსადგურის ქართულმა რედაქციამ არსებობა შეწყვიტა.

რედაქციის ჩამოყალიბებასა და ეფექტურ მუშაობაში დიდი როლი შეასრულა ქართული რედაქციის პირველმა დირექტორმა ერეკლე ორბელიანმა.

ერეკლე ორბელიანი 1901 წელს დაიბადა თბილისში. მამამისი – მამუკა ჯამბაკურ-ორბელიანი – ბორჩალოს მიწების მფლობელი, მდიდარი მემამულე, მეფის არმიის ოფიცერი, „ქართული დრუჟინის“ ერთ-ერთი ორგანიზატორი, დიდი პატრიოტი იყო, ყველგან ჩოხით დადიოდა. დედა – ელისაბედ ბაგრატიონი (1870-1942) – ერეკლე ბატონიშვილისა და თამარ ჭავჭავაძის უფროსი ქალიშვილი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე, „საზანდარის“ ფსევდონიმითა ცნობილი. „ვეფხისტყაოსნის“ ფრანგულად მთარგმნელი, საქართველოს დამოუკიდებლობის ხანაში იგი ორი გაზეთის – ფრანგული „ჟორჟი ინდეპენდენტის“ და ინგლისური „ჯორჯიან მესენჯერის“ დამაარსებელი და რედაქტორი იყო, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების შემდეგ კი ფრანგული ენის კათედრის პროფესორი. ელისაბედ ბაგრატიონმა, სოლომონ იორდანიშვილთან ერთად, შექმნა ფრანგული ენის სახელმძღვანელო. მშობლებმა უფროს ვაჟს სახელგანთქმული სარდლის თამაზ ორბელიანის სახელი, უმცროსს კი – პაპის, ერეკლეს სახელი დარქვეს.

ორბელიანების ოჯახისა და უფროსი ვაჟის შესახებ თავის მოგონებებში, რომელიც ემიგრაციაში, ჟურნალ „კავკასიონში“ დაიბეჭდა, მოგვითხრობს თავადაზნაურთა გიმნაზიაში თამაზის კლასელი მიხეილ დადიანი. მათი კლასელები იყვნენ შემდგომ საფრანგეთში ემიგრაციაში მყოფი ს. ბერეჟიანი, კ. თოხაძე, მ. ჯორჯაძე, ა. ჯინჭარაძე, ა. მზარეულიშვილი, ვ. ანდრონიკაშვილი, ა. გედევანიშვილი, ძმები



ფაშალიშვილები, ანდრონიკაშვილები, ვაჩნაძეები. თამაზი ემიგრაციაში არ წასულა. როგორც ევროპული ენების კარგი მცოდნე, ინგლისელებთან თარჯიმნად მუშაობდა, მერე კი უკვალოდ გამქრალა.

ძმის მსგავსად ერეკლემაც კარგად იცოდა ენები, ამასთან, ბავშვობიდანვე გამოამჟღავნა მუსიკის დიდი ნიჭი. თბილისში ქართული გიმნაზიისა და კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ სწავლა გერმანიაში განაგრძო. ერთი წლის შემდეგ კი, როგორც პიანისტი, უკვე კონცერტებით გამოდიოდა გერმანიაში, საფრანგეთსა და იტალიაში. ევროპის შემდეგ კონცერტებით მოიარა ამერიკის შეერთებული შტატები და ლათინური ამერიკის ქალაქები. გამოდიოდა იტალიელ ჯილისთან ერთადაც. ყველგან დიდი წარმატება და კარგი პრესა ჰქონდა.

საქართველოს ოკუპაციის დროს ერეკლე ამერიკის შეერთებულ შტატებში ერთ-ერთ ტურნეში იმყოფებოდა და სამშობლოში ველარ დაბრუნდა. 1924 წელს პარიზში ცხოვრობდა და კონცერტებს მართავდა. იგი იყო პირველი ქართველი პიანისტი, რომელმაც საჯაროდ გამართა კონცერტები საზღვარგარეთ. 1930 წელს კი ამერიკის შეერთებულ შტატებში გადასახლდა და 1931 წლის ბოლოს სამი კონცერტი გამართა.

„ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნ“ წერდა, რომ მსმენელები გულითადად ესალმებოდნენ „ყოფილ ქართველ თავადს, რომელმაც ტიტულს მუსიკოსობა ამჯობინა“.

ამ კონცერტებით დაიწყო ერეკლე ორბელიანის წარმატებული საშემსრულებლო კარიერა. სერგეი რახმანინოვი, რომელიც ოჯახის მეგობარი და თამარ გრუზინსკაიას სალონის ხშირი სტუმარი იყო, ამბობდა: „ჩემს შემდეგ ჩემს ნაწარმოებებს ყველაზე უკეთ ირაკლი ორბელიანი ასრულებს“. საკონცერტო-საშემსრულებლო მოღვაწეობის გარდა, წერდა მუსიკას, მათ შორის რომანსებს ემიგრანტი პოეტების – შალვა ამირეჯიბისა და სიმონ ბერეჟიანის – ლექსებზე და ხშირად თვითონვე ასრულებდა, მაგრამ სუსტი ჯანმრთელობის გამო კარიერა ვერ გააგრძელა. ნიუ-იორკში დააარსა სამუსიკო სკოლა, სადაც მოღვაწეობდა სიცოცხლის ბოლო წლებამდე.

20-იან წლებში ქართველთა რაოდენობა ამერიკის შეერთებული შტატებში რამდენიმე ათეულს არ აღემატებოდა. ქართული კოლონიის საქმიანობაში ერეკლე ორბელიანი თავიდანვე ჩაება. იყო 1931 წელს ქართული სათვისტომოს დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი. 1936-39 და 1944-45 წლებში მის ხელმძღვანელებად ორჯერ აირჩიეს. მონაწილეობდა სათვისტომოს ცხოვრებაში, ქართველთა პრობლემების მოგვარებაში, რითაც ამერიკელ ქართველთა დიდი პატივისცემა და ამერიკის ადმინისტრაციის ნდობა დაიმსახურა. როგორც პიანისტი და კომპოზიტორი აქტიურად მონაწილეობდა საერთო ღონისძიებებში.

ამერიკელი ქართველები საქართველოს დამოუკიდებლობასა და წინობას შინაურულად აღნიშნავდნენ, 1935 წლიდან კი ზეიმებს ოფიციალური სახე მიანიჭეს და უცხოელებსაც ინვედნენ. საკონცერტო ნაწილში ერეკლე ყოველთვის დიდი ენთუზიაზმით იღებდა მონაწილეობას.

1941 წელს ერეკლე სან-ფრანცისკოში მერი ლი მაკნაიტიზე დაქორწინდა, მაგრამ 1945 წელს ისე გამოურდა, რომ მემკვიდრე არ შესძენია.

II მსოფლიო ომის შემდეგ ამერიკაში ქართველთა რიცხვმა 200-ს გადააჭარბა. რუსეთის დამარცხებისა და საქართველოს გათავისუფლების იმედის გაცრუების შემდეგ, საჭირო იყო ორგანიზაცია, რომელიც საქართველოს საკითხს წამოჭრიდა როგორც ამერიკის საზოგადოების, ისე ადმინისტრაციის წინაშე. ამ მიზნით 1950 წელს ერეკლე ორბელიანის ბინაზე შეკრებილმა თეიმურაზ ბაგრატიონმა, ლეო დუმბაძემ, პავლე კვარაცხელიამ დააარსეს „ქართველ-ამერიკელთა ლიგა“, რომელმაც მემორანდუმი გაუზღავნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, ყველა ქართველს კი მიმართა მოწოდებით: „ჩვენი ერის ინტერესების აუცილებლობა მოითხოვს ამ გადამწყვეტ წუთს აქ ისმოდეს საქართველოს ხმა“. ლიგამ პრესკონფერენციაც გამართა, თუმცა გამგეობის შეცვლის შემდეგ აქტიური ურთიერთობა ამერიკის ოფიციალურ წრეებთან აღარ ჰქონია.

II მსოფლიო ომის შემდეგ მოკავშირეთა შორის ურთიერთობის გაართულებისა და „ცივი ომის“ პირობებში, საქართველოს საკითხის წამოწევისა და მსოფლიო საზოგადოების წინაშე მის დაყენებაში უდიდესი როლი შეასრულა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის გადანყვეტილებით რადიოსადგურ „ამერიკის ხმის“ რედაქციაში ქართულ ენაზე მაუწყებლობის დაწყებამ.

ეს საშუალებას მისცემდა რკინის ფარდის მიღმა დარჩენილ ქართველებს მშობლიურ ენაზე მიეწვინათ ხმა თავისუფალი სამყაროსათვის. ამ მნიშვნელოვანი გადანყვეტილების შესასრულებლად საჭირო იყო ამერიკის შეერთებული შტატებში მცხოვრებ ქართველთა შორის შესაფერი-სი ინტელექტუალური ძალების შეკრება, რომლებიც საქემეს სათანადოდ გაუძღვებოდნენ.

ხელისუფლებამ ყურადღება შეაჩერა ერეკლე ორბელიანზე, რომელსაც უკვე კარგად იცნობდა ამერიკის საზოგადოება, როგორც ცნობილ მუსიკოსს, განათლებულ ადამიანს, ევროპული ენების კარგ მცოდნეს, ქართული სათვისტომოს აქტიურ წევრსა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის თავდადებულ მებრძოლს.

ამიტომ „ამერიკის ხმის“ ქართული რედაქციის მოწყობა და კადრებით დაკომპლექტება სწორედ მას მიენდო.

ოთხი თვის შემდეგ დინ აჩესონის ზემოთმოყვანილი გამოსვლით რედაქციამ მუშაობა დაიწყო. 1952 წელს ქართულს შეუერთდა სხვა განყოფილებებიც: აზერბაიჯანული, სომხური, უკრაინული, თურქესტანული, მას უწოდეს „საბჭოთა კავშირის სექცია“ და ხელმძღვანელად დანიშნეს ერეკლე ორბელიანი. სამწუხაროდ, მას დიდხანს აღარ მოუწია გაერთიანებული რედაქციის ხელმძღვანელობა – 53 წლისა, 1954 წლის 31 მარტს გარდაიცვალა ლეიკემიით. დაკრძალულია ნიუ-იორკში.

მის გარდაცვალებას გამოეხმაურა ემიგრანტული პრესა – „ბედი ქართლისა“, „ჩვენი გზა“, „The Voice of Free Georgia“ და სხვა, „ამერიკის ხმის“ რედაქციამ კი საგანგებო გადაცემა უძღვნა.

„ჩინებული პიანისტი, მუსიკათმცოდნე და ხელოვნების დარგის გამოჩენილი მოღვაწე... მისი გარდაცვალება დიდი დანაკლისია ქართული საქმისათვის“, – ასე დაახასიათა იგი ცნობილმა ემიგრანტმა მოღვაწე გივი კობახიძემ.

მანანა ავალიშვილი

## ჭილყვავეები მოფრინდნენ

მყუდროებაში ჩაძირულ წიგნის მაღაზიას გოგონას მშვიდი სახე ალამაზებდა. კაცი სამეცნიერო ლიტერატურას დიდმნიშვნელოვნად ათვალთვლებდა, წიგნის ფურცლებს აშრიალებდა. მერე ტირაჟს დახედა, ფასიც დაიმახსოვრა, გადმოაბრუნა, სიდიდე თვალთვალთვა და დაღრუბლულმა გოგონას წიგნი წინ დაუდო.

კარი უხმაუროდ იღებოდა, მაგრამ კაცმა მაინც გააფახუნა, თითქოს მწყობრად ჩალაგებულ წიგნებს შემოსწყრა, გოგონას უყურადღებობამ გააგულისა. კაცმა წიგნების სამყოფელში სიარულს მოუხშირა, ისევ აშრიალებდა ფურცლებს, თან მალულად გოგონას ათვალთვლებდა. გადმოაღებინებდა ერთ წიგნს, მეორეს, მესამეს, ბოლოს რომელიმეს შეიძინდა.

გოგონას მოწესრიგებული იერი, მოკლედ შეჭრილი მონითალო, ხვეული თმა, ლამაზი მგრძნობიარე ტუჩები ძალიან იზიდავდა.

ერთხელ ახალგაზრდა კაცი, ვილაც მედიდურ ქალბატონთან ერთად აღმოჩნდა დახლს იქით მდგარი გოგონას პირისპირ. ქალბატონს ასაკი დასტყობოდა, მაგრამ ცდილობდა, რომ ინტელექტთან შეეზავებინა ნელთა სიმრავლე. გოგონას დანახვამ გააკვირვა და ყმანვილურად იკითხა: „შენ აქ რას აკეთებ. შენ მგონი ფილოლოგიური ფაკულტეტი დაამთავრე!“ – წარბები ანკიპა გაოცების ნიშნად.

გოგონამ რატომღაც პოლიტიკური ლიტერატურის მხარეს გაიხედა და წყნარად თქვა: – დიახ, დავამთავრე, მაგრამ მამა საავადმყოფოს მთავარი ექიმი არ მყოლია, ქმარი – სუკის კაპიტანი, არც ენერგიული კომკავშირელი ყვოფილვარ, არც ლაქიობა გამომდის, ასე რომ საუნივერსიტეტო მონაცემებს ვერ ვაკმაყოფილებდი – ქალბატონის თვალეში სიანჩხლე გასრიალდა, ახალგაზრდა კაცი კი გაოცებამ გააშეშა.

ერთი კვირის თავზე კაცი ისევ გამოჩნდა. კრიალებდა მინიანი ვიტრინა, იქიდან ჟრიალყოფილდნენ საბავშვო წიგნები: კატებით, სპილოებით, წვრილთვალემა მელიებით მოხატული. ყუყუნებდნენ ყვავილებიანი ღია ბარათები. თაროებზე ერთმანეთის მიყოლებით მძიმედ, დარბაისლურად ჩარიგებულყო სამეცნიერო ლიტერატურა. გოგონა წელგამართული იდგა და ვილაცას საამოდ ესაუბრებოდა. ახალგაზრდა კაცს ამჯერად წიგნები არ გადაუფურცლავს. გულისხმიერად შესცქეროდა გამყიდველს. როცა გოგონამ მზერა მშვიდად მიაფინა, მაშინვე შესავლის გარეშე, უთხრა: – რესტორან თბილისში გეპატიჟებით. გოგონა შეცბა, აილანძა. კაცმა დააცადა გამორკვეულიყო. სახეზე დაეტყო, რომ რალაც აზრმა გაუარა და შეყოვნებით წარმოთქვა: – ნამოვალ.

მერე მიენყო რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზის სპექტაკლები, მხატვართა საშემოდგომო გამოფენები,

ფერთა სიხარულით ავსება, ჭადრების გადარკალული ჩრდილები, დაუთვლელ დღეთა სილამაზე.

ერთ ქარიან დღეს ცოლად გაჰყვა ახალგაზრდა მეცნიერს – წიგნის მაღაზიის ხშირ სტუმარს, სახელად – ვახტანგს.

მორჩილი, ყურადღებიანი ცოლი გამოდგა. მიტკალი, ფარდაგი, ქვაბი თუ ჩაიდანნი, სარკე თუ ავეჯი, ჭალი თუ ფარდა – ყველაფერი უზადო წესრიგით გამოირჩეოდა. ქმარს, როცა ენაწყლიანობას მოჰყვებოდა, უსმენდა მკრთალი ღიმილით. მაშინაც ასე გაიღიმა, როცა კაცმა დამაჯერებლად უთხრა, რომ ერთი ბავშვი უნდა იყოლიონ, მეტი არა, რადგან ხელი ეშლება მეცნიერულ კვლევა-ძიებაში. ბინა პატარაა და ჩვილის ტირილს ვერსად გაასწრებ.

ცოლქმრული ცხოვრების ერთფეროვნებას, განმეორების სიხშირესა და სიმტკიცეს არაფერი უშლიდა ხელს. ხანდახან გოგონასაგან დამოუკიდებლობის გაცხადება, მისი სურვილების უსწორმასწორობა აახმაურებდა მოჩვენებით სიმშვიდეს.

ვახტანგს სიბერე ერეოდა, ერთფეროვნება მოსწყინდა. აღარც მოთმინება ჰყოფნიდა პირფერობისათვის. თავისას მიაღწია, მაგრამ მაინც ვერ მშვიდდებოდა, გადატანილი ქედმობრა, ხანგრძლივი სიყრუე დამცირების გამო, ახლა ამფოთებდა.

ერთ საღამოს სამზარეულოში, ონკანისკენ შებრუნებულ ცოლს ავად შეხედა. უცხოდ შეათვალთვალა ქალის ლამაზი აღნაგობა, მაღალი მხრები, მოკლედ შეჭრილი ხშირი თმა, კისერზე მსხვილი, მუქი ხალი. უხეშად შემოაბრუნა, თვალეში ჩახედა და მკვახედ თქვა:

– ცოლად იმიტომ გამომყევი, რომ ქალაქელობა გინდოდა?

– სამწუხაროდ ასეა.

კაცმა ღონივრად ხელი ჰკრა, მაგიდას მიანარცხა და განბილებული გავარდა.

შვილი გამოჩნდა, თვალეში შემფოთება ედგა. რალაცნაირად გასანწყლებული სახე ჰქონდა.

– დედა, რალაც უნდა გითხრა, საწოლ ოთახში გავიდეთ. – ანული მოშვეებული ნაბიჯით გაჰყვა შვილს და მოლოდინით სავსე მზერა შეაგება.

– დედა... – გოგონა შეყოვნდა. მერე ერთბაშად ამოთქვა. – დედა, მე ორსულად ვარ. – ქალმა მხოლოდ ახლა შეამჩნია შვილის დაწრეტილი სახე. ფიქრისგან გატანჯული იერი. სახე ბედის სიმძიმეს დაეხაზა. შეკრთა, ცხელმა ტალღამ გულზე გადაუარა. როგორ დაენყო ლაპარაკი, არ იცოდა. ხელეები გაუცივდა და ძლივს ამოღერლა:

– იმ კაცს მამობა არა სურს?

– ბიჭია, კაცი კი არა, – მოჭრით თქვა გოგომ.

ანულიმ ერთბაშად იგრძნო ორსულობის სიმძიმე. თითქოს მთელ ტანში მოთენთილობა გაუჯდა.





– მე მაინც გავაჩენ, – შვილმა ისე თქვა, თითქოს ვინმე ედავებოდა. დედა დუმდა. დუმილი გახანგრძლივდა, კედლებს აეკრა.

– ჰო, რა თქმა უნდა, – ხმადაბლა თქვა დედამ.

მეორე ოთახიდან მამის ღონიერი ხმა გაისმა:

– სულ შენა გგავს, შენი გაზრდილია, შენი გვარეულობის ნატეხია.

– მე გგავს, აბა რა, შენ არასოდეს გეცალა ოჯახისათვის. არც ერთხელ ატირებული ხელში არ აგიყვანია, არც ერთხელ ზღაპარი არ წაგიკითხავს, კბილი რომ ამოსდიოდა, რგოლიც არ მიგიწოდებია. შენ რა, შენგან რა უნდა რგებოდა!

– ხმას როგორ უწევ! – დაიხრიალა ქმარმა.

– ხმას ვუწევ კი არა და...

– რა უნდა გელაპარაკო, ნეხვი ხარ, – მიაყვირა ქმარმა.

ანულის თვალწინ დაუდგა ადრეული გაზაფხული. მზით მოფენილი ქალაქის პარკი. შვილი ფეხებთან ჩაცუცქულიყო. ნითელ ვედროს ქვიშით ავსებდა, ნიჩბით ტკეპნიდა – გულმოდგინედ, ბავშვური მუყაითობით. ორმა ელიტური გარეგნობის ახალგაზრდა ქალმა ჩამოიარა. ერთი შედგა, ნაცნობი გამოდგა. – ასეირნებ სუფთა ჰაერზე? – ხმოვნები კეკლუცად განელა. ანულიმ მშვიდად ახედა და თავი დაუქნია. – მერე რას იზამ? – ხმაში დაცინვა შეაპარა. – დავბან, ვასადილებ, დავარწევ, დავაძინებ.

– არ მუშაობ? – ანულიმ თავი გაიქნია. – ზიხარ სახლში ნეხვივით? – გახალისდა ელიტური ქალი.

ანული ახლა წამოენთო, ჯავრი წაეკიდა და ქმარს ბოლმიანად მიახალა:

– მთელი სიცოცხლე შენს მეცნიერულ კვლევას და „პადლიზობას“ შეაღიე. სულ გამოსადეგ სუფრას მაშლე-ვინებდი. ამიხსენი ერთი, იმ იდიოტურ დიდ საბჭოს რას გამორჩი პამპულობით?

– როგორ მელაპარაკები, შენ, შენ... – ველარ დაასრულა ცეცხლწაკიდებულმა კაცმა.

– არ გახსოვს შენი სოციალური მდგომარეობა? – დაბორძიკდა კაცი.

– სამხილი იპოვე არა, ზოგიერთები როგორ გავხართ ერთმანეთს გველობაში. ძველმა ამხანაგმა მითხრა, შენ ყოველთვის სოციალურად დაუცველი იყავი, – მითხრა მოგონილი დანანებით.

– ჰოდა, მართალი უთქვამს. – გაამაყდა ქმარი.

– ჰო, გველობაში ადამიანები ერთმანეთს გვანან, სულ მცირე სხვაობით. სიკეთეს კი სხვადასხვანაირი გამოჩენება აქვს. ჰოდა, ესეც კარგად დაიხსომე, მე ისეთივე ვარ, როგორც ყველა და მე არავის ვგავარ.

– დედა! – გაშმაგებით დაიძახა შვილმა, – დედააა!

– დედა, მე ამ ჩემი საქციელით თქვენ კიდევ გჯობივარ, ჩემთვის სიყვარულია მთავარი. თქვენ კი, ალბათ, ერთი დღეც არ გიცხოვრიათ მაგ გრძნობით.

დუმილი დაგორდა იატაკზე, ფართოდ გაიშალა. ვახტანგმა გულგრილად თქვა: ჩემი გულის მოგება სულ მარტივია, მხოლოდ ერთი რამაა საჭირო, ყველაფერი ჩემებურად იყოს. ანულის თვალეში მწარე დაცინვა გამოჩნდა და კარებისკენ შებრუნებულ ქმარს მიადევნა:

– ხვალ სოფელში გავემგზავრები დედასთან, ერთი კვირით მაინც!

– მოკითხვა პროვინციას! – ზემურად თქვა ქმარმა.

– მასხარა, – მკვეთრად გამოთქვა ცოლმა.

სამარშრუტო ტაქსი სოფლის ასახვევთან გააჩერა. აღ-



მხატვარი მალხაზ კუხაშვილი

მართს შეუყვია, გაზაფხული გაღვიძებულიყო და სიმწვანე ბილიკებზე, ბალებსა და ეზოებში გახარებული დარბოდა. ბუნება საგაზაფხულოდ აფეთქებულიყო. წყაროსთან ჯოხს დაყრდნობილი ხანდაზმული ქალი იდგა. სუფთად ეცვა. ტილოს ლურჯი წინსაფარი მძიმედ ეშვებოდა მამაკაცის ფეხსაცმელებზე. გულმოდგინედ შეკრული, კარგად დაუთოებული ფანელის კაბიდან დაძარღვეული კისერი მოუჩანდა. გიშრის მსხვილი მძივი შემოეხვია და ეს მძივი ფერდაკარგულ სილამაზეს აცოცხლებდა. იქვე, ძელსკამზე, ახალგაზრდა ქალი იჯდა – მწარედ ჩაფიქრებული. ჯოხს დაყრდნობილმა თბი-

ლად უთხრა: რავარი აზრიანი ხარ, შვილო, რავარი აზრიანი. ნურაფრის შეგეშინდება, ტანჯვა გადაივლის, გამოკეთდება. ბედნიერები ხომ იცი, გუდაფშუტები არიან.

ანულიმ მოკლე ნაბიჯით აიარა დაღმართი. ჭიშკარი შეაჭრიალა და მოკირწყლულ ბილიკს გაუყვია. შინ სიჩუმეს მოეკალათებინა. ობლად იცქირებოდა ფართო ოთახები, მაღალი ფანჯრები, მწყობრად ჩარიგებული აივნის სვეტები. დედა სამზარეულოში შვრიის ფაფას ხარშავდა. ლამის-პერანგზე თბილი ხალათი მოეცვა. შვილი დაინახა, მონყენილ თვალეში თბილი შუქი ჩადგა, ხმას ძალა მიეცა.

– დამეწვევი მცირედზე?

– აბა რა, – გახალისდა ანული.

– ტკბილეულობა, თბილი თავშალი, წინდები ჩამოგიტანე.

– ყველაფერი კარგი, მაღლობა, მაგრამ მთავარი შენა ხარ, გულში და სახლშიც. შენი ნებართვით დაგწვები, კარგი, – ფლატუნით გაშლილ ლოგინს მიაშურა. დიდ ბალიშში თავი ჩარგო და ღრმად ამოისუნთქა.

კედელზე სავრასოვის ნახატი ეკიდა – „ჭილყვავები მოფრინდნენ“. ანულის უღონოდ გაცინა. – ბუნებასთან ხარ გაერთებული და ეგ ნახატი რაღად გინდა,

– ჩემი პეტრე ტრეტიაკოვის გალერეაში გავიცანი, ეგ სურათი სულ უკან მახედებს.

– ეგ როგორ?

– მგონი 1958 წელი იდგა. მასწავლებელთა ყრილობა გამართა თბილისში. დაჯილდოებულები მოსკოვს გაგვავაზენეს. ჰოდა, იქ შევხვდი მამაშენს. ის მეზობელი რაიონიდან იყო. შორიდან ვიცნობდი, მაგრამ იქ, უცხო ქვეყანაში, ხელოვნების გარემოში, მაინც სხვა იყო. ვიდექი ამ სურათის წინ და ვგრძნობდი, როგორ ტყდებოდა ზამთარი, ჭილყვავები როგორ შესეოდნენ ხეს. უკან ზამთრის სუფთა ჰაერს ეკლესია იხვევდა გარს. შენობიდან რომ გამოვედი, ჩემი კუთხის კაცმა ეს სურათი მიყიდა, მობოდიშებით გამომინოდა.

– პირველად მესმის, – გოცუბამ შეცვალა ანული.

– ჰო, არ მითქვამს, რაც სამახსოვროა, ძნელია იმაზე ლაპარაკი. დრო მიქანაობდა. ერთი ბიჭი ხოლერამ გამოგვაცალა. მაშინ, ომის დროს, ხოლერამ დაიარა სოფლები. შენ მერე გვეყოლე. ვცხოვრობდით, ვუფრთხილდებოდით ერთმანეთს, გაჭირვებას არ ვიმჩნევდით. ისე ტრეტიაკოვი ძალიან მორიდებული კაცი ყოფილა. პირველი გილდიის ვაჭარი გახლდათ, ვაჭრობა თითქოს იმიტომ სურდა, რომ ნახატები შეეძინა. ხელოვნება ცხოვრების ნაწყვეტია, მაგრამ ჩვენგან განსხვავებით, სხვანაირად დანახული, ძალზე ნაცნობი და თან თავისი ხედვით შორეული.

– მამას უყვარდა არა, შენი ლაპარაკი?

– ჰო, შემაქებდა ხოლმე. – ყრუდ თქვა მოხუცებულმა.

– ჰო, იმას ვამბობდი, გამოფენდა ტრეტიაკოვი სურათებს, თავად კი არსად ჩანდა. ერიდებოდა გამოჩინებულ ხალხში ყოფნა. არც იერიით გავდა ვაჭარს, გამხდარი იყო, თხელი სახე ჰქონდა.

– ისე ყვეები, თითქოს იცნობდი ან გინახავს.

– პორტრეტი მინახავს, ამქვეყნიურისა არაფერი ეცხო.

– ამდენი რამის ცოდნა რაში გჭირდებოდა კოლექციონერის შესახებ?

– საინტერესო პიროვნება იყო.

– მამა როგორი იყო?

– ალალმართალი, ვაღდებულებით დატვირთული, – მოხუცმა მკრთალად გაიღიმა. – აკი გითხარი, ეს სურათი უკან მახედებს-მეთქი. ახლა, შენს გახარებას, წყალი მომიტანე, მაგიდაზე ლიმონია და ის ჩაანურე.

ანული ცოტა ხანში შემობრუნდა. ოთახში საშიში სიჩუმე დახვდა. გაუბედავად მიუახლოვდა სანოლს. დედას ცვილისფერი დაფენოდა სახეზე. თვალებს, დიდ დარდიან თვალებს, ყინული გადაჰკროდა. პატარა დანაოჭებული ხელები საბანზე დაეწყო. ანული მთელ ტანში დაიშალა. მუხლები მოუდუნდა. ვერცხლისფერ თმაზე ალერსიანად გადაუსვა ხელი, თვალები დაუხუჭა. ისევ პატარა ხელები მოხვდა თვალში, მოეჩვენა, ჭილყვავებმა ფრთები ააშრიალეს და გაფრინდნენ. ნახატი ჩიტებისაგან დაიცალა.

თეა თოფურიცა

# კიდობნელების დაბრუნება

იმისთანა დაიგრუხუნა, იმისთანა დაიჭექა, ორლობეში ქალები ერთმანეთს მივანყდით. მაგრამ რა, მინამდე არც მოუღწევია წვიმას, ჰაერშივე გაიფანტა. დარჩა ხალხი ნახრილი და თავზე გაზეთნაფარებული. კი აიხედეს ზევით, რა დაზანზარდა იმის გასარკვევად, მაგრამ დამფრთხალი ყვავების მეტი არ ჩანდა არაფერი. ცის გახსნა იყო, მერე დაასკვნეს თავისით.

თუ ცის გახსნა იყო და რალა მაინცდამაინც ახლა ვზვერავდი ძროხების ნაკვალევს, საით წავიდნენ-მეთქი. რამე მაინც მეთხოვა ღვთისთვის, მაგრამ მე ვისი და რისი მთხოვნელი ვარ, მეზობლისთვის ასანთი ვერ მითხოვია, ღუმელს ნაცარში გამოკრული ნაკვერჩხლით ვანთებ. მართლა ცა რომ გამეხსნას თავზე, ხომ დავდექი და დავინყე მიდებ-მოდება იმ უნიჭო გლეხივით, გუდა ყველს რომ ნატრობდა. ასეა, გლეხიც რომ იყო, ერთი სურვილი მაინც უნდა გქონდეს მოფიქრებულ-გაზეპირებული. რა იცი, იქნებ მართლა იხსნება ცა, გაჩერდები და მიაძახებ.

ამ ხნის დედაბერი ვარ, პირჯვარი რაა, არ ვიცი. ჩვენი ეკლესიის დამლაგებელი მარო მეუბნება, ერთხელ შემოდი, ან ქმარს დაუნთე სანთელი, ან წმინდა გიორგის სახე დაიმახსოვრე, რომ მოკვდები, ხომ გინდა, იცნო და რამე

უთხრაო. არ იყო ჩვენს დროს ეგენი, არა, ჩვენს დროს მარტო ყავისფერი საპონი და შალით გაკრული წელი იყო.

ჩემს ქმარს კი სჯეროდა ღმერთის. ტყუილად კი არ ეძახდნენ მაგათ ჯიშს და ჯილაგს ნამონაფარებს. წინაპრებში ჰყოლიათ ერთი, მაგასო თვითონ ანდრია მოციქულმა ასწავლა წერა-კითხვაო. რას წერდა და რას კითხულობდა, ვინ იცის, მაგრამ მაგის მერე თაობა ისე არ გაცივდებოდა, ერთი-ორი უცნაური არ გამორეოდათ გვარში. მე რასაც მოვესწარი, ჩემი ქმარი და მამამისი იყვნენ, მამამისის მამის ამბავი კი გაგონილი ვიცი. რალა მარტო მე, კიდობნელების მხსნელს ეძახდნენ და აქაურს თუ იქაურს ვისაც არ უნდა ჰკითხო, ყველა მოგიყვება. ისე აქვთ გასხაპასხუპებული, თითქოს სკოლაში მისცეს გაკვეთილად.



\*\*\*

კიდობანი გაღმა არა და, კიდევ იმის იქითა სოფელია. არც ძაან მთა და არც ძაან ბარი. თეკლა იყო იქ ერთი, იმისთანა, იმისთანა, რომ თურმე სარკემიც არ იხედებოდა, თავი არ გავითვალლო. ამ ქალის შემხედვარე ჭლექიანები დადიოდნენ საცოლე ბიჭები. ვერც უბედავდნენ რამე ეთქვათ და ილეოდნენ ასე. ახლაც იხსენებენ მოხუცები, აივანზე პირქვე რომ მიეგდებოდნენ, ჩიტები ზედ ასხდნენ და ხელის აქნევის თავიც არ ჰქონდათო. სანამ

ეს გოგო იზრდებოდა და მშვენივრად ქორნილი არ გა-  
დაუხდია არავის, ცალკე ესენი დაბერბიჭავდნენ და  
ცალკე გოგოები ჩაბერდნენ გაუთხოვრად. წლები გადი-  
ოდა და ერთი რაა, ერთი ცინგლიანი ბავშვი აღარ დაბა-  
დებულა სოფელში. მისჩერებოდნენ ამ ქალს და იყვნენ  
ასე. აღარც საქმეზე მიუდიოდათ გული და აღარც თოფ-  
ზე და წამალზე.

კაცებს ხომ ასეთი დარდი ჰქონდათ და ქალები საერ-  
თოდ აღარ იყვნენ გონს. ზოგს ვინ უყვარდა, ზოგს ვიზე  
რჩებოდა თვალი, მაგრამ რად გინდა, სანამ თეკლა იყო,  
მათკენ ვინ გამოიხედავდა. საქმროს ვილა ჩივის, ქმრები  
და ძმებიც ჭიანი ბავშვებით ეცრიცებოდათ ხელში.  
მთელი სოფლის საქმე და საზრუნავიც დედაკაცების ამ-  
რა იყო დარჩენილი. წყალსაც ისინი ეზიდებოდნენ, მინა-  
საც ისინი აბრუნებდნენ და ცხენებსაც ისინი ბანდნენ.

– რატომ ერთიანად არ ამოწყვენი, რომ ყველა თეკ-  
ლას ეზოში ჩაგმარხოთ და ჩაგასვენოთ. ნადირმაც კი გაი-  
გო თქვენი საცოდაობის ამბავი, ღამესაც აღარ ეფარები-  
ან, დღისით მიჰყავთ ბოსლებიდან საქონელი. მგლებმა და  
ტურებმაც გაიგეს, კოდობნელებს კაცი აღარ შერჩენია-  
თო. ლეკმა და ქისტმაც რომ გაიგოს, მერე რალა ვქნათ?!  
რომ გადმოვიდნენ და წაგვასხან ქალიან-რძალიანად,  
თეკლა თუ დატოვებს ერთსაც არ მოგვისაკლისებენ, –  
კრულვა-ქოქოლით და მანვნის ქილებით გაუყვებოდა  
ხოლმე მემანვნი სალათა ჯერ სოფლის და მერე ტყეში მი-  
მავალ ბილიკს. ერთნაირად არიგებდა მანონსაც და წყევ-  
ლასაც.

შუადღისთვის ფიჩხის კონით ჩამოივლიდა უკან.

– ამ ფიჩხით გახმა და გაშავდა თქვენი ძვლები.  
ღმერთი დავინყებიათ და ურისავით კერპი მოუგონები-  
ათ. ღამის ოცნებაში გაიპარონ ეს ქალის უნახავები. ქაჯი  
და ეშმაკი გამოგზავნოს ჯოჯოხეთმა თქვენს ცოლებად.  
გველი და გველეშაპი ჩაინვინეთ ლოგინში. სიკვდილი  
თქვენ და სალათას ძილი.

აღბათ ცუდს უგრძნობდა გული სალათას. რალას უგ-  
რძნობდა, ისედაც ხედავდნენ, ჩუმი და გაუგებარი ჭირი  
იყო კარზე. კი ამაცობდნენ კიდობნელები, ჩვენ ორი მზე  
გვაქვს, ერთი ნამდვილი, მეორე კი თეკლაო, მაგრამ ბევრი  
ციური სხეული ხომ სწორედ ორ-ორი მზის გამოა გადაბუ-  
გული და დანაცრული რომ ტრიალებს. კიდობანიც ასე  
იყო, ედგა თავს ზემოთ მზეები და იხრუკებოდა საკუთარ  
ცეცხლზე.

გაგონილი ჰქონდა სალათას მონუსხულს გამოლოცვა  
სჭირდებოდა და ჩამოუარა სოფელს, ბილიკზე იყო თუ მინ-  
დორში, სულ გათვალულის ლოცვას ამბობდა:

**გასკდა შავი კლდე,  
გამოვიდა შავი კაცი,  
შავი ცხენით,  
შავი მოკაზმულობით.  
შევიდა შავსა ზღვასა,  
ამოიღო შავი გველი,  
დადო ქვასა მკალისასა...  
აგრე კვდება და აგრე ცვდება  
შენი გამთვალავი და  
შენი ავი თვალით შემხედვარი...**

და ერთხელაც, მართლა რომ გასკდა შავი კლდე, სწო-  
რედ ამ ნამონაფარების შთამომავალი, წყალობა, გამოვი-  
და იქიდან.

ბევრს უკვირდა მერე, ამ ბიჭს როგორ გაატანეს ის ცი-  
დან გადმოვარდნილი ქალიო. ვაჟკაცობით და თვალტანა-  
დობით არც ვინმეზე ნაკლები იყო, არც ვინმეზე მეტი,  
მაგრამ სხვა თილისმა ებადა წყალობას. სახე ჰქონდა რა-  
ღაცნაირი, შინაურული, გადამთიელი რომ გაცნობოდა,  
ეტყოდა, სადღაც მინახიხარო. ცხრა მთას იქით, დასაკარ-  
გავშიც ყველა თავს უკრავდა და სალამს აძლევდა, ზოგი  
კაი ამხანაგვით მოიკითხავდა ხოლმე. თვითონ მიჩვეული  
იყო ამისთანებს, აღარც უკვირდა. აღარც იმას ამბობდა,  
თავის ცხოვრებაში პირველად რომ ხედავდა ამ ხალხს.

სადღაც ოცდახუთი წლის იქნებოდა, კიდობანში რომ  
გაიარა გზად. ქალები ბანზე ისხდნენ და ხორბალს აშრობ-  
დნენ. წყალობა რომ დაინახეს, ერთმა ჩემი ძმა, მეორემ –  
ჩემი მამული მოდისო. ბოლოს სალამურამ გახედა. სალა-  
მურას ასე თქვესმეტიოდე წლის გოგოს ეძახდნენ, მოკლე  
კაბა ეცვა, სიძველისგან სალამურივით დახვრეტილი.  
შიშველი ტანი უჩანდა ამ ნახვრეტებიდან, მაგრამ რას და-  
ეძებდა, კიდობანში დედიშობილასაც რომ გველო, მამაკა-  
ცი მაინც არავინ გაგაყოლებდა თვალს. სხვა გოგოებიც  
ისე იყვნენ შეჩვეული უყურადღებობას, თმასაც აღარ  
ივარცხნიდნენ. ფეხშიშველები დატანტალებდნენ და  
აღარც მუხლ-ბარძაყის გამოჩენა რცხვენოდათ და აღარც  
ჭუჭყიანი ტანისამოსის ჩაცმა.

გაიხედა სალამურამაც და, თვალები სად გაქვთ, მამა-  
ჩემი მობრუნებულა წისქვილიდანო.

დაიფერთხეს ხორბალი კალთიდან და, სანამ ახლოს  
მოვიდოდა, იყვნენ ასე მიმტერებულები.

– სახეზე კი მეცნობა, მაგრამ ვინ არის, რომ ვერ  
ვხვდები.

– ვინც უნდა იყოს, კაცია, იქნებ ჩვენს ლეკზე ვთხო-  
ვოთ.

– ვთხოვოთ, ვთხოვოთ, – თქვეს სხვებმაც და ჩამოყ-  
ვნენ ფარღალალა კიბეს. აღვირს ეცა და ისე გააჩერა ცხე-  
ნი სალამურამ.

– ქართველი ხარ, ქრისტიანი, მოგვეხმარო მაღლი იქ-  
ნება. სოფელში შემოპარული ლეკი დავიჭირეთ ქალებმა.  
თოფი ვერ ვესროლეთ და გაბანრული გვიგდია გომურში,  
შიმშილით რომ მოკვდეს. მოგვიკლა იქნებ, კაცი ხარ, ლა-  
მე არ დაგესიზმრება.

გაოგნდა წყალობა, მიმიყვანეთ მაგ ლეკთანო. მაშინვე  
გაარბენინეს. ამოიღო ხანჯალი და გაათავა იქვე, ისედაც  
ნახევრად გამძვრალი ჰქონდა სული შიმშილისგან. სის-  
ხლიან იარალს წმენდდა და თან გაოცებული ათვალეი-  
რებდა ნახევრადშიშველ და განწილ გოგოებს.

– ასე რამ დაგამდორათ, კაცი არავინ იყო თუ ტყვია  
დაგენანათ ამ უბედურისთვის?

უთხრეს, რაც სჭირდათ. აღარ წამოვიდა წყალობა  
თეკლას უნახავი და, რომ ნახა, ეგრევე თან წამოიყვანა.  
არ გაძალიანებია ქალი, თილისმა ჰქონდა ამ ბიჭს ასეთი,  
ვინც დაინახავდა, ყველას თავისიანი ეგონა.

თითქოს ჯადო ახსნესო. იმ დღის შემდეგ ნელ-ნელა  
გამოერკვინენ კიდობნელები. მოუხშირეს ქორნილებს და  
მშობიარობებს. სანამ ამ ამბის მომსწრე უკანასკნელი კი-

დობნელი გოგოც დაბერდა და მოკვდებოდა, ყვავილები არ გათავებულა წყალობას კიბესთან. გზად გამოვიღიდნენ და ტოვებდნენ ხოლმე. ეს ყვავილები იყო მადლობა მათთვის დაბრუნებული ქმრების, საქმროების, შვილებისთვის.

მაგრამ თვითონ თეკლას ამბავი არ დამთავრებულა მაინცდამაინც ადვილად. სადაც მივიდა, იქაც ბევრს შეუყვარდა და ბევრმა გაინია ამ ქალისკენ. ღრმა სიბერემდე იგერიებდა წყალობა მის ცოლზე გამიჯნურებულ კაცებს. არავისი უკვირდა. ვის რა უნდა ვუთხრა, თვითონაც რომ დავინახე, ისეთი მძიმე გამინხდა ნაბიჯი, წყალზეც რომ გამეარა, კვალს დავატყობდიო.

ერთ ამბავსაც ყვებიან თეკლასას...

შემოდგომობით ხილი რომ შემოვიდოდა, ვაჭარი აკითხავდა წყალობას. ძალიან ეშინოდა ქალს ამ ვაჭრის. ყველაზე ბნელ კუთხეში იმალებოდა მის დანახვაზე. უკვირდა წყალობას ძალიან. მერე იეჭვა რალაც და ერთხელაც რომ მოადგა ვაჭარი, ეუბნება.

– დაუკრეფავი დამირჩინა ხილი ამინდმა. ისე წვიმდა გუშინ, როგორც იმ დღეს, კაენმა რომ აბელი მოკლა.

– კაენმა რომ აბელი მოკლა, წვიმა სად იყო, – გაიკვირვა ვაჭარმა და ეგრევე მიხვდა წყალობა, ეშმაკს შეყვარებოდა მისი ცოლი. ხელი გააპარა ვენახისკენ, ვახის ნერგი ამოთხარა ძირიანად. ღმერთო, შენ მიშველეთ, დაიძახა და გადაუშხულია ზურგზე ამ ვაჭრად გამოცხადებულს. შეაგდო სახლში და მერე რა მოხდა, არავის გაუგია, აღარც ის კაცი უნახავთ ხელმეორედ.

\*\*\*

აი, აღმართის თავზე რომ ეკლესიაა, იქ დავინერეთ ჯვარი მე და ჩემმა ქმარმა. ეგრევე ჩვენი ეზოს ბოლოდან იწყება ეს აღმართი და რალა შორიდან მოვუაროთო, პირდაპირ ბაღჩაზე გადავედით სიძე-პატარძალი. ახალგაზრდები ვიყავით, ჯერ ხალხის არ გვერიდებოდა.

იქაც კიდევ ჭიშკარს ვინ დავგახვედრებდა და შეხტა ეს ჩემი ქმარი ღობეზე, ამიყვანა, გადამახტუნა მეც. მოგვსდევს უკან გაბზერებული მყარი, გოგრა-საზამთროში იბლანდება. ჩვენ კიდევ წინ მივრბივართ სიცილ-კისკისით. თან ისეთი აღმართია, ხელი უნდა მიაშველო, რომ ახვიდე.

ახლაც ზამთარში იყინება ხოლმე გზა და ზევიდან

მღვდელია თუ სტიქაროსანი, ფეხი რომ მოუცურდებათ, ჩემი ეზოს ღობელა შეაკავებთ ხოლმე. აქლა წამოდგებიან ანაფორა-სტიქარის სწორებით. დამლაგებელი მარო მეუბნება ერთხელ, შენ სამოთხეში რა შეგიყვანს, მღვდლები თავზე გაცვივა და შენდობა ვერ გითხოვია ვერცერთისთვისო.

ჩემი ქმარიც, ცხონებული, მაროსავით იყო, სწამდა ღმერთის. როდის ნახე-მეთქი, ვაჯავრებდი, და ღმერთი არა, ეშმაკი მყავს ნანახი, პაპაჩემ წყალობას დროინდელი ბუხარი რომ დავშალე, იქიდან გამოძვრა, სულ ზუზუნ-ზუზუნით ნავიდაო. დიდი უცნაური რამე იყო ის ბუხარი. ამოქოლილი ჰქონდათ აგურებით, მაინც უშემოდ ხურდა, ყველა ოთახს ავარვარებდა. ასეთი ცხელია ეშმაკიო, იტყოდა ჩემი ქმარი და თან დაამატებდა: „სადაც ეშმაკია, იქ ღმერთიც იქნება, აბა“!..

მე კი ვერ ვისწავლე მაინც. მე ჩემი ქმარი მყოფნიდა ღმერთადაც, ვენახადაც და სანახელადაც. მაღლიანი იყო, დალოცვილი, ნამონაფარების სხვანაირობა ეტყობოდა. ვუყურებდი და მეგონა, ღმერთს ვუყურებდი, ველარ ვუყურებ და ისევ ის მგონია, ღმერთი ვნახე-მეთქი. ახლა სადღა არის ეგრე. გავიხედავ და თითქოს ძველი კიდობნელები დაცოცხლდნენ. ერთმანეთისკენ გზა დაეკარგათ ქალსა და კაცს. ერთმანეთი აღარ ეძვირფასებათ. კაცები თავის ოცნებებში გახვეულან, ქალები კიდევ ღამის

ამორძალეზად იქცნენ, დადიან ნახევრად შიშვლები, სარჩოსაც თვითონ შოულობენ, ომითაც თვითონ ომობენ. გააჩენენ ჩვილს და გამოადგებენ ქმარს კარში მამალი ფუტკარივით. ან სულაც უკაცოდ და უბავშვოდ ბერდებიან, იგროვებენ დარდს, უჩნდებათ ათასგვარი ჭირი და კიბო და ექიმებიც, მართლა ამორძალეზივით, ისე აჭრიან ძუძუებს, შიგ წვეთი რძეც არ ჩამდგარა არასოდეს.

დედაბერი ვარ, ბევრ არაფერზე მყოფნის გონება, მაგრამ ფეხსაცმელში რომ კენჭი ჩაგივარდება, ისე ვგრძნობ, ჯადოა რალაცა. კიდობნელები ერთი მუჭა ხალხი იყვნენ და მთელ ქვეყანას მაგათი უკვირდა. ახლა კიდევ თვითონ ქვეყანა ისე იქცა კიდობანად, ერთს არ გაუოცებია. გამოლოცვა უნდა თითქოს. აკი ლოცულობენ კიდევ. რაც ამ აღმართზე გოგო-ბიჭი ადი-ჩამოდის, მარტოკაცი მაგას ვერ დაითვლის. ცხრაჯერ ტრიალდებიან გზაში, პირჯვარს იწერენ, გამწარებით, თავდაუზოგავად. ჩემი ქმრისა არ იყოს, ღმერთი არა, ეშმაკი ჰყავთ მაგათ ნანახი.



მხატვარი ია გიგოშვილი





ეთერ თათარაიძე

\* \* \*

რამდენ ხანი, მეად ლექსს  
ერთმანეთ არ გვინახავ...  
ჯავრ არ გვიზიარებავ,  
ცრემლ ერთად არ გვინაყავ,  
თავთავისთვის დამდინართ  
რა ეკალ-ბარდ გვილაწავ.

ახლ ვუნამლებთ ერთმანეთს.

\* \* \*

მობუზულ ზის მოლოდინ,  
სადღაც კუთხეს მინაკუნჭ  
დაშვრად აღარ გელოდებ.

რა დრო-ხანა გაღვრილავ, -  
განაღვრამ ამოღერლ  
მესაფლავე - მელოდემ...

\* \* \*

ნაბობოქრალ ფარდაგებს,  
ერთმანეთზე ცრეცილებს,  
ათასჯურის ქალების  
თხელა ფალანგ ქეჩილებს,  
ხან ნალალ, ხან ნადარდალ,  
ფერად-ფერად ფენილებს,  
ზოგ ზე პირნამეხარ ლომს,  
ზოგ ზე ჩიტთ აფრენილებს,  
ზოგ ზე რქაქორბუდ ირმებს,  
ზოგს ცხვარგადაფენილებს,  
ზოგს ანაჯეჯილარ ფერდთ,  
ზოგს ყვავილ დაფენილებს,  
ზოგის თავს მზე დამდგარსად  
ზოგ ზე ნკვარამს რჩენილებს.

\* \* \*

თავებ უკვე ამოყვეს  
ჩვენ ეზოში ბალახებთ...

\* \* \*

ჩიტო, რა აღარ ვიფიქრ,  
რო აღარად - აღარ სჩინდ.

\* \* \*

ისინათებს, მთის ნვერებს  
ყაყაჩოს ფერ მედების,  
სითბოდაკვრით ნაჭირხლარ  
მპერნკლ წვეთებად მეზნევის,  
ნალალს, ხალიზნანრეტალს,  
გულს იმედთ მნკალ მემჭკდევის.

\* \* \*

ცისკარ რო ამოწდებად,  
თან ამოხყვებ თენებად,  
ცას ნალვიდ ჩიტ გასერავს,  
ყურს სწვდებ ჴევის ჴველებად,  
მთისწვერთ მზე მეფინების,  
თვალნ დინყებენ ქველებას,  
მზემოსვლით სულ გათბების,  
გულთ იმედის კერებად,  
მზეებგაშლით ჩრდილებ ქრებ,  
ველნ ელავენ ფერებად.  
“გრილოებ გამოყრაი”,  
მზეჩაკრეფის ქჩერებად,  
შემომგლისფერებაი,  
დაღამებად - თენებად...

\* \* \*

მიდის ზამთარ ზოზინით,  
მონათმენარ ამბებით,  
ძნელად განატარალ,  
ფეჯატრევით, თავბრუნვით,  
არნადინით, მთქნარებით,  
მუწლებ ანათარალ.  
შენ სიმწვანის ლოდინით,  
თვალნაცეცარ, მფოფინე,  
სითბოსკ ანაჩქარალ,  
თებერვალი დამდგარი-დ  
ხეში წყალი ჩამდგარი-დ  
გულ ბაგ-ბიგით მდგანგარ.

\* \* \*

ჭექა-ქუხილით გვანვიმს,  
სეტყვას ღრევს, ამირანო,  
გაძლება გვინდ, გზა არაა.  
შურ-ბოლმიანთ დაგვესლეს,  
მუწლს არ ვხრით, ამირანო,  
ძნელი, ძნელ-ძნელ, თქმა არაა.  
ვიც, მდულარ მზე მოგვაგნებს,

გაგვათბობს, ამირანო,  
მზე კეთილი, ბრმა არაა.

\* \* \*

ჩვენ ბალებს რო ანახვივ  
ცვრისა ნაკვალაიც,  
ჩანჩქერ კლდეთ ჩამოცეულს,  
მთის ფერდნ ნაქარაიც,  
ბილიკ მაჯაზე წვრილა  
პაპათ ნაკაფაიც,  
ლურჯ ცისად რო აჭვრეტივ,  
ზედ მნათთ სატარაიც...  
ავს რაგვერედ ჩიდენენ,  
დინთქმებ სატანაიც...

\* \* \*

რა მაჯლაჯუნა ეხვევ  
იგრეც ნაბურჯვალა გულს...

\* \* \*

ნაცივარ ხეს დავეფერ,  
ფოთოლმბეგვარს, მონყენილს,  
ცას თვალს ვიჭერ, ვზდარაჯობ  
ველარ ნანათ – მონმენდილს.  
ჩიტებიც სიდამ გაქრნეს,  
მტკვრის პირებს არ მოფენილნ,  
ზამთარ იწყებ სევედიან,  
გულს ზღვა დარდებ მოსენილ  
რა ძნელ ყოფილ ცხოვრებაა...

\* \* \*

რად ავირჩი ძნელ სავალ,  
რად ჩემ ცა-მზეს გავეშორ,  
ამდენ გულის კანკალი-დ  
ამდენ ცრემლღვრა ამეშორ.  
რადარ გოგრულთის კერა  
ბუკვანრთვით ცეცხლ ამებოლ,  
იქ მეფრიალ აღმ-დაღმე-დ,  
თმებ თეთრად იქ დამეთოვ.

მაგის ყისმათ მე ვინ მომც?

\* \* \*

სი გიშავ-თეთრვ ჩემ დარდებ,  
შენ სიად გაქვ ღონეა.

\* \* \*

ცაო, ჩემზე ნანალვლო,  
მზეო დამალულო,

სიცივემხვევ დღეებო,  
გზებო, დანამულო...

რა მაქვ შენაცოდვარ?

\* \* \*

ოჰ, ისრ ამბურდა-დ დამბურდ  
ჯაჯანითა-დ კონინით  
განანამარ ცხოვრებამ,  
ველარც კი ვიც, რა ჯობის,  
ყოფნაი თუ არყოფნა,  
თქვენ აღარმყოფთ ცხოვრებამ...

\* \* \*

სამებაიც დათოილ,  
დედათა მონასტერიც,  
მეტეზიცად სიონიც.  
შენ – ფანჯარას მინაკემს,  
თვალნაშემ ამ ზლაპრისაჲ,  
ფიქრ სი მიდის, სი მოდის...

\* \* \*

ჩიტებიც გადემალნეს  
მთოიარე ცას,  
შენ გასნაპულ – განარიდ  
თოვლის შრაშუნ-ჩქამს..

\* \* \*

ჭრელი-ღონემღებელი  
წლებმატებით ცხოვრებაჲ,  
სუ შიშრევით ჩქამს ყურ ყრაჲ,  
სუ ვისაიმ ცხოვრებაჲ...

\* \* \*

ჩაჩუმდებოდ ჩქაფუნით  
წამდინარა ჳევებ,  
თაფლისფერს მიიფენდეს  
ნააფარა ხეებ,

გასნაპულნ იდგებიან  
კლდეფრიალოთ ჯღრდებ.

\* \* \*

სულს სიმშვიდე სწყურების,  
გულს უსამნოდ ძგერაჲ,  
მაგრ ვის როდის დესხმების  
თვალნაფართალ ძერაჲ,

ან ვის როდის დარშჩების  
ჩანაფერფლარ კერა...

\* \* \*

მუბლებ ამიკანკალდის  
მელთკუდას რო ავხედიდ,  
გულს მზე მიმომემრიშის  
ცვრითა რო ჩავხედიდ,  
ცა მთვართი მაკასკასის,  
მასკვლავებით გაჭედის,  
არყის ხეებ გლიმგდებულნ  
ულოდნ ჭირხლით გაპენტის,  
ნასარკალა ზურმუხტ ცაჲ  
შავ ჯანლებით გაწყენის,  
ლამ ნააქვიტ ტაფეში  
მგ ზავრულ ლოგინს ჩაგვჭედის,  
დანახვევარ გზა-ბანრებს  
თენ-ბინდს ნალიკ-ჩაგვწენის...

\* \* \*

ალბათ შემგლისფერდებოდ,  
შენ ცა შელურჯდებოდად  
მელან ალაგ ნალვარალ  
თანთან გამრუმდებოდ,

ჩემ ცაიც ცრეცს დიკრავდად,  
დისუდრებოდ,  
მთა-მთის წვერნ,  
გაყორნ-გაჭყრუმდებოდ,

ნეტა არ ვსიზმარაობდ,  
ნეტა გულს არ ვიხეთქევდ,  
ნეტა დავრუმდებოდ...

\* \* \*

ანანოს

თებერვალ რო დადგებად  
ხის ფესვს წყალ რო ჩადგებ,  
ნაქენც ნისლ რო დაქურდებ,  
მთვარე ცას რო აწდებ,

ველ რო აფეს იფევსად  
ყვავილის თოვლ არ სწყდებ,  
სამზეო რო ილვიძებს  
გულ რაგვერ ზძლებს, არ სქდებ.

\* \* \*

ჩიტო, ტოტზე ჩამოჯედ,  
უნდ გეჭორავ პატახან.

\* \* \*

სევდის ბალის კარ მლეი,  
შედი-დ ისევდიან,  
ჯოჯოხეთც ალბევრობს,  
შედი-დ იშავდლიან,  
ბედმწერელნ დამალულან,  
ნალაწნ, ნაავზნიანნ,  
ქაჯ-ემმაკნ ლაღბევრობენ,  
ნამარჯვენ – ნაალფიანნ,  
სამზეო მინაქანციი,  
ნამუნჯ ნაავდრიან,  
სევდის მეტს ვერას გძღვნიან,  
შედ ბალს, ისევდიან...

\* \* \*

ბალის კუთხეებ შემწვანდ  
მზისაკ პირმიქცეულ,  
იმედის ციხე ისრევ  
ჩარდახ ჩამოქცეულ,  
ჯოხის მაგრა ბაკუნით  
ემმა შემოქცეულ,  
ულონკრობისი-დ – მტრისიცი  
წმალ-ბასრ შემოქცეულ...

\* \* \*

მზეო, სუც არ დაზერიი  
სუ ცხვათდ სითბოს მრიგეო?...

\* \* \*

ია, ია, იაო,  
მგალობელთა ტიაო,  
მინანათბობ ჭიაო,  
ფესვნაცოცხლებ ღვიაო,  
ჩემდ ჩანაკეტ კარებო –  
ცხვათად იღბალ-ღიაო...

\* \* \*

რამდენჯერ ჩაგქარგ ფარდაგს  
ათასჯურა ნაზდებით,  
ხან ყვავილად აგაყვავ,  
ხან არწივად თვალბლვერით,  
ხან ირმად გიტოტენ რქებ,  
ხან ყვავილთში მწოლ ნუკრად,  
ხან ბაჯაჯლინა ხედ გბორჯღლ,  
ხან თაფლის მქურებ ფუტკრად,  
ხან თოვლიან მთებად გქენ,  
ხან მთად ყვავილ ნათოად,  
ხან ცას წვერწვედნილ ალვად,  
ხან ხრემ მინდვრად, ნაძოად,  
რამდენჯერ ჩაგქარგ ფარდაგს  
ხედ ყვავილყრილ ნათოად...



დაიბადა 1983 წლის 2 ივნისს. 2005 წელს დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სა-  
ხელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. ლიტერატურული დებიუტი შედგა 2005 წელს  
ჟურნალ „ალიტერნატივას“ ფურცლებზე. ლექსები გამოქვეყნებული აქვს ჟურნალ „ლიტერატურულ პა-  
ლიტრაში“ და გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“. მისი ლექსები შესულია 2006 წელს გამოცემულ  
აუდიო ლიტერატურის კრებულში. სშირად მოგზაურობს მთაში და გატაცებულია ფოტოხელოვნებით.

უჩა ზაქაშვილი

**ჩვენი ციხე**

რკინის გისოსებზე ჩამოფხატულ ბრეზენტის  
ნაჩვრეტებიდან მზე იმზირება...  
ქარი ყველგან დაძრწის...  
შენი ციხეა ეს გისოსები, ყოველდღით კარს შენვე რომ  
აღებ...  
მერამდენე წელია აქ ცხოვრობ?!  
გამხმარ ზეთზე და ტაოტზე დააბიჯებ,  
ტკეპნი მინას, მეტალის ფორმებში აზელილ მასას.  
ჯართის გროვამი ბილიკი გადის.  
იქ შენი მეგობრები დადიან: მენვრილმანეები,  
მკითხავები, მუსიკოსები...  
უერთმანეთოდ რა გაგაძლებინებდათ...  
წვიმის დროს ყველა შენს საკანში იყუყუბა, -  
დგახართ უხმოდ, თავჩაქინდრულები და ფიქრებში  
დახეტიალობთ...  
იდაყვებამდე ამოსვრილი სშირად მინახიხარ  
დაღვრემილი,  
პატიმარივით უნდობლად შემომხედავ - მეც უსიტყვოდ,  
სწრაფი ნაბიჯით გეცლები...  
ალბათ ზიზღიანი გეჩვენება ჩემი მზერა, - ცდები!  
არ იფიქრო, რომ დამავინყდა ის დრო, როცა ერთად  
ვტკეპნიდით  
დედამინის ზუსტად ამ მაზუთიან გოჯს,  
ვუცქეროდით ბრეზენტის ცას და ნაწილ-ნაწილ ვყიდდით  
ჭანჭიკებამდე ჩვენი ხელით დაშლილ ავტომობილებს...  
დამიჯერე, ამ ჰალსტუხის და პიჯაკის შიგნით  
ისევ მოტორის ზეთის სურნელი ამდის,  
ჩვენი ციხის სურნელი!

**ელსადენებში**

ელსადენებში გახლართული მთვარე დაგვცქერის.  
გიაშობ, როგორ დინჯად ქსოვდა  
მთათა სილუეტს  
ღამე-ხელებით.  
და ვარდისფერი გვირილები, როგორ ცეკვავდნენ  
ფუტკრების თვალწინ  
ნაბილიკართან,  
განთიადზე ხელჩაკიდულნი.

წვიმებისაგან ჩამორეცხილ ფრიალო კლდეზე,  
როგორ უკრავდა დილის საარს,  
ღამენათევი - ქარი, ყოველდღე.  
მერე უეცრად მოსეული ჯანდების ჯარი,  
როცა ახვევდა არემარეს მგლისფერ ბურუსში -  
მე ვისვენებდი  
და სიკვდილისგან გამოგზავნილ მსტოვარზე უფრო,  
მსურდა, მზისაგან მიმოფანტულ ნისლებთან ერთად  
სივრცედ გაბნევა.  
ელსადენებში გახლართული მთვარე დაგვცქერის.  
გიაშობ, როგორ დინჯად ქსოვდა  
მთათა სილუეტს  
ღამე - ხელებით!!!

**ასა**

დამჭკნარ ფოთლებში გიპოვნე,  
ჩაძინებულს, საბნად ხის ჩრდილი გეფარა...  
ხო იცი, მთელი ცხოვრება გეძებდი,  
ქუჩაში, სახლებში, ბუნკერებშიც ვიჭყიტებოდი ხოლმე...  
უცებ, ამ ნახევრადარჩეხილ ტყეში წაგანყდი.  
ფეხაკრეფით დავაბიჯებ შენ გარშემო,  
ვტკეპები, მიხარია,  
მაგრამ დამიჯერე, არასოდეს არ გაგაღვიძებ...  
ასე უფრო სუფთა ხარ, მართალი...

**შენ**

ხალხმრავალ ქუჩაზე დინჯად დაიწყებ ტანსაცმლის გახდას...  
ტროტუარზე ჩამომჯდარი, შარვალს ბალიშივით  
დაამრგვალებ, გაიშოტები...  
რალაც ნიშანივით - მზე ღრუბლებს მიეფარება,  
წამით ყველაფერი ჩაჩუმდება, მერე ძველებურად  
ახმაურდება...  
ადამიანები ზიზღით გიყურებენ, ფაციფუცით  
გეცლებიან...  
მანქანებიც უმატებენ სიჩქარეს შენს დანახვაზე...  
ყველა გაგირბის, მთელი სამყარო გემალება,  
ერთი მანანნალა ძალღი ჩამომჯდარა იქვე, ახლოს და  
ისიც უცნაურად  
მოგშტერებია...



## პოეზია

არა, ბევრი არ დაგიღევია, არც რაიმე დაჯგუფების  
ფანატი ხარ,  
უბრალოდ, დაიღალე - გაყინული სახეების ყურებით,  
გაჭვარტლული ეპოქის გამაყრუებელი სიმუნჯით,  
სიბრმავის ნორმატივების ჩაბარებით.  
ყოველდღე, სახლის კიბეებზე ასვლითაც დაიღალე!..

ხვალ ისევ შევხვდებით. გულთბილად მომესალმები.  
მერე ოდნავ კოჭლობით, ნამდვილი ნაომარივით გზას  
გაუყვები...  
მერწმუნე, მთელი ცხოვრებაც რომ დაგჭირდეს ამ ქუჩის  
გასავლელად,  
მაინც აქ ვიდგები, თვალს ვერ მოგაშორებ...  
და თუ ოდესმე ისევ გნახავ,

აუცილებლად გეტყვი, ახლა პირზეშემხმარ სიტყვებს:  
„მადლობა უფალს, რომ ჩემსავით მხდალი არ ხარ,  
მადლობა უფალს!“

## მეხადური

ვარ მეხადური განგის პირას,  
ოქროს ქვიშაში.  
მღვრიე ზვირთებში შერეულა ზაფხულის წვიმა.  
ტალახისფერი მონატრება მთებისკენ მიხმობს.  
ვარ მეხადური  
განგის პირას  
ოქროს ქვიშაში.

## ესეისტიკა

ამინ არ-რეიჰანი

# მწერლები

ამბობენ, რომ მწერლების ორი ტიპი არსებობს – ერთნი წერენ, რათა იცხოვრონ, და მეორენი ცხოვრობენ, რათა წერონ. ამ გამონათქვამის მთქმელს გამოეპარა, რომ სხვა ტიპის მწერალიც არსებობს, იმ ორზე ამაღლებას რომ იმსახურებს. კერძოდ კი ის, რომელიც ცხოვრობს და წერს. სხვაობა მასა და ზემოხსენებულ ორი ტიპის მწერალთა შორის გარეგნულად უმნიშვნელოა. ის სულ რაღაც „და“ კავშირში გამოიხატება, მაგრამ სინამდვილეში მეტად სერიოზული და ყურადსაღებია. ურიგო არ იქნება ამ გარემოებაზე დაწვრილებით და საფუძვლიანად შეჩერება, თუნდაც ამან სიტყვა გაგვიგრძელოს.

იმის თქმა საჭიროდაც არ მიგვაჩნია, რომ ვინც იმისთვის წერს, რათა იცხოვროს, არაფერს საყურადღებოსა და შთამბეჭდავს არ წერს. ის დაქირავებული მწერალია, რომელიც კალამს ისე ატრიალებს, როგორც მის ბატონს სურს. ლიტერატურის მეეტლეა, თავისი ცოდნის ეტლზე სამთავრობო ტარიფი რომ გამოუკიდებია და კალამს იმგვარად და იქით მიერეკება, როგორც და საითაც მისი ეტლის მგზავრს ნებავს. ევროპელებთან ამგვარ მჯღაბნელ-გადამწერებს ადგილი უკვე მიჩენილი აქვთ. ისინი მათთან მწერლებისა და ლიტერატორთა ფენად არ ითვლებიან. მათი უმრავლესობა გაზეთებს უშვებს და კორესპონდენტობს. წერა ხელობად გაუხდიათ და დიდი ხნის მანძილზე ისე მისდევენ, რომ არც ერთი მათგანის სახელი იმ გაზეთის რედაქციას არც გასცდებია, რომელშიც მსახურობენ. და როცა მათთან, ევროპაში, ხალხი ჟურნალისტზე ლაპარაკობს, ეს ისე, როგორც, მაგალითად, ვაჭარზე, მენაღვეზე, გლეხსა ან ზარაფზე. ეს საუბარი მოგება-წაგების, გამომწერთა და განცხადებების დამკვეთთა თემით შემოიფარგლება და იშვიათად რომ მწერალი, რედაქტორი ან კორესპონდენტი ახსენონ.

შესაძლოა, ამ დიდი მოდგმიდან მომდინარეობს კიდევ ერთი ტიპი, თავისი ღირსეული სახელით გამოჩენილი და, სულ მცირე, ავტორთა შორის მაინც კარგად ცნობილი, თუმცა მათთვის არცთუ საყვარელი და დაფასებული. კერძოდ, ყოვლისმცოდნე კრიტიკოსების ტიპი. ისინი მიმოიხილავენ იმ ახალ წიგნებს, შეუჩერებლად რომ გამოსცემენ საგამომცემლო სახლები, აკრიტიკებენ მათ, ედავებიან და განაქიქებენ. იშვიათად რომ კარგი გამოხმაურება გაიმეტონ და შეაქონ. დიახ, მართალი უნდა იყოს, რომ კრიტიკოსი უჩინო, უნიჭო მწერალია, ლიტერატურული ნაწარმოების თხზვისათვის ძალა რომ არ ჰყოფნის და თავის სამწერლო ცხოვრებას ახალ-ახალი ლიტერატურული ნაწარმოებების გაკრიტიკებაში ფლანგავს. ძნელად რომ სახელი გაითქვას ამ შემტევი, მეომარი მოდგმის რომელიმე წევრმა, ლიტერატურის ზღურბლზე კარავი რომ გაუშლიათ. ძნელად რომ მათში გამოირჩეს ბელადი, შეიხი ან ემირი. არენაზე ყველა ისინი ერთნაირები არიან: „ვინც კაცად ითვლება, ყველა წინამძღოლია“. და მიუხედავად მათ მიერ ატეხილი ხმაურისა და გრგვინვა-ქუხილისა, ზუსტად დამიზნებული კრიტიკის განმგმირავი დარტყმებისა, მწერლებად და ავტორებად არ მიიჩნევიან. იმათთანგანნი არიან, ვინც წერენ, რათა იცხოვრონ. იმათ განეკუთვნებიან, ვისაც თავიანთი კაბინეტის კარზე ოფიციალური ტარიფი აქვთ გამოკრული.

მწერალთა მეორე კატეგორიას ისინი შეადგენენ, რომლებიც ცხოვრობენ, რათა წერონ. მათი თხზულებებიდან სარგებელი, შესაძლოა, დიდიც იყოს და მცირეც. გააჩნია, თითოეული მათგანი რამდენად ახლოს ცხოვრობს მოუსვენარ ადამიანურ ცხოვრებასა და ბუნების წყნარ ყოფასთან. ვინც მუდმივად საკუთარ კაბინეტშია გამოკეტილი და ცხოვრების ორომტრიალს და მის მოვლენებს მოცილებული, წიგნებში, ფურცლებსა და სამელნეებში ჩაფლული თხზავს, უდავოდ ბევრს წერს, მაგრამ, სინამდვილეში, არ ცხოვრობს. შესაძლოა, იგი ბევრ თავის ნაწარმოებში იმავე შეცდომებსაც სჩადის, რასაც პირველი ტიპის მწერალი თავის ანაზღაურებად სტატიებში. ნიჭი იშვიათი რამაა, ჩემო მეგობარო! და როცა მას ბუნება რომელიმე თავის შვილს უწყალობებს, აძლევს მხოლოდ დრამა-

მოხობით ან კარატობით<sup>1</sup>. ცნობილ ავტორთა უმრავლესობამ მათთვის ღვთივით ბოძებული ნიჭი თავიანთი მრავალრიცხოვანი წიგნებიდან ერთ ან ორ წიგნს შეაღწია, მათი დანარჩენი თხზულებანი კი იმ ტიპის ნაწერებს განეკუთვნება, როგორცაც ოფიციალურ ტარიფიანი მწერლები წერენ.

ამერიკელ მწერლებში ისეთებსაც იპოვნის, იძულებულნი რომ არიან, ყოველ წელს ერთი ან ორი რომანი დაწერონ. ეს იმისთვის, მათი სახელი ხალხს რომ მუდამ პირზე ეკეროს და თვალეში ეჩხირობოდას. ასეთ შემთხვევაში არც მკითხველს დააინტერესებს და არც გამომცემლობა იზარალებს მათი თხზულებების გამოცემით. მწერალი, რომელიც იძულებულია განუწყვეტილად შეუჩერებლად წეროს, რათა იცნობდნენ და მოხსენიებდნენ, უმეტესად მხოლოდ უხარისხო პროდუქციას გვთავაზობს და თუ რამე ფასეულს დაწერს, მხოლოდ შემთხვევით, მამლის კვერცხივით. მისი ათობით თხზულებიდან მხოლოდ ერთი თუ მოგეწონება.

მწერალს, რომელიც ცხოვრობს, რათა წეროს, რაღაც საერთო აქვს იმასთან, რომელიც სტატიებს სახელდახელოდ ჯღაბნის, რომ იცხოვროს. ორივე იმას წერს, რაც ნაკითხვისთანავე გავიწყდება. ორივე კალმის ტყევა, რომელიც წერას აუტანია და ისე მისდევს თხზვა-წერას, როგორც კომერსანტი ვაჭრობას, მთრიმლავე თავის ხელობას, გლეხი კი ხვნა-თესვას. რომელი მათგანი მოიცვლის, მაგალითად, გონებრივი და სულიერი ტკობისა და განსჯა-განჭვრეტისთვის, ან თუნდაც ფიზიკური ვარჯიშისთვის?! რომელი მათგანი გაცდება თავისი ხელობის ჩაკეტილ, ვიწრო წრეს და ცხოვრების მინდორ-ველებზე გაინავარდებს თუნდაც კვირაში ან თვეში ერთხელ?! ვინ, რომელი მათგანი გავა ბუნებაში მისი ძვირფასი, იშვიათი წიგნიდან ყოველ დღე თითო ან ორი გვერდის ამოსაკითხად?!

ამრიგად, ის, ვინც წერს, რათა იცხოვროს, ცხოვრობს კიდევ, მაგრამ არ წერს, ხოლო ვინც ცხოვრობს, რათა წეროს, წერს კიდევაც, ოღონდ არ ცხოვრობს.

მესამენი კი თავიანთ დროს ბრძნულად ანაწილებენ და მას უთმობენ ბუნებას, ცხოვრებასა და ლიტერატურას. ეს მესამენი ცხოვრობენ ერთსა და იმავე დროს გონებრივი, სულიერი და ფიზიკური ცხოვრებით. და ეს მაშინ, როცა პირველი ორი ნაკლული, მშრალი ცხოვრებით ცხოვრობს – ერთი მატერიალური და მეორე კი გონებრივი ცხოვრებით. ორივე შორსაა იმ სულიერი, მეცნიერული ელემენტისაგან, რომელიც წარმართველი უნდა იყოს ყველაფერში, რასაც დღეს ვწერთ.

მესამე ტიპის მწერალი ისაა, რომელიც ცხოვრობს და წერს. ის არ ქმნის ვიქტორ ჰიუგოსა და ვოლტერის მსგავს თხზულებებს, მაგრამ არც ვერლენისა ან ადობ ისპაკის ცხოვრებით ცხოვრობს. იგი მხოლოდ აღმაფრენისა და შთაგონების უამს წერს. შენთვის მოინიშნე ახლოს მდგომი მაგალითი, რომელიც ნათლად განვიმარტავს ამ ჩემს აზრს. მოდი, შევადაროთ ვოლტერი და რუსო ან ჰიუგო და ჰაინე. რამდენი აქვს ნაწერი ვოლტერს – რამდენი სტატია აქვს ერთი ხელის მოსმით შექმნილი, რამდენი ლექსი და ეპისტოლე დაწერილი, მაგრამ იმდენად, რამდენადაც პირად ცხოვრებაში ოფიციალურ პირობითობათა და ცერე-

მონიალურობის ზღვარს არასოდეს გადასულა, ყველაფერი, რაც კი სოციალურ თემატიკაზე უწერია, არასრულყოფილი აღმოჩნდა და ასე ბევრის მწერმა ვოლტერმა სამყარო ისე ვერ შეიცნო, როგორც რუსომ. და ის მცირედი, რაც რუსოს დაუწერია, იმ ბევრის ტოლფასია, ვოლტერს რომ შეუთხზავს. რომელ ჩვენგანს ახსოვს დღეს ვოლტერის უთვალავი ნაწარმოებიდან რამე მისი წერილებისა და რამდენიმე რომანის გარდა. რუსოს რაც შეეხება, მის ნაწერთა უმრავლესობა ჩვენს დროშიც იკითხება. „ალსარეზანს“, „ემილის“ ან „საზოგადოებრივ ხელშეკრულებას“ ვინ არ კითხულობს დღესაც იმგვარად, როგორც მას მეთვრამეტე საუკუნის მკვიდრნი რევოლუციის ეპოქაში კითხულობდნენ?!

ფილოსოფოსი რუსო ბუნებრივი ცხოვრებით ცხოვრობდა, ოფიციალური პირობითობებისა და ხელოვნურობისაგან შორს იყო. მიღებული და დამკვიდრებული ნორმებიდან გადახვევისას ხშირად ცდებოდა კიდევაც, მაგრამ ყველაფერს, რასაც წერდა, წერდა მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ განცდილსა და ნაგრძნობს. თავისი ცნობილი წიგნები მხოლოდ მას მერე აქვს დაწერილი, რაც თვითონ გამოსცადა ნამება და სასტიკი დევნა. ხოლო ვოლტერი, მხიარული და სიცოცხლისმოყვარე, ნაკითხი და ნიჭიერი, თავის კოლეგებს ნიჭითა და გამჭრიახობით რომ აოცებდა, დიდწილად თავის კაბინეტში, სამელნეებსა და ქაღალდებში ცხოვრობდა, ისე შორს ხალხისგან, როგორც ემირი ან მეფე ცხოვრობს, და თუ ოდესმე გარეთ გამოვიდოდა, მეფეთა სასახლეებს და წარჩინებულთა სახლებს სტუმრობდა. ასე ქმნიდა, რასაც ქმნიდა, და მის სულში ამ ორმაგმა ცხოვრებამ დიდი კვალი დატოვა.

ასეთივე შედარება მართებული იქნება ჰიუგოსი და გერმანელი პოეტის ჰაინესი. მე ჩვენი მწერლების გახსენებას ვისურვებდი ამ ევროპელთა ნაცვლად. დღეს ხომ ჩვენ ბევრი ავტორი გვყავს, ვისაც ასეთი შედარება მიესადაგება. მაგრამ რა შემიძლია ვთქვა, როცა ისევე ალაპის მოციქულის სიტყვებს ვიმეორებ ჰადისიდან, გუშინ რომ ნაეკითხე: „ალაპი არავის აძლევს ცოდნას ისე, რომ მისგან შეპირება არ მიიღოს – არ დაუმლოს იგი არავის!“

მოდი, ახლა სხვაგვარად დავყოთ მწერლები. ვთქვათ ასე – ორი ტიპის მწერალი არსებობს. ერთი წერს, რათა ხალხს ასიამოვნოს, და მეორე კი იმისთვის, რომ საკუთარ თავს მიაჩიქოს სიამოვნება. ერთი მალაგს თავის ცოდნას საკუთარი ქისის სიყვარულით, და მეორე კი აბნევს ამ ცოდნას საკუთარი ლიტერატურის სიყვარულით.

ვინც ხალხის სიამოვნებისთვის წერს, თავის მკითხველს უნდა იცნობდეს, – იმათ მორალს, აღზრდას, – და სულაც არ აინტერესებდეს, რომ ამ მკითხველს ურთიერთგანსხვავებული შეხედულებანი, სპეციფიკა ან გემოვნება აქვს. იგი ფეხს უწყობს მკითხველის ყველა სურვილს, ზღვის მორევში გადაეშვება და ტალღებს ასდევს, საყოველთაო დინების მიმართულებით ცურავს. უმთავრესი, რისი შესწავლაც მოეთხოვება, მისი მკითხველის საზოგადოებრივ-კულტურული ყოფით, მისი გემოვნებით შემოიფარგლება. ისიც წერს ამ ყველაფრის შესაფერად და დამცინავად ელიმება, თან კალამს სარკაზმსა და უხამსობას შორის მიმოატარებს. ოღონდ ეს იმ შემთხვევაში, თუ

მცოდნეა და გაქნილი. ხოლო თუ თავდაჯერებული სულელია, სათქმელს ისე ამბობს, რომ მართლა სჯერა, თითქოს ქვეყნის მხოლოდ მასთანაა და სხვა არავისთან. ნარბეხანული და ლოყებდაბერილი, ალტაცებით ამბობს თავისთვის: მართლაც კაცი თავისი ორი უმცირესი რამით ფასობს!<sup>2</sup>

ნამდვილად მცოდნე, გულმართალ და პატიოსან მწერალს, რომელიც უპირველესად საკუთარი სიამოვნებისთვის წერს, უსაზღვროდ ბევრი კითხვა, სწავლა, ზედმინევიანი კვლევა და უდიდესი ლიტერატურული გამბედაობა ესაჭიროება.

პირველი თავს იმცირებს ამა თუ იმ ბეგის წინაშე, პირმთონებს ამა თუ იმ ფაშასთან, ამა თუ იმ მიტროპოლიტის გულს იგებს, ამა თუ იმ ემირის ხოტბაში სიტყვებს არ იშურებს და ქება-დიდებას ასხამს ძალაუფლების მქონე ყველა ხელისუფალს, განურჩევლად იმისა, სამართლიანია იგი თუ ტირანი, მცოდნე თუ უმეცარი, კეთილშობილი თუ საძაგელი, სულმალაღი თუ მდაბალი.

მეორე ლიტერატურის კეთილშობილებას იცავს, რათა განადიდოს მისი სიბრძნე და გაავრცელოს უემპაოკოდ და მიუკერძოებლად. წინააღმდეგ შემთხვევაში მცოდნედ კი არა, ჯაბანად იწოდებოდა. ასეთ მწერალს თავისი აზრები სააშკარაოზე გამოაქვს იმის მიუხედავად, აღშფოთდება ამით მკითხველი თუ ისიამოვნებს. თავის ცოდნას არავის არ უმაღავს. არც ქვეყნის მფლობელს დააშორებს ხალხისგან და არც ხალხს – ქვეყნის მფლობელს.

პირველი ტიპის მწერალი მოპოვებულ ცოდნას თავისი ქმედებებით წარმოცავს (თუკი რამე ჰქონდა საერთოდ მოპოვებული) და ამის შემდეგ ხალხის მასის მსგავსი ხდება. დგას მათ წინაშე და ვერას არგებს, ვერაფრით ეხმარება მათი ყოფის გაუმჯობესებაში, მეტიც, თვითონ იქცევა მათსავით ყოველგვარ ქმედებაში, ფეხდაფეხ მისდევს მათ გზას.

მეორე ტიპის მწერალი ხალხის ყოფას შეისწავლის, ყურადღებით აკვირდება ხალხს, იკვლევს მათ განსხვავებულ ხასიათებს, თუკი წერს, ამით სარგებლობა მოაქვს და, თუკი აკრიტიკებს, მართალია ამ კრიტიკისას.

პირველი თავის ნაწერზე პასუხისმგებელია მხოლოდ საკუთარი ჯიბის წინაშე, მეორე კი პასუხისმგებელია თავისი სინდისის წინაშე. მეცნიერი, მცოდნე, რომელიც თავის ცოდნას იმის შიშით მაღავს, ჩემმა სიტყვებმა მკითხველს გუნება-განწყობა არ გაუფუჭოსო, იმ ექიმს ჰგავს, ოპერაციისგან თავს რომ იკავებს იმის შიშით, რომ ავადმყოფი ტკივილი არ მიაყენოს, ანდა მოსამართლეს, რომელსაც განაჩენი არ გამოაქვს დამნაშავესთვის და სასჯელს არ უსჯის იმის შიშით, რომ ძვირფასი გუნება-განწყობა არ გაუფუჭოს. ისლამის წინასწარმეტყველის რა ჩინებული გამონათქვამია, რომელსაც ჰადისი გვამცნობს: „ალაჰი არავის აძლევს ცოდნას ისე, რომ მისგან შეპირება არ მიიღოს – არ დაუმალოს იგი არავის!“

რა სიმდაბლე და სისულელეა, როცა წამხდარი საზოგადოებრივი გამოვლენის ტყვე ეს კონსერვატორები რაიმე სასარგებლო სტატიის წაკითხვისას, რომელშიც ნოვატორული აზრებია, გულმოსულნი ცხვირს იბზუებენ და სტატიის ავტორზე კიცხვით ამბობენ: „ეს ხალხს არ გამოადგება, მათ გამოვლენასა და განწყობილებებს არ

შეესაბამება!“ ასეთებსა და მათნაირებს ვეტყვი: „წამხდარი საზოგადოებრივი გამოვლენის გამოსწორებას როგორ შეძლებთ, თუკი თქვენს ნაწერებში სანუხარზე არაფერს იტყვით, გულში მოსახვედრ აზრს არ წარმოაჩენთ და მართალი კრიტიკით არ გააკრიტიკებთ?! თუკი აპირებთ, საზოგადოებრივი გამოვლენა თქვენს ნაწერების უნივერსალურ საზომად აქციოთ, მაშ თქვენთვის უმჯობესია, განზე გადგეთ და სიტყვა ხალხს მისცეთ. ის მეტ ცოდნას შეგძენთ თავაზიანობაზე და განვიმტკიცებთ თქვენთვის ჩვეულ ზრდილობის სიყვარულს და მკითხველის მოსაზრებათა და განწყობილების გათვალისწინების სურვილს“.

თავისუფალი მწერალი ნამდვილი მეცნიერია, რომელიც ხალხს თავისი ცოდნის შედეგსა და კვლევა-ძიების ნაყოფს სთავაზობს. მას სარგებლობა მოაქვს ერისათვის ყველა ასპექტით და, ამასთანავე, იცავს მეცნიერების კეთილშობილებასა და ლიტერატურის ღირსებას. თავის სათქმელს მაინც ამბობს, თუნდაც იგი საყოველთაო, საზოგადოებრივი განწყობის საწინააღმდეგო იყოს, ან პიროვნებათა გამოვლენებს და ხელისუფალთა მიდრეკილებებს არ თანხედებოდეს. ვინც მომავლისათვის წერს, თავისი გარჯა-შრომისათვის ანმყოში საზღაურს არ იღებს. ხოლო ვინც ანმყოსათვის წერს, მომავალს მისი ხსოვნა არ შემორჩება ხოლმე.

ჩვენ ყველას გვმართებს მაგალითის აღება და იმგვარად მოქცევა, როგორც ამ გამოთქმის მთქმელი გვეუბნება: „ღმერთმა გამყოფოს იმათ შორის, ვინც მეცნიერებას ყურადსაღებად ეძიებს და არა მოსაყოლად; ვინც ქმედებაში, საქმეში აღმოაჩენს ქვეყნის მფლობელს იმისა, რისი ცოდნაც აქვს“.

უფრო ცხადად რომ ვთქვათ: თუ იცი, რითი განსხვავდება ერთმანეთისგან მწერალი, რომელიც წერს ხალხის საამებლად, და მწერალი, რომელიც წერს ქვეყნის მფლობელს საამებლად?! – ნუ შემანყვევტინებ, უკვე ვამთავრებ. პირველი მათგანი ფინიკის ნაყოფია, მეორე კი კურკა. პირველი მიირთვი და შეგარგოს ღმერთმა, მაგრამ იცოდე, – ალაჰიმც გფარავდეს! – რომ კურკა, რომელსაც გარეთ მოისვრი, ნიადაგს გაარღვევს და იქ ჩაიმალება მინის ქვეშ გარკვეულ დრომდე. შემდეგ ღმერთი გაუგზავნის მას ღრუბელს და წყლით დანაშავს, გააცოცხლებს სიკვდილის შემდეგ და ისიც ამოიწვერება, გაიზრდება და ჩრდილს შემოიყენებს გარშემო. მის ნაყოფს კი შენი შთამომავლობა, შენი შვილები და შვილიშვილები შეექცევიან.

1 დრაჰმა და კარატი ნონის ერთეულებია. დრაჰმა 3,12 გრამს უდრის და კარატი მასზე 16-ჯერ მცირეა – 0,195 გრამი. ავტორს იმის თქმა სურს, რომ ბუნება ნიჭს მოზომილად აძლევს ადამიანს – ცოტას ან კიდევ უფრო ცოტას.

2 ივულისხმება უძველესი გამოთქმა, რომ ადამიანი თავისი ორი უმცირესი ორგანოთი ფასობს – ენით და გულით, რომლებიც ადამიანის ღირსებას განსაზღვრავენ.

გივი გამრეკელი

ბაგყიდველი ბენარალი  
შვიდწლიან ომში

# ბენარალი ტოტლებენი ყველას ღალატობდა

\*

ციკლიდან  
„უკეთური სახეები“

ვისაც გერონტი ქიქოძის შესანიშნავი წიგნი „ერეკლე მეორე“ წაუკითხავს (ბატონ გერონტის კი ყოველთვის უამრავი მკითხველი ჰყავდა), არ შეიძლება ყურადღება არ მიაქციოს გენერალ ტოტლებენის ყოვლად ამაზრზენ ფიგურას. ეს გენერალი რუსეთის მთავრობამ ფორმალურად ერეკლეს დასახმარებლად მოავლინა, სინამდვილეში კი პატარა კახს იმდენი პრობლემა შეუქმნა, რომ... თუმცა აქ რაიმე გასაკვირი არა ყოფილა. რუსეთის მთავრობა ყველა, მისთვის ხელმისაწვდომი გზით ცდილობდა საქართველოში ქაოსის დამყარებას. რახან საქართველო კავკასიის გასაღები იყო, კავკასიის დაპყრობა კი დიდი ჩრდილოური იმპერიის უახლოეს გეგმებში შედიოდა, ფარისევლური და მზაკვრული რუსული დიპლომატია ნაირნაირ ილეთებს იყენებდა პირველ რიგში, ქართლ-კახეთის წინააღმდეგ. რუსეთს ხელს არც ქართლისა და კახეთის გაერთიანება აძლევდა, არც მის სათავეში ისეთი ძლიერი პიროვნების ყოფნა, როგორც ერეკლე მეორე იყო. და აი მორიგი ილეთი: ერეკლეს დასახმარებლად საექსპედიციო კორპუსი გამოუგზავნეს გენერალ ტოტლებენის ხელმძღვანელობით. გენერალი თავისი მთავრობის გეგმების ზუსტი შემსრულებელი უნდა ყოფილიყო, გეგმა კი საიდუმლო და მარტივი: არავითარი რეალური დახმარება, ადგილობრივი პირობების შესწავლა, მეფისადმი მტრულ ძალებთან კავშირის დამყარება.

რაც შეეხება „ზუსტ შემსრულებელს“, საამისოდ გენერალი გოთლიბ ტოტლებენი შეირჩა. ამ ნამდვილად ოდიოზურ პიროვნებას შემდგომში არ აკლდა ლანძღვა-გინება, ამასთან იგი ყოველთვის „ზუსტი შემსრულებელი“ არა ყოფილა, პირიქით... მის ცხოვრებას თუ გადავავლებთ თვალს, დავინახავთ, რომ საქმე გვაქვს ნამდვილ ავანტიურისტთან, რომელსაც მხოლოდ საკუთარი ჯიბე აინტერესებს, ძალიან ნაკლებად – საკუთარი სამშობლო – გერმანია, მით უმეტეს, რუსეთი, საქართველოზე რომ აღარაფერი ვთქვათ...

გოთლიბ-კურტ-ჰაინრიხ ტოტლებენის ცხოვრება ძალიან შვავს სათავგადასავლო რომანს. ერთი სერიოზული განსხვავებით: ასეთი ყაიდის ნაწარმოებებში ძირითადად მომხიბლავ, რომანტიკულ, გნებავთ, რამდენადმე გულუბრყვილო ადამიანებზეა ლაპარაკი, გერმანულ გენერალს კი რაიმე კარგი თვისება არა ჰქონია, ღალატისათვის სჯიდნენ და იწყალდნენ, რათა საკუთარი ინტერესებისათვის გამოეყენებინათ. შემდეგში ჩვენ თვითონ დავრწმუნდებით, ვინ ვის იყენებდა და როგორ...

ტოტლებენი (რაც გერმანულად „მკვდარ ცხოვრებას“ ნიშნავს) დაიბადა 1715 წლის 31 დეკემბერს დაბა „ტოტლებენში, ერთი ცნობით, ტიურინგიაში, სხვით – საქსონიაში. ეს მეორე ცნობა უფრო სარწმუნოდ მოჩანს, რახან ახალგაზრდა არისტოკრატის ცხოვრების პირველი პერიოდი სწორედ საქსონიისთან არის დაკავშირებული. ყმაწვილმა ტოტლებენმა დაწყებითი განათლება იენაში მიიღო. 9 წლისა დედამ, რომელსაც, როგორც ჩანს, მაღალ წრეებში საკმაოდ გავლენა ჰქონდა, იგი საქსონიის კურფიურსტის (რომლებსაც ხშირად პოლონეთის მეფეებადაც ირჩევდნენ) პაჟად დაანიშნინა. კურფიურსტთან შემდგომში ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონდა, რადგან 30 წლისამ მისი ხელშეწყობით გრაფის ქალზე იქორწინა და თვითონაც მიიღო ეს მაღალი წოდება. ამავე დროს საქსონიის სასამართლოს წევრადაც აირჩიეს. ტოტლებენმა ასეთი პატივისცემა ვერ შეიშნო. მექრთამეობისა და სხვადასხვა სამსახურებრივი ბოროტმოქმედებისათვის მას დაპატიმრება მოელოდა, მაგრამ დაასწრო და ჰოლანდიაში გაიქცა. რახან ჰოლანდია ამ დროს ომს აწარმოებდა, ტოტლებენმა თავისებური გამოსავალი მოახა: ამ ქვეყნის ხელისუფლებას წინადადებით მიმართა, საკუთარი ხარჯით პოლკი ჩამოეყალიბებინა და საბრძოლო მოქმედებებში ჩაბმულიყო. ამაზე უარს ვინ ეტყობა, მაგრამ რახან დაქირავებულთაგან შედგენილი ეს პოლკი დიდი ვერაფერი მებრძოლი იყო, ტოტლებენი ომის დამთავრებისთანავე დაითხოვეს. 1750 წელს ტოტლებენი ბერლინშია (პრუსიის მეფე ფრიდრიხ II-ეს ხომ ცუდი ურთიერთობა ჰქონდა საქსონიის კურფიურსტთან), შემდეგში, ეტყობა, დრეზდენში (საქსონია) ჩასვლის საშუალება მიეცა, თუმცა იქ დიდხანს არ გაჩერებულა და ისევ ჰოლანდიაში წავიდა. ერთი სიტყვით, ვერსად მკვიდრდებოდა და თანაც, ყველგან ცუდ სახელს ტოვებდა.

ამ დროისათვის მომძლავრებული პრუსიის მეფე ფრიდრიხ II სილეზიის დასაკუთრებას ლამობდა, რამაც მისი დაპირისპირება გამოიწვია ავსტრიასთან (რომელსაც ამ დროს ოფიციალურად „რომის საღვთო იმპერია“ ერქვა). ამ ომში საქსონიაც აღმოჩნდა ჩათრეული, რომლის დაპყრობაზეც „ძველი ფრიცი“ (ასე უწოდებდნენ პრუსიის მეფეს) უარს არ ამბობდა. და აი სწორედ ახლა გაახსენდა ტოტლებენს ის სიკეთე, რაც თავის დროზე საქსონიის კურფიურსტის კარზე ნახა. მან იმპერატრიცა ელიზაბეტა პეტროვნას თხოვნით მიმართა ჩაერიცხათ რუსეთის სამსახურში, რათა პრუსიის წინააღმდეგ ეომა. ტოტლებენმა კარგად იცოდა, რომ პეტრე დიდის ასულს ფრიდრიხ II-ის სახელის გაგონებაც კი არა სურდა. მისი თხოვნა იოლად დასაკმაყოფილებელი აღმოჩნდა, რადგან რუსეთის არმია კვალიფიცირებული ოფიცრების ნაკლებობას განიცდიდა, მისკენ განუწყვეტლივ მიემართებოდნენ სხვადასხვა ჯურის უცხოელი ავანტიურისტები. ტოტლებენი წერდა იმ საკუთარ გეგმაზეც, თუ როგორ აპირებდა ბრძოლას პრუსიელი მოძალადეების წინააღმდეგ. ელიზაბეტა პეტროვნამ მოწყალე თვალთ შეხედა მოხეტიალე მეომარს, გენერალ-მაიორის წოდება მისცა და ცალკე კორპუსიც ჩააბარა. აქ შეიძლება ერთი ძველი რუსული გამოთქმის გახსენებაც სიბინძურეში ყოფნიდან თავადობამდე ამაღლების შესახებ.



შვიდწლიან ომში (1756-1762), სადაც პრუსიის წინააღმდეგ ერთბაშად სამი დიდი სახელმწიფო: ავსტრია, რუსეთი და საფრანგეთი გამოვიდა, მანამდე უმნიშვნელო „ოპერაციებში“ დაოსტატებულმა ტოტლებენმა აშკარად გამოიჩინა თავი. ამასთან არა მარტო ბრძოლის ველზე, არამედ სულ სხვაგვარ საქმიანობაშიც, თუმცა სჯობს ამაზე მოგვიანებით ვილაპარაკოთ.

აქვე ვთქვათ, რომ პატარა პრუსიას, რომელიც თავიდანვე ამ შეხლა-შემოხლის წამომწყები იყო, დიდი სახელმწიფოების კოალიციის ჩამოყალიბების შემდეგ (რაც დასაწყისში პრუსიის მეფემ არ გაითვალისწინა), უბრალოდ რომ ვთქვათ, გასრესა ემუქრებოდა. მეტოქეთა ძალების ზუსტი შეფარდება შეიძლება არავის გამოუთვლია, ისე კი გავითვალისწინოთ, რომ „პრუსია თავისი რვა მილიონი მცხოვრებით ებრძოდა ხუთ სახელმწიფოს, რომლებსაც 80 მილიონზე მეტი ქვეშევრდომი ჰყავდათ“ (ფეოდორ კონი). ამასთან მოვლენების მოულოდნელად და ხელსაყრელად განვითარების გამო პრუსიელებმა საბოლოოდ მაინც მიაღწიეს მიზანს. გავიხსენოთ ნაპოლეონის სიტყვებიც: „არმია კი არ იცავდა პრუსიას 7 წლის მანძილზე, მას ფრიდრიხ დიდი იცავდა“. დიხა, დიხა, ის ფრიდრიხ დიდი, რომელიც ამბობდა, დასავლეთში მე ვარ, აღმოსავლეთში – ერეკლეო. საინტერესოა, რომ გენერალ ტოტლებენს ერთთანაც მოუხდა ურთიერთობა და მეორესთანაც.

შვიდწლიანი ომის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ბრძოლაში კუნერსდორფთან (1759) ტოტლებენმა სიმამაცით გამოიჩინა თავი, დაიჭრა, მოგვიანებით ალექსანდრე ნეველის ორდენით დააჯილდოვეს. რუსეთის ჯარმა ამჯერად სრული გამარჯვება იხიმა, ფრიდრიხ დიდი კინალამ ტყვედ ჩავარდა და თავის ერთ-ერთ ოფიცერს უთხრა: „პრიტივიც, დავილუპე!“ ბერლინში კი მინისტრ ფინკენშტაინს მისწერა: „ყველაფერი დაილუპა! იხსენით სამეფო ოჯახი! სამუდამოდ გეთხოვებით!“

კუნერსდორფის ბრძოლის შემდეგ ფრიდრიხის მდგომარეობა სავსებით უიმედოდ ჩანდა. 1760 წლის სექტემბრისათვის დედაქალაქი ბერლინი, რომელსაც სამხრეთიდანაც უტყვედნენ და აღმოსავლეთიდანაც, სრულიად დაუცველი იყო. ფრიდრიხ დიდი შორს იყო, ქალაქის გარნიზონი 1500 კაცს ითვლიდა, ავსტრიელი გენერალი ლასი მას 14 ათასიანი ჯარით უტყვედა, რუსი გენერალი ჩერნიშოვი – 20 ათასიანი კორპუსით. მალე მათ შეუერთდებოდა გენერალ-პორუჩიკი პანინი დიდი რაზმით. მოხდა ისე, რომ რუსების ავანგარდს სწორედ ტოტლებენი სარდლობდა და რახან თავდაპირველად პრუსიელებმა კაპიტულაციაზე უარი განაცხადეს, ქალაქს მისი ბრძანებით ყუმბარები დააყარეს. რათა ყველაფერი არ განადგურებულიყო, მხსნელი კი არსაიდან ჩანდა, 9 ოქტომბერს ბერლინის დამცველებმა დანებება არჩიეს. ასე გახდა ტოტლებენი (გენერალ ჩერნიშოვთან ერთად) ბერლინის ამღები. მართალია, რუსი ისტორიკოსები, რომლებსაც არ სიამოვნებდათ ამ სახეიმო მოვლენასთან დაკავშირებით ესოდენ გერმანული გვარის ხსენება, ხშირად მარტო ჩერნიშოვს ასახელებდნენ, მით უმეტეს, რომ შემდგომმა მოვლენებმა ტოტლებენის სახელი მართლაც რომ ავადასახენებელი გახადა.

ტოტლებენმა ქალაქის მმართველებს 4 მილიონი ტალერი კონტრიბუცია მოსთხოვა. თავდაპირველად ასე მოილა-

პარაკეს: ამ თანხის მესამედი ბერლინელებს ნაღდი ფულით უნდა შეეტანათ, დანარჩენებზე თამასუქი წარედგინათ, თავმდებად კი მდიდარი ებრაელი ბანკირი გოცკოვსკი დაასახელეს, რომელსაც ახლო ურთიერთობა ჰქონდა ფრიდრიხთან (მისთვის ანტიკვარულ ნივთებს იძენდა). გოცკოვსკი ნამდვილ პატრიოტად ითვლებოდა, რომელიც მშობლიური ქალაქისათვის არაფერს იშურებდა.

მოლაპარაკებას თანხის გადახდის თაობაზე ტოტლებენთან თვით ბანკირი გოცკოვსკი აწარმოებდა და რუს გენერალს კონტრიბუცია მთელი 60 პროცენტით შეამცირებინა. აქ საყურადღებო ის იყო, რომ გამოცდილმა ბანკირმა ასეთი დასკვნა გამოიტანა – ფულისათვის და პირადი სარგებლობისთვის ტოტლებენი ყველაფერს გააკეთებდა. თუმცა პირდაპირი მონაცემები არ არსებობს, მაგრამ შეიძლება ვიფიქროთ, რომ კონტრიბუციის შემცირებისათვის გენერალმა დიდი ქრთამი აიღო. რა თქმა უნდა, გოცკოვსკიმ ყველაფერი თავის მეფეს შეატყობინა.

ახლა კი ყველაფერი ზუსტი ცნობების მოყვარულთათვის. 1761 წლისათვის ებრაელი ვაჭრის, საბატკის მეშვეობით მოხერხდა კავშირის დამყარება ტოტლებენთან. დიდი ფულის ფასად, ტოტლებენი დათანხმდა ფრიდრიხისათვის ყველაფერი შეეტყობინებინა რუსების განზრახვისა თუ ოპერატიული გეგმების შესახებ (!). მას ფულს უხდიდნენ არა მარტო ცნობების მიწოდებისათვის, არამედ იმაზეც, რომ იქ, სადაც თავის ჯარით იმოქმედებდა, გერმანულ მოსახლეობას ჰუმანურად მოქცეოდა. ეს, ცხადია, უკვე პირდაპირი (და თანაც როგორ!) ლალატი იყო. მასზე წერდნენ არა მარტო იმდროინდელი თუ XIX საუკუნის ისტორიკოსები, არამედ სულ ახლახან, 2000 წელს გამოქვეყნებულ გამოკვლევაში „ფრიდრიხ დიდი“ გამოჩენილი ინგლისელი მეცნიერი დევიდ ფრეიზერიც.

ფრიდრიხ დიდი, რომელსაც ყოველი მხრიდან უტყვედნენ, როცა შესაძლებლობა მიეცემოდა, სულაც არ თავილობდა მტრების მოსყიდვას. ჯერ კიდევ 1753 წელს, ე.ი. ტოტლებენის მიერ ბერლინის აღებად, დედაქალაქს ავსტრიელი გენერალი გადიკო დაემუქრა. რახან ამჯერადაც მეფე შორს, ბრძოლის ველზე იყო (იგი ხომ ხან ვის ებრძოდა და ხან – ვის) და ბერლინს ვერ დაეხმარებოდა, ავსტრიელ გენერალს 215 ათასი ტალერი ქრთამი მისცეს, რათა მას ბერლინისათვის თავი დაენებებინა და, თუ სურდა, კოტბუსის წინააღმდეგ წასულიყო. ერთი სასაცილო ამბავიც: ამ ტალერებთან ერთად გადიკო რამდენიმე ასეული წყვილი ქალის ხელთათმანიც მოითხოვა (რომლის დამზადებითაც ბერლინი განთქმული იყო), რათა თავის დედოფალ მარია-ტერეზიასათვის საჩუქრად მიერთმია. მოთხოვნა დაუყოვნებლივ შეუსრულეს, მაგრამ როცა ეს კარგად შეფუთული ხელთათმანები ვენაში გააგზავნეს, მათი გახსნისას გაოცებულმა დედოფალმა მარია-ტერეზიამ აღმოაჩინა, რომ ყველა ხელთათმანი მარცხენა ხელისა იყო. ამ უხეშმა ხუმრობამ ავსტრიელი დედოფალი ძალიან გაანაწყენა. იყო შემთხვევა, რომ ფრიდრიხის წინააღმდეგ ჭარბი ძალებით ფრანგი ჰერცოგი რიშელიე წამოვიდა. მაშინ ფრიდრიხმა ჰერცოგს დიდი თანხა გაუგზავნა მეგობრული წერილით. საფრანგეთში სახტად დარჩნენ, როგორ მოხდა, რომ ესოდენ ხელსაყრელ მდგომარეობაში მყოფმა რიშელიემ სრულიად გაუგებარი გადაწყვეტილება მიიღო და უკან დაიხია.

მთელი 1761 წლის მანძილზე უმძიმეს მდგომარეობაში მყოფ ფრიდრიხს ტოტლებენი მეტად მნიშვნელოვან ცნობებს ატყობინებდა. 30 მაისს დაშიფრულ დეპეშაში ფრიდრიხს „პატრონი“ ერქვა, ტოტლებენს კი „მეგობარი“. საითკენ უნდა წასულიყვნენ რუსები, რა ძალებით? „ეს ინფორმაცია იმითაც იყო საინტერესო, რომ ავსტრიელების გეგმებზეც მიუთითებდა“ (ფრეიზერი) ტოტლებენს ბანკირ გოცკოვსკის მეშვეობით უკავშირდებოდნენ, 20 ივნისს ახალი ცნობებიც მიიღეს, რაც სხვა წყაროებზე დაადასტურა. არა, ტოტლებენი ფრიდრიხს არასოდეს ატყუებდა და მეფეც ყოველთვის მოუთმენლად ელოდა მისგან ახალ-ახალ ცნობებს.

ყოველივე ამის მიუხედავად, ომი-საგან გამოფიტული პრუსიის მდგომარეობა სავსებით უიმედო იყო, მაგრამ ხანდახან ისტორიაში სასწაულიც ხომ ხდება. 1762 წლის 22 იანვარს ფრიდრიხმა თავის მინისტრ კნიპჰაუზენს მისწერა: „ჩრდილოეთის მესალინა მკვდარია“. ელიზავეტა პეტროვნას გარდაცვალება „ძველი ფრიცისათვის“ ნამდვილი ხსნა იყო. მან იცოდა, რომ ახალი იმპერატორი პეტრე III მისი ფანატიკური გულშემატკივარი იყო და დღეს თუ ხვალ, ზავიც დაიდებოდა.

რაც შეეხება ტოტლებენს, მისი მოლაპარაკება ცოტათი ადრე გამოშლავდა. 1761 წლის ივნისში, როცა თავისი კორპუსით წინა ხაზზე, პომერანიისაკენ მიემართებოდა, ტოტლებენი მისმავე პოლკოვნიკებმა ბერნშტაინის ბანაკში დააპატიმრეს და პეტერბურგში ბადრაგის თანხლებით გააგზავნეს. 1762 წლის 20 მაისს სამხედრო სასამართლომ, რომელსაც ლალატის იმდენი საბუთი ჰქონდა, რომ დიდი მუშაობა არ დასჭირვებია, საომარ ვითარებაში მტერთან აშკარა კავშირისათვის ტოტლებენს სიკვდილი მიუსაჯა. სანამ მოლაპარაკებებზე გენერალი, ციხეში გამომწყვდეული, სიკვდილს ელოდა, პეტრე III დაამხეს და სიცოცხლეს გამოასალმეს. ეკატერინე II-მ, კიდევ უფრო დიდმა „მესალინამ“, შეაჩერა სასამართლოს ადრინდელი განაჩენი.

ერთი სიტყვით, ტოტლებენი იმან გადაარჩინა, რომ სულ მოკლე დროის განმავლობაში რუსეთის ტახტზე გვირგვინოსანი ორჯერ შეიცვალა. ორივე მათგანი ეროვნებით გერმანელი იყო: პეტრე III – ფრიდრიხის თავგადაკლული თაყვანისმცემელი, ეკატერინე II – „ძველი ფრიცის“ გენიით მოხიბლული, პოლიტიკურ ასპარეზზე კი მისი მეტოქე. ერთ დროს რუსეთში გავრცელებული ლეგენდით, იგი ფრიდრიხის შვილიც კი იყო. ამის უარყოფა სრულიად იოლად შეიძლება. საქმე ის არის, რომ ფრიდრიხი ცნობილი ქალთმოძულე იყო, თავის ოფიციალურ მეუღლესთან ცალკე ცხოვრობდა (შვილი, ცხადია, არა ჰყავდა), რომელსაც აუცილებელი ოფიციალური შეხვედრების დროს სპეციალურად გამოიძახებდნენ ხოლმე და მეფე უაღრესად თავაზიანი ტონით რამდენიმე სიტყვას თუ ეტყუდა.

ეკატერინე II-ის 1763 წლის 11 აპრილის განკარგულებით დადასტურებული იყო ტოტლებენის იმპერიის სანინა-ალმდეგო მოქმედების მცდელობა. მის პირად ქონებას კონ-

ფისკაცია გაუკეთდა. იგი გაძევებული უნდა ყოფილიყო იმპერიის ფარგლებიდან დაბრუნების უფლების სამუდამოდ წართმევით. აი, თუკი მინც რუსეთში შემოსვლას შეეცდებოდა და ვინმე ნახავდა, უფლებაც ექნებოდა მოეკლა. 1763 წლის 13 მაისს იგი პრუსიის საზღვართან მიიყვანეს და ქვეყნიდან გააძევეს.

ჩვენ არ ვიცით, რას აკეთებდა ტოტლებენი გაძევებიდან რამდენიმე წლის განმავლობაში. 1769 წელს მან წერილი მიმართა ეკატერინე II-ეს, სადაც აშკარად შეაცოცხლა თავი და სთხოვა, კვლავ მიეღოთ რუსეთის სამსახურში, რახან სხვა ქვეყანაში ცხოვრება არ შეეძლო. ეკატერინე II-ეს აზრად მოუვიდა გამოეყენებინა გენერალი (შემდეგში, როგორც ვხედავთ, გამოიყენა კიდევ!), მაგრამ ყოველი შემთხვევისათვის, წერილი მისწერა თავის მარჯვენა ხელს, ნიკიტა პანინს: „როგორი აზრისა ხართ თქვენ? – ვფიქრობ, შესაძლებელია მივცეთ მას თავშესაფარი რუსეთის რომელიმე ნაწილში, ციმბირში“.

1769 წლის 5 ივნისს გაზეთ „პეტერბურგის უწყებებში“ გამოქვეყნდა ტოტლებენის თხოვნა მისი შეწყალების შესახებ და ეკატერინე II-ის განკარგულება პატიებაზე („უმონყალესად პატიება“).



გოთლიბ-კურტ-ჰაინრიხ ტოტლებენი

## ტოტლებენი საქართველოს წინააღმდეგ

გაცნობამ უსიამოვნოდ ჩაიარა. სანამ ეკატერინე II მომძლავრდებოდა, იგი თურქეთთან ურთიერთობის განმწვავებას ერიდებოდა, თუმცა სულაც არ ივიწყებდა თავის ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს: შავი ზღვის სანაპიროების დაპყრობას. თურქეთი ამ დროს საკმაოდ დასუსტებული იყო და უკვე კარგა ხანია რაიმე საფრთხეზე ევროპულ სახელმწიფოებს ვერ უქმნიდა. ამდენად ვერც ავსტრია და მით უმეტეს, საფრანგეთი ეკატერინე II-ეს (რომელსაც თანამედროვე გერმანელი ისტორიკოსები რუსეთის ყველა იმპერატორზე მაღლა აყენებენ და მის მმართველობას „დიდად წარმატებულს“ უწოდებენ) თურქეთის წინააღმდეგ მოკავშირეებად ვერ გამოადგებოდნენ. ასეთები შეიძლება ყოფილიყვნენ თვით ოტომანის იმპერიის ქვეშევრდომები – ბალკანელი ქრისტიანები, და, მეორე მხრივ – ქართველები. იმერეთის მეფე სოლომონ I, დიდად შეწუხებული თურქთაგან, თვით კისრულობდა ამ საქმეში რუსეთის მოკავშირეობას. რაც შეეხება ერეკლეს, იგი კარგა ხანია ეძებდა ხელსაყრელ მომენტს ახალციხეზე გასალაშქრებლად და მაჰმადიანი ქართველების მიმხრობის იმედსაც არ ჰკარგავდა. „ესენიც რომელნიმე გაგვეერთიანებინ და ოსმალთ მტრობაზედ რაოდენი სიმხნე და გამოცდილება აქუსთ, ზოგნი შიშისაგან და ზოგნი რომლისამე მიზეზისაგან ჩუენთან სიმართლით გაირჯებიან“. ოდნავ მოგვიანებით ხომ თვით ეკატერინე აცხადებდა ვოლტერისადმი მიწერილ წერილში, რომ თურქეთს ცეცხლი შეუთხო ოთხი

მხრიდან: დუნაიდან, ყირიმიდან, მორეიდან (საბერძნეთის სამხრეთი ნაწილი, ადრინდელი პელოპონესი) და საქართველოდან. რაც შეეხება ქართული სახელმწიფოების გაუქმებას, რუსეთის მთავრობა ფარისევლურად აცხადებდა, რომ ამაზე არცკი ფიქრობდა, ჩვენ მათთან საერთო საზღვარიც კი არა გვაქვსო.

რუსეთ-თურქეთის ომი დაიწყო 1768 წელს. 1769 წლის 21 მაისს თბილისში სოლომონ პირველი ჩამოვიდა, სადაც ერეკლეს შეუთანხმდა თურქეთის წინააღმდეგ საერთო მოქმედების შესახებ. რუსეთის მთავრობამ კი საქართველოდან „ცეცხლის დანთებისათვის“ პირველი ნაბიჯები გადადგა. იმერეთში 400 კაციანი რაზმი უნდა გაგზავნილიყო, ამ მცირე ძალების სარდლად კი სწორედ ის-ის იყო შეწყალებული ტოტლებენი დაინიშნა. ამავე დროს რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიამ საქართველოში თავის ოფიციალურ წარმომადგენლად თავადი ანტონ მოურავოვი დაინიშნა. მალე 480 კაცისაგან შემდგარი რაზმი საქართველოსაკენ გამოემართა, მისმა ასკაციანმა ავანგარდმა კი დარიალი გადმოლახა.

ერეკლე თავად გაემართა ტოტლებენის შესახვედრად. ტოტლებენის ადიუტანტი დე გრაი დე ფუა რუსეთში გაგზავნილ რელაციებში ამას საინტერესოდ აღწერდა. ტოტლებენი დარწმუნებული იყო, რომ ქართველები მას მუხლმოდრეკით დახვდებოდნენ, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. ერეკლე სპარსული სახის ლამაზ ჩარდახში იმყოფებოდა და მასთან გენერალი კარგა ხანს არცკი შეუშვეს. ბოლოს აცნობეს, რომ მოლაპარაკება უნდა დაწყებულიყო. „როცა ტოტლებენმა ჩარდახის წინკარს მიაღწია, მას წარუდგა ერეკლეს ვაჟი (იგულისხმება ტახტის მემკვიდრე, გიორგი ბატონიშვილი). ტოტლებენი გადაეხვია მას, რამაც განაცვიფრა ეს ახალგაზრდა კაცი, ვინაიდან ჩვეულება იმისა, რომ მამაკაცები ერთმანეთს გადაეხვიონ, საქართველოში ჯერ მიღებული არ არის. შემდეგ კარებში მას დახვდა ერეკლეს ბიძა, საქართველოს პატრიარქი (ანტონ I, ისევე მეფის ძე). გრაფმა მოინდომა გადახვეოდა მას, მაგრამ პატრიარქმა უკან დაიხია, პირჯვარი გადასახა მას და პირველი შევიდა ჩარდახში“.

ერეკლეს პირველი შეხვედრა ტოტლებენთან, სადაც თარჯიმანის როლს ოფიცერი, თავადი რატიევი (რატიშვილი) ასრულებდა, არ გამოდგა მაინცდამაინც გულითადი. ერეკლე გაცილებით უფრო მეტ ჯარისკაცს ელოდა, მაგრამ უთხრეს, რომ მათი რაოდენობა 500-ს არ აღემატებოდა. იგი ომში მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაებმებოდა, თუ რუსეთი 5 ათას კაცს მაინც გამოაგზავნიდა.

აი, რა უთხრა გენერალმა მეფეს ყოველგვარი მოკითხვის გარეშე: „მე მოვედი ჩემი ხელმწიფის, იმპერატორის სახელით, რათა გათხოვოთ თქვენ სამი რაზმ: პირველი თხოვნა მდგომარეობს იმაში, რომ გაგვაცაროთ თქვენს სამფლობელოზე იმერეთში წასასვლელად, რათა შევეერთდეთ მეფე სოლომონს, რომელიც გველოდება და რომელთანაც ერთად თურქებს უნდა შევებრძოლოთ. მეორე თხოვნაა აგრეთვე, რომ თქვენს ქვეყანაში ხელმისაწვდომ ფასებში ნება დაგვეერთოს შევიძინოთ პური, ხორცი, თივა, და, ერთი სიტყვით, ყველაფერი ის, რაც საჭიროა ჩვენი რაზმის შესანახად. და ბოლოს, მესამე – დავალებული მაქვს შეგეკითხოთ, ხომ არ ისურვებდით, დაუკავშირდეთ რუსეთის იმპერატორს და მასთან ერთობლი-

ვად შეუტოოთ თქვენს მეზობლად მყოფ თურქებს. ვიმედოვნებთ, რომ ჩვენ მათ იოლად განვდევნით ამ ქვეყნიდან და ყველა გამარჯვება, რომელსაც მოვიხვეჭთ, თქვენ მოგეკუთვნებათ“.

ერეკლე, გენერლის მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე კი თანხმობა განაცხადა, მაგრამ სულაც არ უყურებდა ასე იოლად თურქეთთან ომის საკითხს. ყველაფერს კარგი ანონ-დანონვა სჭირდებოდა, ისე კი, რა თქმა უნდა, თავიდანვე თურქებთან შესაბრძოლებლად იყო განწყობილი. ტოტლებენი დაუყოვნებლივ აპირებდა იმერეთში გადასვლას. ერეკლემ უთხრა, რომ რუსებს ყოველივეს უსასყიდლოდ მისცემდნენ, არ დაუშვებდა მათთვის რაიმე მიყიდათ. „ამ საუბრის დროს მოჰქონდათ ყავა, ჩაი და ლიქიორები. ბოლოს ტოტლებენი წამოდგა და მეფეს გამოეთხოვა.

„სად მიხვალთ? – უთხრა ამ უკანასკნელმა, – ერთად ვივანშმოთ და ხვალ დაბრუნდით თქვენს ლაქარში“. „ეს შეუძლებელია, – მოუჭრა გრაფმა, – გენერალმა მხოლოდ თავის ბანაკში უნდა დაიძინოს“. ერეკლეს თავიდანვე ეჭვი ეპარებოდა, რომ მტრებისაგან გაჩანაგებული იმერეთი შეძლებდა რუსეთის ჯარის გამოკვებას.

ტოტლებენთან საუბარი ქართული მხარისათვის იოლი არ იყო. მათი ნათქვამი რატიევს ჯერ რუსულად უნდა ეთარგმნა, შემდეგ კი ვინმეს გერმანულად ან ფრანგულად, რახან გენერალმა რუსული არ იცოდა (რელაციებს პეტერბურგში იგი ფრანგულ ენაზე აგზავნიდა). ისე კი ტოტლებენს ბევრი უცხოელი ოფიცერი ჰყავდა, რაც ესოდენ დამახასიათებელი იყო მაშინდელი რუსული არმიისათვის, ძირითადად გერმანელები.

ქვაბულოვი, მოურავოვი, რატიევი, შალიკაევი. ტოტლებენის ჭრელ-ჭრელ მხლებლებში თუ რუსეთის მთავრობის მიერ გამოგზავნილ მოხელეებში რამდენიმე ქართველიც იყო, ამასთან ყველა მათგანმა შემდგომ ამბებში თვალსაჩინო როლიც შეასრულა.

თავად გრიგოლ ქვაბულოვი (ქობულაშვილი) ახალგაზრდა აჭარის პორუჩიკი იყო, ქართული კარგად იცოდა. იგი სოლომონ მეფესთან კავშირის დასამყარებლად ყიზილარიდან გამოგზავნეს, უფრო კი იმისთვის, რომ შეესწავლა იმერეთში არსებული ვითარება. მას ანგარიში უნდა დაენერა იმერეთის მეფის სამხედრო ძალის შესახებ, ის ადგილებიც დაეთვალა იერებინა, სადაც შესაძლებელი იქნებოდა არტილერიით გავლა. ქვაბულოვის ანგარიშს რუსეთში არ ენდნენ, ეტყობა, სხვა წყაროთი შეამომწმეს. მისი აღწერის თანახმად, იმერეთში ყველაფერი უხვად იყო: პური, ღვინო, ხორცი, პირუტყვის საკვები. ქვაბულოვი აღწერდა დასახლებულ პუნქტებს, გადასასვლელებს, დაბლობებსა და მთებს. მანვე გენერალ პოტაპოვს წარუდგინა დეტალური რაპორტი საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ. რაპორტს დაერთო ერეკლე მეფის დავალებით არტემ ანდრონიკაშვილის მიერ ქართულად შედგენილი და ქვაბულოვის მიერ რუსულად თარგმნილი ქართლ-კახეთის სამეფოს მიმდებარე ტერიტორიების აღწერა. ქვაბულოვის სახელთან დაკავშირებულია ერთი საინტერესო ეპიზოდიც. თბილისში ახალციხის ფაშის დესპანი მაჰმად ალა ჩამოვიდა. ნაჰმან ფაშა ერეკლეს მშვიდობის შენარჩუნებისაკენ მოუწოდებდა, „დოსტობის ბედის გაცხლებას“ ითხოვდა. ამ დროს თურქებისათვის ცნობი-

ლი გახდა, რომ ქვაბულოვი თბილისში იმყოფებოდა, არ მოეწონათ. ისიც კი შეიტყვეს, სად ცხოვრობდა და მის ბინას თვალთვალი დაუწყეს. თვით ქვაბულოვი, რათა არ ეცნოთ, ქართული ტანისამოსით დადიოდა. როცა ერეკლემ შეიტყო, რომ თურქები ქვაბულოვის ბინას უთვალთვალებდნენ, ისინი დაუყოვნებლივ გააძევა.

ძალიან საინტერესო პიროვნება იყო რუსეთის ოფიციალური წარმომადგენელი თბილისში თავადი ანტონ მოურავოვი (რუსეთში ვახტანგ VI-ესთან ერთად გადახვენილი თარხან-მოურავების, იგივე სააკაძეების შთამომავალი). მისი მამა – რომანოზ მოურავოვი 1738 წელს რუსეთის სამხედრო სამსახურში შევიდა კაპიტნის ჩინით და იმავე წელს ხოტინთან ბრძოლაში დაიღუპა. თვით ანტონი 1749 წელს შლიახტის კადეტთა ქვეითი ჯარის კორპუსის კადეტია. 1755 წელს მან პორუჩიკის ჩინი მიიღო, მონაწილეობდა რუსეთ-პრუსიის ომში. 1764 წლის 17 თებერვალს მისი პირადი თხოვნით, მოურავოვი გაათავისუფლეს სამხედრო სამსახურიდან. იმავე წელს კოლეჟსკი ასესორის ტიტულით გაამწესეს ქალაქ ოპოჩკოში ვოევოდის ამხანაგად. 1768 წელს დანიშნეს კონფისკაციის კანტორის წევრად. მალე „ნადვორნი სოვეტნიკის“ ტიტული მისცეს და საქართველოში გამოავაზენეს. მოურავოვს სისტემატური პატაკები უნდა შეედგინა საქართველოში არსებული ვითარების შესახებ და საიდუმლო დაშიფრული, საგარეო საქმეთა კოლეგიაში გაეგზავნა.

ჰუსართა პოლკის მაიორი თავადი რატივეი (რატიშვილი) მონაწილეობდა ტოტლებენის პირველ შეხვედრაში ერეკლესთან. 1770 წელს მან პოდპოლკოვნიკის წოდება მიიღო. ერთ წერილში, რომელიც ტოტლებენმა გენერალ ზაქარია ჩერნიშოვს მისწერა, იგი აღნიშნავდა, რომ რატივეს ყოველთვის პატიოსან კაცად თვლიდა, მეტად გამოსადეგად, როგორც ენის მცოდნეს. მოგვიანებით მან აზრი შეივალა და წერდა, რომ რატივეი ყველა საფეხურის ოფიცრებზე თავისი ერის შვილებს აყენებს.

თავადი სიმონ შალიკავეი (ჩოლოყაშვილი) არტილერიის პოდპოლკოვნიკი იყო. იგი საქართველოში მოხალისედ გამოიგზავნა ჰუსართა ერთი რაზმითა და ორი ზარბაზნით. იგი თბილისში სისტემატურად იმყოფებოდა მოურავოვთან ერთად, ასწავლიდა ქართველებს საარტილერიო საქმეს, მორტირების, ჰაუბიცების ჩამოსხმას, ზარბაზნების ლაფეტზე დადებას, ამასთან რუსები თავიანთი ოფიცრის ასეთ საქმიანობას ეჭვის თვლით უყურებდნენ.

რუსეთის სამსახურში კი იყვნენ, მაგრამ ეს ოფიცრები არასოდეს ივინყებდნენ თავიანთ ქართულ ჩამომავლობას, გული სტიკოდათ საქართველოზე, თუმცა ამის შესახებ ცოტა ქვემოთ...

(დასასრული შემდეგ ნომერში)

ღეტყვიანის მავიარ

როზა დევდარიანი

ერთი პალინდრომის კვლდაკვალ

გალაკტიონის ცნობილი პალინდრომი: „აი, რა მზის სიზმარია, აირევი, ივერია, აი, დროშა, ამორდია, აერების სიბერეა“ – უმრავლეს ქართველთაგან აღიქმება, როგორც ნიმუში წაღმა-უკუღმა ერთნაირად წასაკითხი ტექსტისა, რომელშიც აქცენტი ფორმის მონესრიგებაზეა გადატანილი და განსაკუთრებული აზრობრივი დატვირთვა არ იხილვება.

მახვილი ალლო, დაკვირვებული თვალი და გაფაციცებული სმენა უნდა ჰქონოდა მკვლევარს, რომ ბუნდოვან სიტყვებს შორის გარკვეული კანონზომიერება შეენიშნა, ხელოვნური სიტყვათქმნადობის მიღმა შენიღბული აზრი წაეკითხა, ქვეტექსტში ღრმად ჩამალული საიდუმლო აღმოეჩინა და სამიებელს ისე ძირისძირობამდე ჩასწვდომოდა, რომ მის საფუძველზე, ერთი თაღლითი კაცის თავგადასავალთან ერთად, 90-900-იანი წლების საქართველოს ვრცელი ეპოპეაც გაეცოცხლებინა. ელგუჯა თავბერიძის პიკარესკული რომანი – „აირევი ივერია ანუ ჯენტლმენ სოლომონ ამორდიას ცხოვრება და შეხედულებანი“ – კეთილსინდისიერი შრომა-რუდუნების, სერიოზული ჩაღრმავების, გამონვლილვითი კვლევა-ძიების თვალსაჩინო გამოხატულებაა.

რომანი გალაკტიონის პალინდრომში ჩართული „ამორდიას“ კვალში ჩადგომის ხელშესახები ნაყოფია. მისი პროტოტიპის – ცნობილი ავანტიურისტისა და ყალბთაბანდის, ყალბი საბუთების შემდგენლისა და სახელმწიფო თანხების მიმტაცებლის, მრავალგზის სასამართლოევი სოლომონ ამორდიას – ოდისეის გასაცოცხლებლად ავტორს კოლოსალური შრომა გაუწევია. ამორდიას ვინაობის დადგენას, მისი სულიერი სამყაროს წაკითხვას, ჩახლართულ-ჩახვანჯული ხრიკების ამოცნობას უსაშველოდ დიდი ჯაფა: საარქივო მასალების შესწავლა, დოკუმენტების გაცნობა, მოგონებებისა თუ ვადმოცემების მოძიება დასჭირვებია. ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: იყო კი საჭირო თავის შეწუხება ერთი კვაჭი კაცისათვის ახალი სიცოცხლის მისანიჭებლად? იქნებ ამაოდ დაშვრა მწერლის კალამი, ფუჭად დაიკარგა ძვირფასი დრო, თავაულებელი გარჯა და ზღვა ენერგია? ღირდა კი ჩიტი ბღღენად? ნაწარმოების გაცნობა გვარნმუნებს, რომ საჭირო იყო. ღირდა. ღირდა, რადგან ამორდიას თავგადასავალი მასში გააზრებულია, როგორც ორგანული ნაწილი იმ ავადსახსენებელი ეპოქისა, როცა „ივერია, მართლაც, აირია, აითქვიფა, აიდღვია, ამორდიასა და მისი მეგობრების მეშვეობით თავადობა, აზნაურობა ადვილი მისაღწევი გახდა ასეთად შექმლო ქვეულიყო ყველას, ვისაც ფული ჰქონდა და სურვილიც გააჩნდა“.

ავტორის დამსახურება სწორედ ისაა, რომ წიგნში ამორდია და ამორდიობა ეპოქის კონტექსტშია მოაზრებული. ამორდიას ჯენტლმენად მოხსენიებით იგი იმ წლების სუნთქვასა და მაჯისცემას შეგვაგრძობინებს, რომლის უმთავრესი არსიც ყოველგვარი უზნეობისა და

გარენრობის კეთილშობილების საბურველში გახვევა გახლდათ; რომლის წიაღშიც ჯენტლმენებად ინოდებოდნენ თერძი, მზარეული, ლაქია... ამდენად, სათაურში მთავარი პერსონაჟისა და მისი მშობელი საუკუნის ირონიული შეფასებაა ჩაქსოვილი.

ელგუჯა თავბერიძე რომანის შესავალშივე გამოკვეთს იმ აზრს, რომ აღნიშნული ეპოქისათვის ნიშანდობლივი სენი – აზნაურობის ნებისმიერი გზით მოპოვება – მართლაც „სიზმარი გახლდათ, წარმოუდგენელი, ცხადში გაუაზრებელი, უჩვეულო და უცნაური, რადგან მათ, ვინც ოდითგანვე ქვეყნის ჭირისუფლად ითვლებოდნენ, ხმალი ჩაეგოთ, ბედს დანებდებოდნენ, ზავი დაედოთ, ახლები კი, თანაც ყალბნი, მათი საქმის გაგრძელებას ლამობდნენ“.

ავტორი დამაჯერებლად ნათელყოფს, რომ გალაკტიონის მიერ ამორდიას გახსენება თუ „ივერიასთან“ „აირევის“ დაკავშირება შემთხვევითი არ არის და პალინდრომში (1927 წ.) ბოლშევიკების ბატონობასთან დაკავშირებული არეგ-დარევა კოდირებული, ამორდიასდროინდელ სიტუაციასთან მისი მისადაგებაა გაცხადებული. ამ დროს ხომ ისევე განაგებდნენ ქვეყანას ცრუმირები – ეროვნებად-კარგული ბოლშევიკები, როგორც 900-იან წლებში – ცრუგვარშივლინი, ზოგჯერ – 200-300, მაგრამ ზოგჯერ – 5-10-25 მანეთად, მეტიც – ეტლის, დროვის, ჩოხის (!) სანაცვლოდ წოდებაშიღებული ამორდიას აზნაურები...

რომანს ხელშესახებად გასდევს დიდი ადამიანური ტკივილი იმის გამო, რომ „აირევის“ შინაარსი „ივერიის“ თანამდევნი გახდა და „აი, დროშაც“ „ამორდიას“ შეეზარდა, როგორც მკაფიო ილუსტრაცია იმისა, რომ „უცხო და ყალბი დროშის ხანიერი ფრიალი მოჰყვებოდა ხოლმე ჟამიანობას“. ავტორის მიზანდასახულობა ამ ტკივილითაა შთაგონებული.

სოლომონ ამორდიას ფენომენისა და ეპოქის სულის მჭიდრო კავშირში განხილვის ტენდენცია მთელ ნაწარმოებს გასდევს. ელგუჯა თავბერიძე თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ „გვაჩის ბიჭი“ დროის პირმშოა, მისი სისხლ-ხორცისა და არსების თანაზიარი. მის ავანტიურისტულ ბუნებას, ყალბისმქმნელობასა და გაიძვერობას ეპოქისათვის ნიშანდობლივმა წაჯექუქუჯექობანამ მისცა გასაქანი.

სოლომონ ამორდიას „მოღვაწეობის“ მეტ-ნაკლებად სრული სურათის შესაქმნელად ავტორს მრავალფეროვანი დოკუმენტური მასალის მოხმობა სჭირდებოდა. ამორდიასა და ამორდიელთაგან გააზნაურებულ-გათავადებულთა სიის გაცნობის გარეშე იგი სრულყოფილ წარმოდგენას ვერ შეგვიქმნიდა იმ მასშტაბურ მაქინაციებზე, რომელთა წყალობითაც დიდებულთა რიგებს 2000-ზე მეტი მდაბიო შეემატა.

რომანის სპეციფიკა მოითხოვდა, მასში გარკვეული ადგილი დათმობოდა წოდების მაძიებელთა ვინაობის აღნუსხვას, სახელებისა და გვარების ჩამოთვლას, სოფლებისა და ქალაქების დასახელებას, გაცემული ქრთამის რაოდენობისა და სიყალბის დამადასტურებელი ცნობების გამოშვებებს... რაც ქმნიდა საშიშროებას, რომ ნაწარმოები მშრალი ჩამონათვალის კრებულად გადაიქცეოდა და ავტორისეული ჩანაფიქრიც ინფორმაციული ამონარიდების ზღვაში ჩაიკარგებოდა.

ელგუჯა თავბერიძის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ მან ჩინებულად დააღწია თავი ამ საშიშროებას. ლალი თხრობა, ზომიერად გამოყენებული იუმორი, ცოცხლად დახატული ეპიზოდების სიუჟე თუ თაღლითური ცხოვრებისათვის ნიშანდობლივი მომენტების მრავალფეროვნება მკითხველს ძალდაუტანებლად მიაჯაჭვავს ნიგთან და თავაულებლივ, შეიძლება ითქვას, ერთი ამოსუნთქვით ნააკითხებს მას, ეს კი კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ მთავარი მაინც კალმოსნის ოსტატობაა, რადგან მის ხელში ყველაზე „ჩვეულებრივი“ მასალაც კი ჩინებულ ქმნილებად გარდაიხსება.

ნიმუშად იმისა, თუ როგორია გარდასახვის თავბერიძისეული მანერა, ერთ მონაკვეთს დავასახელებ.

ორი საუკუნის მიჯნაზე გვარიშვილობასთან დაკავშირებული ორომტრიალის საილუსტრაციოდ ავტორს მოჰყავს მაგალითი ფუცუ დგებუაძე-ფულარიას რომანიდან „ოქროს ბეჭედი“, რომლის მიხედვითაც ერთი თემის ჩიქოვანებს იმიტომ ვერ დაუმტკიცებიათ თავადობა, რომ მათი საბუთი თავგვს სწორედ იმ ადგილას გამოეხრა, სადაც „თავადი“ ეწერა. მიუხედავად ბევრი დავიდარაბისა, აუარებელი მოწმის მოძიებისა, ჩიქოვანებმა ვერ დაამტკიცეს, რომ მათი გვარის შტო სახლთუხუცესს ჩიქოვანთა ოჯახს ეკუთვნოდა. სადებუტატო კრებამ აზნაურებად კი აღიარა, მაგრამ თავადებად არადა არ ცნო ისინი.

ამის გამო ერთი ჩიქოვანი ამორდიას აზნაურებს თურმე ასე ექილიკებოდა: „რა გიჭირს, ძმაო, მე ლევან დადიანის ბოძებული თავადობა თავგმა წამართვა, შენ კი ამორდიასაგან ნაყიდი აზნაურობა ხელთ გიპყრია, ჩემს ტოლად გადაქცეულხარ, ფუი ჩვენს საქმესო!“

ამ მომენტს ელგუჯა თავბერიძე ასეთ კომენტარს ურთავს: „დადიანისაგან გათავადებულები ხშირად მართლაც აზნაურებად იცნო დეპუტატთა საკრებულომ, მაგრამ პირიქითაც მოხდა – აზნაური თავადად შერაცხა, უფრო მეტიც: ზოგიერთი ნაღდი, ეჭვშეუვალი ბრწყინვალე წოდების წარმომადგენელი უსაბუთოების გამო სულაც მოქალაქედ დატოვა.“

დადიანების ნაბოძები საბუთი თავგვს სწორედ იმ ადგილას გამოუხრავს, სადაც სიტყვა თავადი ეწერა. ისე, რაღა მიანცდამაინც იმ ადგილს მიადგა თავგვიც, როგორ უპირდაპირა ბასრი კბილები...

თავგვს აბრალებდა უგვანოდ დარჩენას, ნათავარ სიგელ-გუჯარს აფრიალებდა წამდაუნუმ თავისი თავის თავადად ან აზნაურად მცნობი კაცი, ჯავრობდა, თავგვს წყევლიდა, შინაურებს ამუნათებდა – რას ჰქვია, ასეთი საჭირო საბუთი თავგვს დაახვერვინეთო.

ოჰ, ეს თავგვი!...”

ერთ რომანად, ჩემი აზრით, ეს სარკაზმგარეული „ოჰ, ეს თავგვი“ ღირს. სიცრუის, თვალთმაქცობის, ვირეშმაკობის მამხილებელ რამდენწაირ გამომეტყველებას, რამდენწაირ ყუსტსა და მიმიკას მოიცავს ეს ფრაზა! რამდენი ირონია იგულისხმება მის მიღმა!

ნაწარმოებში ლოგიკურადაა დასაბუთებული, რომ ამორდიობის აღმოცენებას „გამაიმასქნებელთა“ და „გაიმასქნებულთა“ ინტერესების თანხედრომა განაპირობებდა. ერთი მხრივ, მდაბიოთა თავგანწირული ლტოლვა მაღალი წოდების მოსაპოვებლად, რადგან უამისოდ ადამიანი ვერავითარ წარმატებას ვერ მიაღწევდა, მეორე მხრივ კი –

ამორდიას დაუოკებელი სწრაფვა ფულის მოხვეჭისაკენ, რადგან უამისოდ იგი ნებიერად ვერ იცხოვრებდა, საკმარისი გახდა იმისათვის, რომ სოლომონს თავისი გამჭრიახი გონება გვარიშვილობის მაძიებელთა სამსახურში ჩაეყენებინა.

ბუნებისაგან უხვად ბოძებულ ნიჭს – სხვისი ხელნერის დამახსოვრებისა და მიმსგავსების უნარს – ამორდია უკეთური მიზნებისათვის იყენებს. იგი ქმნის ყველა დოკუმენტს, რომელიც კი თავადად ან აზნაურად გახდომისათვის არის აუცილებელი. როცა სიგელს ადგენს, იგი მას უზუსტესად ამგვანებს ძველს, ფაქტობრივად, ქმნის ნამდვილისაგან ძნელად გასარჩევ ასლს, და წოდების მაძიებელსაც ყველა გზა ხსნილი აქვს მარაქაში გასარევად. „საბუთს სჭირდებოდა საბუთი, პირველი უნდა განმტკიცებულყო, დადასტურებულიყო მეორით, მესამე – პირველითაც, მეორითაც და ასე – დაუსრულებლად. ამიტომ თბილისის საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორიდან დაბადების ცნობებსაც აკეთებდნენ, ამონაწერებსაც – სამეგრელოს მთავრის გასავლის წიგნებიდან, საგუბერნიო არქივიდან, მოკლედ, ყველა იმ დოკუმენტს, რაც სჭირდებოდა ამა თუ იმ პიროვნებას წოდებრივად გასაბრწყინებლად, თანაც ყველაფერი შესაშური სიზუსტით ჰგავდა ნამდვილს“, – ამ რამდენიმე წინადადებით ავტორი მკაფიო წარმოდგენას გვიქმნის, თუ რამდენად „ნათელი“ იყო საქმე, რომლისთვისაც ამორდიამ თავი გადადო.

ამორდიას აფიორა ზუსტადაა გათვლილი. ის არწმუნებს წოდების მაძიებელს, რომ იგი სინამდვილეში აზნაური (თავადი) გახლავს. მისი წოდებრივი უფლებების დამამტკიცებელი საბუთები საუკუნეების მანძილზე დაკარგული იყო, ახლა ეს სიგელ-გუჯრები არქივში აღმოჩნდა და კანონიერი უფლებების აღსადგენად მათთვის ახალი სიცოცხლის მინიჭებაა საჭირო. დოკუმენტების გაუჩინარების მიზეზი? მთავრებს – ლევან და დავით დადიანებს – არ სურდათ მისი წოდებრივი მდგომარეობის გამხელა და ისიც სრულიად უსამართლოდ იჩაგრებოდა. და გადადიოდა გლეხთა „ბრწყინვალეების“ დამადასტურებელი დოკუმენტაცია ინსტანციიდან ინსტანციაში: მთავრის გასავლის წიგნიდან – მმართველობის საბჭოში, აქედან – თავადაზნაურთა საკრებულოში, ბოლოს – სენატში. ასობით ბოგანო იმტკიცებდა აზნაურობას მაშინ, როცა დავით დადიანის მთავრად ყოფნის დროს მხოლოდ სამი – სამად სამი – კაცი გამხდარა აზნაურობის ღირსი.

ამორდია ყალბი საბუთების შედგენის დიდოსტატი იყო. მისი შექმნილი ასლი ზედმინეწით ჰგავდა პირველბირს, „უსამართლოდ დაჩაგრულნი“ უშურველად გასცემდნენ გასაცემს და ამორდიაც უხვად იხვეჭდა მოსახვეჭელს.

საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ ხშირ შემთხვევაში ნამდვილი თავადებიც ყალბი საბუთებით აღწევდნენ თავიანთი წოდების აღიარებას, რადგან მათი სოციალური წარმომავლობის დამადასტურებელი სიგელი დაკარგული იყო.

რატომ ვერ ამჩნევდა მთავრობა გვარიშვილობის საოცრად ხვავრიელ თოვას? მოვუსმინოთ ელგუჯა თავებ-



რიძეს: „დამპყრობელი რუსი ასე უფრო იბატონებდა, ქვეყნის პატრონ თავადაზნაურობაში სხვები შეეეროდნენ, უიდეალო ხალხით გაივსებოდა ეს წოდება და უჯობდა, რა თქმა უნდა“. და თუ ეს ასე იყო, რატომ გაამუღავნეს, სააშკარაოზე რატომღა გამოიტანეს ამორდიას საქმე? ისევ ავტორს დავუთმობ სიტყვა: „ესეც ფანდი გახლდათ. ამ ამბების მერე ნამდვილი თავადაზნაურობა შეურაცხყოფილი, ჩირქმოცხებული, მის რიგებში ვიგინდარებშერეული რჩებოდა, რაც, ასევე, მიზანი და ოცნება გახლდათ დამპყრობლისა“.

საარქივო მასალებზე დაყრდნობით ავტორი მრავალი გვარის „აღზევების“ ფაქტს ამბუერებს. საყურადღებოა, რომ მას სრულიად ძალდაუტანებლად მიჰყავს მკითხველი მთელი ამ „ამაღლების“ პაროდული ბუნების შეცნობამდე: თუ წინათ გვარიშვილობას გმირობით, ვაჟკაცობით, თავგანწირვით მოიპოვებდნენ, ახლა მას ყალბაბანდობით, თაღლითობით, სიყალბით შოულობდნენ, სულაც ყიდულობდნენ და, რაც მთავარია, განსხვავებით წინაპრებისაგან, რომლებსთვისაც წოდება ღირსების, კაცურკაცობის, ზნეობრიობის დასტური გახლდათ, ახლამომცხვართათვის უშნო ყელყელაობის, აზავთების, აცუნდრუკების საფუძველი იყო და სხვა არაფერი.

ზემოთქმულის დასადასტურებლად ნიკოია ტასკოიას ძე შენგელიას ყოყორობის გახსენებაც კმარა. ნაწარმოების მიხედვით, იგი იარაღში ჩამჯდარი დადიოდა სოფლიდან სოფელში, შედიოდა დუქნებში, ჭამდა, სვამდა, დროს ატარებდა, მერე ვინმეს აუშარდებოდა და ყვიროდა: „აზნაური ვარ, ყაზახი არ გეგონოთ!“ – თანაც ერთდროულად სამი დამბაჩიდან ისროდა. ბევრი დაუჭრია, მოუკლავს კიდევ. „თანამეინახენი მაგიდის ქვეშ ძვრებოდნენ, მედუქნე და მიმტანები იმალებოდნენ, ეს კი ისროდა და, სამივე დამბაჩას რომ დაცლიდა, გინებას მოუმატებდა, გამოვიდოდა გარეთ, ცხენს მოახტებოდა, ისევ დაქადნებით დაიყვირებდა: „აზნაური ვარ, ყაზახი არ გეგონოთ!“

სხვა შემთხვევაში აზნაურობისაკენ სწრაფვას ჯიბრი, კუდაბზიკობა, ამპარტავნობა „წარმართავდა“. ჭაქვინჯელ თეოფანე ხუბულავას იმიტომ გაუღია ხარჯი აზნაურობის მისაღებად, რომ მისი მშვენიერი ქალიშვილი ცირა ერთ აზნაურიშვილს დაუნუნებია: „ულამაზესია, მზითიეიც აქვს, მაგრამ ჩიჩუამ სახლში ხუბულავა როგორ შეიყვანო“.

ასე ავსებდნენ ჭეშმარიტ წარჩინებულთა რიგებს ამორდიას აზნაურები, სუტკნიაზები: ფულარიები და მანჯგალაძეები, ადონაიები და ადამიები, ჩაჩიბაიები და კარტოზიები, გაბუნები და ანთელავები, გერსამიები და ნორაკიძეები, ფვანიები და ხორავები, როდონაიები და ესაკიები...

რომანში საგანგებოდაა გამოკვეთილი გვარიშვილობისაკენ სწრაფვის – ამ უცნაური მარათონის – პარადოქსული ფინალი: როცა დროება შეიცვალა, როცა ბოლშევიკებმა წარჩინებულთა დევნა-შევიწროება, მეტიც, განადგურება, დაიწყეს, ბევრს აღარც კი სურდა გაემხილა, მაძიებელი თუ



იყო. იმ კაცის შვილი, რომელიც სულ რაღაც 20-25 წლის წინათ აზნაურობას ეძებდა და ნუხდა, რომ მიზანს ვერ მიაღწინა, ახლა იმით ხარობდა, რომ თავის დროზე მამამ საწადელი ვერ აისრულა და ამით იგი დამოკლეს მახვილს აარიდა.

თავადაზნაურთა მასობრივი რეპრესიები რომ დაიწყო, „მძიებელ აზნაურად შერაცხულმა გლეხმა იმის გარკვევა მოისურვა, მართლა გახდა თუ არა მამამისი აზნაური. შეიტყო, რომ ეძებდა, მაგრამ ვერ გახდა, არავინ გააზნაურა ყაზახი და გაეხარდა არა იმიტომ, რომ სიმართლემ გაიმარჯვა. არა, საკუთარი თავი ახლა ბოლშევიკთა კლანჭებისაგან უნდოდა დაეხსნა – თავადაზნაურობას, როგორც კლასს, რომ ანადგურებთ, მე არ გახლავართ მასეთი, გლეხი ვარ და მხარს გიჭერთ, თანაგვირძნობით მათს ხოცვა-ჟლეტაში. ასე იცვლებოდა დროება. ესეც აირევი ივერია გახლავთ“.

ელგუჯა თავბერიძე უხვად გვთავაზობს ამონაწერებს საარქივო მასალებიდან, სასამართლოს ოქმებიდან. ამ შემთხვევაში იგი ფაქტობრივი მასალისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულებით, ლამის პედანტიური ერთგულებით იპყრობს ყურადღებას. მაგრამ მშრალი ინფორმაციული მასალა, რაგინდ ზუსტიც უნდა იყოს, მთავარი პერსონაჟის ათასგვარი ოინბაზობისა და ყალბაბანდობის ამსახველი ეპიზოდების გარეშე ძალზე მოსაწყენი იქნებოდა. ავტორის მხატვრული აზროვნების უნარი ყველაზე ხელშესახებად სწორედ ამ სფეროში წარმოჩნდება.

ელგუჯა თავბერიძე ძალზე შთამბეჭდავად აცოცხლებს სოლომონ აშორდიას ცხოვრების არაერთ ეპიზოდს. დაუვინყარია მის მიერ ზუგდიდის მაზრაში მდებარე სოფელ აბასთუმნის გაყიდვის ისტორია.

როგორც ავტორი მოგვითხრობს, ვილაც ფრანგ (თუ გერმანელ) ფრანგ პროტყერს საქართველოში კურორტის შექმნა მოუსურვებია. სოლომონს საბუთები შეუდგენია და პროტყერისათვის ვითომც კურორტი აბასთუმანი, სინამდვილეში კი სამეგრელოს ერთი ჩვეულებრივი სოფელი მიუყიდა. „სოლომონ აშორდიამ დაახლოებით იგივე გააკეთა, მაჭანკალი რომ სხვას ანახებდა სასიძოს საპატარძლოდ, მერე სხვას შეაჩეჩებდა“, – ირონიულად დასძენს ელგუჯა თავბერიძე. არანაკლებ სერიოზული აფიორა გაუთამაშნია გვანჩის ძეს ალექსანდროვის ბალთან დაკავშირებით.

ვილაც სომეხს ამ ბალის ყიდვა მოუგუნებებია. დადიოდა თურმე და გეგმებს აწყობდა, ეს რომ ჩემი იყოს, სამოთხეს დავამსგავსებდი, აქ სამიკიტნოს გავხსნიდი, იქ – ფართლეულის მაღაზიას, აქ – გასართობებს, იქ კიდევ – ბანქოს სათამაშოსო. „ქართველებს ვინ მისცა შნო და ლაზათი, რა ბალს აცდენენ ტყუილუბრალოდ, რა ადგილს... ვაი, ვაი... ეს რომ ჩემი იყოს...“

სომხის „ვაი-ვაის“ აშორდიას ყურამდე მიუღწევია. მას თავი ამ ბალის პატრონად გაუსაღებია, სომხისთვის მისი კუთვნილების ყალბი საბუთები შეუჩეჩებია ისე, რომ თავისი გვარი არსად მიუთითებია, ოთხმოცი ათასი მანეთი ჩაუჯიბავს და გამქრალა.

„სამ წელიწადზე მეტხანს დადიოდა თურმე ის ვაჭარი თბილისის მმართველობაში, ამა და ამ კაცმა ალექსანდროვის ბალი მომყიდა და მიშველეთ რამეო. ასახელებდა არარსებული კაცის გვარსა და სახელს, ითხოვდა სამართალს, ცდილობდა, ფულის ნაწილი მაინც დაებრუნებინა, მაგრამ ამაოდ“, ვკითხულობთ ნაწარმოებში.

ასევე ორგანულადაა ჩართული რომანში არაერთი ანეგდოტური ამბავი, რომლებიც აშორდიას მიეწერება, თუმცა სინამდვილეში, შესაძლოა, არც იყოს მასთან დაკავშირებული. ერთი მათგანი სუფრაზე მიხატული ასმანეთიანის შესახებ მოგვითხრობს.

ამფსონებთან ერთად აშორდია ერთ რესტორანში შესულა. დილით დამსხდარნი, მეორე დღის ალიონამდე უსხდნენ თურმე მაგიდას. უსაზღვროდ უსვამთ და უჭამიანთ. ნასვლისას აშორდიას მიმტანისათვის უთქვამს: მაგიდაზე დავდე ასმანეთიანი, მაგდენი არ გეკუთვნით, მაგრამ ფეშქაში იყოსო. „მიმტანი თავქუდმოგლეჯილი შევარდა იმ ოთახში, სადაც აშორდია და მისი ძმაკაცები ქეიფობდნენ. მაგიდაზე დადებულ ასმანეთიანს ეცა, დაავლო ხელი, მაგრამ ვერ აიღო. მომუჭა, სუფრა მოჰყვა ხელში, ერთხელ გაიმეორა, მეორედ, და მიხვდა, დახატული იყო ასმანეთიანი. შორიდან ასმანეთიანი იყო, ნაღდი და შეურყენელი, ახლოდანაც ვერაფერს იგუშანებდი, ნამდვილი იყო, ნამდვილზე ნამდვილიც. ამიტომ დასტაცა ხელი, მაგრამ ვერ აიღო. მერე მიხვდა, რამიც იყო საქმე“, – გვიამბობს ავტორი და ამატებს: ვილაც ფრანგ მხატვარს გაუკეთებია მსგავსი რამ, ამიტომ, საფიქრალია, რომ ეს აფიორა სოლომონს მოგვიანებით მიანწერეს. იმდენად კარგად შეეძლო ნამდვილისათვის ყალბის მიმგვანება, რომ ფრანგზე ვაგონილი მასზე გადაიტანესო.

არანაკლებ მიმზიდველად მოგვითხრობს ავტორი აშორდიას მიერ საქართველოს ფარგლებს გარეთ დატრიალებული მაქინაციების შესახებ. მკითხველი ხდება მოწმე იმისა, თუ როგორ დაუმტკიცა სოლომონმა უშვილძიროდ გადაგებული ბაქოელი ბენდიანის ქონება მის ვითომც მემკვიდრეს, როგორ გაიტანა რუსეთ-ჩინეთის ბანკის ვლადივოსტოკის განყოფილებიდან 110 ათასი მანეთი სამი დღის განმავლობაში; როგორ დაწერა ბაქოს ციხეში საკუთარი გათავისუფლების ბრძანება და, გარეთ გასული, როგორ დაემუქრა ზედამხედველს, ამ ამბავს (ჩემი უდანაშაულოდ დაჭერას) გაუსაჩივრებლად არ დავტოვებო...

წიგნს მაგისტრალურ ხაზად გასდევს დიდი ადამიანური ტკივილი აშორდიასა და მისნაირთა აღწევების გამო. „აშორდიასთან“ „აიდროშას“ დაკავშირებას ავტორი ეპოქის სულის ანარეკლად მიიჩნევს და მკითხველსაც ღრმად მსჭვალავს იმაზე ფიქრით, „როგორი დროა აზიდულიყო ფარზე, რა დროება ჩამომდგარიყო მისი ნამოქმედართი გაუბედურებული ივერიის მიწაზე“.

აშორდია არეულმა ივერიამ შვა, მანაც „ივერია არია, ააყირავა. მის საქმეებს მიესადაგა ამ სანეტარო სიტყვის უკუღმა ნაკითხვა: აირევი ივერია“.

ელგუჯა თავბერიძის „აირევი ივერია“ ქართული მწერლობის საყურადღებო შენაძენია, მისი სახით მკითხველის თაროს ერთი კარგი წიგნი შეემატა, მის გონებაში ღრმად აღბეჭდილ საყოველთაოდ ცნობილ პერსონაჟთა – კვაჭი კვაჭანტირაძისა და ყვარყვარე თუთაბერის – რიგებს კი სოლომონ აშორდიაც შეუერთდა. ამიერიდან აშორდიობა, ისევე, როგორც კვაჭობა და ყვარყვარეობა, ზოგად ცნებად გაიზრება, მისი არსი კი – ეროვნული ორგანიზმის დამანყლულებელ სენად, რომელიც მხოლოდ წარსულის კუთვნილება არ არის, ცელს დღესაც გამალებით იქნევს და, სამწუხაროდ, მომავლისთვისაც საკმაოდ ვრცელ ასპარეზს ეძიებს.

თეიმურაზ დოიაშვილი

# ეს არ არის საქართველო!

\*

**ციკლიდან  
„გალაკტიონი და ილია“**

ძნელია ზუსტად თქმა, როდის დაიწერა გალაკტიონის ეს უსათაურო, დღეს უკვე გახმაურებული ლექსი. პოეტის სიცოცხლეში იგი არ დაბეჭდილა:

**რა მასზე გულდამწყვეტი,  
მეტეხო და დიღმის ველო,  
მიდიოდე და ჰფიქრობდე:  
ეს არ არის საქართველო!**

**არის ხლართი რკინისგზების,  
არის ავტო-მოტო-ველო,  
არის ოჯახებიც, მაგრამ  
ეს არ არის საქართველო!**

ლექსის შინაარსობრივი რეაქციები სოციალისტურ სინამდვილესთან კონტაქტის გამოცდილებას მონიშნავს, ეს უცნაურად გრძელი ნეოლოგიზმი – ავტო-მოტო-ველო კი თითქმის უტყუარად მიანიშნებს დროს – 30-იანი წლების მიწურულს. სწორედ 1940 წელს გამოვიდა გალაკტიონის თხზულებათა მესამე ტომი, სადაც პირველად დაიბეჭდა ლექსი სათაურით „ავტო-მოტო-ველო“.

„არის... არის... არის, მამბრამ... არ არის!“ – მაინც რამ დაბადა ეს პარადოქსული ლოგიკა? საქართველოში საქართველო აღარ იყო?! განა ათიოდე წლის წინ თავისუფლება-ახდილ სამშობლოში ეპოქას და რევოლუციურ საქართველოს არ უმღეროდა – პათოსით, ხმამალლა! – „ეპოქისა“ და „რევოლუციონური საქართველოს“ ავტორი:

**რევოლუციონურს, ჯერ არნახულს, ჯერ  
არგაგონილს,  
ვაშა, ამ ახალ საქართველოს, ვაშა შენებას!**

ვაშას გრიგალს თითქოს სამუდამოდ ჩაეხშო სასონარკვეთილის ძახილი:

**დაკარგულია გზა მოხვევისი...  
ბნელდება. ღამე. მიეშველენით.**

თებერვლის სისხლიანმა თოვლმა გზა კი არა, ლელთ ლუნის საცალფეხო ბილიკიც გადაფარა – ისტორიის განაჩენს ჰგავდა ბედითი კითხვის პასუხი:

**„დაკარგულია?“ – მივმართავ ტყეებს,  
და ტყე გუგუნებს: დაკარგულია...“**

ამის მერე იყო, „ახალი საქართველო“ რომ იპოვა თუ აპოვინეს. ახლა კი – „ეს არ არის საქართველო!“-ო... საქართველო იყო, აბა რა იყო, ოღონდ – სხვა საქართველო, – არც შავის ბედის მეტროპოლი და არც გულად-პურადი! – ძველის ნგრევითა და ახლის შენებით გარდაქმნილ-სახეცვლილი! ნგრევასაც ხომ განადიდებდა თავდავიწყებით და უკანმიუხედავად:

**ნგრევას, ო, ნგრევას, დაუნდობელ ნგრევას  
ძველისას,  
კარჩაკეტილი ცხოვრებიდან – გავიდეთ მზეზე...“**

ამ დაუნდობელ ნგრევას რალაც ისეთი წაელო თან, სოციალისტურ მზეს მიფიცხებულს რომ ველარ მიეგნო, ისაკლისებდა. „ეს არ არის საქართველო!“ – ჩასძახოდა ფხიზელი ხმა და იქნებ იმასაც მოაგონებდა, რომ „იმ“ საქართველოს გაუჩინარებაში, სურდა თუ არა, მასაც ედო წილი...

\*\*\*

შეიძლება გულწრფელიც იყო: მოსწონდა, როგორ „მოიფინა მხარე რკინისგზების ქსელით“, ესმოდა „რკინისგზების მუსიკა“, „რკინისგზების რიტმი“, ეპოქის რიტმად რომ გამოაცხადა:

**მიჰყევ, გაუგონე ბორბლებს სიარული,  
არის საუკუნე ინდუსტრიალური!**

არც გლეხი და სოფელი დაეინყებია – ეტიუდი მიუძღვნა „თანამედროვეობის კოლექტიურ ხელებს“, კოლმეურნის შრომასაც მოუხსინჯა რიტმი და ბგერა:

**მხარი მხარს, მხარი მხარს,  
კოლექტივო, მხარი მხარს,  
აბა ჰე, აბა ჰე,  
აბა მივცეთ მხარი მხარს!**

ეს ავტო-მოტო-ველო ხომ პირდაპირ ეპოქის სიმბოლოდ აქცია, რომელმაც სამუდამოდ მოიტოვა უკან „ძველი ცხოვრება და იდილია“: „სიმბოლოა თითქო / ავტო-მოტო-ველო“. ხუთწლედების ტემპით თავბრუდახვეულმა ისტორიასაც მოუღერა მუშტი:

**ააყირავეს ეს წელი ათი  
ათიათასი წლის ისტორიას!**

ააყირავებით კი, მართლაც, ააყირავეს ისტორია, მაგრამ... დასაფიქრებლად ვის ეცალა?! მთავარი იყო, „ხე-

ლოვნებათა არმიას“ ეპოქის გვერდით ევლო იმ რწმენით, რომ:

**თუ დღეს რამ არის გაუგებარი,  
ხვალ ნათელივით იქნება ცხადი.**

ეს „ხვალ“ უკვე დამდგარიყო, შედეგი გაცხადებულიყო და ჯიუტი შეუპოვრობით ჩასძახოდა:

**ეს არ არის საქართველო!  
ეს არ არის საქართველო!  
ეს არ არის საქართველო!**

\*\*\*

ქართული ანდაზა გვიჩვენებს: „ნუ დაჰკარგავ ძველსა გზასაო...“

რკინიგზებისა და ავტო-მოტოს მეტრფე ახლა ძველ გზას მიჰბრუნებოდა, მეტეხი და დიღმის ველი გაეხადა დაფარულ ფიქრთა მოზიარედ.

ლეონტი მროველის გადმოცემით, დიღმის ველიდან იწყება მეფე ფარნავაზის საქმენი საგმირონი, ქართლის მტერთაგან გამოსხნა და აღდგინება:

„განვიდა ფარნავაზ და ნადირობდა მარტო, და დევნა უყო ირემთა ველსა დიღომისასა... მაშინ დაასხა წვიმა მძაფრი. ხოლო ფარნავაზ... გამოარღვია კარი ქუაბისა მის. რათამცა მუნ შიგა დაიმშრალა წვიმისა მისგან... და იხილა მუნ-შინა განძი მიუწდომელი...“

რას ვაგრძელებდე, მუხრანისა არ იყოს, „განძი რომ არა დიღმისა, – ვერაფრით ქართლს ვერ იხსნიდა“ ის ფარნავაზი, ვინც „ქმნა ერთ-მთავრობა“, ერს ერთობა დაუშკვიდრა და მისი წესი და ძალა აგრძნობინა.

მეტეხი!

მეტეხი გალაკტიონის პოეზიის თანამდევი ხატი იყო ადრიდანვე: ჯერ რომანტიკული სიზმარეთიდან გამოსხობილი, მთვარით განათებული და თეთრად მოელვარე, მერე მკაცრი – „რუხი, პიტალო“. ავტო-მოტო-ველოს, გინდაც ზაჰესის საპირისპიროდ, მეტეხი, ციხე და ტაძარი, ისტორიული საქართველოს სიმბოლოდ ჩანდა, წარსულის შარავანდი ადგა:

**რომ მოსაგონრად წარსული დროის  
მარტო მეტეხის კამარა კმარა.**

მაგრამ დრონი იცვალნენ, ისტორიულ მესხიერებასთან კავშირი განყდა და მეტეხიც თანამედროვეობის უტყვ რეკვიზიტად, პასიურ მონმედ იქცა:

**გამარჯვების მონმე არის –  
მონმე ჩვენი ახალ ხანის.**

ახალი ცხოვრების განთიადი „ანყდება ძველი თბილისის კარებს“ – „მეტეხს იქით ცა, აჰა, ნათდება!“ და პოეტიც ისე შეჰხარის ყველაფერს, თითქოს ილიას ნაოცნებარ, თავისუფალ საქართველოში გამოიღვიძა:

**მოსვენებისგან ეხლა რას ელი,  
სამარადისო რას მოგცემს ძილი?  
ახალი დროის დასაწყისია,  
ყოველმხრიდან – ხმა, ყველგან – ძახილი!**

„ეგ არის და გორის ციხე!“ – ილიას მკვლევებს თურმე ილიას ოცნებისათვის შეესხათ ხორცი: „ყოველმხრიდან – ხმა, ყველგან – ძახილი!“

გალაკტიონი არ ცხრებოდა:

**თანდათან,  
თანდათან,  
თანდათან  
ახალი საქართველო შენდება!**

კომუნისტურად სუვერენული, სოციალისტური რესპუბლიკა შენდებოდა – არა, ეს არ იყო ილიას საქართველო!

\*\*\*

უცნაურია, თითქოს ყველაფრის არსებობას აღიარებდა: მეტეხი ისევ იდგა და დიღმის ველს ჯერაც თავისი სახელი ერქვა, რკინიგზების ხლართი და ავტო-მოტო-ველო ხომ მჩქეფარე ეპოქაზე ლაღადებდა! მაგრამ...

ეს „მაგრამ“, უფრო ზუსტად, „**არის, მაგრამ**“ ძალიან დამაფიქრებელია. რაღაც მთავარს, მიზეზს არ გვიმხელს გალაკტიონი, ტექსტში არ განფენს, მხოლოდ მიგვანიშნებს...

გალაკტიონს აქვს ასეთი სტრიქონი:

**სული ჩვენი ოჯახის იყო დიდი ილია...**

სწორედ ილიას ფიქრი და ტკივილი ტრიალებს გალაკტიონის საანალიზო ლექსში, ილიას ინტონაცია და მცირედ შეცვლილი ფორმულა უნდა ამოიცნოს ლექსის ადრესატმა – „ქვეყნის უბედურებით გულალტკინებულმა“ ქართველმა:

**„არიან თავადნი, აზნაურნი, მღვდელნი, ვაჭარნი, გლეხნი, ჩინიანნი და უჩინონი – ყველანი არიან, და ქართველი კი არსად არის.“**

გეცნოთ ალბათ. „ზოგიერთი რამ“ ჰქვია წერილს, საიდანაც ეს სიტყვები ამოვწერე, თუმცა ზოგიერთ რამეზე კი არა, ქართველებისა და საქართველოს უბედურებადქცეულ, დღემდე განუკურნელ სენზე ლაპარაკობს ილია. ასე იყო და ასე არის: არსებობს „ეს ჩვენი დედაქალაქი და ეს შავი ზღვიდამ კასპიის ზღვამდე გუნდ-გუნდად მორიგებული მისი შვილები – სოფლები“, მაგრამ არა გვაქვს საქართველო, „ქართველი კი არსად არის“, რადგან „აქ არვის – დიდსა თუ პატარასა – /ქვეყნის ტკივილით არ სტკივა გული“, ერი და ბერი, საპირადოს გადაყოლილნი, თავის ნაჭუჭში ჩამყუდროებულან. მწარე განცდით, არაერთგზის, დაჟინებით იმეორებს ილია:

**– ნუთუ ესენი ქართველი არიან?  
– ნუთუ ეგ თვითოეული ქართველი ჰგონია ვისმე?**

## ილიას გზით

ის, რაც გალაკტიონის ლექსში, მიზეზთა გამო, მხოლოდ მინიშნებულია ილიასეული პარადოქსის გამოყენებით, ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტურ შედეგში მამულიშვილის გულით არის ნაგრძნობი და ბასრი გონებით განჩხრეკილი. გალაკტიონი ალუზიის ხერხით შეტყობინებას გვიგზავნის, მისამართს გვანვდის, სად უნდა ამოვიკითხოთ მთავარი სათქმელი, პარადოქსის დაფარული შინაარსი:

**„სადღაა მამული?... დავაქციეთ ჩვენი დიდი ერთიანი სამშობლო ოჯახი... თვითუღმან ჩვენგანმან თავისი ხვედრი, დიდის „მამულის“ ნაშთი თავთავად შემოიღობა; იმ შემოღობილში თვითუღმან ჩვენგანმან თავისი საკუთარი ქვეყანა აიშენა“... „ვაი იმ ხალხს, რომელსაც საერთო ძარღვი გაუნყდა; ვაი იმ ქვეყანას, საცა საერთო ძარღვში სისხლი გაშრა, საცა ყველაში თითო არ არის და თითოში – ყველა“...**

თუ ილია „საყოველთაო საქართველოს“ იდეის არარსებობას, ქართველთა გათითოვებას დასტიროდა („საერთო ლხინი მაჩვენეთ, საერთო ჭირი მაინცა, მაგრამ სად არის“), გალაკტიონის მიერ აქტიურად ხოტბაშესხმულ ეპოქას ძველ სატიკვარზე ახალი ჭირი დაესართებინა – ინტერნაციონალიზმის იდეა, რომელიც „ახალი გზით გაერთიანებულ“ ქართველობას ეროვნულ ერთობაზე ფიქრსაც კი უკრძალავდა. თანაც ველიკორუსულად გაგებული ინტერნაციონალიზმი მხოლოდ იდეა ხომ არ იყო, ეს სვავის საქმეცქეული „თეორია“ გახლდათ, სხვადასხვა გვარტომის ხალხს საქართველოსკენ დაუბრკოლებლად რომ უხსნიდა გზას.

დაბნეული ქართველობის თვალწინ ქრებოდა ისტორია ანუ, ილიასებურად, ერის გათახსირება დანყებულისყო, „ინდუსტრიულურ აბობოქრებას“ კი, – გალაკტიონისებურადაც ვთქვათ, – სხვა ხალხის ჟრიაბული მოჰყოლოდა.

გალაკტიონის ლექსის ჩანაფიქრი სისავსითა და სიღრმით მხოლოდ ილიას ტექსტთან მიმართებაში იკითხება. მეტიც, ილიას წერილის გაუთვალისწინებლად მიუგნებელი რჩება პარადოქსის არსი, მასშტაბი იმ სათქმელისა, რაც ამ, ერთი შეხედვით, მარტივ, სადა ლექსშია ჩადებული.

\*\*\*

საქართველოში საქართველოს გაუჩინარება გალაკტიონმა ჩუმად გამოიტირა, ტკივილი უჯრაში გამოკეტა, საჯაროდ კი... ილიას ნანდერძევე, ეპოქალურ სიტყვებს მოუწყინრად, სხვადასხვა ვარიაციით ატრიალებდა, – ვერ დავწერე „აყალბებდა“:

**დღეს თავის თავს მთლად ეყუდნის საქართველოს მთა და ბარი.**

ან უფრო დინჯად, დარბაისლურად, დიდაქტიკურად:

**ახალგაზრდებო! ჩვენი თავი ჩვენვე გვეყუდნის!**

სიცოცხლის მიწურულს პირდაპირ ლელთ ღუნია გამოიხმო, ილიას მოხვევს ათქმევინა არსათქმელი:

**– მოხვევ! გახედე ჩვენს იმერ-ამიერს; ეყუდნის თავის თავს? – ცხადია, ეყუდნის.**

გალაკტიონის ინტონირების ნიუანსებში გარკვეულებმა, შესაძლოა, აქ ირონიის კვალი აღმოვაჩინოთ, ცხოვრების ტრაგიკული ირონია კი იმით გამოიხატა, რომ „მშობლიური ეფემერას“ ავტორმა სწორედ ამ „თავისუფალ“ საქართველოში აღარ ისურვა სიცოცხლის გაგრძელება.

სიმართლე კვლავაც არქივში ჩარჩენილმა სტრიქონებმა შემოგვინახა:

**ჩვენვე ჩვენი თავი აღარ გვეყუდნის. სული გვეხუთების, სუნთქვა გვეხუთების!**

**P.S.**

„ეს არ არის საქართველო!“ – სთქვი შენ და მე გავიგონე. დღეისდღის საქართველო კი არის საქართველო?! „ჩემო საყვარელო მინა-წყალო, მომეც ამის პასუხი“.

## ქრონიკა

ყოველ 23 აპრილს ბარსელონელები ტრადიციულად, თავიანთი მფარველის – წმინდა ჰორტის პატივსაცემად მართავენ ამ უჩვეულო გაცვლას – წმინდანსაც ეამება და მკითხველთა წრესაც ზრდის.

მრავალწლიანი ტრადიციის მიხედვით, საქმრო საცოლეს სთავაზობდა, ვარდი წიგნში ვაეცვალა, თუმცა დროთა განმავლობაში ეს წეს-ჩვეულება პირვანდელ ჩარჩოს გასცდა და მამებმა და შვილებმაც, უფროსებმა და ქვეშევრდომებმაც, და-ძმებმაც დაიწყეს გაცვლა. როგორც ყოველთვის წელსაც გაცვლის მსურველთა მთელი არმია შეიყარა, რომელსაც დაინტერესებული ტურისტებიც შეუერთდნენ. ისინი ინტერესით უსმენდნენ ლეგენდას წმინდა ჰორტის – მამაცი რაინდის შესახებ, რომელ-

მაც დრაკონი დაამარცხა და გაათავისუფლა პრინცესა. ამ ლეგენდის თანახმად, იქ, სადაც დაიქცა დრაკონის სისხლი, ვარდის ბუჩქი ამოვიდა, რომელიც სიყვარულისა და მეგობრობის სიმბოლოს განსახიერებაა.

წმინდა ჰორტის დღე ადგილობრივ საზღვრებს უფრო და უფრო სცილდება. ამჟამად ის კიდევ ერთი გზა კატალონიური კულტურის პროპაგანდისა მთელ მსოფლიოში და აღინიშნება რიგ დედაქალაქებში – ვაშინგტონში, ნიუ-იორკში, ამსტერდამში, ბერლინსა და პარიზში.

ესპანეთში წმინდა ჰორტის დღესასწაული წიგნის დღეს ემთხვევა, რომელიც მიგელ დე სერვანტესის გარდაცვალების წლისთავზე აღინიშნება ხოლმე.

თამაზ ლეყავა

# ერთიანი ქართული თვითშეგნება და ივანე მარბიანი

**„წმიდაო მთავარანგელოზო მუხერისაო... ადიდენ მეფენი ბაგრატოანნი, დადიანნი და დიდებულნი და ერთობილი საქართველო და ერთობილი სანროვნებებმა, რომელთა მოღვაწეობის გახსენება სასიკეთოდ წაადგება ქვეყანას.“**

*(წარწერა სოფელ ლაპილის წმიდა გიორგის ეკლესიის მიქაელ მთავარანგელოზის ხატზე, XIII-XIV ს.)*

საყოველთაოდ ცნობილია ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის როლი საქართველოში ერთიანი ქართული ცნობიერების დამკვიდრებასა და განმტკიცებაში. ამ დიდ ეროვნულ საქმეში თავიანთი წვლილი შეიტანეს პიროვნებებმა, რომელთა მოღვაწეობის გახსენება სასიკეთოდ წაადგება ქვეყანას.

ძალისხმევა ერთიანი ქართული თვითშეგნების დამკვიდრებისათვის განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს საქართველოს დღევანდელი პოლიტიკური ვითარების გამო (რ. გუჯეჯიანი „საპატრიარქოს უწყებანი“ 2006, 23, 24; „თეოლოგიის კათედრა 5 წლისა“, სამეცნიერო კონფერენციის მასალათა კრებული, 2007).

ლაშხეთის (ქვემო სვანეთის) და ცაგერის ოლქის კეთილმოწესის (ბლალორინის) ივანე მარგიანის ცხოვრება და მის მიერ ქართულ ჟურნალ-გაზეთებში 1891-1904 და 1911-12 წლებში გამოქვეყნებული წერილები ნათლად გვიჩვენებს, რომ მას ღრმად ჰქონდა გაცნობიერებული სვანეთში მოღვაწე სულიერი მამების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მისია – სვანური და ქართული ენების, სვანების და ქართველების გვარტომობის ერთიანობის მყარი საფუძვლის შექმნა „ერთობილი საქართველოს“ განმტკიცებისათვის. ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ თემასთან დაკავშირებით ივანე მარგიანის წვლილის შესახებ აღნიშნულია გ. ავალიანის, გ. ზურაბიანის („ეთნოგრაფიული წერილები სვანეთზე“, 1973) და გ. გასვიანის („ცისკარი“, 1999, 11-12) წერილებში, ხოლო განსაკუთრებით ფართოდ გაშუქდა იგი რ. გუჯეჯიანის ზემოთ ციტირებულ პუბლიკაციებში.

ივანე მარგიანს კარგად ჰქონდა შეგნებული, რომ სვანი მოსახლეობის ერთიანი ქართული ცნობიერების შენარჩუნება-განმტკიცებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა სვანეთის სკოლებში ქართული ენის სწავლებას.

ჯერ კიდევ 19 წლის ჭაბუკი 1891 წელს გაზეთ „ივერია“-ს სვანეთიდან სიხარულით ატყობინებს: „ამჟამად ჩვენში ერთი დიდად სასიამოვნო ამბავი მოხდა: აქ დაარსდა ორკლასიანი სასწავლებელი. ეს სასწავლებელი თავისი ხარჯით ააშენა მულახის საზოგადოებამ!... მონაფეების რიცხვი თითქმის სამოცს აღემატოს“ – განაგრძობს ავტორი და სინანულით აღნიშნავს, რომ ყმანვილებს ქართულ ენას არ ასწავლიანო. „დიდს მადლობას ვუძღვნით იმათ, ვინც ჩვენი სასწავლებლის დაარსებისათვის იზრუნა. უფრო დიდ მადლობას იმას ვუძღვნით, ვინც, ჯერ ერთი ქართულის ენის სწავლას არ მოგვაკლებს და მეორე, გზების გაკეთებას იკისრებს“.

გაზეთ „ცნობის ფურცელი“-ს 1903 წლის 8 იანვრის ნომერში ანონიმური ავტორი, რომლის იდენტურობა მამა იოანე მარგიანთან ეჭვს არ იწვევს, ვკითხულობთ: „მთელს სადადიანო სვანეთში (იგივე ქვემო სვანეთი) ერთის სკოლის მეტი არა აქვს საეპარქიო საბჭოს. დირექციას კი აქვს ორი სკოლა, მაგრამ რად გინდა, ქართულს არ ასწავლიან, თუმცა იგი ყველასათვის საჭიროა, რადგან აქეთ ქართული ყველამ იცის. არავინ არ გამოჩენილა იმისთანა კაცი, რომ ხალხს აუხსნას საქმის გარემოება და კეთილის გზაზე დააყენოს! რატომ შეგნებულნი მაინც არ ზრუნავენ ხალხის ინტერესების დაცვისათვის? ეს ინტერესები ხომ მათიცაა? თუ-კი თავად-აზნაურობის ღირსების დამტკიცებისათვის, რომელსაც მათ არავინ არ წაართმევდა, ასე ბევრს ხარჯავდნენ (ბევრმა თავიც გადაადგო), ეროვნების უფლებებისათვის ორიოდე სიტყვას მაინც რატომ არ ჰხარჯავენ!“

დამეთანხმებით, ეს იყო სერიოზული გამოწვევა ან თუნდაც მოწოდება. ზემომოყვანილი კორესპონდენცია გამოქვეყნდა 1903 წლის 8 იანვარს და უკვე 28 მარტს შედგა ლემჩუშის მაზრის (რომელშიც შედიოდა ქვემო სვანეთიც) თავადაზნაურობის კრება, რომელმაც ლევან დადუშქელიანის წინადადებით აღძრა შუამდგომლობა, რომ „სვანეთს, როგორც საქართველოს ერთ მხარეს, თვით ქართველთ ტომით დასახლებულს, არ მოესპოს პირველს დასაწყის სკოლებში ქართული ენა“ („ივერია“, 1903, 10 აპრილი).

ძნელია დაბეჯითებით იმის მტკიცება, რომ თავადაზნაურთა რეაქცია უშუალოდ უკავშირდება ივ. მარგიანის 1903 წლის იანვრის კორესპონდენციას, მაგრამ ეს ფაქტი, სულ ცოტა, მიუთითებს მოსახლეობის, სასულიერო პირებისა და თავადაზნაურობის ერთიანი ქართულ თვითშეგნებაზე. ამას ადასტურებს სევერიან კეკელიძის<sup>2</sup> კორესპონდენცია „ქართული ენის გამოდევნა სვანეთის სამრევლო სკოლებიდან“, რომელსაც „ივერია“ პირველი გვერდი დაუთმო („ივერია“, 1905, 39). ჯერ კიდევ სვანეთის სამრევლო სკოლებიდან ქართულის ენის სრულ განდევნამდე აქ დაიგზავნა „для точного исполнения“ ახალი პროგრამა. ამ დოკუმენტის მიხედვით ქართულ ენას, რომელსაც ავტორის თქმით „წინედ პირველი ადგილი ეჭირა“, დათმობილი ჰქონდა მხოლოდ სამი საათი კვირაში. აღნიშნული პროგრამების ამოქმედების შემდეგ საშუალოდ სკოლებში ორი წლის განმავლობაში მოსწავლეთა რაოდენობა 35-დან 10-მდე შემცირდა. „რამდენიც გნებავთ სთხოვეთ სვანს ახლა, ბავშვი სკოლაში ატარეო,

რაც გნებავთ შეჰპირდით – აღარ დაგიჯერებს“ – დას-  
ძენს ს. კეკელიძე.

არანაკლებ ყურადღებას უთმობს ივ. მარგიანი სვანე-  
ბის ისტორიულ წარმომავლობას, სვანების და ქართვე-  
ლების ერთი გვარტომობის საკითხს.

1902 წლის ჟურნალში „მოგზაური“ (6-7) ივ. მარგიანი  
წერს, რომ XVII-XVIII საუკუნის „მწერალნი დოსითეოსი –  
იერუსალიმის პატრიარქი, შარდენი, გიულდენშტედტი,  
კლაროთი და დიუბუა დე  
მონპერე სვანებს საქართვე-  
ლოს მონათესავე ტომად აღიარებენ. უმრავლესი ნაწილი  
ახალი მწერლებისა – კი არ  
ეთანხმება ამ აზრს და არც  
მოჰყავს რაიმე მაგარი საბუ-  
თები, რომ მათი სიტყვა დამა-  
ჯერებელი იყოს... სვანური  
ენა, რომელიც პირველს გაგო-  
ნებაზედ უცხო ენად ეჩვენება  
კაცს, თითქმის ქართული ენაა.  
სამი მეოთხედი სვანური სიტ-  
ყვებისა ნამდვილი ქართული  
სიტყვებია. ამის გარდა სვა-  
ნურ სოფლებს უმეტეს ნაწი-  
ლად ქართული სახელები  
ჰქვიათ. სვანური გვარები ხომ  
სულ ქართული გვარებია. სვა-  
ნეთი სავსეა ძველებური საყ-  
დრებით, ხატებით, ტყავზე და-  
წერილი ძველი საღრმთო წიგ-  
ნებით და სხვა ძვირფასი წიგ-  
ნებით... რისთვის უნდა ეგზავ-  
ნათ სვანეთში ქართველებს ამ-  
დენი სიმდიდრე, თუკი არა  
სთვლიდნენ სვანებს თავის  
მონათესავე ხალხად?“ – კით-  
ხულობს ავტორი.

ივ. მარგიანს მტკიცედ სჯეროდა, რომ დადგებოდა  
დრო, როცა „სვანებს ყველა აღიარებს ქართველთა ნათე-  
სავის ტომად“ და თავად მტკიცედ ებრძოდა სვანების  
ქართული ეროვნული ცნობიერების წინააღმდეგ გაშლილ  
კამპანიას. 1903 წლის „ივერიაში“ გამოქვეყნებულია  
ცნობა:

„კავკასიის სამოსწავლო ოლქის სამმართველო, რო-  
გორც ჩვენს მკითხველებს მოეხსენება, ცალკე კრებუ-  
ლებს ბეჭდავს კავკასიის ხალხთა ცხოვრების შესახებ. ამ  
კრებულის X წიგნში დაბეჭდილია წერილი ბ-ნი სტოიანო-  
ვისა, რომელიც ამტკიცებს, რომ სვანურს ენას არავითარი  
დამოკიდებულება არა აქვს ქართულ ენასთანაო. ამის გა-  
მო მღვდელი ბლალოჩინი ივ. მარგიანი ჟურნალ „მოამბის“  
ივლისის წიგნში სწერს – (აქ სრულად არის გადმობეჭდი-  
ლი „მოამბიდან“ ივ. მარგიანის სტატია „ორიოდე სიტყვა  
სვანური ენის შესახებ“, რომელიც ილია ჭავჭავაძისეულ  
მძაფრ პოლემიკურ სტილშია დანერგილი – თ.ლ.). დასას-  
რულ მამა მარგიანს მოჰყავს ვრცელი ლექსიკონი სვანური  
სიტყვებისა, ადარებს ქართულ სახალხო და სალიტერა-

ტურო სიტყვებს და თვალსაჩინოდ ამტკიცებს, რომ ან  
სულ ერთიდაიგივე სიტყვებია, ან მცირედ შეცვლილი და  
გადასხვაფერებული, თუმცა ფესვი ერთგვარი აქვთ“.

როგორც ვხედავთ „ივერიის“ რედაქციამ იმდენად აქ-  
ტუალურად ჩათვალა „მოამბეში“ გამოქვეყნებული ივ.  
მარგიანის ხსენებული წერილი, რომ იგი სრულად გადმო-  
ბეჭდა თავისი გაზეთის ფურცლებზე.

მოვიყვან რამდენიმე ფრაგმენტს ამ წერილიდან: „იგი  
(სტოიანოვი) არ ერწმუნება  
არც ბარტლომეის, არც რად-  
დეს, არც ლოლობერიძეს, არც  
ნადეჟდინს და ამბობს: ბ. ნა-  
დეჟდინი საზოგადო ხმით და  
ბაქრაძის, ლოლობერიძის და  
მაქს მიულერის გავლენის ძა-  
ლით ჰფიქრობს, რომ „სვანური  
ენა ერთი ძირისაა ქართულ-  
თან“... თურმე სვანეთში – მუ-  
ლახელები იგივე მალროსსე-  
ბია! ბოლოს გამოვიდა რაღაც  
დომხალი, არეული, ჩარეული  
და ცხრა რჯულა. მართლაც,  
საიდან უნდა მიხვდეს კაცი  
სვანური ენის მსგავსებას ქარ-  
თულთან, როდესაც ბ-ნი სტო-  
იანოვი სიტყვებს სულ ასხვა-  
ფერებს და რაღაც სხვა ენასა  
ჰქმნის“.

სვანების და ქართველების  
ერთ გვარტომობის დასაბუთე-  
ბას ეძღვნება მამა იოანე მარ-  
გიანის შემდეგი წერილიც „რა  
ენაზე ადიდებდნენ და ადიდე-  
ბენ სვანები ღმერთს“ („ივე-  
რია“, 1904, 28). ავტორი კრი-  
ტიკის ქარცეცხლში ატარებს  
სვანების არაქართველობის

აპოლოგეტებს – „იმათ ვინც გაიძახის სვანები სულ სხვა  
ხალხიო... ნეტავ რითიმე მანაც გვიმტკიცებდნენ თავი-  
ანთ აზრსა, მაგრამ რისი აზრი, რისი დამტკიცება! აქ მხო-  
ლოდ სხვა აზრი იმალება, რომელსაც მკითხველი ადვი-  
ლად მიხვდება“ – არაორაზროვნად დასძენს ავტორი.  
სტატიის ბოლოს ივანე მარგიანს სვანური და ქართული  
სიტყვების, ღმერთის სადიდებელი გამოთქმების, საეკ-  
ლესიო დღესასწაულების მრავალი მაგალითი მოჰყავს  
ერთმანეთთან შესადარებლად, წერილს კი ამთავრებს  
ასე: „კიდევ ბევრ სიტყვას მოვიყვანდით, მაგრამ, ვგონებ,  
ესეც საკმარისია, რომ მიხვდეს კაცი, თუ რა ენაზე ადი-  
დებდნენ და ვადიდებთ ღმერთსა ჩვენ, სვანები“.

სვანების და ქართველების ერთი გვარტომობის სა-  
კითხი იმდენად მნიშვნელოვნად მიაჩნდა ივ. მარგიანს,  
რომ იმავე შინაარსის წერილის რუსული ვარიანტი პრო-  
ფესორ ალექსანდრე ხახანაშვილისათვის გაუგზავნია  
თხოვნით, რათა იგი რომელიმე რუსულ გაზეთში მოეთავ-  
სებინა (კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუ-  
ტი, აღ. ხახანაშვილის ფონდი, 525, 834).



ივანე მარგიანი მეუღლესთან,  
ვარვარა ბერიძესთან ერთად



საინტერესოა ივ. მარგიანის მოსაზრება, რომელიც მოტანილია წერილის რუსულ ვარიანტში: „... большая часть сванетских слов – чисто грузинские, а меньшая – ими (сванами) заимствована у других соседних народностей или же являются провинциальными, восходящими к грузинскому же пра-языку. Несмотря на это, некоторые не могут примириться с мыслью о родстве сванов с картвелами и голословно заявляют, что сваны не родственны Грузинскому племени. Особенно прискорбно то, что этого мнения держатся люди, вовсе незнакомые как с грузинским языком, так и равно и сванским наречием... Что сохранило в Сванетии христианство от влияния и давления исламизма, если не славословие бога на нечуждом для них языке?? Какой же чужой для сванов язык мог содействовать распространению истин Евангелия, если не грузинский?!“

რ. გუჯეჯიანს მიაჩნია, რომ ივ. მარგიანი ერთ-ერთი პირველთაგანია მათ შორის ვინც ეჭვქვეშ დააყენა სვანური კილოკავების, როგორც ცალკე ენის, არსებობის საკითხი. ჩვენ დავუმატებთ, რომ თუ სადმე ივ. მარგიანი ხმარობს შესიტყვებას „სვანური ენა“, მის შემდეგ ყოველთვის სვამს კითხვის ნიშანს (?). ასეთი კითხვის ნიშნები დასმული აღ. ხახანაშვილისადმი გაგზავნილ წერილშიც, ხოლო სვანური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის სახელმწიფო ოპერის თეატრსა და ერევანში გამოსვლების შეჯამებისას ივ. მარგიანი სვანურ სიმღერებს ძველ ქართულს უწოდებს.

რ. გუჯეჯიანის ციტირებულ წერილში ვკითხულობთ: „მან (ივ. მარგიანმა), როგორც სასულიერო პირმა, ბრწყინვალედ იცოდა ძველი ქართული სამნიგნობრო და საეკლესიო ენა. ცხადია, ერკვეოდა სვანურ კილოკავებში და ამიტომ სრულიად ადვილად პოულობდა მათი ერთიანობის დამადასტურებელ მრავალ მაგალითს“. ამ მხრივ საგულისხმოა ივ. მარგიანის კიდევ ერთი წერილი აღ. ხახანაშვილისადმი. მას მოჰყავს სახარების ტექსტში მოძიებული 19 სიტყვა, რომლებიც გამოიყენება სვანურ მეტყველებაშიც (კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, აღ. ხახანაშვილის ფონდი, 524). წერილიდან ირკვევა, რომ ამ თემაზე ივ. მარგიანს თავისი მოსაზრება გაუზიარებია აღ. ხახანაშვილისათვის 1903 წლის ზაფხულში, როცა იგი მეგზურობას უწევდა პ. კარბელაშვილის მიერ ორგანიზებულ ლეჩხუმ-სვანეთის ექსპედიციას. ჩანს, რომ სახარების ტექსტში გამოყენებულ სიტყვებსა და სვანურ მეტყველებაში შემორჩენილ ზოგიერთ სიტყვებს შორის მსგავსებას იმდენად დაუინტერესებია აღ. ხახანაშვილი, რომ ივ. მარგიანისათვის უთხოვია თავისი მოსაზრების დამადასტურებელი მაგალითები მისთვის წერილობით გადაეგზავნა. ამაზე მეტყველებს ივ. მარგიანის წერილის ორი ფრაზა: „ბოდიშს ვიხდი, რომ აქამდის ვერ შევასრულე თქვენი დავალება“ და „ჯერჯერობით ამის მეტი არა მაქვს ამოკრეფილი სახარებიდან სიტყვები“.

მეტად საგულისხმოა 1911 წლის 25 გაზეთ „შინაურ საქმეებში“ გამოქვეყნებული წერილი „სვანური ენა და ახალი ამორდია“. ავტორი („სვანი“)წერს, რომ „არავისთვის ამჟამად საიდუმლო აღარ არის ის გარემოება, რომ სვანნი გვარ-ტომობით ქართველებს ეკუთვნებიან და სვა-

ნური ენაც (კილოკავი) იგივე ქართულია. მეტს ვიტყვი, სვანური ენა და პოეზია არის საღარო ძველი ქართული ენისა, რადგან აქ ბევრი ქართული სიტყვაა დაცული“ (შევადართ აკადემიკოს შოთა ძიძიგურის მოსაზრება: „უაღრესად ფასეულია ნ. მარის დაკვირვება, რომ სვანური დიდ შემწეობას იძლევა ქართული საეკლესიო და საერო თხზულებების ძველი ენის გასაგებად“). ავტორს მიაჩნია, რომ ზოგიერთი მეცნიერი პოლიტიკური კონიუნქტურის გამო „სვანებს თიშავდა ქართველებისაგან“, რათა „მთავრობის მოხელეთა გული მოეგოთ და თავი წარმოჩინებულ ეყოთ...“ „დღეს ამგვარი გარეწარობით ვერავინ ვერ დაუბნელებს თვალს ვერც მთავრობას და ვერც საზოგადოებასა, რომელიც ეჭვს გარეშეა, ყოველთვის აფასებდა და აფასებს კიდევ ამგვარ ვაჟბატონთა „პოლიტიკანობა-გაიძვერობას“ და შესაფერ მსჯავრს სდებს. მაგრამ ვაი რომ ამორდიები ყოველთვის არიან და მეორე გულშემატიკვარი (პირველი ჩვენშივე ბუდობს დიდი ხანია – ჩვენებური) ამორდია დღეს, ჩვენ, სვანებსაც გამოგვიჩინდა: რასაც ჩვენ ვერ მივმხვდარვართ და პირველმა სვანელმა ამორდიამ ვერ შესძლო, ის ნაკლი სვანეთის ბოქაულად ნამყოფმა ალექსანდრე წერეთელმა შეავსო... სამღვდელოება ქართულს ენაზედ ღვთის მსახურების შესრულებისათვის მთავრობის მოღალატედ დასახა და, სხვათა შორის, პირველ საბრალდებულ მოუხლად შემდეგი დასწერა: „церковная служба совершается на непонятном сванском языке, которая с таким же успехом могла бы совершатся на русско-славянском“.

ნუ სწუხდებით ბ-ნო წერიტელო; ჩვენ გასაგებ ენაზედ ვადიდებთ ღმერთსა, რომელიც ჯერ ჩვენ არ დაგვიკარგავს, ქართული ენა ჩვენთვის ღვიძლი ენაა, გასაგებიცაა და საუკუნოებისაგან ნაკურთხიცა... ამით შორს ვერ წახვალთ და ვერც ბოქაულობას იშოვით... ბ-ნი წერეთელი, დღემდის სვანეთის მაღლიანი ბუნების სტუმართმოყვარეობით სარგებლობს და დახეთ, როგორ გვიხდის? „წერეთელ სიკეთიმ მუქაფდ ორგულობ გვაყერ“ (წერეთელმა სიკეთის მუქაფად ორგულობა გვიყო)! დააკვრდი ბ-ნო წერეთელო ამ წინადადებასა და სთქვი: ქართულია თუ არა?“ – დასძენს ანონიმი ავტორი.

ავტორის ივ. მარგიანთან იდენტურობის დასაბუთებისათვის ბევრი არგუმენტი არსებობს, მაგრამ ერთიც საკმარისად მიგვაჩნია: „ბლალ. მღვდელი ივ. მარგიანი-თ“ ხელმოწერილ სტატიაში ქართული ლექსიკონის შემუშავების შესახებ ვკითხულობთ „დღეს სვანი გეტყვის: მუქაფთ სიკეთე მაყრ (მუქაფად სიკეთე მიყავ (რა))“ („შინაური საქმეები“, 1911, 9).

ამ წერილში ბევრ საინტერესო მოსაზრებასთან ერთად ერთიანი ქართული ცნობიერების კუთხით ნიშანდობლივია შემდეგი: „ჩვენი ლინგვისტიკა ხომ ძლიერ ღარიბია და ეს ერთის მხრით ჩვენი ლექსიკონის სიღარიბითაც აიხსნება. ფილოლოგიური ნაშრომი ძლიერ ნაკლებათ გვაქვს და ამიტომაც არის, რომ ქართველობისაგან განათიშეს გვარ-ტომობით ერთი სვანები, მეგრელები, ინგილოები და სხვები. ნამდვილად კი ესენი ერთი ტომის ხალხია. ერთსა და იმავე ენაზედ საუბრობენ, თუმიცა-ღა ვითარების გამო მათი სასაუბრო ენა ერთი მეორეს დაშორებია. ქართული ენა მდიდარია, ჩვენი ლექსიკონი – კი

ღარიბია სიტყვებით, რაც ისევ ჩვენი ბრალია. თამამად ვიტყვი, რომ კერძოთ სვანური ენა უშრეტი საღაროა ძველბური ქართულის ენისა და საზოგადოდ ხალხური პოეზია და სასაუბრო ენა სავსეა მარგალიტი სიტყვებით. ჩვენ კიდეე იმას ვიტყვით, რომ საჭიროა ლექსიკონის შევსება ახალ-ახალი სიტყვებით და რომ ამ შემთხვევაში, კერძოდ, სვანური ენა დიდ დახმარებას გაგვინვეს“.

ჩვენ შევეცადეთ გვეჩვენებინა XIX საუკუნის მინურულის და XX საუკუნის დასაწყისის ლეჩხუმ-სვანეთის ერთერთი სულიერი მწყემსის – მამა იოანეს (ივანე მარგიანის) მრავალმხრივი მოღვაწეობის მხოლოდ ერთი მხარე,<sup>4</sup> რომლის ცხოვრება განასახიერებდა ილია ჭავჭავაძის სულიერ მემკვიდრეს დევიზით – „მამული, ენა, სარწმუნოება“.

1 სასწავლებლის დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი იყო ივანე მარგიანის მამა, დეკანოზი გიორგი მარგიანი, რისთვისაც მეფის მთავრობამ იგი დააჯილდოვა წმინდა ანას ორდენით

2 კორნელი კეკელიძის ძმა

3 1891 წლის №21 გაზეთ „ივერიაში“ მოთავსებული დათიკო ვერმიცანაშვილის რეპლიკა: „ჩვენი ცნობილი ლინგვისტი ბ-ნი ამორდია აპირებს გამოსცეს გაზეთი, რომელსაც უნდა უწოდოს „ნაყოფი უვიცობისა“. გაზეთი ყოველდღიური იქნება და მხოლოდ თითო ცალი გამოვა, რადგანაც გამომცემელი, რედაქტორი და მკითხველი ამ გაზეთისა მარტო თვითონ ამორდია იქნება“.

4 ივანე მარგიანის მიერ სვანური სიმღერის და ცეკვის პირველი ანსამბლის ჩამოყალიბების (1928 წ) შესახებ იხ. თ. ლეჟავა „ვინ იყო ივანე მარგიანი“ („ჩვენი მწერლობა“, 2005, №12).

საბა სულხანიშვილი

# ჭადრაკის უხილავი კედელი

\*

## მაქს ფრიშის ერთი დაკვირვების კვალზე

თითქოს მოულოდნელი გადასვლა.

ჯერ:

„ჩვენ არაფერი გვაქვს ერთმანეთისათვის სათქმელი“.

და მერე:

„სამწუხაროდ, იგი ჭადრაკს არ თამაშობს“.

ეს „სამწუხაროდ“ რაღაც უცნაურად ჩაჩხერილა ამ ორ ფრაზას შორის მაქს ფრიშის რომანში „ვიქნები თუნდაც განტენბაინი“, რომელიც პერსონაჟთა არაჩვეულებრივი, ჯადოსნური ზღაპრებისათვის ნიშანდობლივი სახეცვალებით გამოირჩევა. მთავარი გმირიც ვერ გეტყვით დაბეჯითებით, თუ ვინ არის – ხან ვის სახეს ლებულობს და ხან ვისას, უკვე ჩაქნული აქვს ხელი, რომ ერთ რომელიმე ნილაბზე შეჯერდება და მის ამ ტრაგიკულ გაორებასა თუ, უფრო ზუსტად, გაათებას, რომანის სახელწოდება იმთავითვე გამჭვირვალედ მიგვანიშნებს.

ვიქნები თუნდაც განტენბაინი.

ან თუნდაც... ვინც გნებავთ.

თუ ადამიანს პიროვნული ბირთვი ვერ მოუპოვებია, ათასგვარ ნამსხვრევად დაიფანტება და ხელახლა შეკონინდება. ეს მისთვის უკვე სულ იოლია და გულგრილად და ირონიულად შეჰყურებს თავის ტრაგედიას. ეგაა, სხვაზე უფრო წრფელია და გულმართალი და რასაც ის სხვანი გულდაგულ მალავენ, ეს ჩვენი თუნდაც განტენბაინი ბოლომდე ააშკარავებს.

მისთვის საყვარელი და ძვირფასი ქალიც ასევე იმსხვრევა ათასგვარ ნატეხად მის წარმოსახვაში და შემდეგ

კი სულ სხვადასხვა ქალად კონინდება. თუმც „საყვარელიც“ და „ძვირფასიც“ პირობითად თუ ითქმის და გულისხმობს ერთგვარ სიახლოვეს მათ შორის, რასაც ხან შესაძლოა ოჯახიც დაერქვას, მაგრამ ყოველთვის დააკლდება ის დულაბი, ურომლისოდაც ყველა და ყველაფერი ჰაერშია გამოკიდებული.

და ერთმანეთისათვის არაფერი რომ არ გააჩნიათ სათქმელი, ესეც სწორედ იმ უდულაბო ურთიერთობის ნაყოფია. მაგრამ ჭადრაკი რალა შუაშია?

ლილა მეფეთა თამაშით რომ იყოს გატაცებული, ვითომ რაიმე ეშველებოდა იმ ცივსა და გულგრილ კედელს, უხილავად რომ აღმართულა ორ ადამიანს შორის?.. თუ არა, ეს „სამწუხაროდ“ რატომ უნდა გაჩენილიყო ამ ფრაზებს შორის?

ჭადრაკი სხვაგანაც იხსენიება მაქს ფრიშის თხზულებებში – პიესაში „დონ ჟუანი ანუ გეომეტრიის სიყვარული“ და რომანში „ჰომო ფაბერი“.

რომანების – „ჰომო ფაბერი“ და „ვიქნები თუნდაც განტენბაინი“ – ქართული გამოცემისათვის დართულ მიმოხილვითი ყაიდის ნარკვევში „მაქს ფრიშის ორი რომანი“ დალი ფანჯიკიძე საგანგებოდ იმონმებს გერმანულენოვან კრიტიკულ ლიტერატურაში დამკვიდრებულ თვალსაზრისს, დონ ჟუანისა და ვალტერ ფაბერის მსგავსებას რომ წარმოაჩენს, და ამ მსგავსების ერთ-ერთ ნიმუშად მოიხსენიებს ჭადრაკისადმი სიყვარულს, როგორც საქმიანი, ინტელექტუალური დროსტარების მიმართ. იმ გარემოებასაც მიაქცევს მკითხველის ყურადღებას, რომ ვალტერ ფაბერი დონ ჟუანზე უფრო გარკვევით აცხადებს, ჭადრაკს სხვა გართობას იმიტომ ვამჯობინებ, რომ პარტნიორთან ნაკლები ურთიერთობა მჭირდებაო:

– დიდად ვაფასებ ჭადრაკს. საათობით შეგიძლია ხმა არ ამოიღო, არც სხვისი ლაპარაკის მოსმენა აუცილებელი. უყურებ დაფას და უზრდელობად სულაც არ ითვლება, თუ შენი პარტნიორის ახლოს გაცნობის სურვილს არ გამოამჟღავნებ და მთელი გულისყური თამაშზე გექნება გადატანილი.

ესეც განმარტება „ვიქნები თუნდაც განტენბაინის“ იმ ფრაზისა: სამწუხაროდ, ჭადრაკს არ თამაშობსო.

თურმე „სამწუხაროდ“ სულაც არა ყოფილა უცნაურად ჩაჩხერილი და არც გადასვლაა მოულოდნელი იმ

გულწრფელი აღიარებიდან: ჩვენ არაფერი გვაქვს ერთმანეთისათვის სათქმელიო.

ასეთ დროს ჭადრაკი სწორედ მისწრება ყოფილა.

შენარჩუნებულია გარეგნული ურთიერთობა – ხელს აღარ გიშლის სიცივისა და გულგრილობის უხილავი კედელი.

თითქოსდა სასხვათაშორისოდ მიყოლებული ორი ფრაზა დახვეწილი იუმორის, უფრო კი სარკაზმის ჩინებული ნიმუშია, და მკითხველს იმით აგრძნობინებს მწერალი, რომ ღრმად ჩაუკვირდეს და იოლად არ გადაატაროს თვალი სტრიქონებზე, აბზაცებად რომ გამოჰყოფს.

მაგრამ „ჰომო ფაბერი“ ჩართული განმარტების გარეშე თვით გემოვნებიან მკითხველსაც რომ გაუძნელდება სარკასტული შინაარსის ამოცნობა და მწერლის მახვილგონიერების ჯეროვანი დაფასება?

გაუძნელდება და... გაუძნელდეს.

იქნებ სწორედაც ეს იყო მაქს ფრიშის მიზანი, მკითხველი თავიდან ბოლომდე გაცნობოდა მის ბელეტრისტულსა თუ დრამატურგიულ ნაღვანს და კიდევ ეძებნა მათ შორის ხილული თუ უხილავი კავშირები?!

თუ წიგნის კითხვაა, კითხვა იყოს.

მითუმეტეს, მის მხატვრულ სამყაროს უმთავრესად განსაზღვრავს ერთი თემა თუ მოტივი – ადამიანის ბედი ღმერთსმოკლებულ, ტექნოკრატიად გადაქცეულ სინამდვილეში, სადაც ისე უფასურდება ჰუმანური გრძნობები, ისე თვალდათვალ ქრება, რომ იდეალი ხდება... რობოტი.

სვიფტის ჰუინჰიმების სამყარო – ცხენების გაბატონებით დაღდასმული მომავლის სამეფო – იცვლება კიდევ

უარესით – რობოტების სრული ზეობით, განცდის ნატამალიც რომ აღარ დარჩეს აღარსად.

ამიტომაც ვალტერ ფაბერი მხოლოდ საკუთარ მრწამსს კი არ გამოხატავს, არამედ მომავლის სამყაროს ზოგად კონტურებს შემოხაზავს:

„რაც მთავარია, მანქანა არაფერს განიცდის, არც ეშინია, არც არაფრის იმედი აქვს, გრძნობები მხოლოდ ხელის შემშლელია. მანქანას არც რაიმე სურვილი ამოძრავებს, ის წმინდა ლოგიკის კანონებით მუშაობს“.

თუმც... შორს ხომ არ წავიდა ეს მსჯელობა და ჩანანერის ჩარჩოს ხომ არ გადაცდა?

ჯერჯერობით ალბათ არა.

ეგაა, ფრიშის მხატვრული სამყაროს ამ ზოგადი ნიშნისა თუ სულაც კანონის შემდგომ უფრო მკაფიოვდება განტენბაინის პიროვნული ხასიათიც და ბედისწერაც, და იმ ფრაზის მძაფრი პარადოქსულობაც.

განტენბაინს კიდევ რა უშავს თურმე!.. გარემოს სისასტიკეს დაუთრგუნავს და გადარჩენის გზას ეძიებს, ბრმადაც კი აცხადებს თავს და ეს ხდება მისი თავშესაფარიც და ოაზისიც. და როდესაც ჭადრაკის ამ მოულოდნელ თვისებასაც აღმოაჩენს, ესეც თავდასაცავად სჭირდება, რეალობის შესაღამაზებლად და მოსაპირკეთებლად, რათა ცხოვრებას მთლად არ გაეთელინოს და ოჯახური სიმყუდროვის გარეგნული იერი როგორღაც შეინარჩუნოს. სხვა რა – ასწავლის ლილას ჭადრაკის თამაშს და ყველაფერი ერთბაშად მოგვარდება. და სამწუხაროც აღარაფერი იქნება.

და მერე იყავი თუნდაც... თუნდაც განტენბაინი.

## ლიტერატურული ამბები და კურიოზები

### საპარკალი ბერნანოსისათვის

ჟორჟ ბერნანოსმა საფრანგეთის აკადემიის მიერ შეთავაზებულ უკვდავის ტიტულზე უარი ასე განაცხადა: „როცა საფიქრად საჯდომის მეტი აღარაფერი მექნება, აკადემიის სავარძელში მაშინ ჩავჯდები“.

### სარკველავი

1857 წლის ივნისში გამოიცა და ამავე წლის აგვისტოში „საზოგადოებრივი მორალისა და ზნეობის შეურაცხყოფისათვის“ დაიგმო შარლ ბოდლერის 101 ლექსისაგან შემდგარი პატარა კრებული სახელწოდებით „ბოროტების ყვაილები“. დღეს კი იგი სკოლაში ისწავლება.

### თოჯინის ისტორია

იტალიური კინოს შედეგური „პინოქიოს თავგადასავალი“ 1972 წელს გადაიღო ლუიჯი კომენჩინიმ. ლიტერატურული პირველწყარო ეკუთვნის ტოსკანური წარმოშობის

ბის მწერალსა და ჟურნალისტს კარლო ლორენცინის, რომელსაც კარლო გოლდონის ფსევდონიმით ვიცნობთ.

### შექსპირის ენაზე

უილიამ შექსპირი უდავო რეკორდსმენია იმ მწერალთა შორის, ვისი ნაწარმოებებიც კინოენაზე ამეტყველებულა. შექსპირის ქმნილებათა ეკრანიზებული ვერსიების რიცხვი 30-ს აღემატება და მას ისეთი ფილმები ამშვენებს, როგორებიცაა ორსონ უელსის „მაკბეტი“ (1947) და აკირა კუროსავას „რანი“ (1985).

### სიკვდილისშემდგომი პუბლიკაცია

ჟიულ ვერნის წინასწარმეტყველურმა წიგნმა სახელწოდებით „პარიზი მე-20 საუკუნეში“ სინათლე მხოლოდ 1996 წელს იხილა. ახალგაზრდა მწერლის ქმნილება თავის დროზე მისმა გამომცემელმა დაიწუნა. ხელნაწერი დაკარგულად ითვლებოდა, სანამ მას მწერლის ბადიშმა არ მიაგნო ძველ სეიფში.

სიკვდილი სცენაზე

1673 წლის 17 თებერვალს, როცა „ძალად ავადმყოფის“ წარმოდგენა დასასრულს უახლოვდებოდა, მოლიერს, რომელმაც ცუდად ყოფნის მიუხედავად სპექტაკლის გაუქმება არ ისურვა, ძლიერი ხველება აუტყდა. იძულებული გახდნენ, სახლში წაეყვანათ, რიშელიეს ქუჩაზე, სადაც დიდი დრამატურგი და მსახიობი ისე გარდაიცვალა, რომ აღსარების თქმა ვერ მოასწრო.

საომარი მღვთმარტოვანი

1914-1920 წლებში ნობელის პრემია ლიტერატურის დარგში უმთავრესად სკანდინავიელ მწერლებს ენიჭებოდათ. პირველი მსოფლიო ომის ფონზე შედეგის აკადემიამ მიზანშეწონილად არ მიიჩნია, პრემია რომელიმე მეომარი ქვეყნის წარმომადგენელს რგებოდა წილად.

სახელად მარგერიტი

მარგერიტ დიურასის ნამდვილი სახელი მარგერიტ დონადია. ფსევდონიმი „დიურასი“ შესაძლოა მამამისის მშობლიური ქალაქიდან მოდიოდეს (ლოტსა და გარონში მდებარე ეს პატარა ქალაქი სულ 1500 მაცხოვრებელს ითვლის), თუმცა არც ისაა გამორიცხული, მარგერიტს შატობრიანისა და მადამ დე სტალის მეგობარი მწერალი ქალის კლერ დე დიურასის სახელი ესესხა.

ღვთისმშობლის სახელი

გუსტავ ფლობერის საუცხოო «ლეგენდა წმინდა იულიან სტუმართმოყვარეზე» რუანის კათედრალის ვიტრაჟით შთაგონებულია. ვიტრაჟის კომპოზიცია კომიქსს წააგავს და ქვემოდან ზემოთ იკითხება.

ფრანგულიდან თარგმნა ნინო ციმაკურიძამ

ნინო ვახანიას

რომანისტს ქალიან გამოადგება

\*

სოლომონ დოდაშვილმა შინიდან გააგდო გერცენი

1832 წელი ერთი უმნიშვნელოვანესი ნიშანსვეტია ქართველი ხალხის ცხოვრებაში. გიორგი გოზალიშვილისა და სხვა მკვლევართა ფასდაუდებელი ღვაწლის შედეგად დღეს ბევრი რამ არის ცნობილი 32 წლის შეთქმულების შესახებ. თუმცა ჯერ კიდევ ბევრია დაფარული, მისაკვლევ-მისაგნები, სინათლეზე ამოსატანი. ჟურნალი „ჩვენი მწერლობა“ მიზანმიმართულად ცდილობს ისტორიის თეთრი ლაქების ამოვსებას. ამის კიდევ ერთი თვალსაჩინო დადასტურებაა ა.წ. 6-7-ში გამოქვეყნებული ორი თავი მხატვრულ-დოკუმენტური რომანიდან „გახსოვდეს ვისი გვარისა ხარ“ (თარგმნა მაკა ჯაფარიძემ). ავტორი – „ანჟელიკა მიხეილის ასული დოდაევა-მაგარსკაია... ლიტერატორი, მთარგმნელი, რუსეთის ქართველთა საზოგადოების“ ერთ-ერთი დამფუძნებელი“, – გვაუწყებს მთარგმნელი მცირე წინასიტყვაობაში.

32 წლის შეთქმულების ერთ-ერთი მეთაურის, მისი იდეოლოგისა და მამულის თავისუფლების მხურვალე მონადინის, სოლომონ დოდაშვილის გახსენება ყოველთვის, ყველა შემთხვევაში საინტერესო და სასიამოვნოა ქართველი მკითხველისათვის, ოღონდ განსაკუთრებით საყურადღებოა გულწრფელი მონათხრობი პირდაპირი შთამომავლისა, ვინც, თავის მხრივ, ბებიის მიწოდებულ მართალ, უტყუარ ცნობებს ეყრდნობა.

ანჟელიკა დოდაევა არ მოსწრებია თავის სახელოვან წინაპარს, მაგრამ მისი სადა, ბუნებრივი, ყოველგვარი პრანჭვა-კეკლუცობისაგან თავისუფალი სტილით დაწერილი მოგონებები სრულ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს თვითონაც ყველაფრის მომსწრე და თვითმხილველია. ნიგნის ავტორს კარგად ესმოდა და ხედავდა თავისი დიდი პაპის ცხოვრების ეპიზოდებს არა მარტო „საჩინო“ სახედველითა და სასმენელით, არამედ გულის ყურიითა და გულის თვალითაც, რომელთათვისაც სულის მოძრაობის ყოველი ნიუანსიც შესამჩნევია.

საყურადღებოა, რომ მემუარისტი თხრობისას მხოლოდ საგვარეულო გადმოცემებს კი არ ეყრდნობა, არამედ დოკუმენტებით სწავლობს წარსულს. „მოვალენი ვართ სიმართლისა“, – ეს მწერლური კრედიო გათავისებული აქვს ანჟელიკა დოდაევას. ამიტომაც არის მისი ნაამბობი სანდო და უტყუარი.

პუბლიკაციაში ვეცნობით გადასახლებული სოლომონ დოდაშვილის ცხოვრების აქამდე უცნობ ფაქტებს, დეტალებს და ყველაფერი ეს მშრალად, უსიცოცხლოდ კი არ არის აღწუსებული (ასეც რომ იყოს, მაშინაც მნიშვნელოვანი დოკუმენტი იქნებოდა), არამედ ჭეშმარიტი მწერლის მიერ დახატული არიან ცოცხალი პერსონაჟები, რეალური ადამიანები, რომლებიც ჩვენს თვალწინ ცხოვრობენ, ფიქ-

რობენ, მოქმედებენ. შესანიშნავი თარგმანის წყალობით ქართველ მკითხველამდე უნაკლოდ არის მოღწეული ნანერის სუნთქვა, ფეთქვა, გულისცემა.

ცნობილია, რომ ვიატკაში სწორედ იმ დროს, როცა იქ იყო სოლომონ დოდაშვილი, თავის პირველ გადასახლებაში იმყოფებოდა რუსი პუბლიცისტი ა.ი. გერცენი.

გერცენის დღიურებიდან საყოველთაოდ გავრცელდა აზრი იმის შესახებ, რომ რუს მეამბოხესა და ვიატკის გუბერნატორ კირილ იაკოვლევიჩ ტიუფიაევს შორის კონფლიქტი იმ მიზეზით მოხდა, თითქოს გერცენი აიძულებოდა გუბერნატორს ეშუამდგომლა სოლომონის ჯანმრთელობის გაუარესებასთან დაკავშირებით მის გადასაცვანად რუსეთის სამხრეთ გუბერნიაში.

სინამდვილე სხვაგვარი ყოფილა. ოფიციალური საბუთებით დასტურდება, რომ კირილ იაკოვლევიჩმა რამდენჯერმე აღძრა შუამდგომლობა ჯერ სოლომონისა, შემდეგ კი მისი ოჯახის – მეუღლისა და ბავშვების მდგომარეობის შესამსუბუქებლად. ამისთვის მას არავითარი ძალდატანება არ დასჭირვებია. მან ქვემარტი მეგობრობა გაუნია და ნდობა გაუმართლა ელენა კობიაშვილის გამზრდელს, ფეოდორ ბარიშკინს, რომლის არაოფიციალური შუამდგომლობის შედეგადაც გადასახლეს სოლომონ დოდაშვილი ვიატკაში (სადაც ნებაყოფლობით თან გაჰყვა ცოლიც, მცირენლოვანი ბავშვებით).

ჩვენს ცნობიერებაში დამკვიდრებული გულქვა, უხეში რუსი გუბერნატორის ნაცვლად იხატება პორტრეტი გულჩვილი, ლმობიერი, უბედური ადამიანის უმწეობით გულწრფელად შეწუხებული კაცისა (მახსენდება, როგორი სითბოთი და მადლიერებით მოიგონა ალექსანდრე ორბელიანმა თავისი ორენბურგელი რუსი მასპინძელი, რომლის სათუთმა თანაგრძნობამ და თანადგომამ საგრძნობლად შეამსუბუქა გადასახლების სიმწარე. ეს „რუსთომოქლე“ მწერალი აღიარებდა: „რა ვქნა, რა უყო, ღმერთს ისე დაუბადებოვარ, რომ საქართველოში მე რუსები არ მიყუარან? – მე ისინი რუსეთში დიდად მიყუარან, იქ უკეთესი ხალხი არ უნდა ისინი არიან და ბევრი კარგიც მახსომ მე იმათგან“).

რად დასჭირდა გერცენს სინამდვილის ასე რადიკალურად შეცვლა, მოწყალე და შემბრალე ადამიანის უსულგულო დესპოტად წარმოჩენა, თეთრის შავად მოჩვენება? თურმე – სრულიად შეგნებულად, საკუთარი ცოდვების დასაფარავად.

ავადმყოფი, მომაკვდავი მეგობრის მონახულების შემდეგ მის ცოლთან დაუფარავი სასიყვარულო ურთიერთობა – რაც გერცენმა ჩაიდინა – მიუღებელი, აღმაშფოთებელი იყო დოდაშვილისთვის. მან სამუდამოდ განწყვიტა ურთიერთობა გერცენთან, აუკრძალა მას შინ სტუმრობა და სიკვდილამდე არ შერიგებია უზნეო, უღირსი საქციელის გამო.

ასე მძაფრად, მკვეთრად გამოხატა დოდაშვილმა შეუწყნარებლობა უზნეობისა და ამორალობისადმი.



ანჟელიკა დოდაევა-მაგარსკაია (1957 წელი)

გერცენის მრუშობაზე სოლომონის რეაქცია დღეს შეიძლება გადაჭარბებულად ან სულაც დაუჯერებლად მოგეჩვენოთ, – ეჭვობს მოგონებათა ავტორი და იქვე განმარტავს: „აღზრდისათვის იმ ადამიანთა წრეში, თავიანთ უცილობელ მოვალეობად პატრიარქალური ქართული ოჯახის ქრისტიანულ მცნებათა მიერ დადგენილი ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებათა დაცვა რომ მიაჩნიათ, ყოველად გაუგებარი გახლდათ მოტივი, რამაც ადამიანი ამ ცოდვის უფსკრულში გადაჩენა!“

ახალგაზრდა გერცენს კი მხოლოდ ის აელევებდა, ეს სკანდალი არ გამხდარიყო დაცილებების მიზეზი საცოლესთან, რომელიც სწორედ იმხანად აპირებდა ჩასვლას ვიატკაში...

ქვემარტივად: „სახელმწიფოსა სჯულის ერთობა არარას არგებს, ოდეს თვისება ერთა მის შორის სხვადასხვაობდეს“.

შთამბეჭდავად გვიყვება ავტორი სოლომონის მეუღლის, ელენას დრამატული ბედის შესახებ, რაც, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომანის თემაა.

გამოქვეყნებული ნაწყვეტი მთავრდება გენეალოგიური შტოს წარმომადგენელთა ჩამონათვალით: სოლომონისა და ელენას ვაჟს, ივანესა და სოფიო ჭრელაშვილს შეეძინათ ჩემი პეპერა – სპირიდონ ივანეს ძე, სპირიდონ ივანეს ძე დაქორწინდა თავადის ასულ თამარ საგინაშვილზე, რომელსაც შეეძინა ვაჟი – ალექსანდრე სპირიდონის ძე – სოლომონის შვილთაშვილი. ალექსანდრე სპირიდონის ძე დაქორწინდა ბებიაჩემ მარია მიხაილოვნა რუტკოვსკაიაზე, დედით – ოგინსკაიაზე“...

ჩაგვსმით სახარებისეული მელოდია იესო ქრისტეს შობის წიგნისა „აბრაამმა შვა ისააკი, ისააკმა შვა იაკობი, იაკობმა...“?

წარსული არ კვდება, იგი მუდმივად არსებობს არა როგორც გარდასული, არამედ როგორც ცოცხალი ანმყო. ბედნიერებაა, რომ არსებობენ ადამიანები, რომელნიც გარდასულთან ამ სიახლოვეს ხელშესახებდა გვაგრძნობინებენ. „არა გუარითა იქების კაცი, არამედ გონებითა და მოქმედებითა“ (სოლომონ დოდაშვილი). გვარს მისი სახელოვანი წარმომადგენლები განადიდებენ და გაუთქვამენ ხოლმე სახელს. სასიხარულოა, რომ ანჟელიკა დოდაევა-მაგარსკაია, სათნო, მიმზიდველი ქალბატონი, არა მარტო ფიზიკური, არამედ ღირსეული სულიერი შთამომავალი ღირსეული წინაპრისა.

\*\*\*

სოლომონ დოდაშვილის საფლავი უკვე აღარ მარტოობს უცხოთა ცისქვეშ. 1994 წელს სამოქალაქო ომებით ქანცგანწყვეტილმა საქართველომ მაინც მონახა ძალა და შესაძლებლობა დიდი ქართველის ნეშტის გადმოსასვენებლად და მთანმინდაზე, თავის სულიერ თანამოძმეთა გვერდით მიუჩინა სამუდამო ბინა.

ის კი ახლაც გვმოძღვრავს, გვდარაჯობს, მოგვინოდებს... და გამუდმებით გვეკითხება: „ქართველნო, ხართ სადმე თუ არა?“

თათია ჯგუშია

# ჩვენი 3ხელავთ მზეს

\*

## ზუგდიდური დღიურიდან

თუ თქვენ პესიმისტი სინოპტიკოსების არ გნამთ და ჰიპოკინეზიის სიმპტომებიც შეგენიშნებათ, ახლავე მოხერხებულად მოკალათდით სავარძელში და ეცადეთ წინ არ იყუროთ. გზა იქნება გრძელზე ოდნავ მეტი.

მარშრუტი: თბილისი – ზუგდიდი.

ამინდი – მოსალოდნელი. წვიმა.

სამეგრელოს შუაგული, ცოტა მარჯვნივ, აი, ზუსტად იქ არტ-გალერეა. ხალხმრავლობა. მრუშე ცისფერი განათება. ჩართეთ მიკროფონი!..

შეხვედრას ზვიად კვარაცხელია გახსნის.

„დღეს მართლაც განსაკუთრებული დღეა მათთვის, ვინც ხშირად ესწრება ჩვენი კლუბის („ნოე“) მიერ ორგანიზებულ წარმოდგენებს, საღამოებს, რადგან დღეს ჩვენ გვაქვს პატივი, ვუმასპინძლოთ „ჩვენი მწერლობის“ რედაქციასა და ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოებას.

ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოება ის გამორჩეული სახელია ქართულ საზოგადოებრივ-ლიტერატურულ პროცესში, რომელმაც დიდი ყურადღება მიიქცია გამოჩენისთანავე, რადგან ამ საზოგადოების უმთავრესი მიზანი და ამოცანა ეროვნული ფასეულობების დაცვა, კულტურის მხარდაჭერა, ხელოვნების პოპულარიზაციაა.

წლების მანძილზე იღვწის ამ მიზნისთვის, გამოსცემს წიგნებს, დგამს ქართველ საზოგადო მოღვაწეთა ძეგლებს, ბეჭდავს ჟურნალ-გაზეთებს.

პირადად მე, ყოველ მეორე პარასკევს მოუთმენლად ველოდები ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ ახალ ნომერს. სწორედ ეს უწყვეტობა და მკითხველის მოლოდინი ქმნის იმ განსაკუთრებულ განცდას, რომელიც „ჩვენ მწერლობას“ ამ მხრივ სხვათაგან გამოარჩევს.“

საინტერესოა, არა? ერთობ! მით უფრო, რომ ჩვენს პატარა ქალაქს მზე ყველაზე ბოლოს აკითხავს. დასავლეთითაო და!..

მთა მივიდა მუჰამედთან.

ბატონი როსტომი ვრცლად ესაუბრება აუდიტორიას ალექსანდრე ორბელიანის პიროვნებაზე, ღვანლზე, ბიოგრაფიულ რომანზე, რომელიც მას მიუძღვნა.

ბატონი ზურაბ ცხომლია მადლიერ დამხვდურთა განცდების სიტყვებად თანწყობას შეუდგება:

„გურამ დოჩანაშვილის ერთ-ერთი პერსონაჟის ფრაზა მაგონდება: „წიგნი ის ცოცხალი არსებაა, რომლის წაკითხვით ხდები უფრო უკეთესი, ვიდრე ხარ. უფრო ჭკვიანი, ვიდრე იყავი.“ წიგნის დღეს ჩვენ ვხვდებით საქვეყნოდ აღიარებულ მწერალსა და საზოგადო მოღვაწესთან ერთად.

ბატონო როსტომ, თქვენ სადავოდ არ ხდით იმ დებულებას, რომ დღევანდელმა მსოფლიომ გეზი უნდა აიღოს აღმოსავლურ-აბელისური და დასავლურ-პრაგმატული ცნობიერების ჰარმონიზებისაკენ, განსხვავებულ კულტურათა ტოლერანტული თანაარსებობისაკენ, ყველა კონტინენტის მცხოვრებთა სულიერი ნათესაობისაკენ, რაც მაღალპოქსიური, დემოკრატიული იმპულსებიდან მომდინარეობს.

ზუგდიდში იციან იმის შესახებ, რომ შეჭიდებული ხართ მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობის ხელახალი გადააზრების, ახლებური ინტერპრეტაციის ეპოქალურ ტვირთს. იმედი გქონდეთ, რომ თქვენი თაოსნობით ზუგდიდში დაფუნდებული საზოგადოება ჩემს თანაქალაქელებს აღანთებს იმ ეროვნული მუხტით, რაც სიცოცხლის ბოლო წუთამდე არ განელება ალექსანდრე ორბელიანს.

ევერეტის პირველ დამლაშქრავს თენსინგ ნორგეის ქიმზე ფეხის დადგმისას თურმე აღმოხდა: „გმადლობ, ჯომოლუნგმა, რომ ამომიშვი.“

თქვენც გაქვთ უფლება, ჩვეული თავმდაბლობა წუთით სძლიოთ და შესძახოთ: გმადლობ, ენაე მშობლიურო, რომ გამაბედვინე და ჩემი მკითხველებისთვის ამომათქმევინე ყოველივე ის, რისი გამხელაც ასე მსურდა.“

„ნოელები“ არც ვაგანტები არიან და არც ისინი, ვინც საკუთარი სახელის ხაზგასმისთვის იბრძვის. მათ უნდა გადაარჩინონ, გადაეფარონ. მათ შეძლოს!

სამეგრელო-ზემოსვანეთის განათლებისა და კულტურის სამსახურის უფროსი, ქ-ნი მაია კალანდია სტუმრებსა და ლიტერატურულ კლუბ „ნოეს“ მიმართავს:

„ბედნიერი ვარ, რომ ის, რაც ჩვენ გვინდოდა გაგვეკეთებინა, ამ ახალგაზრდებმა გააკეთეს. მადლობას ვუხდით კლუბ „ნოეს“ და ვუსურვებ შემოქმედებით წარმატებებს, დარწმუნებული ვარ, ეს ახალგაზრდები ბევრ კეთილგონიერულ საქმეს გააკეთებენ.

მინდა გავიხსენო ერთი საინტერესო წერილი, რომელიც გამოქვეყნდა „ჩვენს მწერლობაში“ 2001 წელს, მისი ავტორი გახლდათ ლევან ასათიანი, წერილი ეხებოდა ცნობილ ლიტერატურულ პოლემიკას –აკაკი ბაქრაძე, რეზი თვარაძე, გურამ ასათიანი, ზვიად გამსახურდია. აღნიშნული წერილი იყო პირველი შემთხვევა დღეს უკვე მივიწყებული პოლემიკის ხელახალი განხილვისა და ჩემთვის, როგორც მკითხველისთვის, მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტი, რომ ამ თემას გურამ ასათიანის შვილი დაუბრუნდა.



ზვიად კვარაცხელია



ჩემი თხოვნა იქნება, იქნებ კიდევ ერთხელ მიუბრუნდეთ ამ თემას, ან იქნებ მოხერხდეს რაღაც ფორმით საღამოც მიეძღვნას, სადაც ახალი თაობა დაინახავს ზვიად გამსახურდიას. ფართო საზოგადოებას შეახსენებს ჩვენი პირველი პრეზიდენტის თითქმის უცნობ მხარეს, მის ფილოსოფიურ-თეოლოგიურ დამოკიდებულებას ლიტერატურისადმი, საიდანაც დაიწყო მისი, როგორც ეროვნული გამირის ჩამოყალიბება.“

შეხვედრის დამსწრე საზოგადოება სტუმრებისგან – ბატონ როსტომთან ერთად ელგუჯა თავბერიძე და ან-

დრო ბედუკაძე ვაჟითურთ – წიგნებით დასაჩუქრდა, კიდევ ფიქრისთვის, უფრო სხვა განზომილებაში...

დაბოლოს, ერთმანეთს ისევ ბატონი როსტომის სიტყვებით დავემშვიდობოთ: „ძაფები... ძაფები არ უნდა გაწყდეს!“

ქალაქში ისევ წვიმს. აპრილი იკბინება. სასიამოვნო იყო თქვენი ჩვენთანობა.

გალერეა ხალხისგან და ემოციებისგან თანდათან დაცალა.

ჩააქრეთ განათება! გამოორთეთ მიკროფონი!

ეკა ბუჯიაშვილი

## გზა პოეზიის გოლგოთისაკენ

„მერიდებოდნენ, შეიძლება თვითონ ვერიდებოდი, სულერთია არავინ იყო მსიტყველი, დამჯერებელი, ამხანაგი... მჯეროდა მხოლოდ წიგნის და წიგნში მოთხრობილი ამბავი იყო ჩემთვის ერთადერთი ნაცნობი სინამდვილე“, – ნიკოლო მინიშვილის, „ცისფერყანწელთა“ ორდენის წევრის ეს სიტყვები გაიჟღერებს ნიკოლოზ ბარათაშვილის მუზეუმში, სადაც გამომცემლობებთან – „ინტელექტი“ და „არტანუჯი“ – ერთად ამ პოეტისადმი მიძღვნილი საღამოთი აღნიშნავენ წიგნის საერთაშორისო დღეს და ცისფერყანწელთა ორდენსაც გაიხსენებენ.

საღამოს მუზეუმის დირექტორი, ქალბატონი ნანა ელიზბარაშვილი გაუძღვება, გამომცემლობები კი შეკრებილ საზოგადოებას ნიკოლო მინიშვილის ახალ წიგნებს წარუდგენენ.

\*\*\*

ცამეტნი იყვნენ – ცამეტი ასურელი მამის ანალოგიით. დამოუკიდებელ საქართველოზე ოცნებობდნენ.

კიდევ – იდუმალ კოსმიურ სამყაროსთან წილნაყარ არსებობაზე;

კიდევ – თავისუფალი ქვეყნის ხელოვნების რენესანსზე;

ქართული ენის ემოციური მნიშვნელობის ამაღლებაზე;

„ზეციურ ნადიმში მონაწილეობასა“ და „ცისფერი ყანწებით თრობაზე“.

იმ გზის პოვნა გადაეწყვიტათ, ცისფერი ტაძრისკენ რომ მიდიოდა... და ამიტომაც ახალი სამყაროს შემეცნებას ახლებური ხერხებით ცდილობდნენ.

დაეხსნათ იდუმალი კარიბჭენი.

თავიანთი წილი მძიმე ჯვარი მოეკიდებინათ...

და მიუყვებოდნენ, მიუყვებოდნენ გზას... პოეზიის გოლგოთისაკენ „ქართული ლირიკის რაინდები“, ეროვნული სულის მონამეები...

ეკალბარდები ბევრი დახვდებოდათ გზაზე.

გულსაც შემოახვევდნენ და სულსაც.

ულმობელი ეპოქის ხელი მათ ბედისწერასაც მიწვებოდა.

სისხლით გაჟღენთილიყო ჰაერი ქვეყანაში.

იცლებოდნენ „ცისფერი ყანწები“, თვალსა და ხელს შუა გადაიქცეოდნენ მითებად.

და მიდიოდნენ, თავგანწირულად მიდიოდნენ... თავიანთი წილი გოლგოთისაკენ.

### ნანა ელიზბარაშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილის მუზეუმის დირექტორი:

„დღეს ჩვენი მუზეუმი, გამომცემლობებთან: „ინტელექტთან“ და „არტანუჯთან“ ერთად, წიგნის საერთაშორისო დღეს აღნიშნავს ქართველი მწერლის, პუბლიცისტის, საზოგადო მოღვაწის ნიკოლო მინიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამოთი. მას ძალზე მძიმე პერიოდში მოუწია ცხოვრება და მოღვაწეობა. ბევრი დაიჭირეს მაშინ სიტყვის თავისუფლების გამო, მათ შორის ნიკოლო მინიშვილიც, ვინც ერთ-ერთი საჯარო გამოსვლის შემდეგ დააპატიმრეს და დახვრიტეს. მისი სახელი წლების მანძილზე ტაბუდადებული იყო და, შესაბამისად, ამ მწერლის შემოქმედებასაც ნაკლებად იცნობს ფართო საზოგადოება. ჩვენი მიზანია ნიკოლო მინიშვილის სახელის წამოწევა იყო. საამისოდ ბიძგი მოგვცა იმან, რომ გამომცემლობების: „ინტელექტისა“ და „არტანუჯის“ ძალისხმევით, ამ მწერლის რამდენიმე წიგნი გამოიცა ერთად.“

### ლევან ბრეგაძე:

„სხვათა შორის, ბოლშევიკებმა, ჩანს, კარგად იცოდნენ მწერლებისა და მწერლობის ფასი და ამიტომ მიმართავდნენ რეპრესიებს მათ წინააღმდეგ. გასული საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს თითქოს დაიწყო ნიკოლო მინიშვილის რეაბილიტაცია ტიცინ ტაბიძესთან, პაოლო იაშვილთან და სხვა პოეტებთან ერთად, მაგრამ რად გინდა... მათი უმთავრესი ნაწარმოებები არ გამოიცემოდა. მაგალითად, ნიკოლო მინიშვილის მხოლოდ ლექსების კრებული გამოქვეყნდა, არადა, ის, ძირითადად, დოკუმენტური ჟანრით იყო ცნობილი და მისი ისეთი ნაშრომები, როგორცაა „თებერვალი“, „რევოლუციის შემდგომი ქრონიკები“, „ახალგაზრდობა“ – ამ სათაურით დარჩენილი დაუმთავრებელი თხზულება – მაღალი დონის დოკუმენტური პროზის არაჩვეულებრივი ნიმუშები არ გამოიცემოდა. ლექსების დიდი ნაწილიც – მას შემდეგ, რაც პირველად გამოქვეყნდა – ვილაცებს არ მოეწონათ და ხელახალმა რეპრესიებმაც არ დააყოვნეს. ამიტომ ამ მწერლის ნამდვილი რეაბილიტაცია,

ფაქტობრივად, დაიწყო შარშან, როცა „ინტელექტმა“ და „არტანუჯმა“ გამოსცეს მისი ოთხი წიგნი: „თებერვალი“, „ქართული ქრონიკები რევოლუციის დროიდან“, ლექსების კრებული „წმინდანანები“ და წერილი „ფიქრები საქართველოზე“, რომელმაც თავის დროზეც ძალზე დიდი პოლემიკა გამოიწვია და ფართომასშტაბიანი გამოსმაურება მოჰყვა – ერთხელ 1926 წელს, მეორედ კი – 90-იანი წლების ბოლოს... და რაოდენ სასიხარულოა, რომ წიგნის საერთაშორისო დღეს სწორედ ნიკოლო მინიშვილის – ამ მნივნობარი ადამიანის გახსენებით აღვნიშნავთ. გარდა იმისა, რომ საინტერესო ნაშრომები დაუტოვა თაობებს, ის იყო გამომცემელიც. მისი თაოსნობით გამოდიოდა უურნალი „ქართული მწერლობა“, რომელსაც დღესაც ასეთი ინტერესით ვფურცლავთ.

**ილამაზ მინიშვილი:**

„პირადად ჩემთვის, ნიკოლო მინიშვილის შეიღობის დღევანდელი საღამო ბედნიერებაა. საერთოდაც ვფიქრობ, რომ სასურველია შევბრუნდეთ ისტორიისაკენ, წარსულისაკენ, რადგან ერის მეხსიერებიდან ბევრი ისეთი სახელი იშლება, რომელთაც თავის დროზე დიდი როლი შეასრულეს ერის ისტორიაში. ალბათ დადგება დრო, როცა მხოლოდ ერთეულები კი არა, ფართო საზოგადოება მოიცლის იმისთვის, რომ მოიძიონ ეს სახელები და აღმოჩნდება, რომ ისტორიული ქართველებისას ბევრი ჭეშმარიტი მამულიშვილის ღვანლს წაეფარა მტვერი.

ის, რომ დღეს საზოგადოებას აქვს ნიკოლო მინიშვილის წიგნები, მთლიანად ამ გამომცემლობების დამსახურებაა, უწინარესად კი „ინტელექტის“ თაოსნის, ბატონი **კახმეგ კუდავასი** – რომ არა მისი თავგამოდეული ძალისხმევა, ამ საქმეს თავი ვერ მოებმეოდა. წელს გამოიცა ნიკოლო მინიშვილის მეხუთე წიგნი: „სამარადისო ზღაპარი“, და ამით, ძირითადად, ამოიწურა ამ მწერლის შემოქმედების ერთი მხარე – მხატვრულ-დოკუმენტური პროზა, თუმცა არსებობს კიდევ ერთი სფერო მისი მოღვაწეობისა – პუბლიცისტიკა. სამწუხაროდ, ჩვენს ოჯახს არაფერი შემორჩა მამის არქივიდან. მისი დაპატიმრების შემდეგ ნაშრომებიც წაიღეს და კაცმა არ იცის რა ბედი ეწია მათ. მერე ჩემმა დამ ორი წელი მოანდომა გადარჩენილი მასალების მოძიებას არქივში, თუმცა არც ეს აღმოჩნდა იოლი საქმე, რადგან 60-იანი წლების პერიოდშიც ჯერ კიდევ არსებობდა ცენზურა, ბიბლიოთეკას ჰქონდა ე.წ. „სპეც.ხრანები“, ანუ ისეთი არქივები, რომლის მასალებიც ხელმისაწვდომი არ იყო საზოგადოებისათვის.

ამის მიუხედავად მაინც შევძელით ზოგიერთი თხზულების მოძიება, თუმცა არის ისეთი ნაწარმოებებიც, რომელთაც ვერ მივაგენით. მე, მაგალითად, მახსოვს, რომ იყო ასეთი საბავშვო წიგნი „სკოლა“, რომელიც ვერსად ვიპოვნეთ, თვით გრიშაშვილის მუზეუმშიც კი, სადაც უნიკალური წიგნებია დაცული...

თუ მოხერხდება და ნიკოლო მინიშვილის პუბლიცისტიკაც გამოიცემა, ამით, ფაქტობრივად, ამოიწურება ამ მწერლის შემოქმედება, უფრო სწორად, მისი გადარჩენილი ნაწილი.“

**კახმეგ კუდავა:**

„საზოგადოებამ იცის, რომ ცისფერყანწელთაგან რეპრესირებული იყო სამი პოეტი: პაოლო იაშვილმა თავი მოიკლა, ტიცინ ტაბიძე დააპატიმრეს, ნიკოლო მინიშვილი დახვრიტეს. ეს ყველაფერი ორ თვეში მოხდა. მათი რეაბილიტაცია თითქოს დაიწყო 1956 წელს, 1958-ში ნიკოლო მინიშვილის ლექსების ერთტომეულიც გამოიცა, მაგრამ ცენზურის მიერ შეცვლილი, დაშლილი და დახლეჩილი. იქ, სადაც „ღმერთი“ ეწერა, სხვა სიტყვით ჩანაცვლებულიყო, წინ წამოენიათ კომუნისტური ნომენკლატურის დროს დაწერილი ლექსები, ის იდეები კი, რასაც ჭეშმარიტად ეთაყვანებოდნენ ცისფერყანწელები, საერთოდ წაშლილი იყო. ამიტომ, შესაბამისად, ეს კრებული არ ასახავდა ნიკოლო მინიშვილის შემოქმედებას. ამ პოეტის ნამდვილი რეაბილიტაცია ახლა, ჩვენს თვალწინ მიმდინარეობს. ამ წიგნებში გაერთიანდა მისი პოეზია, მინიატურული პროზა, ისტორიული ხასიათის ნარკვევები... ვაგრძელებთ მუშაობას და გამოსაცემად ვამზადებთ ნიკოლო მინიშვილის პუბლიცისტიკას. ახლა, როცა უშიშროების არქივები გაიხსნა, ბევრ მასალაზე მიგვიწვდება ხელი. ერთი მაგალითი მინდა გითხრათ: დაპატიმრებამდე ერთი კვირით ადრე ის მწერალთა კავშირის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო და საჯაროდ გამოვიდა სიტყვით. ეს გამოსვლა უშიშროების მასალებშია და როცა



ნიკოლო მინიშვილი

კითხულობ, თითქოს ხედავ, რა სამიშინელი ვითარებაა ქვეყანაში, როგორი მღელვარეა პოეტი... შეიძლება ცრემლიც კი მოგადგეს თვალზე. ამიტომ ჩვენი მიზანია ამ მივინყებულის სახელების წამოწევა, მათი რეაბილიტაცია, რაც გულისხმობს არა მხოლოდ შემოქმედების გაცნობას ამ მწერლებისა, არამედ, საერთოდ, იმ ეპოქის სურათის დახატვას, წარსულის გაცოცხლებას და სწორად შეფასებას თაობების მიერ. ამ თვალსაზრისით ნიკოლო მინიშვილის პუბლიცისტიკა, შესაძლოა, ყველაზე საინტერესოდაც წარმოჩინდეს.

დღეს ჩვენს საზოგადოებას ნარვუდგენთ კიდევ ერთ კრებულს: „ცისფერყანწელები“, სერიით „ასი ლექსი“. ამ გაერთიანების 13 წევრისაგან ზოგერთის შემოქმედება ფართო საზოგადოებისათვის უცნობია და ამ რჩეულში პირველად იბეჭდება.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ წიგნების მომზადებას მარტო ვერ შევძლებდით, რომ არა ის ადამიანები, ვინც დაგვეხმარნენ შედგენისას. ნიკოლო მინიშვილის პოეზიის წინასიტყვაობა **მანანა ჩიტიშვილს** ეკუთვნის, „თებერვლისა“ – ისტორიკოს **ვახტანგ გურულს**, **ლევან ბრეგვაძე** რედაქტორია პუბლიცისტიკური წერილისა „ფიქრები საქართველოზე“; **მაია ჯალიაშვილმა** თავისი სიტყვა „ცისფერყანწელებს“ და მინიატურებს წაუძღვარა.“

თემურ ამყოლაძე

## როგორ ვკითხულობთ პოეტურ ტექსტს

აქედან გამომდინარე, თეოდორ ადორნოს გამონათქვამი, რომელსაც აქვე იმონებებს ნაირა გელაშვილი და რადიკალურს უწოდებს – „ერთ-ერთი ყველაზე რადიკალური გამონათქვამი ტრადიციული ლირიკის თაობაზე, როგორც ცნობილია, ეკუთვნის თეოდორ ადორნოს: გამონათქვამი, რომელსაც ერთმანეთთან პრინციპულ კავშირში მოჰყავს დრო, ამ დროის შინაარსის ერთი, თვისობრივად სრულიად ახალი, თავად სიცოცხლეს დაპირისპირებული ნახნავი და (ლირიკული) პოეზია. იგი ამბობს, აუშვიცის შემდეგ ლირიკული ლექსის წერა შეუძლებელიაო. მით უფრო შეუძლებელია ლირიკული ლექსის დაწერა ხიროსიმასა და ნაგასაკის შემდეგ“ – თითქოს მართალი კია, მაგრამ, როგორც ნ. გელაშვილი სწორად შენიშნავს, რადიკალური გამონათქვამია, და რაკი რადიკალურია, უნივერსალური ვერ იქნება. უნივერსალური კი ისაა, რომ შეუძლებელი არაფერია, ლირიკული ლექსი ხიროსიმას შემდეგაც იწერება, ისევე დაიწერება, რაკი სიცოცხლით სიხარული თუ სევდა უმშვენიერესი რამაა, მისი ნიჭი ჯერაც არ წართმევია ადამიანს; და კიდევ ის, რომ პოეზიაში რეცეპტების გამოწერა (გინდ რუსთაველმა გამოწეროს და გინდ ადორნომ) უსარგებლო საქმეა, არც ერთი რეცეპტი უნივერსალური არ არის.

უნივერსალურს შეიძლება ჰგავდეს მხოლოდ მოთხოვნა – პოეზია იყოს ზუსტი, მართალი, რასაც ჩვენ ბუნებრივს, ერთადერთს ვეძახით ხოლმე და რაც, არსებითად, ერთი და იგივეა. ლამაზი – ცნობილი ამბავია, –ყოველთვის არ ნიშნავს მშვენიერს, და პირიქით, მშვენიერი ყოველთვის არ არის „ლამაზი“, პოეზია კი მშვენიერი უნდა იყოს უპირველეს ყოვლისა და ლამაზიც თუ იქნება, ამით არაფერი დაშავდება.

ამ ლამაზისა და მართალის თაობაზე ნაირა გელაშვილი წერს: „ამიტომ ამ პოეზიის (ბ. ხარანაულის) ნიშანი, საზომი და მიზანია არა „ლამაზი“, არამედ „მართალი“: ცხოვრებასა და ხელოვნებაში სილამაზე ხშირად იქცევა სიმართლის ერზაცად, მის კომპენსაციად, მის ჩამხშობად. გარეგნული სილამაზის კულტი, სიცარიელის კვარცხლბეკზე შემდგარი ლამაზი ფორმა ძლიერ მახასიათებლად იქცა ქართული პროზა-პოეზიის ერთი ნაწილისათვის. ამის მკვეთრ ილუსტრაციას წარმოადგენს კრიტიკა, რომელიც ბესიკ ხარანაულს ოთხმოციან წლებში თავს დაატყებეს ერთი ლექსის („კარტოფილის ამოღება“) გამო. კრიტიკოსი ე. ჯაველიძე სწორედ გაქვავებული ტრადიციის, ე. ი. სტერეოტიპის პოზიციიდან გამობდა პოეტს, რომ მან ლექსის საგნად აირჩია არა „ვაზი“, რომელიც „ჩანწულია ჩვენს ეროვნულ ფსიქიკაში“, არამედ ისეთი „პროზაული“, ე. ი. არაესთეტიკური რამ, როგორცაა „კარტოფილი“.

დასასრული. იხ. „ჩვენი მწერლობა“ №10

„კარტოფილის ამოღებაზე“ მითქმა-მოთქმა კი მახსოვს, მაგრამ ეს ფაქტი, თუ ე. ჯაველიძემ ეგ უსაყვედურა თუ დაუწუნა პოეტს, არ მახსოვდა. ხანდახან მეტისმეტად გვიტაცებს გარეგნულად ლამაზი სამკაულები, ცრუესთეტიკური ტრადიცია... იმდენად გვიტაცებს, რომ თავგამოდებით ვცდილობთ ხოლმე, ხელი წავუკრათ დიდ პოეტს იქ, სადაც მართალი თქვა, მაგრამ, „ჩვენი ესთეტიკით“, ლამაზად ვერა, და ვეძებთ ათასგვარ საბუთს, რომ როგორმე „გავამართლოთ“, „ნამუსი მოვწმინდოთ“, ამასობაში ისეთ რამეს ვაბრალებთ, რაც არ უთქვამს, არც უფიქრია, ასეთი რამე ეთქვა.

მახსენდება, რამდენიმე ათეული წლის წინათ ერთი ფილოლოგიის პროფესორი როგორ „უხსნიდა“ სტუდენტებს, სიტყვა „ბოზი“ ძველად ლამაზს ნიშნავდა და დავარი რომ ეუბნება ნესტანს – „ბოზო დიაცო, საქმრო რად მოაკვლევინე“, იმას არ გულისხმობს, თქვენ რომ გგონიათო.

ხომ წარმოგიდგენიათ, გაცოფებული დავარი ნესტანს ეუბნებოდეს, შე ლამაზო ქალო, საქმრო რად მოაკვლევინეო! – აი, სადამდე შეიძლება მიგვიყვანოს „გალამაზების“ სურვილმა.

ისე, ნამეტანი ხომ არ „ვულამაზებთ“ პოემას ჩვენს უპირველეს გენიოსს? რა თქმა უნდა, მაგრამ არც სხვას ვაკლებთ ხელს, ხანდახან იმისთანა სიბრძნეს აღმოვეჩინეთ, მტრისას, არადა, განსაკუთრებით, დიდებს მოვდგებით ხოლმე. გურამიშვილი რომ რელიგიური პოეტია, კი ვიცოდი, მაგრამ თუ „მხიარულ ზაფხულში (ქაცვია მწყემსში)“ ნაცში ეკლის შერჭობასაც ვინმე, სერიოზულად, „სალმრთო ნების“, „უზუნაესი ნების გამოცხადებად“, ღვთის სასჯელად, „თეოფანიის მისტიკურ აქტად“ მიიჩნევდა, ნამდვილად ვერ ვიფიქრებდი. კი, თავს თუ მოვიტყუებთ, ყველაფერი შეიძლება!

მართალს და ბუნებრივს დავუბრუნდეთ:

„ხოლო ის, ვინც „მართალსა“ და „ბუნებრივს“ ეძებს, აუცილებლად მივა იმ მოვლენასთან, რომელსაც ჰქვია „სიზუსტე“, – წერს ნაირა გელაშვილი და იმონებებს რილკეს, ჰაიდეგერს, მარინა ცვეტაევას, მერაბ მამარდაშვილს.

მნიშვნელობა არა აქვს, ეს სიზუსტე პოეზიაში შემთვრალია, ფხიზელია, ემოციურია, მკაცრია, – მთავარია, იყოს მართალი, ერთადერთი, ანუ იმ კონტექსტში განუმეორებელი, შეუცვლელი, ზუსტი... ბოლოსდაბოლოს, ესაა ის, რასაც დავით წერედიანის ესეი ეფუძნება, რაზეც ნაირა გელაშვილი წერს, რაზეც ვერლენს, რილკეს, ცვეტაევას, ჰაიდეგერს, ბოლოსდაბოლოს, ბევრ ჩვენგანს უფიქრია, ვითომ კი გვცოდნია, მაგრამ, საქმე საქმეზე რომ მიმდგარა, დაგვიწყებია, კონიუნქტურული მეთოდი გვიმჯობინებია – ლექსში სათქმელის (ან ვითომ სათქმელის) ძიებისა, პოეტური ხერხების, სახეების, მეტაფორების ამოწმებისა, რეალობის შელამაზებისა, სასურველად წარ-

მოდგენისა, „გამინაარსებისა“ და არარსებული პრობლემატიკის პოენისა. და თუ სიზუსტეზე მიმდგარა საქმე, შინაარსობრივი, ფაქტობრივი სიზუსტე გვიძებნია და არა შემთვრალი სიზუსტე, ფხიზელი სიზუსტე, ემოციური სიზუსტე – მოკლედ, მხატვრული სიზუსტე.

IV

„(ტ)კვილის ნიშნები“

სანამ ამ ჩანაწერებს დავასრულებდი, ნაირა გელაშვილის კიდევ ორი წერილიც ვიპოვე (წერილი მეორე, „ალტერნატივა“ №7, 2004, დაწერილია 1993 წ. (ისევე, როგორც წერილი პირველი) და „წერილი მესამე“, „ალტერნატივა“ №1, 2005 წ. (დაწერილია 1995 წ.).

მაგრამ ვიდრე მათზე ვიტყვოდე რამეს, „ალტერნატივის“ №7 ნომერში დაბეჭდილი ორი ესეი უნდა ვახსენო: დავით ჩიხლაძის „ენობრივი პოეზიის დღევანდელი მდგომარეობა საქართველოში“ (კარლო კაჭარავას პოეზიის კონტექსტუალური შტრიხისათვის) და დავით ანდრიაძის „(ტ)კვილის ნიშნები“ (ეგეც კარლო კაჭარავაზე); აქვე ამ პოეტისა და მხატვრის (კარლო კაჭარავას) ლექსებიცაა დაბეჭდილი. ამთავითვე ვიტყვი, დღემდე მისი არაფერი წამეკითხა (ყოველ შემთხვევაში, არ დამხსომებია) და, რომ არა ეს ორი ფრიად საინტერესო წერილი, ვერც მივაქცევდი ყურადღებას, რადგან პოეზიად ვერც აღვიქვამ, თუმცა ლექსის ფორმა კი აქვთ...

**ამ კაცის მოძრაობები ნიუ-იორკის ცაზე  
მოელვარე მრავალკუთხედს ჰქმნის.  
უცნაურად გაფითრებული ნათელი ფერიები – დები  
ჰგვანან ელექტრონულ სიზმრებს –  
და ვიდეოკლიპის ენით მოყოლილ მითებს  
წლიდან წლამდე.**

აი, ერთ-ერთი „ლექსი“. თუმცა, როგორც დავით ჩიხლაძე წერს, თურმე თვითონ კ. კაჭარავა „არც უწოდებდა საკუთარ მოღვაწეობას პოეზიას“; წერილის ავტორს კი რატომღაც ეს სიტყვა – პოეზია აქვს გამოტანილი სათაურში;

რაც შეეხება დავით ანდრიაძეს, იგი ლექსებსაც კი არ უწოდებს ამ ტექსტებს, არამედ პნკარედებს (სავსებით მართებულადაც).

და თუ მაინც ვწერდები ამ ლექსებზე, მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ჩვენი ახალგაზრდული ლიტერატურის ერთი მიმართულების ტენდენციას გამოხატავს – პოეტური ტექსტის პოეზიისაგან დაშორების სამწუხარო, მე ვიტყვოდი, ახირებულ ტენდენციას, რასაც, მოდის კვალობაზე, თავისთავად გაუწვა ყავლი, თუმცა, როგორც ცდა, ექსპერიმენტი, შეიძლება რაღაც ახლის პოვნაში კი დაეხმაროს ვინმეს.

დავით ჩიხლაძისა და დავით ანდრიაძის წერილები კი სიამოვნებითა და დიდი ინტერესით წავიკითხე, ოღონდ ესაა – მომეჩვენა, კ. კაჭარავას ტექსტები მათთვის მასალა უფროა საკუთარი შეხედულებების გასაშლელად და გადმოსაცემად, ვიდრე პირდაპირი ინტერესის საგანი, ამიტომ დაწერილებით ვერ ვისაუბრებ, მითუმეტეს, ისინი უფრო ფილოსოფიური ოპუსებია, ვიდრე კრიტიკული წერილები.

გარდა იმისა, რომ დ. ანდრიაძე ამ ტექსტებს პნკარედებს ეძახის, იმაშიც უნდა დავეთანხმო, რომ ეს ე. წ. ლექსები „ენის არა ესთეტიკურ, არამედ ონტოლოგიურ ფუნქციას უფრო მიენდობიან“, იმაშიც, რომ „კულტურული პათოლოგიის... კაპიტალის პროცენტებით ცხოვრებას დღეს უკვე ბევრი მიეჩვია, მათ შორის, ჩვენშიც“, და ბევრ სხვა რამეშიც, მაგრამ „პოსტთანამედროვე სამყაროში პოეზიის ფუნდამენტური შეუძლებლობის“ თეზისში კი ვერა. თუ იმას ვამბობთ, რომ სამყარო ძველებური, ტრადიციული გაგებით „პოეტური“ აღარაა, გასაგებია, ამაზე არავინ კამათობს, მაგრამ ეგ სრულიადაც არ გულისხმობს, თითქოს პოეზია მოკვდა ან მოკვდება და იგი ისტერიულმა, უგნებო ტექსტმა უნდა შეცვალოს, ნურას უკაცრავად. ეს მხოლოდ ერთი რადიკალური თვალსაზრისია, ადორნოს თვალსაზრისის მსგავსად, უცხოურ სათბურში გამოყვანილი და ჩვეთნაც სათბურშივე გადმორგული, რადგანაც, ჩვენი პოეტური ტრადიციის გამო, ღია ცის ქვეშ ძნელად გაიხარებს, სათბურის უგემურ ნაყოფად დარჩება, ყოველ შემთხვევაში, დღემდე ასეა.

ჩემს წერილს სათაურად აქვს „როგორ ვკითხულობთ პოეტურ ტექსტს.“ ჩემთვის პოეტური ტექსტია ყველაფერი, რასაც ლექსის ფორმა აქვს – გართიშულიც და გაურითმავიც, კარგიც და ცუდიც, ანუ პოეტური ტექსტი ლექსის სინონიმია, თუმცა, რომ ვაკვირდები, ვისაც ეს სიტყვა – ტექსტი – მოსწონს, პოეტურ ტექსტს მაინცდამაინც ლექსს არ ეძახის, მაგალითად, დავით ანდრიაძე: „მისი პოეტური ტექსტები (განგებ არ ვხმარებ სიტყვას – ლექსები), უპირველეს ყოვლისა, თავად ჩვენი საგნობრივი, ანდა, უკეთესი იქნებოდა თუ ვიტყვოდი, გასაგნობრივებული სამყაროს ფუნდამენტური მუტაციის მაცნეა“.

და თუ ლექსი არაა, არც პოემაა და პოეზიის ნიშნები მაინცა აქვს, იმდენად მაინტერესებს, რამდენადაც ფილოსოფიაში ნაპოვნი პოეზია, ან ის პოეზია, თავისი საქმით გატაცებული ქიმიკოსი რომ ქიმიამი პოულობს, ან ფიზიკოსი – ფიზიკაში: მაგრამ, როგორც ვხედავ, ამ ტექსტებს თავისი მცირერიცხოვანი მკითხველი და დამფასებელი მაინცა ჰყავს, შესაძლოა, იგი, ესეის მსგავსად, ახალ ლიტერატურულ ჟანრადაც ყალიბდება. ვისაც ამგვარი პოეზია მოსწონს, ღმერთმა ხელი მოუმართოს, ოღონდ ეგ არაა პოეზიის განვითარების მაგისტრალური გზა, ეს მიმართულება უფრო ლიტერატურის თანამგზავრი მიმართულებაა, შენაკადია, და რამდენად სიცოცხლისუნარიანი იქნება, დრო გამოსცდის, ის დრო მიუჩინს თავის ადგილსაც. ხოლო ლექსის განვითარების მაგისტრალური გზა რაც არის – ჰომეროსიდან დღემდე – ეგ ცნობილია.

იმ ტექსტებში კი, უპირატეს შემთხვევაში, მხოლოდ ნიშნები ჩანს პოეზიისა, ზოგან ეგეც არა.

რაც შეეხება (ტ)კვილის ნიშნებს კ. კაჭარავას ტექსტებში, დავით ანდრიაძე აქაც მართალია, რადგან იქ (მეც) ვერც ნამდვილი ტკივილი აღმოვაჩინე და ვერც ნამდვილი კივილი – იგი ტკივილობანასა და კივილობანას ინტელექტუალური თამაშის ცდა უფროა, ტკივილისა და კივილის ატრიბუტიკით, და რომ ამგვარი ნიშანდობლივი, ჩემთვის სამწუხარო, უცხოური სათბურიდან გადმორგული ტენდენცია არა თანამედროვე ახალგაზრდულ ლექსში, და კიდევ ის ორი ფრიად საინტერესო წერილი, მსჯელობადაც არ ღირდა.

V

„მინაპირე ვარსკვლავი“

ნაირა გელაშვილის მეორე წერილზე ბევრს არაფერს ვიტყვი, რადგან იგი ბესიკ ხარანაულის შემოქმედების საფუძვლებზე სწორი, ოღონდ ზოგადი შეფასებაა, და რაკი ზოგადია, კონკრეტულ მაგალითებს ნაკლებად ეყრდნობა, იმ უამრავი, თავისთავად მნიშვნელოვანი, საინტერესო დაკვირვებების გადმოწერა კი არა ღირს, დაინტერესებული მკითხველი თავად იპოვნის; მინდა, მესამე წერილს მივაქციო თქვენი ყურადღება, რადგან, უმრავლეს შემთხვევაში, არ ვეთანხმები და მიმაჩნია, რომ ამაზე საუბარი აუცილებელია იმის განსასაჯელად, როგორ ვკითხულობთ და როგორ უნდა ვკითხულობდეთ პოეტურ ტექსტს.

სამივე წერილი ბესიკ ხარანაულის 1991 წელს გამოცემული სამი წიგნის შეფასების ცდაა ერთი თვალსაზრისით – როგორ ჩანს მათში „თანამედროვედ ყოფნის ნიშნები“, და არა მხოლოდ ამ კუთხით, მათში უამრავი საყურადღებო დაკვირვებაა ავტორისა ბესიკ ხარანაულის შემოქმედებაზე, ნათქვამია, რომ „მათი სახით ჩვენს წინაშეა დიდი პოეტური შემოქმედება“, და ისიც, რომ „უკვე ამ კრებულში იგრძნობა საფრთხე – ფსიქოლოგიზმებსა და ცხოვრებისეულ დეტალებში ჩაკარგვისა; ჩაკარგვისა კონკრეტული საგნების, ვითარებების, ნიუანსების ურიცხვობასა და განმეორებადობაში“ („წერილი მეორე“).

ეს მართლაც ასეა და აქაც უნდა დავეთანხმო ნაირა გელაშვილს – იმაშიც, რომ ბ. ხარანაულის შემოქმედება დიდი შემოქმედებაა და იმაშიც, რომ ის საფრთხე მართლაც უკვე ჩანს იმ წიგნებში.

გადის ორი წელი და იწერება „წერილი მესამე“, რომელიც განიხილავს ლექსს „მინაპირე ვარსკვლავი“ (კვლავ 1991 წელს გამოცემული წიგნიდან) და, ჩემი აზრით, ეს უკვე იმისი ნიმუშია, როგორ არ უნდა ვწერდეთ პოეზიაზე, მიუხედავად იმისა, არც მე ვარ აღტაცებული ამ ლექსით (ბესიკ ხარანაულის მასშტაბისათვის), თუმცა იგი მაინც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწარმოებია არა მხოლოდ ამ პოეტის შემოქმედებაში, არამედ უკანასკნელი ორი ათწლეულის ქართულ პოეზიაშიც, მითუმეტეს, რომ მასზე განსხვავებული, ურთიერთგამომრიცხავი შეხედულებები ადრეც მომისმენია, ვილაცას მოსწონდა, ვილაცას – არა, მაგრამ პოეტური შთამბეჭდაობის გამო და არა იმისათვის, მისაღებია თუ არა ის „აზრები“, ამ ლექსში რომაა „გამოთქმული“, ნაირა გელაშვილი კი სწორედ სათქმელზე, პოეტის, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, მოქალაქეობრივ პოზიციასზე დაობს და არა ოსტატობის ხარისხზე, სჯობდა კი, პირიქით ყოფილიყო. პირადად მე სწორედ ეს „პირიქით“ მაინტერესებს, თუმცა ვერც იმ ლექსის სათქმელის იმგვარად დანახვასა და შეფასებაში დავეთანხმები კრიტიკოსს და იძულებული ვარ, ახლა სწორედ პოეზიისთვის თუმცა ერთობ ღირებულზე, მაგრამ ნაკლებად მნიშვნელოვანზე ვისაუბრო, ანუ იმაზე, როგორ უნდა გავიგოთ, ან არ უნდა გავიგოთ („გავაშინაარსოთ“) ესა თუ ის სტრიქონი.

კრიტიკოსს არ მოსწონს პოეტის „დამაბნეველი აზრი“, რომ პოეტები გაიკრიჭნენ მოქალაქეებად.

ჯერ ერთი, ეს აზრი დამაბნეველი სულაც არ არის, ჩვეულებრივი, მკაცრი რეალობაა – დღევანდელიც, გუშინდელიც, ასი წლის წინანდელიც.

„ლექსი 1989 წელსაა დაწერილი. საქართველოში ჯერ საბჭოთა ხელისუფლებაა. მაშასადამე, ის, რაც ლექსის ავტორს თანამედროვე ეპოქის უბედურებად მიაჩნია: კერძოდ, – პოეტის გადაქცევა „მოქალაქედ“ – ჩვენი სამშობლოსაგან ჯერ შორსაა, თუკი პოეტი „მოქალაქეში“ უბრალოდ ამა თუ იმ სახელმწიფოს მკვიდრს ან ბურჟუას კი არ გულისხმობს, არამედ დემოკრატიული, სამოქალაქო საზოგადოების წევრს, ანუ „მოქალაქეს“ თანამედროვე დასავლური გაგებით. მაშასადამე, პოეზიის ქვეშარიტ, ბაირონისებრ პოეტთა სიკვდილის ადგილად, ნამდვილ ანტიპოეტურ სივრცედ ლექსის ავტორი სწორედ დემოკრატიულ დასავლეთს განიხილავს“:

რატომ „მაშასადამე“?

რა გამოდის: პოეტის ნაცვლად ხომ არ ვთხზავთ რაღაც თეორიას და მერე მოვდგებით, ეს რა გათქმევინა, ეს რამ გაფიქრებინაო?..

ნაკითხული რომ არ მქონდეს ეს ლექსი, მართლა ვიფიქრებდი, თითქოს ბესიკ ხარანაულს ლამის სიტყვა-სიტყვით, ეჭვგუშვალად უწერია ასეთი რაღაც. არადა, მისი პოეტი-მოქალაქე, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ქართველი პოეტია (და, რა თქმა უნდა, უცხოელიც), უპირველეს ყოვლისა, თვითონაა და მერე სხვა. მე პირადად ამისი დანახვა არ გამჭირვებია, თუმცა „გამჭირვებიაც“ არ არის ის სიტყვა, რადგან ეს იმდენად აშკარაა. ნუ დავაბრალებთ საბჭოთა ეპოქაში დაწერილი ლექსის ავტორს „დემოკრატიული დასავლეთის“ კომუნისტური, პარტიული იდეოლოგიის პოზიციებიდან კრიტიკას – ეს ბესიკ ხარანაულის შემოქმედების თემა არასოდეს ყოფილა. ისიც საკითხავია, ვინ აუკრძალა მას, თუნდაც 1989 წელს, მოქალაქედ წარმოიდგინოს თავი და ამისი თქმისა შეეშინდეს, აქაოდა, დასავლეთში მოქალაქეს სულ სხვა რამეს ეძახიანო, ანუ ადამიან-მომხმარებელთან დაპირისპირებულ რამესო. ეძახიან და ეძახონ – ამდაგვარი მეცნიერული, ფილოსოფიური თუ სოციოლოგიური, დეფინიციები პოეზიის საქმე არ არის, პოეტი ლექსს წერს და არა ტრაქტატს, ანწილ, ყოველგვარი ადამიანურით (ავითა და კარგით) აღსავსე ყოფას ხატავს (თავისას, ჩვენსას), ზნეობრივ-სოციალურ კოდექსს კი არ ჩამონუსხავს.

ჩვენში ხომ მოქალაქის ცნება რეჟიმს შეგუებული, ან რეჟიმის მსახური „შეგნებული“ ადამიანის მნიშვნელობით ჩამოყალიბდა.

განა ჩვენ ყველა, გვინდოდა თუ არა, ჩვენდა საუბედუროდ, საბჭოთა ქვეყნის მოქალაქეები არ ვიყავით, განა მოქალაქე გამოძიებლები და მოსამართლეები არ გვირჩევდნენ საქმეს, განა მაიაკოვსკი სიამაყით არ აცხადებდა, საბჭოთა ქვეყნის მოქალაქე ვარო?! განა დღესაც ამ ქვეყნის ავი თუ კარგი მოქალაქეები არა ვართ?!

**ბაირონი უკვე აღარ გაიღვიძებს!**

**აღარ შეაფრქვევს თვალების ცეცხლს**

**ალბიონის ნისლიან ზეცას,**

**რადგან პოეტები გაიკრიჭნენ მოქალაქეებად**

**და რად არ იქცნენ:**

**მწიგნობრებად, მოხელეებად**

**და დასვენების დღეებშილა თუ იცლიან**

**ლექსებისათვის.**

**დაბადებულნი ტანჯვისა და თანაგრძნობისთვის**

ისევე მარჯვედ უსხლტებიან ყოველგვარ ხიფათს, როგორც გვერდს უვლის გასრესილ ძაღლს მოქალაქე-მომხმარებლის სუფთა მანქანა, რადგან თუმცა ცოტა საჭმელიც აქვთ და სატრაბახოც და გზატკეცილიც მზის სხივებში გახვეულია, მაინც ნოხებად დაფენილი და მრავლისაგან გადავლილი ძაღლების ბენვი თავის ტყავსა და ძვალს აგონებთ და სუნთქვა ეკვრით...

რაა აქ ისეთი, რაც გუშინ არ ყოფილა ჩვენს ყოფაში, რაც დღესაც არ არის, იმ განსხვავებით, რომ მომხმარებლები ვეღარა ვართ, ერთი-ორილა თუ დარჩა, რაკი მოსახმარებელიც აღარაფერია. და ვინა თქვა, რომ მნიგნობარი თუ მოხელე არაფერს ქმნის და მხოლოდ მოიხმარს?! და ბაირონი რომ აღარ გაიღვიძებს (არა მხოლოდ ბაირონი), ჩვენი ყოფა რომ აღარც ჰეროიკულია, აღარც რომანტიკული, აღარც პასტორალური, განა ეგეც ცხადი არაა?!

გასაოცარია, ნუთუ მართლა სჯერა კრიტიკოსს, რომ ბესიკ ხარანაული მთელს დედამიწაზე:

„... ვერცერთ ბედნიერ გამონაკლისს ვერ ხედავს – ნამდვილ პოეტს, რომელიც არც „მომხმარებელია“, არც „მნიგნობარი“ და ა. შ. ასე რომ, ასეთ ბედნიერ გამონაკლისად მხოლოდ თვითონ რჩება და საკუთარ თავს უფლებას ანიჭებს ამხილოს, დაგმოს და ბოლოს შეაჩვენოს სიტყვის მუშაკთა გადაგვარებული მოდგმა...“

რა გადაგვარებულ მოდგმაზე ვლაპარაკობთ? თუ ამ შეფასებას ვერწმუნებით, აქედან სიძულვილამდე ხომ აღარაფერია დარჩენილი, და განა ასეთ კაცს დიდი შემოქმედების შექმნა შეეძლო? სინამდვილეში, ეს დამოება და შეჩვენება კი არა, სამძიმარია, თანაგრძნობის გამოცხადებაა, ის სევდაა, რომელიც საფუძველთა საფუძველია ღირებული ლიტერატურისა... ეს ლექსი, ბოლოსდაბოლოს, როგორც ბესიკ ხარანაულს სჩვევია, არის ლექსი დიდი პროზის სათქმელითა და პრობლემატიკით... და რა ვქნათ ახლა, დიდ, მამხილებელ პროზაიკოსებსაც შემჩვენებლობა და მგმობელობა დავაბრალოთ, თუ მესამე პირში წერენ?! ნუთუ მონოლოგის გაუცხოება, მესამე პირში გადატანაა საკმარისი მიზეზი იმისათვის, ვიფიქროთ, რომ პოეტი მხოლოდ სხვა პოეტებს გულისხმობს და საკუთარ თავს გამორიცხავს? „ლექსის ავტორი მათ არსებობას უბრალოდ უარყოფს და უცნაურად დავიწროებულ ხედვაში მხოლოდ თვითონ მოსჩანს სუბსტანციამენარჩუნებულ პოეტად“.

ჩაეხედოთ ამ ლექსს და ორიოდ პასაჟს მაინც ვიპოვნით, სადაც პოეტი არც თავს ინდობს: ბესიკთან ხომ სუბიექტური ყველგან (არა მხოლოდ ამ ლექსში) აშკარაა და შეუნიღბავი. არ იტყუება, აშკარა სიღრმეებში მიდის და, ამასთან, გამუდმებით მკვეთრდება, მახვილდება ობიექტი, ობიექტური. ეს მისი შემოქმედების ნიშანია:

**ყველაფერი ისე გვახელებს და ისე გვთრგუნავს, რომ როგორც კი სხვების ჩადენილ სისაძაგლისგან პირს შევიბრუნებთ, უკვე ვოცნებობთ მის განხორციელებაზე...**

ან:

**დღეს გათენდი, განკითხვის დღევ, „ხვალე“, „ხვალეს“ ნუ გვპირდები, ხვალ გვიანია, რადგან უკვე ყელამდის ვართ ჩატანებულნი!**

არ კმარა? რა, ის მოვთხოვთ პოეტს, აქაოდა, თუ არ გინდა შენს კაიკაცობაში დაგვაეჭვო, გამუდმებით თავი იგვემეო? განა ეს ლექსი პირველ პირში რომ დაენერა ბ. ხარანაულს, საკუთარი თავი ეწყევლა, უკეთესი გამოვიდოდა რამე? განა უამისოდაც ცხადი არ არის ყველაფერი?

„შემდეგ ყველა ასეთი თანამედროვე პოეტი (პოეტი – „მოხელე“, „მომხმარებელი“, „მოქალაქე“, „მნიგნობარი...“) შედარებულია მანანალა ძაღლებს და მათი ბრალია სწორედ, „რომ ბაირონი აღარ გაიღვიძებს...“

**ბაირონი უკვე აღარ გაიღვიძებს!  
რადგან ქალაქში დღეს ძაღლები დანანალებენ და დაეძებენ თავის თავსაც, თავის სწორსაც, თავის სატრფოსაც, ისეთსაც, სადაც გაჭირვებით შეეტევინა და ისეთსაც, რაც არ შეიტევთ. მათ აირეკლავენ, აისხლეთენ, აინებებენ, ბუსუსს გააცლიან, ბურტყელს გააძრობენ და ხელიდან დავარდნილი პორტფელის ნმენდაც მოუნვეთ, თრევაც სხვისი ჩემოდნებისა: მერე დაღამდება: და გამოვლენ ღამის ძაღლები, ისინი, ვისთვისაც ხიფათები ბუნებრივია...**

კი მაგრამ, ვინ აბრალებს?!

ეს მეტისმეტი უტრირებაა პოეტური ტექსტისა.

აქ სწორედ ისაა ნათქვამი, რომ იმ მანანალა ძაღლების გარდა ღამის ძაღლებიც არიან ამ ქალაქში, ანუ მოდარაჯე ძაღლები, ისინი (და არა მხოლოდ ერთი), ვისთვისაც ხიფათები ბუნებრივია. განა ყველაფერი, რაც ამ პასაჟშია ნათქვამი, მართალი არაა?! სხვათა შორის, ამგვარი რამ არც ადრე იყო უცხო ბესიკ ხარანაულის შემოქმედებისათვის, თუნდაც „სურათები მანანალა ძაღლის ცხოვრებიდან“ გავისხენოთ, ან „ძალდი ქვაფენილზე“, ანდა „შინ“; და საერთოდ, ქართული პოეზიისათვის (სხვადასხვა ასპექტით): „ჩემი ბედია რაღაც ძაღლური, რაღაც ძაღლური და მოყაყანე“ (ავთანდილ ყურაშვილი). სხვისთვისაც...

განა „მოქალაქის“ ცნება როგორც ესმით დასავლეთში, ჩვენს პოეტსაც ისე უნდა დაესწავლა და ლექსიც იმგვარად გაემართა, კამათი რომ აეცდინა?! მთავარი ის კი არ არის, „მეცნიერულად“ ესმის თუ არა პოეტს ეს სიტყვა, არამედ ის, როგორც ესმის და ხედავს, აღმატებული პოეზიის საგნად თუა ქცეული, მოხელთებული თუა ის მოუხელთებელი. ამ ლექსს კი ნეტავ სწორედ აქ არ უჭირდეს ალაგ-ალაგ! რაც შეეხება ილია ჭავჭავაძის პოეტ-მოქალაქეობას, ასე მგონია, იგი ცოტა უფრო მეტი იყო საქართველოში, ვიდრე მოქალაქე, და თუ მოქალაქეობის საზომად მისი პიროვნება გვინდა გამოვიყენოთ, აღარ



ყოფილა საშველი, ქვეყანა სამუდამოდ მოქალაქეების გარეშე დარჩენილა, ყოველ შემთხვევაში, პოეტი-მოქალაქეების გარეშე!

ჩეჩნების ტრაგედიაზე ბესიკ ხარანაულს თუ რამე აქვს სათქმელი, და თუ სურს, რომ თქვას, ეს გამირობად არ ჩათვლება, რამდენიც გინდა, იმდენი უყვირე რუსს აქედან, შენსას მაინც არ გაიგონებს, თავისაზე ხელს არ აიღებს, ამისი მთქმელი უამრავია (ჩვენშიც), გულწრფელად მთქმელიც და ისეთიც, ლამის „სამსახურებრივად“ რომ ევალება ეს. და ბესიკ ხარანაული რომ ჩეჩნეთს იარაღით ნასულიყო, ამით იმ ხალხს არაფერი ეშველებოდა, მხოლოდ საკუთარ ბიოგრაფიას გაილამაზებდა, შეიძლება, თავიც დაეტოვებინა იქ, მაგრამ „მენაპირე ვარსკვლავი“ ისეც იმად დარჩებოდა, რაც არის. ამიტომ ჩვენ ის გვიჩვენებია, ხარანაულმა თავისი დიდი საქმე აკეთოს კარგად, ისე, როგორც სჩვევია...

„თითქოს აქამდე დასავლეთზე ვლაპარაკობდით. მაგრამ ასეთი დამცირებული, „სხვისი ჩემოდნების“ მთრეველი და სადღაც (ალბათ დაწესებულებებში) პორტფელებით ნაწონიალები „პოეტები“ უფრო საბჭოთა ყოფას და მისი ოფიციალური სტრუქტურების კომპარულობას გვაგონებენ. საკუთარი გამოცდილების გადატანა სხვა სინამდვილეზე (ამ შემთხვევაში დასავლეთზე) ამ ლექსისათვის საერთოდაა დამახასიათებელი.“ – წერს ერთგან კრიტიკოსი.

აგაშენათ ღმერთმა! ჩვენც მანდ არა ვართ?!

ეს სწორედაც რომ ჩვენი ყოფაა, ჩვენი გამოცდილებაა და დასავლეთი არაფერ შუაშია, და თუ მაინც არის სადმე, იმდენად, რამდენადაც ყოველივე („ახლა იღვიძებენ სპორტსმენები, მკვლელები და სუპერვარსკვლავები“ და სხვ.) ჯერ იქ იყო, ახლა აქაც არის და პოეტის გონება, პოეტური ასოციაციის წყალობით, თავის სათქმელში შემოირევს იმას, რაც იქ არის და, სამწუხაროდ, შეიძლება ჩვენთანაც მოვიდეს... განა ამ ხალხმა არ გადაფარა მთელი ჩვენი ტელესივრცე?! განა ჩვენს უპირველეს პოეტებზე მეტად მათ არ უსმენს და ბაძავს ახალგაზრდობა?! განა იმით არ გვიტენიან თავს, იმათგან ვინ ვისთან წევს და ვინ ვის უწევს, ვის რა აცვია, რა ღირებულებისა და ვისთან იკერავს?! განა ე. წ. ვარსკვლავებივით, სუპერ და მეგავარსკვლავებით არ გაივსო საქართველოც?! განა გამოცხადებული თუ პოტენციური მკვლელებიც ცოტა გვყავს, რომელთაც სახელმწიფო მანქანა კი არ ებრძვის, ლამის იფარავს?! და განა ხალხი მათ უფრო არ უსმენს და მიჰყვება, ვიდრე, ბაირონს თავი დავანებოთ, რუსთაველს, ილიას, ვაჟას?! რა, აღარცა ვთქვათ?!

რაც გვანუხებს, იმაზე არ ვწეროთ, თუნდაც ამისთვის, ყურადღების გასამძაფრებლად, სინამდვილის რამდენადმე უტრირებაც დაგვჭირდეს?! ცუდი ის კი არ არის, რომ ეს ლექსი დაინერა, ცუდი ისაა, რომ ცოტამ ნაიკითხა, ანუ, ვისაც უნდა ნაიკითხა, ვინც ამგვარ, თუნდაც უტრირებულ პუბლიცისტურ სიმახვილეს ოდნავ მაინც უნდა შეენჯღრია, ის საერთოდ არ კითხულობს წიგნს, ყოველ შემთხვევაში – ასეთ ლიტერატურას. ხოლო კანის ფერის შემღვრევას რაც შეეხება: ქსნოფობიისა და რასიზმისგან ღმერთმა დაგვიფაროს, მაგრამ მცირერიცხოვანი ერის შვილს კი უნდა ანუხებდეს, და ალბიონზე თუ არ ანუხებთ (არა მგონია), მათი საქმეა.

გარდა ამისა, რატომ უნდა ვიფიქროთ, თითქოს ბ. ხარანაულს ჰგონია, სუპერვარსკვლავებისა და სპორტსმენების ცხოვრება მუდამ დალბინებულია და ხშირად ტრაგიკულად არ მთავრდება, და რომ ეს შესანიშნავად არ იცის... მაგრამ განა ეს ლექსი სუპერვარსკვლავებზე იწერება, რომ მათი ტკბილ-მწარე ცხოვრება ასახოს? განა კრიტიკოსი იმას უნდა ასწავლიდეს პოეტს, რაზე და როგორ წეროს, რომ ლამაზი გამოვიდეს? განა ამას არ ვუკიჟინებდით ე. ჯაველიძეს? პოეტს სულ სხვა რამ აინტერესებს, ყოფიერების სულ სხვა ასპექტი და ეს, საბედნიეროდ, ცხადია – ამის გამო ნუ დავაბრალებთ, რომ, „სუპერვარსკვლავებისა და მკვლელების გაიგივება მეტისმეტია და კაცთმოძულეობის სუნი უდის“. ეს მართლაც მეტისმეტია, – კაცთმოძულეობა აქ არაფერ შუაშია, აქედან ხომ ერთი ნაბიჯილა რჩება ამ ბრალდებით პოეტის ეშაფოტზე გაგზავნამდე.

რაც შეეხება ნიკარაგუელი მღვდლისა და პოეტის, ერნესტო კარდენალის „რამდენიმე ლექსის გახსენებას“ (რომლებიც აქვეა დაბეჭდილი ნაირა გელაშვილისავე თარგმანით): მე არ ვიცი, რამოდენა პოეტია კარდენალი, რადგან ორიგინალში ვერასოდეს წავიკითხავ, ეს თარგმანები კი უფრო ინფორმაციულია და მნიშვნელოვანი პოეზიის მხოლოდ ნიშნების დანახვა შეიძლება შიგ, ხოლო ჰუმანისტური სულისკვეთება ბესიკ ხარანაულის შემოქმედებას ნამდვილად არ აკლია, არც „მენაპირე ვარსკვლავს“, თუ დავუკვირდებით, თუნდაც მისი მტკიცეულად სევდიანი ფინალური ხატი რადა ღირს:

**ყველაფერს უნდა ჩამოვარდნა,  
დანგრევა,  
სიკვდილი...  
ღამეს მიაქვს დედაც,  
ღამეს მიაქვს შვილიც...**

არა მგონია, ამ აპოკალიფსური სურათის დანახვა ძნელი იყოს, არა მგონია, ნიშნის მოგების ნატამალი ჩანდეს ამ ხატში.

მენაპირობაც არაა წინასწარმეტყველის პოზა, პირიქით, მტკიცეულად განცდა უფროა იმისა, რომ მენაპირე ხარ, ჭვრეტა, დაკვირება და თქმა შეგიძლია მხოლოდ და ვერაფერს შეცვლი, ქვეყნის ბედი შენს ხელთ არაა, რადგან ყველაფერს უნდა ჩამოვარდნა, დანგრევა, ღამეს მიაქვს დედაც, ღამეს მიაქვს შვილიც.

კი, ნაპირი ხშირად, როგორც კრიტიკოსი წერს, პროვინციის საზღვრებს ემთხვევა, მაგრამ არა ამ შემთხვევაში.

მესმის, რომ იმის გამო, რასაცა აქ ვწერ, შეიძლება მეც პროვინციული აზროვნება დამნაშავე ვინმემ (მითუმეტეს, მართლა პროვინციაში ვცხოვრობ), მაგრამ ეგ არაფერი – რაც არის, ეს არის და ევროპელობანას თამაშს არ ვაპირებ.

მომეჩვენა, რომ ნ. გელაშვილი ამ ლექსმა გააღიზიანა – იქნებ, გარდა ზემოთ თქმულისა, იმის გამო, რომ:

**წინ გადმოიწია სნობისტურმა ჟანრებმა:  
რომანმა და კინომ და იმათმა ავტორებმა...**

ან იქნებ იმიტომ, რომ ბესიკ ხარანაულთან ე. წ. „გენდერული ნონასნორობის“ იდეა მაინცდამაინც დიდ პატივში ვერაა? მაგრამ ჩვენ ხომ პოეზიაზე ვლაპარაკობთ და არა პუბლიცისტურ წერილზე და თუ ერთ შემთხვევაში, – „მხოლოდ ობივადი შეუდგება ასეთ პიროვნებათა გაზომვას მორალის ჩვეულებრივი სტანდარტებით... ისინი თავიანთი ტანჯვის ხარისხით იზომებიან,“ – „მენაპირე ვარსკვლავის“ ავტორმა რა დააშავა. მისი, როგორც პოეტის, ამგვარი დამოკიდებულება ქალისადმი ხომ მანამდეც ცხადი იყო (თუნდაც „დეიდები და მამიდები“). ეს პრობლემა რამდენადმე უტყობი უტყობი კია ბესიკ ხარანაულთან, ისევე, როგორც, ვთქვათ, გადაჭარბებული რომანისა და კინოს სნობისტურ ჟანრებად გამოცხადება, ან მკვლევლების ვარსკვლავებთან და სპორტსმენებთან ერთად ხსენება, მაგრამ, ჩემი აზრით, ისე არა, რომ ლიტერატურის სივრცეიდან გავიდეს, ლიტერატურული მიზანშეწონილობის (და არა რეალობის) ფარგლებს გასცილდეს, აღმატებული მხატვრული ღირებულება დაკარგოს.

„მენაპირე ვარსკვლავი“ კი მე სწორედ აღმატებული მხატვრული ღირებულების ლექსად მიმაჩნია, მიუხედავად ზოგიერთი ხარვეზისა. ხომ ხდება, ერთი ნაკითხვით მოგვეწონება ხოლმე ლიტერატურული ტექსტი, მაგრამ მერე-მეორედ, მესამედ ნაკითხვისას ის შთაბეჭდილება ხუნდება.

აქ კი აღარც ვიცი, ნ. გელაშვილის წერილის გამო კიდევ რამდენჯერ გადავიკითხე „მენაპირე ვარსკვლავი“ და ყოველ ნაკითხვაზე ახალს, შთაბეჭქდავს ვპოულობდი მასში. ამიტომაცაა იგი ბოლო ათწლეულების ჩვენი ლიტერატურის (და არა მხოლოდ ბესიკ ხარანაულის დიდი შემოქმედების) მნიშვნელოვანი შენაძენი. შევეცდები, ჩემი დამოკიდებულება მისი შემოქმედებისადმი, მისი პოეზიის ჩემი ალქმე სხვა დროს, სხვა წერილით შევთავაზო მკითხველს, ამჯერად კი სულ სხვა მიზანი მქონდა, რომელსაც რამდენადმე ავცდი კიდევ.

საჭირო არ არის, უფრო მეტი ვილაპარაკოთ ამ წერილზე, იმაზე ვიდავოთ, ვინ როგორ ხედავს ამ ლექსში კონკრეტულ თემას, თემებს. ჩემდა სამწუხაროდ, „წერილი მესამეს“ ნაკითხვის შემდეგ ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს ჩვენი ბავშვობაში პოპულარულ ე. წ. ლიტერატურულ გასამართლებას ვესწრებოდი და ბრალმდებლის სიტყვას ვისმენდი.

ადვოკატობას ვერ ვიკისრებ, რადგან ეგ ნაკლებად მაინტერესებს, და რაც მაინტერესებს, ნაირა გელაშვილის პირველ-მეორე და მეოთხე (რომელიც აქ არც მიხსენებია – „ალტერნატივა“ №3, 2005) წერილშია ზოგადად, ხოლო რასაც პოეტური ტექსტის სანიშნო კითხვა ჰქვია, დავით წერედიანის ესეიმი – ზოგადადაც, კონკრეტულადაც.

მე ვიცნობ როსტომ ჩხეიძის თვალსაზრისს ნ. გელაშვილის ამ წერილის თაობაზე („ლიტერატურა ყოფითობაში რომ აღარ ითქვივებოდეს“, „ჩვენი მწერლობა“, №6, 2006), ვეთანხმები ბატონ როსტომს, რომ ნ. გელაშვილის წერილები „წრფელია და მარტოედენ ლიტერატურული ინტერესით ნაკარნახევი.“ ამაზე ზემოთ მეც ვწერდი და თუ ვინმე „წერილი მესამის“ საფუძველში მტრობას ხედავს, დანარჩენში კი რევერანსებს, სულ ტყუილად... მაგრამ, ალბათ, კმარა.

დაბოლოს, მინდა კიდევ ერთხელ დავადასტურო ჩემი უღრმესი პატივისცემა ნაირა გელაშვილისადმი – ბრწყინვალე მწერლისა და კრიტიკოსისადმი – მისი გულწრფელობისათვის, იმისათვის, რომ მისი კრიტიკა, მიუხედავად სიმკაცრისა, მიუხედავად იმისა, ყველაფერში ვერ დავეთანხმები, მაქსიმალურად დელიკატურია, მაქსიმალურად კეთილგანწყობილი.

სწორედ ასე, ყოველგვარი კეკლუცობის, საკუთარი თავისა და სხვათა მოტყუების გარეშე უნდა ვწერდეთ ლიტერატურაზე.

\*\*\*

მეტისმეტად შორს გამიტყუა თხრობამ, უთქმელი კი მაინც ბევრი დამრჩა, ვერც ვიტყოდი, ამისი ილუზია არც მქონია, მხოლოდ სამიოდე მნიშვნელოვანი ტენდენცია ვახსენე პოეტური ტექსტის შეფასებისა: არადა, სხვა ტენდენციებიც არსებობს, სამწუხარო ტენდენციები – მაშინ უამრავი წიგნი უნდა განმეხილა, უამრავი წერილი, თვალსაზრისი... მაინც ვერ ამოვწურავდი.

მე კი ვერც დავით წერედიანის ესეიზე ვთქვი ყველაფერი.

მაგრამ ახლა მართლა დროა, დავასრულო, ოღონდ მინდა მანამ კიდევ ერთხელ შეგახსენოთ:

თუ ნაკითხული გაქვთ, ხელახლა გადაიკითხეთ, ვისაც გამოგონია, იპოვნეთ და ნაკითხვით ქართული კრიტიკული აზროვნების ეს პატარა შედეგები – „მუსიკა უპირველეს ყოვლისა“.

**ვატიკანი თავის ბიბლიოთეკას 2010 წლამდე დახურავს**

ვატიკანის ბიბლიოთეკა 2007 წლის 14 ივლისს დაიხურება და მსურველთ არ შეეძლებათ იქ მუშაობა 2010 წლამდე. როგორც „ბი-ბი-სი ნიუსი“ აღნიშნავს, გადაწყვეტილება ევროპის ერთ-ერთი უძველესი და უმსხვილესი წიგნთსაცავის რესტავრაციის შესახებ მეცნიერთათვის სრული მოულოდნელობა ყოფილა.

ბიბლიოთეკის პრეფექტი მოსწენიორი რაფაელე ფარინა, რომლის სიტყვებშიც მოაქვს გაზეთ „გარდიანს“, განმარტავს, ახალი საცავიც კი, რომელიც სულ რაღაც 25 წლის წინაა აგებული, კონდიციონებისა და ხანძარსაწინააღმდეგო სისტემათა გაუმჯობესებას საჭიროებს, ძველ ნაგებობებში კი აუცილებელია ჭერისა და იატაკის გამაგრება და თაროების გამოცვლა.

ვატიკანის ბიბლიოთეკაში მილიონზე მეტი დაბეჭდილი წიგნი და 75 ათასი მანუსკრიპტი ინახება. არქივის ნაწილი მკვლევართათვის ხელმისაწვდომი იქნება, მაგრამ ბრიტანელ მეცნიერთა სავალალოდ, მათ საშუალება არ ექნებათ იმუშაონ საიდუმლო არქივში, სადაც ინახება მეფე ჰენრი VIII-ს სასიყვარულო მიმონერა თავის მეორე ცოლთან ანა ბოლენთან. წერილები ვატიკანის ჯაშუშს მოუპარავს.

როსტომ ჩხეიძე

# მზის შვილები

VI

## მზიანი ღამე... შუადღის ღამე

მზეო, ამოდი, ამოდი, – ამას უცნობი მელექსე კი აღარ, მარიამი ევედრება, ნოდარ დუმბაძის რომანის („მარადისობის კანონი“) პერსონაჟი, ექსტაზში ჩავარდნილი მლოცველივით რომ ჩამოჯდარა შავნაბადას ეკლესიის წინ, მუხლებში თავჩარგული და, ბაჩანა რამიშვილის თხოვნაზე: თქვი რამე ლოცვაო, – ჯერ იმ ხალხურ ლექსს გაიხსენებს, „შენ ჩემო დიდო იმედო“, მერე კი მზის საგალობელს მოადევნებს, იმ ძველთაძველ საკულტო ჰიმნს, რომლისა მხოლოდ პირველი სტრიქონი გადარჩენილა და უამთა ბრუნვა-ტრიალს სულ სხვა სტრიქონები მოუბამს ზედ; და ნოდარ დუმბაძის გმირიც ხელუხლებლად ტოვებს იმ პირველ ტაეპს, მეორეს ოდნავ, სულ ოდნავ უცვლის სახეს („ნუ ეფარები მთას“), შემდეგ კი სიყვარულის საგალობელს შეუზავებს, მზიდან გადმოფენილი სიყვარულის იმედადღაა, ხორცშესხმულ არსებად წარმოიდგენს და შენუკვის – ღამაში ქალი დამზრალა და მიუაღერსეო:

**მიუაღერსე, უთხარი,  
რომ სიყვარული გკლავს,  
თორემ ქალია, იცოდე,  
წავა, გაჰყვება სხვას**

ეს ლოცვაა თუ ნატვრა?

მარიამი არც განასხვავებს ერთმანეთისაგან ლოცვასა და ნატვრას, და რაკილა ერთიანად გადახსნილა ბუნების წინაშე და მთელი არსებით მისცემია ლოცვას, აღარც უნდა გაგვიკვირდეს, ვედრებას კიდევ რომ უნდა ამოჰყვეს უზარმაზარი მზე კავკასიონზე, ამოგორდეს, გავარვარებული მკლავებით შემოეხვიოს ეკლესიას და შავნაბადას კალთაზე დაღვრილი ნისლი რძესავით შესვას.

ფონად დაეფინება მზე მარიამისა და ბაჩანას შეყრის ამ სცენას, და თითქოს ლოცვა გრძელდება, მარიამი ისე შემოეჭდობა ყელზე უსაყვარლეს ადამიანს და ვედრებას ახლა მას დაუწყებს.

სასწაულს მოჰგავს ეს სურათი, რომელიც კიდევ უნდა განმეორდეს, კიდევ უფრო მძაფრად და შინაგანი სიმხურვალით აღვსილი.

ახლა უკვე მუხლებამდე თოვლში უნდა გადანვეს მარიამი, შუაგულ მინდორში, სულმთლად დედიშობილა და თავისკენ მიიხმოს ბაჩანა, ვინც მის წინ უნდა დაიჩოქოს და ჩურჩულით სთხოვოს: რას შერები, მარიამ, გაცივდებიო, – მან კი გაოცებით უნდა გაიოცოს: ძლივს ველირსე, გიუნე, ახლა მზესთან ვწევარ და რა გამაციებსო.

დასასრული. იხ. „ჩვენი მწერლობა“ №8,9,10

მერე მზე ფეხად უნდა ჩამოვიდეს დედამინაზე, სამადლოს დიდ, თოვლიან მინდორზე გამოიაროს, ადამის ორ ნაშიერს თეთრი, თბილი ზეწარი გადააფაროს, სასთუმლად დაუწვეს და მათთან იყოს, ვიდრე უნეტარეს ძილს მოჰგვრიდეს, შემდეგ კი კვლავ დაუბრუნდეს სარკესავით გამჭვივრავლე ცის კაბადონს.

მეტაფორული იერი შემობლანდვია სურათს, მისტიკური სულით განმსჭვალულა და ფეხზე წამომდგარი ბაჩანა შეშინებული რომ გახედავს მზის გულზე თეთრად აელვა-რებულ მინდორს, ისეთი განცდა გაუჩნდება, რომ:

„დედამინაზე არავინ იყო მისი და მარიამის გარდა და მზე იყო მათთან ერთად“.

გზად კი მარიამის ლოცვა უნდა გაახსენდეს: მზეო, ამოდი, ამოდიო, – იმ თავისებური ვარიაციით, ღამაში ქალი დამზრალაო; ქალი კი ტიროდეს, სამუდამოდ ეთხოვებო-დეს ბაჩანასათვის ჯერაც უცნობს, გაუგებარსა და მიუნვლომელს, მაგრამ სასწაულის შეგრძნება აქ არა მთავრდება, მზის მისტერია, ამ ორი პერსონაჟის თვალწინ გათამაშებული და საერთოდაც მარიამის თავგანწირული სიყვარულით შობილი, ერთხანს კიდევ უნდა გაგრძელდეს, ცის კაბადონს დაბრუნებულმა მნათობმა თავისი კვალი ჯერაც არ აკრიფოს სამადლოს ველიდან და: თოვლი იწვოდეს, იწვოდეს თოვლი ლურჯი და გამჭვივრავლე ალით.

ამ სცენას პატარა გოგო-ბიჭი უნდა შეესწროს, მათმა განცვიფრებულმა თვალებმა აირეკლოს ეს უჩვეულო სურათი. ეს გოგო-ბიჭი ამ ერთადერთხელ ჩნდება რომანის ფურცლებზე – სასწაულის უნებლო შემსწრედ, ესაა და ეს, მაგრამ ამ შემთხვევითობაში რალაც დიდ კანონზომიერებას გულისხმობს მწერალი, და თუმც უშუალოდ არ გამოთქვამს, ეს გოგო-ბიჭიც მარტონი არიან დედამინის ზურგზე. არა, ეს არ არის მიუსაფრობის, უსასოობის შეგრძნება, სწორედაც პირიქით – თითქოს მთელი სამყაროს ბატონ-პატრონი იყვნენ, ისევე, როგორც რამდენიმე წუთის წინათ მარიამი და ბაჩანა, პირველი შვილი ბუნებისა, და ეს პირველშვილობა თუ პირველქმნილობა ასევე უნდა გაგრძელდეს, გადაეცეს ამ გოგო-ბიჭს, მერე სხვა გოგო-ბიჭს, და ყოველთვის შენარჩუნდეს პირველყოფილების ის განცდა, ის უბიწობა, მზის წინაშე მლოცველებივით რომ დაჩოქილიყვნენ და ვედრებასთან ერთად საგალობლებსაც ალაგვლენდნენ.

– შეხედე, ნათია! – სამადლოს ველისაკენ უნდა გაიშვიროს ხელი ბიჭმა და ასე იოლად და ძალდაუტანებლად გახედეს ორივე ყმანვილი სასწაულის მონაწილე.

ასე ჩერდება დრო-ჟამი და საიდანლაც კაცობრიობის გარიჟრაჟიც გამოასხივებს.

მზის მეტაფორა მითოსის ემბაზში ამოველება და მწერლის ჰელიოცენტრული სამყარო „მარადისობის კანონში“ საბოლოოდ გამოიკვეთება.

შეუმჩნეველი არ დარჩენია სალიტერატურო კრიტიკას ეს ჰელიოცენტრული სამყარო, სისტემად გამოკვეთილი მზის სიმბოლიკა, როგორც მწერლის მსოფლგანცდის ძირითადი საყრდენი თუ თავისებურება – სიმბოლიკა, თავისი მრავალფეროვნებითა თუ მრავალშრიანობით, მითოსურ ფესვებამდეც რომ გადანვედებოდა, უპირველესად კი ქრისტიანული ნიშნებით წარმოდგებოდა და გზამკვლევადა „ვეფხისტყაოსანს“ გაიხდიდა.

მზიანი ღამის ღრმა და შთამბეჭდავი მეტაფორა აიყოლიებდა და პირველბიძგიც ის აღმოჩნდებოდა ნოდარ დუმბაძის ჰელიოცენტრული წარმოსახვებისა, მიუხედავად იმისა, რომ ამ სახელწოდების რომანის – „მზიანი ღამე“ – შექმნამდე უკვე გახშიანებულიყო ეს მნათობი მისი წინა რომანის სათაურშივე: „მე ვხედავ მზეს“. და იქაც სწორედ შინაგანი ნათელი იგულისხმებოდა უპირველესად, შინაგანი მზე, ადამიანში ჩასახლებული ღვთის სული, რომელიც დაგიფარავდა წუთისოფლისაგან გამეტებულს.

თვალთა ჩინი დაგეშრიტებოდა?

მზე მოჩანდა ჩალიბრულ, ჩალუსკუმებულ გუგებში, მისი სხივები ჰკვეთდა ჩაგუბებულ წყვილადს და იმ იმედოვნებით ასხივოსნებდა რომანის ფინალს, რაც ერთი შეხედვით მოულოდნელიც ჩანდა, მაგრამ შინაგანი მოტივი ძალდაუტანებლად მიისწრაფოდა სწორედ აქეთკენ. მზე მხოლოდ მეტაფორა არ უნდა ყოფილიყო, რაღაც დიდის ნატებს უფრო ჰგავდა მისი გამოჩენა, და თუ მართლა ნატები იყო, მაშ თანდათან მეტი სისრულე და ცხოველყოფილობაც უნდა შეეძინა, ყმანვილურ განცდებს ჩაქსოვებოდა მზიანი ღამის სიმბოლიკა და ჰელიოცენტრულ სისტემად წარმომდგარიყო.

აღნიშვნით კი აღინიშნებოდა ეს ძირითადი საყრდენი, მაგრამ იმ სიღრმითა და სისრულით ვეღარ აისახებოდა ანალიტიკური განსჯისას, სხვა კრიტიკოსს რომ ათქმევინებდა: ძნელია ასეთი ანალიზის ბადალი გამოიძებნოსო; ანალიზისა, რომელიც თვითონაც ძველთაძველი საგალობლის თავისებურ ნამსხვრევად თუ ნაირსახეობადაც შეიძლება მოგვჩვენებოდა.

მაშინ კი გაირკვეოდა, რომელი სერი ამოჩენილიყო პირველად ნოდარ დუმბაძის თვალწინ, სად ენთო მზის სხივები, სად დაედგა ტახტი და სად ჰხვევდა თავის შარავანდში მზის სალოცავსა თუ საკურთხეველს, სად მხურვალეობა და ვარვარება და ხან მსხვერპლსაც ითხოვდა მძვინვარების დასაცხრობად.

ამოჩენილიყო ცნობიერად თუ ქვეშეცნეულად, ვიდრე „ვეფხისტყაოსანს“ ინამებდა მზის პოემად და მის სიმბოლოებსა და მეტაფორებში გამოანართობდა თავის მსოფლგანცდას.

მზე წამდაუნუმ იხსენიებოდა პოემაში, მაგრამ მთავარი ისაა, რომ მის სულს მსჭვალავდა, მის უშორეს სივრცეებს გადაწვდებოდა და მის ღერძზე ამოშენდებოდა შემოქმედის ესთეტიკური მრწამსიც და პოეტური წარმოსახვანიც. ჰელიოცენტრული სისტემა რუსთველის პოეზიასაც შეზავებოდა და ფილოსოფიურ-რელიგიურ შეხედულებებსაც, ჰელიოცენტრიზმი იმ ეპოსში იდგა თუ იდგა სრულ ჰარმონიად და ყოვლისმომცველობად, და თუ სხვა მწერლებთანაც ვადასტურებთ ან ვპოულობთ ჰელიოცენტრიზმის კვალს, სახელდება სწორედ „ვეფხისტყაოსნის“ გავლენითაა – მის სულიერ მემკვიდრეებდ მივიჩნევთ, ამ მეტაფორულ-სიმბოლური გეზის გამგრძელებლებად იმისდა მიუხედავად, უშუალოდ გამოიხმობს თუ არა რუსთველის პოემას მათი პოეტური წარმოსახვანიც, ასოციაციები თუ ალუზიები შეეხმიანება თუ არა ავთანდილისა და ტარიელის მზით მოკირწყლულ გზასავალს.

ოქროს ხანის ეპიკური ქმნილება ძალდაუტანებლად გასდებდა ხიდს ძველთაძველი ეპოქისაკენ, იმ პირველსაც-

ხოვრისისაკენ, სადაც ისტორიული ფესვები ეგულბოდათ, მაგრამ ამ მრწამსისა თუ სწრაფვის გამოხატვა იმ ტკივილით არა ხდებოდა, გრიგოლ რობაქიძეს რაც გაუჩნდებოდა – დამხობილი ქართული ცივილიზაციის შემყურეს. მის ნაშთებში, ნანგრევებში მდგარი თამამად ანკი როგორ იქნებოდა და ისევ ხილვებით და ოცნებებით მოიბრუნებდა სულს.

რუსთველს რა სჭირდა სულის მოსაბრუნებელი, სხვა სითამამით, სხვა ძლევამოსილებით გაჰყურებდა გამოვლილ საუკუნეებსაც და იმ უვრცეს ტერიტორიებსაც, სადაც ქართული კულტურის კვალი არსებობდა – მიწის ზემოთ, მიწის ქვემოთ თუ სულაც ჰაერში გაბნეული. ქართული ვინაობისა და მოღვაწეობის რუკას ქმნიდა თავისი ეპოსით, მარტოდენ იმჟამინდელი საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური რეალობა კი არ გადაჰქონდა მხატვრულ სახეებში, პოლიტიკურ იდეალსაც დასაზღვრავდა შიარსიტყვაში და მიადევნებდა შორეულ გზებზე დამდგარ ქართველ მოლაშქრებს, იქამდე მიწვენილებს, ჩვენი სახელი რომ აღარც სმენოდათ.

მინას სმენოდა და მის ფარულ გუგუნს ახსოვდა და „ვეფხისტყაოსანს“ სხვა რა შეიძლება გამოეთქვა, თუ არა ეს ფარული გუგუნი, ამოვლებული მზის სხივებსა და საკულტო საგალობლებში.

პოემის მზიური სული ვიკტორ ნოზაძის „მზისმეტყველებში“ ხელშესახებად გამოჩნდებოდა. რაც ისედაც საგრძნობი გახლდათ, უამრავი რწმენა-წარმოდგენის ფონზე უფრო მკაფიოდ ჩნდებოდა, უფრო სრულად, ადაპტირებულ სახესხვაობად „ვეფხისტყაოსნის“ სულიერი მზისმეტყველებისა.

გამოცალკეებდა ვიკტორ ნოზაძე, „ვეფხისტყაოსნის“ მზის მტყველებს, „ვარსკვლავმეტყველებში“ არ გარეგდა, თუნდაც ყველაზე ვრცელი მონაკვეთი რომ ერგუნებინა. ის ვრცელიც ძალიან უკმარი იქნებოდა და დამოუკიდებელი წიგნი ამიტომაც მიეძღვნებოდა მზეს და მზიანი ღამის სიმბოლიკაც სულ სხვა სახიერებით გათვალსაწინოვდებოდა ერთიან ფონზე.

მზიური პოემა „ვეფხისტყაოსანი“, სხვაგვარად არც იხსენიებდა, მზითაა მოფენილი და სავსე და მასში არ მოიპოვება არცერთი სიტყვა-სახელი, რომელიც უფრო ხშირად გამოიყენებოდა, ვიდრე მზეო; მეექვსე რვეულს ასეც დაასათაურებდა: „ვეფხისტყაოსნის“ მზიური სილამაზე“.

და მზის კულტსა და სიმბოლიკას რომ შემოჰყვებოდა წინა აზიიდან, აზიიდან, ეგვიპტიდან, საბერძნეთიდან, ბუდას, მოსეს, მაჰმადის, ქრისტეს ხალხთა რწმენა-წარმოდგენებიდან, ამ მართლაც დამქანცველ, უაღრესად საძნელო და რთულ საქმეს მზის უფლობის, მეუფების თავგადასავლისა და მნიშვნელობის გამოსარკვევად იმ განზრახვით აღასრულებდა, რათა ხელშესახებად წარმოსახულიყო მზის დანიშნულება ჩვენს ეროვნულ ეპოსში.

ქართულ მზეს, ცხადია, ცალკე რვეულები უნდა დათმობოდა – ხალხურ წარმოდგენებს, სასულიერო ცხოვრებებს, საისტორიო თხზულებებს, კლასიკურ სიტყვაკაზმულ ლიტერატურას, საკარისკაცო პოეზიას

ჰოი, რა მასალა დახვავებულიყო.

მოზიდულ მასალებშიც გაძნელებოდა გზის გაგნება, არამცთუ თავის მოყრა.

მაგრამ ვეფხისტყაოსნის მზიური სული მოითხოვდა ასეთ თავგამებებს და არაფერს შეუდრკებოდა არგენტინაში გადახვეწილი მოაზროვნე, ვისაც საომარი იარაღი კალამზე გადაეცვალა, პოლიტიკოსის ფარაჯა – მკვლევარის მანტიაზე.

ჩასდევდა და ჩასდევდა პოემის ყოველ სტრიქონსა და სახე-სიმბოლოს და აღარც თავისი დასკვნების სიზუსტისა ეჭვებოდა, მზე ყველგან გამოყენებულია: ან ვით მშვენიერების განსახიერება, ან ვით სილამაზის სიმბოლო, ან ვით პირმზე, აგრეთვე პიროვნებისა და მისი სილამაზის გამომხატველი, ან ვით ზნეობის აღმნიშვნელი, ან ვით მზე სამართლისა, ან ვითარცა საფიცარი, ან ვითარცა ხატი ღმრთისა, ან ვითარცა ხატი მზიანი ღამისაო.

შეამჩნევდით – რიტმულია ეს პასაჟი, ისევე, როგორც „ვეფხისტყაოსნის“ მზისმეტყველების სხვა არაერთი პასაჟი, „საბოლოო დასკვნად“ სახელდებული სტრიქონები კი სულაც მზის საგალობელს მოგვაგონებს, პირველყოფილი განცდით შთაგონებულს, პოემის მზიური სულისკვეთებით გათანგულს და მოლაღადეს სალოცავისა თუ საკურთხევის წინაშე:

- „ღმერთმა დაბადა მზე.
- მზე არის ხატი მზიანი ღამისა.
- მზე არის ხატი ღმრთისა .
- მზე არის ხატი ერთარსებისა.
- მზე არის ხატი ერთისა.
- მზე არის ხატი უჟამოსა ჟამისა, ღმრთისა.
- მზე არის უმძღესთა მძღესთა მძღე.
- მზე არის უფალი ციურთა, ვარსკვლავთა.
- მზე არის თავმდაბალი მეფის ამამალღებელი.
- მზე არის მეფისათვის სვის მიმნიჭებელი.
- მზე არის ბედის შემცველი.
- მზე არის სამართლიანი და უხვი.
- მზე არის ვაჟთათვის სიყვარულში შემნე.“

შეიტანე „ლონდაში“, თუ გნებავს, ეს პასაჟი, ჩაურთე ქალ-ვაჟთა თუ ქოროს რიტუალურ გალობა-სიმღერებს, თუ გამოირჩეს თხრობის მდინარებიდან, იმ მძაფრი ექსპრესიისაგან.

\*\*\*

„ლონდასა“ და „ვეფხისტყაოსანს“ შორის ძაფის გაბმას რომ მოინდომებდა ვალერიან გაფრინდაშვილი, მზის კვალს გაჰყვებოდა, ყველაზე სათნოსა და საიმედოს, ყველაზე მომხიბლავსა და მომწესხველს.

მზის კვალის გაყოლა უპირველესად პავლე ინგოროყვას დაკვირვების გახსენებას გულისხმობდა მისთვის: „მზე“ და „ღმერთი“ ყველაზე ხშირად იხსენიება „ვეფხისტყაოსანში“.

მზე ხომ უხილავია, მაგრამ მთავარი გმირია „ლონდასი“, – მოადვენებდა „სახელების მაგიის“ ავტორი და დითირამბსაც არ დაიშურებდა:

– რუსთაველის შემდეგ ეკუთვნის არსად არ ყოფილა ისეთი ძლიერი, როგორც „ლონდაში“.

მზით იწყებოდა სულიერი სიახლოვის ძიება და... ქართული ენისა და მხატვრული სტილის უკვდავების რწმენაც იქვე ჩნდებოდა, სხივთა ძაფებს ამოყოლილი და მის შარავანდში განბანილი: თუ ქართული ენა რუსთაველის პოემა-

ში განვითარებულია მეტად და დეკადანსის საზღვრებამდის მიდის, „ლონდაში“ სტილი ქართული ენის მეორე აღდგომას განიცდის და აყენებს ჩვენს წინაშე დიდი გამარჯვების სანახაობასო.

\*\*\*

მზიანი ღამეო

ბაჩანა ბრეგვაძე პლატონამდე გაჰყვებოდა ამ გარეგნულადაც ეფექტურ და შინაგანად ასე ღრმა მეტაფორას, არც დიონისე არეოპაგელს გამოტოვებდა, მაგრამ პლატონის მოწმობა მაინც სხვა გახლდათ – ჯერ კიდევ როდის და მაშინვე რაოდენი ძალმოსილებით

ცალკე მონოგრაფიასაც შექმნიდა ამ თემაზე: „პლატონი და რუსთველი“, და ქართველი ეპიკოსის ფილოსოფიური მრწამსის ნაწამძღვრებს პლატონის სწავლებაშიც ხელშესახებდა დაადასტურებდა. რევაზ სირაძესთან დიალოგში კი, რომელიც საგულისხმოდ დასათაურდებოდა: „პლატონი, რუსთველი, მზიანი ღამე“, კიდევ ერთხელ გაიმეორებდა მონოგრაფიის მთავარ დებულებებს და ძირითად მოტივსაც მკაფიოდ გამოჰკვეთდა.

„ვეფხისტყაოსანი“ იწყება და მთავრდება მზის გასხივოსნებით, ცხადია, ამას თვით რუსთველის სახისმეტყველება განსაზღვრავს; და მაინც: საამისო წყაროთაგან რომელია უფრო მნიშვნელოვანი: პლატონი, ნეოპლატონიზმი თუ არეოპაგეტიკა? – ეკითხებოდა რევაზ სირაძე და დასძენდა: თუ ესენი აქ ერთ მთლიანობაშიაო?

„ვეფხისტყაოსანი“ მართლაც მზიური ქმნილებააო, – არ მოწყინდებოდა ბაჩანა ბრეგვაძეს ჩვენი უპირველესი ნაციონალური ეპოსის ამ ეპითეტიტ მოხსენიება, და თუმცა დაეთანხმებოდა: ეს მომენტი რუსთაველის სახისმეტყველებითა და, საერთოდ, მისი ესთეტიკური მრწამსითაა განპირობებული, მაგრამ მაინც „ვეფხისტყაოსნის“ ზოგიერთ ბრწყინვალე პასაჟში აშკარად იგრძნობა პლატონის, მთელი დასავლური ფილოსოფიის მამის, გავლენაო.

იდეალიზმს სამყაროს მზიურ ხედვას გაუიგივებდა და, რაკილა ასეა, რა გასაკვირია, იდეალიზმის ფუძემდებლის მთელი მოძღვრება, მთელი მისი ფიზიკა და, მითუმეტეს, მეტაფიზიკა სინათლის მორევში დანთქმულიყო და მზე ყოფილიყო მის „უზენაესი სიკეთის“ ანუ აბსოლუტური ერთის (ღმერთის), ისევე, როგორც „დემიორგოსული (კოსმიური) გონების“ სიმბოლური ხატი.

მაგრამ ამ მზიურ ხატებათა შორის გრადაციაც შესამჩნევი გახლდათ და მკვლევარი გრადაციის გასათვალსაჩინოებლად დავით გურამიშვილის ქრისტიანულ სიმბოლიკას მოიხმობდა, პლატონთანაც ეს სხვაობანი ივარაუდეთო:

**სახით იგავად სათქმელად მამა მზეთა-მზედ ითქოსა, ძე ღვთისა მხოლოდ-შობილი მზე სიმართლისა იქოსა; მისთვის სანუთროს მნათობმან მზე თინათინი ირქოსა**

პლატონი „სახელმწიფოს“ VI წიგნში დაწვრილებით გაანალიზებდა ღვთის სიმბოლური ხატის – „მზისა“ – და მისგან გამოწამოქეცი სინათლის აღმქმელი „მზერის“ თანაფარდობას და დაასკვნინდა: რასაც ნიშნავს სიკეთე აზრობრივ ადგილას გონებისა და გონით სანვდომთა მიმართ,

იმასვე ნიშნავს მზე ხილულ ადგილას მზერისა და მზერით სანჯდომთა მიმართო.

და ბაჩანა ბრეგვაძე ამ ფრაგმენტის გააზრებას რომ შეეცდებოდა, ჯერ ეს შეკითხვები დაეხადებოდა: მზერით რომ აღვიქვათ საგანი, აუცილებელია სინათლე, მაგრამ შეიძლება თუ არა თვით სინათლის აღქმა? და კიდევ: ვის შეუძლია თვალი გაუსწოროს მზის დამაბრმავეებელ ნათელს?

სინათლის ინტენსივობას გააჩნიაო, ამას იოლად დასძენდა, ოღონდ შემდგომ უკვე სიღრმეში ჩაღწევა უნებდა, რადგანაც ციური მნათობი – მზე მხოლოდ მკრთალი და უღიმღამო ათინათი გახლდათ ღვთისა, დავით გურამიშვილი „მზის მამზივეებელ მზედ“ რომ იხსენიებდა. ამიტომაც იყო ღმერთი არამარტო „უცნაური და უთქმელი“, არამედ უხილავიც და ადამიანის ცნობიერებისათვის მიუწვდომელიც.

პლატონი ისეთ ბილიკზე შეგაყენებდა, ზღაპრის გამირივით უკანდასახევ გზას აღარ გიტოვებდა და არჩევანსაც სახიფათოს გთავაზობდა. გაჰყვებოდი? ვერ გაჰყვებოდი? არ ინაღვლიდა, რადგანაც ვისაც სულიერი ძალ-ღონე არ ერჩოდა, ტყუილუბრალოდ რატომ მისტანებოდა იმ უცნაურისა და უთქმელის ახსნას? უფრო ხელმისაწვდომი საქმისათვის მოეკიდა ხელი და ეგ იქნებოდა.

ისეთ ბილიკზე შეგაყენებდაო:

„ვინც პირისპირ უმზერს მზეს, ასე ჰგონია, თითქოს შუადღისას ღამეა ირგვლივ, და ჩვენ ვერ ვიტყვი, თითქოს იმის ძალა შეგვწვედეს, რომ მოკვდავი თვალით ოდესმე ვიხილავთ გონებას და საკმარისად შევიცნობთ მას. ასე რომ, ნაკლებად სახიფათოა თუ მის ხატს დავუწყებთ ცქერას“.

ამ პასაჟის ფონზე როგორი სხვა ბრწყინვალეობით აელვარებოდა რუსთველური სტრიქონები:

**იტყვის: „ჰე, მზეო, ვინ ხატად გთქვეს მზიანისა ღამისად, ერთარსებისა ერთისა, მის უჟამოსა ჟამისად“**

აელვარებოდა მის იგივეობად. სწორედაც იგივეობად.

ხომ ხედავთ, პლატონიც და რუსთველიც ღვთის ხატად მიიჩნევენ მზესო, – უფრო თვალნათლივ რაღა დაედასტურებინა ბაჩანა ბრეგვაძეს და, ბერძნულად რომ თარგმნიდა რუსთველის „მზიან ღამეს“ და პლატონის „შუადღის ღამეს“ შეუდარებდა, „შუადღისას“, როცა მზე ზენიტშია, თვითონ განსაჯეთო, მკითხველსაც თანამონაწილედ გაიხდიდა, გვაქვს თუ არა უფლება ვივარაუდოთ, რომ სწორედ „სახელმწიფოს“ IV ნიგნში გადმოცემული ღვთის სოლარული კონცეფცია, ისევე, როგორც „კანონების“ ზემოთ ციტირებული ფრაგმენტი უნდა ყოფილიყო „ვეფხისტყაოსნის“ შემოქმედის შთაგონების წყარო, როდესაც იგი თავის უკვდავ მეტაფორას ქმნიდაო.

რიტორიკულია ეს შეკითხვა და მსჯელობა კი იმით გაგრძელდება, რომ მარტოდენ პლატონის დიალოგებით არ უნდა შემოვიფარგლოთ, თორემ მაშინ რუსთველი ასე კი არ განაცხადებდა: „ფილოსოფოსნი წინანო“, არამედ – „ფილოსოფოსი წინაო“. მაინც ვინ შეიძლება კიდევ ყოფილიყო, ვის ნააზრევშიც „მზიანი ღამის“ შესატყვისი გამოთქმა დაიძებნებოდა? ვინდა: დიონისე არეოპაგელი, ქრისტიანული ნეოპლატონიზმის თვალსაჩინო სახელი, და მისი

ყველაზე მოკლე ტრაქტატი „საიდუმლო ღმრთისმეტყველებისათვის“.

ვთქვათ –

წრფელი და უცვლელი საიდუმლონი დაფარულნი არიან იდუმალი ღუმილის ზენათელ-ბნელში, რომლის უკუნეთშიაც ცხადზე უცხადესი ზებრწყინვალეობით ნათობენო.

ეს ერთი ნიმუშიც სავსებით კმაროდა, მაგრამ მკვლევარი გულს მაინც ვერ შეაჯერებდა და დოროთე ღვთისმსახურის მიმართ გაგზავნილ V ეპისტოლეში კიდევ ერთ მაგალითს დაძებნიდა:

„საღმრთო ბნელი არის მიუწვდომელი ნათელი“.

ავთანდილის ლოცვაც ამოზიდავდა ამ ხატს მზიანი ღამისა და ნესტანის წერილშიც, ქაჯთა ციხიდან საყვარელთა თანა მონერილში, ნატვრა და ვედრება ამ სიმბოლიკით რომ გასხივოსნდებოდა: დღისით და ღამით ვჰხედვიდე მზისა ელვათა კრთომასაო.

ბაჩანა ბრეგვაძე კი ამ მეტაფორის სხვა ზუსტ ადექვატებსაც რომ დაეძებდა, „უჟამო ჟამს“ მთლად ვერ მიიჩნევდა მზიანი ღამის ასეთ ზუსტ შესატყვისად და ახლა მის ანალიზს ჩაჰყვებოდა ძირისძირობამდე, მაგრამ ჩვენ ასე შორსაც ნულა გავედევნებით, ვიკმაროთ მზიანი ღამის მეტაფორის გააზრებაც და მისი ფილოსოფიურ-რელიგიური ფესვების წარმოჩენაც, და რუსთველოლოგთა ის დისკუსია გავიხსენოთ თვალის ერთი გადავლებით, „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის სხდომაზე კინალამ რომ გაიმეტეს ეს მეტაფორა, როგორც გაუგებრობა და ინტერპოლატორთა ნაყალბევი, რადგანაც თურმე ეს აბსურდული გამოთქმა არაფერსაც არა ნიშნავდა და სინამდვილეში „მზიანისა სამისა“ უნდა ყოფილიყო, რუსთველური სწორედ ეს გახლდათ, ან იქნებ სხვა რაიმე ამგვარი, ოღონდ არაფრისდიდებით ვილაც არაპოეტის მიერ გადაკეთებული „მზიანი ღამე“.

პავლე ინგოროყვას ყოველთვის არ უნებდა ამ სხდომებზე დასწრება და იმ დღეს იქ რომ არ აღმოჩენილიყო, უთუოდ ამოიშლებოდა „მზიანი ღამე“ და მის ნაცვლად „ვეფხისტყაოსნის“ იმ გამოცემაში ჩაინერებოდა „მზიანი სამი“ და, ვინ იცის, რამდენ ხანს შემორჩებოდა ახალ-ახალ გამოცემებსაც, როგორც აკადემიურად დადგენილი და ეჭვშეუვალი.

კორნელი კეკელიძეს, კომისიის თავმჯდომარეს, არც ეეჭვებოდა, „მზიანი სამი“ დადგინდება საყოველთაო მონომობით, და ძალიან კი შეცბუნდებოდა, მაგრამ სხვა გზა აღარ დარჩებოდა და თვითონაც დაყაბულდებოდა „მზიან ღამეს“, როდესაც პავლე ინგოროყვას გამოჩენა ხმათა უმრავლესობას ამ მეტაფორას მოუპოვებდა.

ის ერთი ხმა გადაწყვეტდა მის ბედს.

ნეტა პლატონის შუადღის ღამესაც ხომ არა ცვლიდა ვინმე უფრო „მარჯვე“ თუ „შესატყვისი“ მეტაფორით?

ნოდარ დუმბაძე არც დაგიდევდა რუსთველოლოგთა გაცხარებულ კამათს, ეგაა, ძალიან გაიხარებდა, ყური რომ მოეკრა, პავლე ინგოროყვა სწორედ „მზიან ღამეს“ ამჯობინებს და მისმა ჩარევამ გადაარჩინა ეს ღრმა და შთამბეჭდავი მეტაფორა პოემის ტექსტიდან ამოგდებასა და დამახინჯებული ვარიანტით შეცვლასო.

მისთვის ისიც კმაროდა, ძალიან რომ მოხიბლულიყო ამ სიმბოლოთი და, რუსთველოლოგებს კიდევ რომ გაემეტე-

ბინათ დასაკარგად, თვითონ ხელიდან როგორ გაუშვებდა. გუმანი კარნახობდა მის უტყუარობას, გემოვნება უდასტურებდა მის აუცილებლობას და რომანის სათაურშივე მიუჩენდა ადგილს, ვაითუ თხრობაში მიყრუებულიყო და ის შთაბეჭდილება ვეღარ გამოეწვია, რაც მწერალს განეზრახა. ახლა კი გაუთავებლად იტრიალებდა და გულუბრყვილო მკითხველსაც ცნობისნადილით აღანთებდა: ნეტა ეს მზიანი ღამე რა უნდა იყოს, ორი საპირისპირო სიტყვა ერთად რამ შეაკავშირ-შეადულაბა და, მგონი, სამუდამოდაცო.

კრიტიკოსები დიდხანს უტრიალებდნენ ამ რომანის სახელწოდების ამოხსნას და ბოლოს ისევე ამჯობინებდნენ პოლიტიკური შინაარსი მიენიჭებინათ მისთვის, უნებურად დაემცროთ, გაემინიერებინათ მისი ღრმა აზრი და ხელისუფალის სხეულზე გამოეჭრათ – იმას გულისხმობს, ღამის მზედ მიაჩნია, მაგრამ მაინც მზედო. გულწრფელად ფიქრობდნენ ასე, უფრო შორს ვერც წვდებოდა მათი გონება თუ ასე ერჩივნათ, ამის გამორკვევას სად ვდიოთ. მწერალს უთუოდ ირონიულად ელიმებოდა ამგვარ განმარტებას რომ ამოიკითხავდა, რადგანაც „მზიანი ღამის“ მეტაფორა ერთხელ და სამუდამოდ განსაზღვრულიყო და ზედაპირულ გადასინჯვასა თუ ზედმეტ კირკიტს არა საჭიროებდა.

ღამეში აბდღვიალებული მზის ხატი ნოდარ დუმბაძის პირველივე რომანში გაიღვებდა – „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“. ოღონდ იქ ისეთი იუმორისტული ელფერით შეიმოსებოდა, მკითხველი ადვილად ვერც მიუხვდებოდა და ვერც გახსნიდა ამ ხატის ნამდვილ ბუნებას.

მთავარმა გმირმა შიომღვიმეში ტოლ-ამხანაგებთან ქეიფისას მზის სადღეგრძელო უნდა შესვას და, როდესაც შეახსენებენ, ახლა ღამეაო, განაცხადოს:

– მე ვხედავ მზეს...

და დაიჟინოს, მე ვხედავ და, თუ ბრმები არა ხართ, თქვენც უნდა ხედავდეთო.

– ჩვენც ვხედავთ მზეს! – თქვა ნესტორმა, ცაში აიხედა და მთვარე დაინახა.

ეს მართლაც დახვეწილი იუმორისტული აკორდი თხრობას სიცილიში შთანთქამდა და წყვილიაღში მოკაშკაშე მზეც ამ ნაკადში ჩაიძირებოდა.

ადვილად ვერც მიუხვდებოდაო...

იქნებ სულაც კომიკურმა სცენამ გამოიწვია და რალაც ღრმა შინაარსით არც აღვსებულა იქ ეს ფრაზა, ქრისტიანული მოძღვრებისა თუ „ვეფხისტყაოსნის“ უშუალო გამოძახილია... მაგრამ რაკილა მზიანი ღამის ხატი მერე და მერე განმსჭვალავს ნოდარ დუმბაძის მხატვრულ წარმოსახვებს, შეუძლებელია საგანგებოდ არ აღინიშნოს, როდის ჩნდება პირველად ეს ხილვა მის ქმნილებებში – გნებავთ ნინასწარგანზრახვით და გნებავთ სპონტანურად.

ჰე, მზეო, ვინ ხატად გთქვეს მზიანისა ღამისაღო

ტრაგიზმით აღვსილა რომანის სათაურში ეს მეტაფორა, ღმერთსმოკლებული სინამდვილის კონტრასტულ ფონად მოჩანს და იმ იმედოვნების სათავედაც, ბედისაგან გამეტებული ჭაბუკი რასაც უნდა მიენდოს და არაფრისდიდებით არ შეეგუოს საკუთარ არსებაში სიკეთის ამოშრეტას. უფრო გაღვივდეს ის მარცვლები და ღვთიური სულიც უფრო შესამჩნევი შეიქნას გაუდაბურებულ გარემოში.

მზის ჩასვლის მისტერიაც გათამამდეს ყოფით სცენას შეზავებულ მეტაფორულ სურათად, გაცილებით ღრმა მოვლენად, ვიდრე ამ აქტის მშვენიერებით ტკობაა; ჟინად და გზნებად – და მზე ოდნავ რომ შეეხება ზღვას და შორეული ჰორიზონტიდან ნაპირამდე ოქროს მოციმციმე ბილიკი განვება, ამიტომაც ებადება სურვილი მთავარ გმირს, ნამოხტეს, გაირბინოს ამ ბილიკზე, თანაც ჩქარა, ჩქარა, მიუსწროს და, ვიდრე ჩავიდოდეს, ხელით შეეხოს მზეს. ეს ნადილი ისეთი მძაფრია, რომ თეიმურაზ ბარამიძე ფეხზეც კი წამოდგება. მზე უკვე შუამდე ჩასულა ზღვაში, ბილიკი დავინროებულა, გამუქებულა, შეკრულა და ახლა ბაგირივით გაჭიმულა. და თუ თეიმურაზი გაშტერებული მისჩერებია ამ მისტერიას, გურამი უეცრად უნდა წამოხტეს და გიჟივით გავარდეს ბულვარისაკენ. ირბინოს დიდი ნაბიჯებით, ეფლობოდეს ქვიშაში, ეცემოდეს, ისევე დგებოდეს, და როგორც გავარდება პლაჟიდან, ისევე გიჟივით მოვარდეს, ნაპირთან მიიბრინოს და მზის ბილიკთან უზარმაზარი ლურჯი ჰორტენზია დადოს.

– მზეს ყვავილი მივართვი! – აუხსნას მეგობარს, როდესაც გვერდით ჩამოუჯდება აქოშინებული და ბედნიერი ღიმილით გაუღიმებს.

გალიმებით ესეც გაუღიმებს, ოღონდ თან შემურდება, შემურდება დიდი და ნამდვილი შურით, რომ თვითონ ეს ვერ მოიფიქრა.

მზეს წვერილა უჩანს და სხივი ახლა ცის დასალიერიდან გამოწვდილ ოქროს ხელსა ჰგავს, რომლის მტევანზეც უზარმაზარი ლურჯი ჰორტენზია ასვენია მზე ჩადის და ბინდში ქრება ბილიკიც და ყვავილიც.

– ნახე, გურამ, მზემ ყვავილი წაიღო!

რიტუალისათვის აუცილებელი მსხვერპლშენივაც აღსრულებულა, მისტერია მთელი თავისი სისრულით შეკრულა და ამიტომაც დამგვანებია მზის სხივი დასალიერიდან გამოწვდილ ოქროს ხელს, მზიანი ღამის ანარეკლს, რუსთველური მეტაფორის გამოძახილს, ყოფითსა და ჩვეულებრივში ამაღლებულის აღმოჩენას.

ეს მისტერია კვლავაც უნდა გაგრძელდეს და ნოველის – „მზე“ – სიუჟეტური ქარგა სულაც მის გარშემო შემოიქსოვოს. ისე სიუჟეტური ქარგა პირობითაც უფრო ითქმის, რადგანაც, ნოდარ დუმბაძის სხვა ნოველებისაგან განსხვავებით, ფაბულა აქ მოშლილია და მხოლოდ ცალკეული სურათები ჩალაგებულა – ერთგვარ მოზაიკასავით, და ეს ყოველივე მხოლოდ მზემ უნდა გააერთიანოს, მისმა ვარვარებამ განმსჭვალოს და ჩასვლით კი ის რიტუალური სურათი მოათავოს, „მზიანი ღამეში“ ასე შთამბეჭდავად რომ წარმოადგებოდა, მაგრამ თითქოს თითქოს რალაცაც აკლდა; და აკლდა ის მწვანე შუქი, მის ქიმზე რომ უნდა აბრჭყვიალებულიყო ზღვაში შთანთქმის წინ და იმჟამად მწერალს თვალთაგან გამოეპარებოდა.

ამ მწვანე შუქს ხედავდნენ ერნესტ ჰემინგუეის პერსონაჟები.

გახსოვთ „ჰარი მორგანი“?

მაგრამ ქართულ ბელეტრისტიკაში არსად მოჩანდა ეს შუქი, მითუმეტეს, იმ მწერლის ქმნილებებში, მზის სისტემა თავისთვისაც რომ აღმოეჩინა და ჰელიოცენტრულ სამყაროს ქმნიდა. და გულდა კალაძეს, მის მეგობარსა და თვითონაც ხელოვანს, უნდა დაენახებინა პირველად ზღვაში ჩამავალი ზღვის ქიმზე აელვარებული მწვანე შუქი.



ნოველა მის სსოვნას მიეძღვნებოდა, მწვანე შუქის მეტაფორა კი პირველობიციც აღმოჩნდებოდა და იდეური საყრდენიც იმ მხატვრული წარმოსახვებისა, მზის საგალობლად რომ გამოიკვეთებოდა.

საგალობელს კი კლასიკური სიუჟეტი რატომ უნდა ჰქონოდა.

უსათუოდ საგალობელს, რადგანაც საკმაოდ ხელშესახებია ყოფითი სურათების მიღმა სამყაროს დაბადების იდუმალი აქტი, ერცახუს თავზე ჯილასავით გადმომდგარმა მზემ ერთხელ კიდევ რომ უნდა შემოსწეროს თავისი გზასავალი და შეივრძნოს ის ჟამი, როდესაც გაუდაბურებული დედამინა პირველად აყვავილდებოდა, ნადირ-ფრინველითაც აივსებოდა და ადამიანიც გამოჩნდებოდა – მის შვილადაც და მეტოქედაც, უძღები შვილის იგავი და ბედისწერა რასაც გულისხმობს; და მზე რომ გაგულისდება („რატომ დაძრნი და არ იცი სად იცხოვრო: ზღვაში, ხმელეთზე თუ ცაში. ან ცაში დაეტიე, ან ხმელეთზე, ან ზღვაში ბოლოს და ბოლოს, ვინ ხარ, საიდან მოსულხარ ან რა გინდა ადამიანო?“), იმასაც მოინდომებს, მწვანე შუქი, მის ქიმზე ანთებული ეს ნატურისთვალი, მოანატროს ადამიანებს, მაგრამ ერთს მაინც გამოარჩევს, პატარა ბიჭს, და მის თვალსაც და შინაგან ხედვასაც გამოეცხადება, მხოლოდ მას არგუნებს იმ ბედნიერებას, რასაც მწვანე ნათელის ხილვა იწვევს ადამიანის შემდგომი ცხოვრებისათვის.

არ დაგვწვა ამ უპატრონომ? – მილიციელმა სწორედაც ასე უნდა გამოხატოს შეწუხება მზის მცხუნვარებით, მაგრამ მღვდელმა არ უნდა აპატიოს ეს მკრეხელობა და მკაცრად მოსთხოვოს: ახლავე პირჯვარი გადაისახე და თქვი, ღმერთო, შეგცოდეო!

ეს პასაჟი იმიტომაც ჩნდება, რომ თავისთავად მოჰყვეს მზიანი ღამის განმარტება – ის, რაც დაფარული დაეტოვებინა მწერალს ამ სახელწოდების რომანში, ამჯერად მაინც გაემყლავნებინა. ეს თავისებური გადაძახილიც იქნებოდა რომანთან და, ამასთან, გამჭვირვალე მინიშნება, რომ ამ ნოველის ბირთვისაც ეს ქმნიდა – მზიანი ღამის განწყობილება და სულისკვეთება მსჭვალავდა თბრობას და ზოგიერთი იუმორისტული პასაჟი სწორედ ამ სულისკვეთებაში უნდა ჩანთქმულიყო.

მზე ხატია მზიანი ღამისა, – უხსნის მღვდელი გაკვირვებულ მილიციელს და ამ უცნაური მეტაფორის დანიშნულებას ლაკონურად გაუშიფრავს: ღმერთს გულისხმობსო.

– თან მზეა და თან ღამე? – გაოგნებისაგან ვერ გამორკვეულა მილიციელი.

– ჰო, და იმდენად ნათელია, რომ უკუნია, ღამეა ადამიანის თვალისათვის, ამიტომ არის მზიანი ღამე!

არა და არ მოეშვებოდა ამ მეტაფორას ნოდარ დუმბაძე, გულისგულში გამოატარებდა და ქვეყნიერებას მზიანი ღამის საუფლოდ დაიგულებდა. აშკარაა, ამ მეტაფორას უკეთ მიჰყავდა დაფარულისა და გამოუთქმელის კარიბჭესთან, ვიდრე სხვა სიმბოლიკა გაუნაღდავდა გზას.

მზის ჰიმნს ძალიან უხდებოდა ამ მეტაფორის გამორევა ღალადისში.

და „მარადისობის კანონი“ ერთ კონად შეკრავდა მზისაკენ სწრაფვას, მითოსურ შრეებსაც აღმოუჩენდა და სამყაროს ტრაგიზმსაც მზის რეკვიემში მოაქცევდა.

მზის ეს ხატიც უსათუოდ უნდა გამოჩენილიყო ნოდარ დუმბაძის მხატვრულ წარმოსახვებში – უზარმაზარი ვერცხლის სარეცელზე დასვენებული და ძიმედ მსუნთქავი – ალარაფერი უკლია მის სულის ამოხდომას.

გრიგოლ რობაქიძე დაჭრილ მზესთან გააიგივებდა საქართველოს.

ოთარ ჩხეიძე – მტერის ბორიყით შემოგლესილ მზესთან.

ნოდარ დუმბაძისათვის სნეული მზეა.

მწერლის სულიერი დრამატიზმი გადაფარავდა სხვა ყოველივეს ამ რომანში და თვით იუმორის გრძნობაც ვეღარ ეყოფოდა ტკივილის გასანელვებლად, იუმორის – ასე რომ მოჩქევდა ადრეულ ნაწერებში და შემდგომაც ასე თუ ისე ინარჩუნებდა თავს.

მზე თითქოს ადამიანია, ისე გრძნობს ტკივილს მკერდში, ჯერ ცალ მუხლზე იჩოქებს, მერე მეორეზე, გულმელონებული თავს მყინვარს მიასვენებს და ასე დარჩება კავკასიონის ვეებერთელა თეთრ სარეცელზე გაშოტილი.

– მზეო, ნუ დაგცტოვებ, არ გარდაიცვალეო, მზეო დიდებულიო!

როგორ შეცვლილა კაცობრიობის ყოფაც და საგალობლის შინაარსიც, ვედრება ვედრებად დარჩენილა, მაგრამ მზის ის პირვანდელი მოთაყვანე, გულზე კანგადამსკდარი, ვერაფრისდიდებით ვერ წარმოიდგენდა, ოდესმე თუ შეიძლებოდა ასე გამოცვლილიყო ღალადისი.

არ გარდაიცვალეო

ნუთუ მართლა გარდასულა მზიანი ღამის ჟამი?

ადამიანის თვალს მიფარებია, სულიერებადამრეტილი ადამიანისათვის ის კარგა ხანია დიდ ნათურას გაიგივებია და არა ცხოველმყოფელ სანყისს სიცოცხლისა და მზეს შესენება სჭირდება უძღებ შვილთათვის, რომ მის არსებობას, მის მარადიულობას სიყვარული განსაზღვრავს:



მხატვარი ავთანდილ პოპიაშვილი

– მე სიყვარულით გარდაცვლილ ადამიანთა აალებული და მოვიზიგიე სული ვარ. ჩემი სიცოცხლე სიყვარულით გარდაცვლილ ადამიანთა სულით საზრდოობს უკვე რამდენი ხანია დედამინაზე სიძულვილით მეტი ადამიანი კვდება, ვიდრე სიყვარულით, დედამინაზე დაიშრიტა წყარო ჩემი მაცოცხლებელი სიყვარულისა, დადგა ჟამი ჩემი გარდაცვალებისა.

მხოლოდ სიყვარულის გაცოცხლება აღადგენს მზეს მკვდრეთით.

მითოსური ციკლი და რიტმი კვლავაც ხელშესახები გახდება, ოღონდ მზე არ უნდა ჩაქრეს მარადიულ წყვილადში.

ეს უკვე აღარ იქნება მზიანი ღამე, არამედ – ყოველივეს გაქვარება არარაობაში.

მაგრამ ეს მაინც სიზმარია, ღვთიური სიზმარი – გაფრთხილება, რომ ის, რამაც გაელვებით გაიელვა მწერლის ქვეცნობიერში, მის ყველაზე ფარულსა და ტკივილიან ფიქრებში, ვაითუ ხვალ რეალობად იქცეს და მზისგანწირულზეც გასცდეს მხატვრულ წარმოსახვათა საზღვრებს.

მსხვერპლს ითხოვს მზე.

მყინვარი მის სამლოცველოდ გადაქცეულა და, თუ ძველ კოლხეთში თამაზ ბატონიშვილი და ლონდა უნდა შეენირონ მისი მხურვალეობის დაცხრომას, ამჯერად მეჯღანემ უნდა გაიმეტოს თავი, ის მიეახლოს ზვარაკად ჩამქრალ მნათობს და ხელახლა ამოაბრწყინოს.

მეჯღანემ, ვისი კომიკური იერი და ლაპარაკის ლაზლანდარული კილო თურმე დიდ სულიერ ძალას ფარავს და გადამწყვეტ წუთს ამიტომაც გალღვება და დაადნება მზეს მკერდზე.

და თუ დრამაში ქორო აღავლენდა დითირამბს, ამჟამად ბაჩანა რამიშვილმა უნდა შეასხას ხოტბა და მლოცველივით დაადგეს მზისაკენ ორთავებელგაშვერილი:

– დიდება შენ, სიყვარულის და სიცოცხლის მომნიჭებელი მზეო, დიდება შენ, სიცოცხლეო!

ზმანებათაგან გამორკვეული ხუმრობის გუნებაზე უნდა დადგეს – „საოცარი სიზმარი ვნახე, ბატონო იორამ, ისეთი სიზმარი კოპერნიკს შემურდებოდა“ – მაგრამ მზის გარდაცვალების ხილვა რეალობაშიც უნდა აცხადდეს და მეჯღანე ბულიკა მართლაც ზვარაკად წარმოდგეს მკითხველის თვალში – ადამიანში მყოფი მზე ბულიკას სახით უნდა ჩაქრეს, რათა უზენაეს მნათობს გზა მიეცეს თავისი წრებრუნვის აღსასრულებლად.

– საოცარია პირდაპირ, თვალლიად დარჩენილი მიცვალებული ფანჯრებგაფეთქილ და პატრონის მიერ მიტოვებულ სახლსა ჰგავს, – თითქოს ხმის ნატირალის ფრაგმენტია მამა იორამის ეს სიტყვები, რომელიც სხვა ვითარებაში, სხვა ფონზე იქნებ გადამეტებული პათეტიკაც გამოჩენილიყო, მაგრამ ამ ეპიზოდში სწორედაც შესაფერისია და მოხდენილი, შთამბეჭდავი აკორდით აბოლოვებს ცრემლისა და სიცილის მარჯვე მონაცვლეობას.

ღვთიური, კოსმიური, ადამიანური ერთმანეთს შემსჭვალვია, ერთიმეორეში გადაღვრილან და ამიტომაც ალიქვამ ბუნებრივად, თუკი ველარც გაგირჩევია მკაფიოდ, მზე გარდაიცვალა თუ ადამიანი. მაგრამ მარადიული აღდგინება ერთსაც მოელის და მეორესაც მითოსური

პლასტი ზემოთ მოინევს ქვეცნობიერში და რომანის ქსოვილში ეს უძველესი ფენა საგალობელთა გაელვებით გამოიხატება.

გალაკტიონ ტაბიძის თვალისმომჭრელი მეტაფორა – მზის გარდაცვალებისა – ამ ახალი შრით შეიცვებოდა, ემიგრანტის მწუხარე განცდებს, გადახვენილის გაუსაძლის, უმზეო ყოფას, გაუდაბურებულ სინამდვილეში მინყდომ-მონყდომას („მზე მიიცვალა ღია თვალებით! ის მიიცვალა რალაც უმწეო და საოცარი გარდაცვალებით! მას გახელილი დარჩა თვალეები, ოჰ! გახელილი დარჩა თვალეები! ის უცხო მხარეს გარდაიცვალა და გახელილი დარჩა თვალეები!“) მზიანი ღამის ხატი ამოუდგებოდა იდუმალ ფონად, გამჭვირვალე მინიშნებად და მზის ჰიმნის ანასხლეტებიც იქვე ჩამორიგდებოდა, თუმც მზის საგალობელი არც გალაკტიონისათვის ყოფილა უცხო და სიყვარულის მფარველობას რომ ითხოვდა, მზის სამლოცველო გამოეცხადებოდა თვალთა წინაშე და დაუჩოქებდა ვედრებითა და სასოებით აღვსილი.

თიბათვის მზე გამოერჩია, მის სიმბოლიკაში მოაქცევდა უზენაესი მნათობისადმი ღალადის და ავთანდილივით დაემხობოდა ლოცვად:

**მზეო თიბათვისა, მზეო თიბათვისა,  
ლოცვად მუხლმოყრილი გრაალს შევედრები.  
იგი, ვინც მიყვარდა დიდი სიყვარულით,  
ფრთებით დაიფარე – ამას გვეედრები.**

მზეს ნუთუ ფრთებიც აქვს?

იმ მზეს, გალაკტიონი რომელსაც გულისხმობს, ცხადაა, აქვს ფრთები, მფარველობისათვის ჩამოწვდენილი ზეციდან და, ლოცვა-ვედრებას თუ შეისმენს, კიდევ შეუძლია ტანჯვა-განსაცდელში თვალნიც მიურიდოს მის მოთაყვანეს, სულიც მოუვლინოს ისევ მისმიერი, დილა გაუთენოს ისევ ციურიდან, სული უმანკოთა მისცეს მშვენიერი.

მსხვერპლს ისიც თუ ითხოვს?

ასე უშუალოდ არსად მოჩანს ზვარაკის აუცილებლობა გალაკტიონის მზის ციკლის ლექსებში, რომელიც ერთიან სისტემად არ გამოკვეთილა, თუმც შემჩნევით შეიმჩნევა, რომ მის პოეზიაში მიმოფანტულ მზის სხივებს ასაზრდოებს, ერთი მხრივ, ფრანგ სიმბოლისტთა ჩამავალი მზის მეტაფორა და განწყობილება და, მეორე მხრივ, რუსთველური ასოციაციები (ამიტომაც ირწმუნება მესხი მელექსის პირით: ჯერ ლექსი მწვავდა, მერე მზე, ჯერ მზე და მერე ლექსებიო), მაგრამ თუნდაც მზე არ იყოს გალაკტიონის მხატვრული წარმოსახვების ძირითადი საყრდენი თუ თავისებურება, გაელვებით მაინც გაიელვებს ის განცდა, რომელიც ძალდაუტანებლად მოგვაგონებს იმგვარ ხილვას, გრიგოლ რობაქიძეს საკუთარ პოეტურ ფესვებსაც რომ აპოვნიებდა და ქართული მოდგმის პირველსაცხოვრისსაც ასეთი სიმძაფრით განაცდევინებდა.

კიდევ ერთხელ ჩადის მზე გალაკტიონის ლირიკულ წარმოსახვებში, მაგრამ ის აქტი ცოტა სხვაგვარად უნდა წარმოჩნდეს როგორც მკითხველისათვის, ისე „არტისტული ყვავილების“ შემოქმედისათვის, რადგანაც მზის ჩას-

ვლა ამ წამიერ ხილვაში უნდა გაუიგივდეს „ანარეკლს ძველი დიდებისა“.

ძველი დიდების ხსენება კი თავისთავად იწვევს პირამიდების ასოციაციას („ღრუბელთა შორის დაიმსხვრა ძველი პირამიდების“), და პოეტი, ობლად მიმავალი, მის ნანგრევზე უნდა აღმოჩნდეს მაგრამ ეს მოტივი აღარ გრძელდება და ყოველივე იძირება სიმნუხარესა და მეფისტოფელის თვალთახედვაში.

პალინდრომში მზის სიზმარსაც რომ გაათამაშებდა, ივერიის არევაც მოებმოდა ზედ ამ სიზმრის ხსენებას, მოებმოდა არა იმდენად პალინდრომული სტილისტიკით, რამდენადაც ღრმა კანონზომიერებით, სიზმარი რალაც ავისმომასწავებლად რომ გადაიღვებდა.

ამ სტრიქონებში ჩაიწერებოდა ის ძველთაძველი ლირიკული თუ ეპიკური ხერხი, სიზმარს განსაკუთრებული დანიშნულება რომ ენიჭებოდა გმირის ბიოგრაფიაში – გააძმყვეტი მოვლენები ორჯერ უნდა მომხდარიყო, ერთი ზმანებაში და მეორე ცხადში, და ზმანებას ზუსტად ეწინასწარმეტყველა და განესაზღვრა მოსალოდნელი ხვედრი – სასიკეთო თუ ტრაგიკული.

ნოდარ დუმბაძის რომანშიც ეს მხატვრული ხერხი განმეორდებოდა და ჰელიოცენტრულ სისტემაში იპოვინდა თავის ადგილს, საგალობელთა ნამსხვრევებსაც შეიზიარებდა, ლოცვის გამოძახილადაც გახმინდებოდა და მზიანი ღამის სიმბოლოსაც შარავანდლით შემოივლებდა თავზე.

შუადღის ღამეო, – ამ მეტაფორისათვის მიეგნო პლატონს.

ზენათელბნელიო, – ამ მეტაფორად გარდასახავდა დიონისე არეოპაგელი (პეტრე იბერიო – შეგვისწორებდა შალვა ნუცუბიძე).

მზიანი ღამეო, – რუსთველს ამგვარი გააზრება ემჯობინებინა.

დიდი შუადღეო, – ნიჭში თავის ვერსიას შესთავაზებდა მნუხრში ჩაძირულ ევროპას და ერთბაშად კიდევ წააჭარბებდა ყველა სხვა წინასწარმეტყველებასა თუ მეტაფორულ მიგნებას და გრიგოლ რობაქიძესაც ისე გაიტაცებდა ეს სიმბოლო, აღარც გაახსენდებოდა, მზიანი ღამის ხატი სულაც მის ენაზე თუ შექმნილიყო, მისი ეროვნული ეპოსის გმირთა წარმოსახვანი სულაც ამ მეტაფორით გასხვივსნებულიყო და გიბიძგებდა, ჰოი, რა განცდით გიბიძგებდა, კვლავაც გაგემეორებინა და საზოგადოებრივ ცნობიერებაშიც საიმედოდ დამკვიდრებულიყო – უცნაურიც და ნაცნობი და შეჩვეულიც, შორეულიც და ასერიგად ახლობელიც.

აქედანაც შეგეძლო გაგეკვლია გზა ისტორიული ფესვებისაკენ, მაგრამ ჰამადანის ხილვა უშუალოდ გაზიარებდა შენს თვალწინ აღმართულ გოლიათურ სახეებს და მიუსვლაჰის სერს მზის სამლოცველოდ რომ დაიგულებდი, შენს წინაპართა ვედრებითა და საგალობლებით აღვსილ გარემოდაც, იდუმალ ჯაჭვს აქეთაც გამოაბამდი, ძველი კოლხეთისაკენ და იმ წარმოსახვით საკურთხეველზე დააბრძანებდი მზეს და მსხვერპლსაც მიართმევდი – საგანგებოდ შეუქმნიდი პერსონაჟებს, რათა მის მხურვალეობას მთლად არ გადაებუგა სამყაროს ის ნაგლეჯი, ორ ზღვას შუა რომ შემოჭედილიყო, მაგრამ ძველთაძველი ფესვების ამოკვეთას ვერ ეგუებოდა და ვერც შეეგუებოდა.

## აკილოზი

ტრილოგია დიდტანიან წიგნებს გულისხმობს.

თუ ტრილოგიაა – მაშ სამტომეულიც უნდა იყოს, მაგრამ მკითხველი რომ არ დაფრთხეს, სამ დამოუკიდებელ ქმნილებად სთავაზობ. ეს დამოუკიდებლობა თვითონ ამ თხზულებებისთვისაცაა ნიშანდობლივი, ცხადია – ხელოვნურად კი არ მიანერ, მაგრამ უფრო მომცრო რომ იყოს მათი კომპოზიციური აღნაგობა, ბარემ ერთ სათაურქვეშ მოაქცევდი. ბოლოსდაბოლოს, დამოუკიდებელი, კომპოზიციურად დასრულებული მონაკვეთები ერთი სახელწოდების წიგნშიც შეიძლება გამოირჩეს.

პირობითობაა, სხვა რა, ეს დამოუკიდებლობა.

და თუ ლიტერატურული ქმნილებანი მეტად მცირე მოცულობისაა და სამივე ერთად ჩვეულებრივი აღნაგობის მონოგრაფიას თუ უტოლდება – ისედაც მომცრო წიგნს, კიდევ სამად დანაწევრება და სულაც ტრილოგიად სახელდება მაინც რას უნდა გამოეწვიოს?

დიახ, რატომ უნდა ერქვას ტრილოგია ამ სამ ცდას:

„ქალდეას მონატრება“, „ქება სიზარმაცისა“ და აგერ უკვე „მზის შვილები“?

თუ პირველ ცდას ავტორის გულნაკლულობა მოჰყვა და ასე თანდათან შეივსო და შედუღებდა კიდევ ერთ მთლიანობად, ახლა მაინც გადაამუშავდეს სამივე და ერთ კომპოზიციურ ქარგაშიც მოექცეს.

საძნელო ეს უკვე აღარ უნდა იყოს და ალბათ უფრო მონუმენტურიც გამოჩნდება ის სატიკვარი თუ ის სწრაფვა, რასაც ასე ავუყოლიებთ.

თორემ რა გამოდის –

ტრილოგიის ჰიპერბოლიზებულ განსაზღვრებაში ექცევა სამი მცირე წიგნი, რომელთა დამოუკიდებლობაც თუ მოიშლება და ერთ სათაურქვეშ შეერწყმინა ერთმანეთს, იქნებ იმ უფრო მორბილ გამოცემას წაადგეს სასიკეთოდ. მორბილს – ამათთან შედარებით!..

საძნელო უკვე აღარ უნდა იყოსო

საძნელოც რომ ყოფილიყო, ვინ გაქცევია დაბრკოლებებს, თუნდაც განსაცდელს.

და მაშ გადანყდა და ეგაა და ეს მესამე ნიმუში იმ საერთო ჩანაფიქრისა მალე „სიზარმაცის ქებასთან“ ერთად შეუერთდება „ქალდეას მონატრებას“?

არა არა და არა

დააკვირდით, აბა, სამივე მონოგრაფიის შინაგანი მონუმენტალიზმი ოდნავ მაინც თუ ირლევვა, თუნდ იზარება, ოდნავ მაინც თუ ფერმკრთალდება?!

მერე რა, რომ სწრაფვა, სატიკვარი საერთოა.

სამივე თავთავის გზას მიჰკვლავს ერთი მიზნისაკენ.

ამიტომაც შენარჩუნებულა თვითეული მათგანის შინაგანი მონუმენტურობა და არც ის განსხვავებული გზები დაითმობა.

შერწყმა მონუმენტურობას კი არ აღამალლებს, რაღაცას მოაკლებს და მრავალფეროვნებას ერთ კალაპოტში მოაქცევს.

სხვა შემთხვევაში ერთი კალაპოტი აუცილებელიც თუ არის, ამჯერად ვერ გაგვიმართლებდა.

მზე დაბრუნავს ცარგვალზე და მხურვალეობით გათანგული მიწიდან ამოესმის ლოცვა-ვედრება, შვებად სისველე გვიბოძე, შენეღდი და დაცხრი უცნაურო და სამინელოო.

ძველ კოლხეთში გათამაშებული მისტერია მხოლოდ მწერლის წარმოსახვას არ მოაქვს ჩვენამდე, მარტოდენ ცხოველი ფანტაზია არა ხდის თვალსაჩინოს. ეს ბიძგი უფროა ჩვენი გულისა და გონების შესაჯანჯღარებლად, სულის უშორეს კუნჭულებში ჩაკრული მარცვლების გასალივებლად და აღმოსაცენებლად იმ განცდისა თუ სწრაფვის, ვინრო გარსში მომწყვედევას რომ ვეღარ შევეგუებით, ვინრო გარსში – და იმასაც მიჩეხილ-მოჩეხილს რომ შევეყურებთ.

ყოველ საბედისწერო ჟამს ძალდაუტანებლად გვიცოცხლდებოდა ის მარადი მზე, რომელიც ჩვენს მიტოვებას არც არასოდეს აპირებდა, თუკი მის ხილვას კვლავაც შევიძლებდით.

ამიტომ იქაც, მითრიდატეს ცხოვრების რომანშიც პირველხილვად არის მხოლოდ მზე მზე და ზღვა დამეთანხმებით – ნიშანდობლივია.

ამ ფონზე უნდა დაიწყოს ქართული ტომების დიდი გაერთიანება და სახელმწიფოებრიობის შექმნა, მითრიდატე პონტოელის სახელს რომ უკავშირდება და გამორჩეულ ნიშანსვეტადაც გვევლინება ჩვენი ერის ხანგრძლივსა და დრამატულ ბიოგრაფიაში.

ხილვის ჟამია, – გაისმის ხმები.

და რაკილა მარტოდენ მზე და ზღვა წარმოსახვენ მოქმედების პეიზაჟს, შთაბეჭდილება ისეთი რჩება, რომ ზღვა კიდევ აღწევს მზემდე.

და ორივე გრანდიოზულ სიმბოლოდ უნდა გამოიკვეთოს.

მზე ოქროსმუზარადიან თავად ჩამოინაკვთება, ზღვა კი სხივფერულ აბჯარში ჩამჯღარ სხეულად.

კლდოვან ნაპირზე ქვაკაცა ამოტილა. ის არ არის ღვთაების გამოსახულება, მაგრამ ზღვისპირეთის ქართველი და ქართველური ტომები კერპებად რაცხავენ და სწამთ მათი იდუმალი ძალაც და ზეგარდმო წარმომავლობაც.

ლევან გოთუა ასე ამჯობინებს კარის შესხნას იმ მხატვრულ სამყაროში, რომლის შუაგულშიც მითრიდატე უნდა აღმოჩნდეს. აქედან უნდა დაიძრას დიდი გაერთიანება და რომის იმპერიის წინაშე თამამი, შეუპოვარი დგომა, დაუმორჩილებელ სულს რომ სჩვევია.

ღვთაებრივი ათინათი დაპკრავს გარემოსაც და მზესაც, რომელიც ასე თვალდათვალ ემგვანება ოქროსმუზარადიან თავს და წინასწარმეტყველურ ნიშანსაც იტყობინება – მენამულ ნათელში ზღვაც სისხლიანს ემსგავსება და მზეც, და ავს მოასწავებს სისხლით შეღებვა – მრავალი ცეცხლისა და ტომის დაშრეტას.

მძაფრადაა განცდილი მზე „მითრიდატეს“ დასაწყისში, მისი მცხუნვარება და ვარვარება აუცილებელი ნიშანია, რათა მწერალმა თვითონაც იგრძნოს ზღვათა მიღმა გაშლილი სივრცე და მკითხველსაც მთელი არსებით აგრძნობინოს.

– იყო მხოლოდ მზე

ეს ხომ ის მზეა, იმ სივრციდან რომ მოგვეყვება და მიუსელაჰის სერზეც წინასწარმეტყველური ელვარებით აენთო.

ლევან გოთუას მხატვრული წარმოსახვები არ ამოშენდება ჰელიოცენტრულ სისტემაზე, მისი შემოქმედების ერთი თავისებურება ხალხურ რწმენა-წარმოდგენათაგან რომ ამოიზრდება, მზე იქ არ განმსჭვალავს ყოველივეს, მაგრამ დასაჭიროებით მაინც დაისაჭიროებდა და იდუმალბეჭდებში მოსილ გარემოსაკენ ამ ხილვით გაგვიკვლევდა გზას:

– იყო მხოლოდ მზე

და ჩვენს მიტოვებას არც არასოდეს აპირებდა, თუკი მის ხილვას კვლავაც შევიძლებდითო

მიუსელაჰის სერზეც ამიტომ მიუჭრენდით ტახტს და საბრძანებლად გრიგოლ რობაქიძის ხელით.

სალოცავსა თუ საკურთხეველსაც დაუდგამდით – მზის სხივებშივე ამოვლებულს.

და მისი სასოებით აღვივებოდით, მისადმი სწრაფვა გადაგვექცეოდა სიცოცხლის აზრად და არც ლოცვას მოვაკლებდით და არც ერთმანეთის შეგულიანებას: მზისკენ, დიდ მზისკენ, მხურვალე მზისკენ, გავარვარებულ შუადღის მზისკენო.

მაგრამ სადღაც მიკარგულა ეს სერი.

ალარც სხვა სერებზე მოჩანს მზის სალოცავი.

ვეღარც საამისო ძალ-ღონეს ვგრძნობთ – ნამსხვრევებიდან ხელახლა აღვმართოთ საკურთხეველი.

რომანის ფურცლებზე თვლემს მიუსელაჰის სერი, და ვაი, რომ მხოლოდ პეიზაჟია, სხვათა შორის წარმოსახული ფონი, შემთხვევითი დეკორაცია.

თვლემს და ელოდება ისეთ მკითხველებს, რომელნიც ჰამადანურ ხილვას ღრმა აზრსა და წინასწარმეტყველურ მნიშვნელობას მიანიჭებენ და შინაგანი მზერით შეამჩნევენ ზედ გადმოსულ ნათელს, რომელსაც თან მოაქვს ფესვიც, ნამყენიც, ქალდეაც და მზიანი ღამეც.

ელოდება მკითხველებს, რომელნიც თავისდამოულოდნელად გადაიქცევიან პირველყოფილი ბუნების შვილებად და გულგაღვლილნი და გულზე კანგადამსკდარნი დადგებიან ლოცვად და თავყვანებად დიდი შუადღისა და სიმხურვალის, ბრძმედივით რომ გამოაწრთობს მათ სულებს.


ელოდება მკითხველებს, დავით გურამიშვილის კვალობაზე რომ შეღალადებენ: მზეთა-მზე მზემან მომნახოს, ვიკარგვი ბნელის ღამითაო.

ელოდება მკითხველებს, მზის ანასხლეტებად, მზის შვილებად რომ იგრძნობენ თავს – აიტივით ტარიელივით აიტს ვერ უშველიდა მზის შვილობა – ოქროს საწმისსაც წას-

ტაცებდნენ, მედეასაც ზედ მიაყოლებდნენ, ვაჟს მუხანათურად მოუკლავდნენ და მის სამეფოს საყრდენს გამოაცლიდნენ მაგრამ ტარიელს უშველიდა, ის გამოატარებდა ტანჯვა-განსაცდელს და ნესტანსაც დააბრუნებინებდა და აულებელ ციხე-სიმაგრესაც დაამხობინებდა.

თვლემს მიუსელაჰის სერი. გადაგლეხილა სალოცავი. და მაინც მაინც დაბრუნავს თავზე მზიანი ღამე.

2005 წელი  
1-14 ივნისი



ვანო ჩხიკვაძე

# მცირე პროზა

## რა არის სამშობლო?

რო გავაუთოვოთო, კაცო, რო გავაუთოვოთო, ეს ჩვენი დალოცვილი მთა-გორები ვაკედ რო ვაქციოთ, რუსეთზე დიდი ვიქნებითო, – ვიდრე რეპრესიების სუსხი ჯერ კიდევ ძვალ-რბილში ატანდა, ჩუმად ჩურჩულებდნენ, მერე კი, როცა სადავო მიუშვეს, აუნიეს და აუნიეს ხმას.

თანაც, მაინცდამაინც რუსეთზეო!

არც ამერიკაზე, ჩინეთზე ანდა სულაც მეზობელ თურქეთზე...

რუსეთზეო, რუსეთის ზურგზე დადება უნდოდათ, რუსეთის ჯინი და ჯიბრი სჭირდათ (არ ჰქონდათ ამ ჯიბრის მიზეზი თუ, რა!).

ერთ სუფრასთან, სადაც „რუსის აფიცერიც“ იმყოფებოდა, თამადამ თავი მოიწონა, სამშობლოს დღეგრძელობისას გაიმეორა, გაამჟღავნა მთების გაუთოვების შედეგად, რუსეთზე აღმატების შესაძლო ვარიანტი და, ისე გაიბებლვა, თითქოს ამ „სიბრძნის“ მარგალიტის პირველად-მომჩენი ყოფილიყოს.

ოფიცერს გაეცინა, ნიჭიერი ხალხი ხართ ქართველები, რას არ მოიგონებთ, მთების გაუთოვება მაინც რამ მოგაფიქრათო, მაგრამ სამ-ოთხ მილიონ კაცს რად გინდათ ამხელა, ცარიელი ქვეყანა... ამაზე რას გვიბრძანებს უფალი თამადაო.

სუფრის წინამძღოლმა, რომლის თვალეშიც, უწყინარ გულუბრყვილობაზე მეტად, თავდაჯერებული უვიცობა უფრო იკითხებოდა, ხელსანმენდით მოიმშრალა გახვით-ქული შუბლი.

გაჭირვებულ თამადას სულზე მოუსწრო რომელიღაც თანამესუფრემ, ოფიცერის მოქნეულ მახვილს ფარი უფარა – ჯერჯერობით, სწორედ მაგიტომ არ ვაუთოვებთ, ველოდებით, ვიდრე ორასი თუ არა, ასორმოცდაათი მილიონი მაინც გავხდებითო.

ისევ ჩაეცინა ოფიცერს – ვიდრე გახდებით, ჩვენს საერთო, დიად სამშობლოს გაუმარჯოსო, ყანნი გამოწაფა და სუფრაზე ფალავანივით გააგორა.

არა, ეს ოფიცერი აღარ ჰგავდა თავის წინამორბედს, საშაქრეში ბუზებს რომ ამწყვედევდა.

სამწუხაროდ, არც თამადა ჰგავდა იმ ქართველს, ვისთვისაც, სამშობლოს სიდიდე სიგრძე-სიგანით კი არა, სიმალლით იზომებოდა.

სიმალლით, რომელსაც ჩვენი კულტურა, ზნეობა აშენებდა.

ხშირად ვისმენდით ხოლმე რიტორიკულშეკითხვას – „რა არის სამშობლო?“

პასუხიც მზად იყო, ისიც რიტორიკული, სიყალბის ობმოკიდებული.

გაგრძელება. იხ. „ჩვენი მწერლობა“ №8,9,10

ახლა გაჭირდა, გაძნელდა უწყინარ, თითქოს იოლ შეკითხვაზე პასუხის გაცემა.

სამშობლო სიყვარულია, თავგანწირვაა, თვითშენიწვაა, თითოეულ გოჯზე ფრჩხილებით ჩაფრენაა, ენაა, ლოცვაა, ის პატარა ვაზის ცრემლია, ნამგზავრ მერცხალს ნისკარტით რომ უჭირავს... ჩამოთვლა შეიძლება უსასრულოდ გაგრძელდეს, მაგრამ თუ გინდა უბეში ხელი ჩაიყავი და სისხლით კი არა, ჯავრით გასიებული გული ამოიღე, სინანულით ვილას ამოაკვენსებ „ვაი, ჩვენო ქართლის ბედოვო?..“

ამასწინათ, დანმენდილ, თბილ ამინდში, ღია ფანჯარასთან ბავშვები გაკვეთილს სწავლობდნენ:

**ვინა სთქვა, თითქოს პატარა იყოს,  
ჩემი სამშობლო, დიდების ღირსი,  
ქართლში ვინ ჰპოვა პატარა ციხე,  
ვინ მოიგონა სიმცირე მისი.**

ფანჯარაში, აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ წაგრძელებულ, ქალაქის შუაგულში ამოზიდულ კლდოვან მთაზე გადარკალული ციხე-სიმაგრე მოჩანდა.

იღგა, როგორც გრანდიოზულ კვარცხლბეკზე შემოდგმული დეკორაცია, ძველი, მივიწყებული სპექტაკლის რეკვიზიტი და ჯავრი ამიდულდა, შევბრუნდი, ბავშვებისაგან მალულად, მუჭით ცრემლი მოვიწურე – ან ასაკი შემომეპარა, ანდა დროის ფეხისხმას ჩამოვრჩი, სამუზეუმე სტრიქონები და გრძნობები, ვილაცას სჭირდება-მეთქი.

რა არის სამშობლო?..

ალბათ ის, რომლის სიყვარულის უფლებასაც თანდათან გვართმევენ.

გაუთოვება, თუ გენბავთ, სწორედ ეს გახლავთ.

1966 წლის თაკარა ზაფხულში, წყნეთში, უკანასკნელ წუთებს ითვლიდა გიორგი ლეონიძე.

ეზოში დაძმარებული იდგნენ პოეტის ახლობლები, მეგობრები...

უცებ ყველაფერი გაყურდა – მოშვეებული ონკანი, აჟიფივებული ფრინველები, მეზობლად აზმუვლებული ცხვარ-ძროხა... ჩამოიარა შემანუხებელმა, ყურთასმენის წამლებმა სიჩუმემ, გაირინდა ყველაფერი და, ავისმომასწავებელ დუმილში დაიჭეჭა, გადაიბზარა, გადასკდა კარის თალი.

მაშინვე გამოიტანეს მომაკვდავის ოთახიდან სამწუხარო ამბავი, გოგლა გარდაიცვალაო.

მორჩა ბუნების წუთიერი დუმილი, აჩხრიალდა ონკანი, აჟრიაშულდნენ ფრინველები, ფოთლები შეარხია ქარმა, აზმუვლდა ცხვარ-ძროხა, აზუზუნდა ბალახმოძალე-ბული ყამირი.

ბედნიერია ქვეყანა, რომელსაც დიდი პოეტი უკვდება.

ბედნიერია დიდი პოეტი, მისი დაკარგვით გამოწვეულ ტკივილს სამშობლო რომ იგრძნობს და დამდურებული ფეხზე აუდგება...

მაგრამ, როგორ გინდა ეს ბედნიერება აგრძნობინო „დედინაცვალის“ ჯიქანს ახალმონყვეტილ ხბორებს, ძალიან მაღალზურგიანი სკამებისათვის ერთმანეთს რომ ერჩოლებიან და, თუ დიდხანს მიეუშვით ნებაზე, „ჰამბურგერივით“ შემოეჭმევათ ეს ქვეყანა?

ახლა ყველაფერზე ლაპარაკობენ, ინვესტიციებზე, პრივატიზაციაზე, კონტრაბანდაზე, ქერტლის წამალზე, მუცლის მოშლის საშუალებებზე (გამრავლდითო, არავინ გვეუბნება), ჯანდაბაზე, დოზანაზე, ოლონდ სამშობლოზე აღარ... აღარ... მხოლოდ ჰიმნში „გაიპარა“ აკაკის ღვთა-ებრივი სტრიქონები – „ჩემი ხატია სამშობლო, სახატე მთელი ქვეყანა“, – ეგ არის და ეგ, დანარჩენს ტაბუ დაედო – როგორც მართლმადიდებლურ რწმენას, სამშობლოს სიყვარულსაც ჩრჩილივით მოედგენ, ახალ-ახალი სექტე-ბი, გვარიანად დაპურებულ-დამოძღვრილ-დაფინანსებუ-ლი ცრუ წინასწარმეტყველები – „მსოფლიოს მოქალაქეე-ბი“, თავისი, მამაპაპეული საბუდარის შვილობა რომ ეთა-კილებათ და რაღაც მიუწვდომელს და უცხოს ეპოტინები-ან.

ნუთუ ეს – ბაზრობებით, დახლებით, ჯიხურებით, გა-უტანლობით, ბეზლობით, მკვლევობებით, თვითმკვლე-ლობით, მოტყუებით, სიძულვილით აკლებული ქვეყანაა ჩვენი სამშობლო?

ხელისუფლებას სიკეთე რომ უნდოდეს, ყოველ ფეხის ნაბიჯზე სარკეებს დადგამდა, რათა ყოველ წუთს, ყოველ ნაბიჯის გადადგმაზე ჩაგვეხედა, გვენახა რას დაგვამ-სგავსეს.

სამწუხაროდ, ზოგიერთის ადამიანობის დასადასტუ-რებლად არ ემარა, ორ ფეხზე რომ დაიარება და დინგს სა-ლაფავში არ ურევს...

ილიამ სწორედ სარკე დაგვიდგა და აკი შუბლიც გა-ვუხვრიტეთ.

ასი წლის შემდეგაც, ჩვენი თავი რომ უნდათ დაგვა-ვინყონ, ისევ ილიას მისდგებიან, ამ მძლავრი, ღონიერად ფესვგადგმული ძელქვის ამოგდება უნდათ ჩვენი ყოფი-დან, მესხიერებიდან, წარსულიდან და მომავლიდან...

ზნეობა საიმედო აღვირია, განწყდება და, ღმერთმა უნ-ყის, საით გადაიჩეხება კაცი: ბაზრის წინ ქალს დახლი გა-უმართავს, მეპატიჟება, მიქებს საქონელს, ლაზღანდარუ-ლი საქციელით და ენით, – ნაილე, იაფია და იორლაო.

რაც იაფია, ის იორლა როგორ იქნება.

არა, არ მეშვება, მაინც თავისი უნდა გაიტანოს. ნაიქცა ილიას ნაქები, ჩვენებური დედაკაცი, გაღნიოშ-და ქართული, ფუძემყარი ოჯახი – გაგონილა, კრუხი აღ-თას იყოს და წინილები ნორმალურად დაიზარდონ?

გულდანყვეტილი ვდარდობ გზაკვალარეულ ჩვენს დროებაზე და ეს დედაკაცი კიდე არ მეშვება, ჩამციე-ბია... სარკე რომ იდგეს, დავეტაკებოდი და თავს მეორე მხარეს გავყოფდი... მე ასეთ ქალზე არ მიოცნებია, ძმაო, რომ ვერ გაიგებ ვინ არის, საიდან მოიყვანეს და რითი მო-ზილეს...

მთელი ცხოვრება სულ იმას ვხედავ, მინდვრების ბო-ლოდან ნორჩი ალვასავით რომ გაჰკვნესის თანდათან მიჩუმათებულ ფლოქვების ხმას:

**ვინა ხარ? ვინ იარები,  
ლალო, მაგ ლალის ცხენითა...**

ეს კიდეც, კალთებს მაგლეჯავს, იაფი და იორლაო. მაშ, ესეც ქალია და ისიც? ამის რძენაწყენმა მოდგამა როგორ უნდა აიგოს, რა არის სამშობლო?

ეჰ, ჩვენ კი ვიცით?.. ბოლო ათწლეულში რამდენ სუფრაზე ვყოფილვარ და, მიჩუმდნენ, აღარ ლაპარაკობენ, დაეკარგათ მთების დაუ-თოვების ხალისი?

ვითომ მიხვდნენ, ქვეყნის სიდიდე სხვანაირად რომ იზომება თუ „უთომ“ დასწვათ ხელი?..

მაინც არ მეშვები – რა არის სამშობლო?

მამლისა არ იყოს, დავიყოვლებ, მაგრამ გათენდება თუ არა, ეგ კი აღარ ვიცი – ავდგები, გავალ აივანზე და ცივ, გაყინულ, გამოქვაბულივით შუალამეში ხმამალა დავი-ძახებ:

„გამოდი, ლაზარე!..“

**რომელი სჯობია**

ზაფხულია. ცხელა. გასავათებული ბავშვები ეზოში კამათობენ, რომელი სჯობია დასასვენებლად, ქობულეთი თუ ურეკი.

კამათობენ, ჯერ უხალისოდ, მერე თანდათან ეშში შედიან:

არა – ქობულეთი!  
არა – ურეკი!

ვითომ ან ბავშვებს ანდა ამათ უფულო მშობლებს, ასარჩევადაც აქვთ საქმე.

ახლა აივანებზე გადმოყუდებულ უფროსებს შეგვეხმი-ანენ:

– ნათია დეიდა, თქვენ როგორ ფიქრობთ...  
– ზურა ძია...

– ორივე არ შეიძლება, ერთ-ერთი უნდა აირჩიოთ, ურეკი თუ ქობულეთი?

პასუხგაუცემელი კითხვა ისევ ყულფივით დაეკიდა ჰაერში:

– ჰა, რომელი სჯობია?  
“ბიჭვინთა”, – ვამბობ ჩემთვის და განვრილებულ ძაფ-ზე ქანაობს დამძიმებული გული.

ადამიანს, რა დროც არ უნდა გავიდე, ალბათ სიკვდი-ლამდე (იქნებ მერეც) არ ნელდება დაკარგული კიდურის ტკივილის შეგრძნება.

ბიჭვინთა! – ეს ფიზიკური არა, ხსოვნის ტკივილია, უფრო მძაფრი, გამაოგნებელი, აუტანელი.

ყელყელაობენ პატრონად მოვლენილი ფშუტე თავთა-ვეები –

იფურჩქნება ბუტაფორიული ქვეყანა!  
გატეხილი ციხის პატრონი, რა თავში იხლი ამ ციხის გასაღებს?

ეზოში ბავშვები კამათობენ...

**ბავშვობა**

სიმღერას ვუსმენდი მხიარულ, უდარდელ ბავშვო-ბაზე. რა ვიცი, რაც თავი მახსოვს სულ დარდი მქონდა. ნეტავ ბავშვი როდისლა ვიყავი?

ქალო

თავს ადრიანად დაგვადგება – საჭვრეტიდან დავინახავ გამხდარ, ცხვირნაწვეტივს პროფილს.

ხო არ გაგაღვიძეთ, ქალაქელებს ძილი გიყვართო, შემოვა, შემოიტანს სოფლის ფერს, მზეს, ჰაერს, ჩვენი ორლობის ძირებში გამოგლეჯილი ბალახის და ლობიოს ქოთანში ჩახარშული ქინძის სურნელს.

დავფაცურდებით. დავსვამთ მაგიდასთან.

არაფერი არ მინდა, მარტო ყავას დავლევ, ეგეც, რა თქმა უნდა, თუ გაქვთო.

თუ არ გვექნება, რას დავალევენებო.

საჩქაროდ მოვადულებო, მივართმევო.

კოხტად მოკალათდება, ჩაავლებს იმ გამხდარ ორთით ფინჯანს ყურში, ქაფქაფა ყავას მიუახლოებს მოპრუნულ ტუჩებს და, ფსსს... ზედაპირზე შეგრილებულ რამდენიმე წვეთს შეისრუტავს.

– სადარდელიო?... თქვენ ჩემი უნდა იკითხოთ, ჩემდენი სადარდელი ვისა აქვს, მაგრამ არ დამიჯერებო, რო დავვდე და ვიდარდო იმისთვისაც არა მცალია... რა ვიცი, ეს ჩვენი ამბრიაანთ მარო, ხეირიანად მოთენებული არ არის, ეზოს წინ დასკუბდება და, შინ სანახიროდან დაბრუნებულ საქონელთან ერთად შედის... ჯერ – ერთი ჭიანი კბილი აქვს, იჩიჩქნის, იჩიჩქნის... მთელი კოლოფი სპიჩკა არა ჰყოფნის – აქამდე, წესით, ამერიკაში უნდა გასულიყო... თან, რა თქმა უნდა, ლაპარაკობს, ოთხფეხია თუ ორფეხი, გზაზე ხმისგაუცემლად როგორ გაატარებს... კბილის ჩიჩქნით რო მოილლება, ახლა მზესუმზირით გავსებულ ხალათის დიდ ჯიბეებს მისდგება და ფქვავს, ანაცერივით ისურის აქეთ-იქით ჩენჩოებს... გაევესება კალათა, მუხლისთავები, ჩამოეფენება შავ წერტილებად გულისპირზე, თითქოს შემოდგომის ბუზები დააკვდნენო... ხანდახან ვითომ საქმესაც წამოიწყებს, მაგრამ თუ დაუძახებს, ცოცხი უჭირავს, ცოცხს დაადებს, გასარეცხი თეფში უჭირავს – თეფშსა... გადაეყუდება ფანჯარას, ჩამოაშეშებს ზეზეულად დამძახებულს... ისე კეთილია, კეთილი, სული რომ სთხოვო, არ დაენანება...

ამოიყვანო ბავშვები, ამოიყვანო, მერე რა ვინროთ რო ვართ, მაინც დავტევივით, თავში ქვას კი არ ვიხლით! ადრე როგორ ეტეოდა ხალხი, შვილები, იმათი შვილები, გაუთხოვრები, დაუქორწინებლები... მაინც სხვა სიამტკბილობა იყო... ეხლა ძან გავცივდით, ძან რო მეტი აღარ შეიძლება. იმიტოა, ერთმანეთს აღარ ინდობენ, მიყოლ-მოყოლა აღარ არის, ნათესაობა იკარგება, ჯიგარი ქრება... ამოდით, მაროსთან ლაპარაკში მაინც შეგვეშველეთ, მოგვალა, გადაგვექანცა მთელი სოფელი...

მოპრუნულ ტუჩებს ისევ მიუახლოებს ყავის ფინჯანს, თან საათს შეჰყურებს, ძან რო არ მეჩქარებოდეს, გადავბრუნებდი კიდევაცა, იმდღეს რაც მიმკითხავე, ყველაფერი ტოჩი-ტოჩად ამიხდაო, – კალთაზე ხელს ჩამოჰკრავს დიასახლისს.

ეჩქარება, მაგრამ, ვიცი, ფინჯანს მაინც გადააბრუნებს, ჩამოსდებს ლამბაქის კიდზე და, ვიდრე ფინჯანის კედლებზე ბედისწერის ხაზები სამკითხაოდ ჩამოშრება, მოლოდინის ღიმილმორეული გაინახება.

ქიძა

– დედაჩემის სოფელში, დიდი ხნის უნახავმა სახლი-კაცმა, გოგო გაათხოვა და იმის ქორწილში ვარ... როგორც იციან, ქალები ცალკე სხედან, კაცები – ცალკე, ჩვენს მაგიდასთან მხოლოდ ერთი გაღნაპული დედაბერია, დაგრეხილი, ჟანგიანი ლურსმანივით კაცებში ჩაჭედული.

დედაბერი პირდაპირ მიზის, მაჯასთან, კაბის სახელოში შემალულ ცხვირსახოცს წარამარა ჩაჰქსუტუნებს განვრილებული ცხვირით და მიყურებს, მიყურებს, მცნობს და ვერცა მცნობს.

გვერდით მჯდომს რალაც უთხრა, ისიც წინ წამოიხარა და მკითხა, მართლა ამისი და ამისი ხარო?

მართლა – მეთქი.

დედაბერი გაიბადრა:

ეე, შვილო, რა გეხსომება, პატარა იყავი, რამდენჯერ ჩემი ძუძუ გინოვია... ჩემი რობიზონას ტოლია, – მიუბრუნდა დანარჩენებს, ქალის ხმამალალ ლაპარაკზე რომ მოგვხედეს და ხან მე მიყურებენ, ხან – დედაცაც, – დედამისი, კალოზე რო წავიდოდა, მე დამიტოვდა ხოლმე... როცა აღრილდებოდა, რა მექნა, ჩემსას მივანვინდი და ძუძუს ამას ჩაუვებდი... ეგრე რათ გამხდარხარ, არაფერს გაჭმევენ?... მაშინ ესეთი კი არ იყავი – ფუმფულა, ფუმფულა, იტყოდი, ნეტა თვალი მომცა და მაყურებინაო...

შენი ხელი მოაკლდა და, იმიტომ – ისევ რო ჩაიგორო კალთაში და მოანოვო, ეგებ ფერხორცზე მოვიდესო, ეხუმრება ჩემი ბიძაშვილი.

ჰო, ლალიანი რძე გეცოდინება, ლალიანი, ერთი კარგად გაჭყიპეო, დაუძახა ვილაცამ და ატყდა სიცილი, ვილა უსმენს თამადას.

ესეც იცინის, იფერებს, მაშ რას ვიზამ, გავბურთავ და ტიკივით მივავაგორებო...

ზოგი ისეთია, ლამაზად ჩამოჭკნება, სიბერესაც მოიხდენს.

ეს – რალაცნაირია, გულმიუვალი, გამოფშუტული ლოლოსავით, მოკლედ ეგეთი, ეგეთი, რომ არ შეაფურთხებ.

შეყვარებ და, მადლიერების ნაცვლად, ყელში ამოდდის მაშინ ნანოვი რძე...

გოღე

ახრიალებულ ქვა-ლორღს ყური მიუგდო და, ახლა მე რომ მმარხავდნენო – აეკვიტა.

მიდგა-მოდგა, მაგრამ კუბოს სახურავზე ატეხილი რახარუხის ხმა ვერ მოიცილა, მკერდიდან ჩიტვივით ამოფრთხილებულ გულს ხელი დააფარა.

ვერ გაეგო, რა ემართებოდა, წუთისოფლის წარმაგლობას ასე როდის აუფორიაქებია.

ჭირისუფლებს ჯერ კიდევ გასვენებამდე მაინც არ შეეპირებინათ, თქვენი თამადაობით დაგვიმშვენეთ ქელეხის სუფრაო – ავტობუსში, წინა სკამის საზურგეს ჩაფრენილი, დაღმართის ორმოებში ჯაყყაყით გულ-მუცელათქვეფილი გოღე, უაზროდ შეჰყურებდა ალაპარაკებულ მეზობელს.



პირი კი არა, თითქოს ამოძრავებული ორმო ისროდა შინაარსისგან დაცლილ, ლაპლაპა სიტყვებს.

„მეთამაღება, ახლა, მე?“ – ამოიხვნემა გოდემ.

„რა, ბრძანეთ, ბატონო?“ – გაუკვირდა თნამგზავრს.

„კარგი კაცი ნავიდა...“

„ძალიან, ძალიან,“ – გულგარეთ დაეთანხმა განაწყენებული მოსაუბრე და გაბუტული გვერდზე შებრუნდა.

ნავიდა, ფიქრობდა გოდე, კიდევ ერთი ადამიანით ნაკლები გახდა ქალაქი... ესენიც ნავლენ, ახლა ქელეხის სუფრისაკენ რომ მიეჩქარებათ, ნავლენ რიგრიგობით, სხვადასხვა დროს... თვითონაც ნავა, მოულოდნელად, ნავა უმწეო, იარაღაყრილი (ვითომ აქამდე პიროფლიანი იქნევდა მახვილს), დაუკრეფენ აი, ამ ხელებს, დამამთავრებელ კლასში რომ ერთბაშად რომ გაეჯაგრა და შავი ხუჭუჭი ბალანი ნებებამდე ჩამოჰყვა, თითებზეც ამოხეთქა და ამოღალანდა... ჩადებენ, მიაყრიან მინას და წამოვლენ – სული შეეხუთა, წინწამონეული, პიტალო შუბლი მაღლა აიქნია, თითქოს კუბოს თავსახურს აჰკრა ამოსატეხად, მაგრამ ვერაფერს გახდა, სალოკი თითით მოიფლაშა, მოიხალვათა ბოლომდე შეკრული, უცებ დავინროებული საყელო და, ფანჯრიდან დაბერილ ნიავს, რიყეზე ამოგდებული თევზივით გაულო პირი...

ჰო, ეგრე იზამენ, ზემოთ ვინ დაუტოვიათ, დააყრიან მინას და ერთი კვირის დამჭენარ, მძალე, სპეციფიკური სუნის, ჭრაჭუნა ქალაღდის ძაბრებში შეფუთულ ყვავილს...

მერე, როგორ, რანაირად, ვინ მისცათ ამის უფლება – ისე შეხტა ადგილზე, თითქოს რაღაცის შეცვლა მართლაც შეეძლო.

შუბლზე მომსკდარი ოფლი გვერდზე გადაშვებია.

დადგება მერე ვილაც, მისი მსგავსი, თავგასიებული, თამადად და დასაშლელად შეჩოჩოლებულ სტუმრებს დაამშვიდებს, სუფრა გაგვიგრძელდა, მაგრამ განსვენებულმა ასე დაიბარა, ჭამეთ, სვით, ფერზე მოდითო...

„ვინ დაიბარა, რა დაიბარა, თქვენი!..“ – გაცოფდა, გაცეცხლდა, თითების მარყუჟი ისე მომუჭა, თითქოს ის უხილავი თამადა იქ ჰყავდა მომწყვდეული.

გადაალაჯა მეზობელს, სკამებს შორის მოწყვეტილი კასრივით ჩაგორდა, აქ გამიჩერე, თუ ძმა ხარო, ამოიხაველა მძლოლის გასაგონად და კარის სახელურს ჩასასვლელად ჩაეჭიდა.

## ტყის სუნი

დილის სინათლეზე აბრწყვილებული, დამსხვრეული ბროლის ნამსხვრევები – ხიდან, ბურქებიდან, ზროს შემოხვეული ლიანებიდან ჩამონანური ნვეთები.

დამბალი, ნოტიო – წინვის, ფოთლის, დაფუტუროვებული, ხავსიანი კუნძების სუნი... სუნი მკვეთრი, სხეულის ყველა კუთხე-კუნჭულში რომ გიძვრება, ჩადის როგორც ბნელ, უსინათლო საკანში, შეღებული სარკმელიდან ჩაჟონილი ჰაერი.

მუხლებზე ხელებშემოხვეული, სიცივით აძაგძაგებული, თითქოს ჩემივე სხეულში ვზივარ და მაღლა ვიყურები, დავინროებულ „ასასვლელს“ მტრედის ფრთასავით ცის ნაგლეჯი ახურავს და ეს ნაგლეჯი ვინმემ რომ მოხადოს, უკიდევანო სიცარიელე დაყირავებული ქვევრივით დაემხოვა დედამინას. დედამინას, რომელზეც, კარგა ხანია, დაირღვა მყუდროება – ადამიანი გადამფრენ ფრინველად იქცა, მუდამ სადღაც მიიჩქარის, რომ აფორიაქებულ სულს ნანატრი სიმშვიდე მოუპოვოს.

ხომ შეიძლება, ერთ მშვენიერ დღეს, საქართველოც ნავიდეს, რომელიმე, უფრო კაცთმოყვარე, კეთილ პლანეტაზე გადაიხვეწოს? რა მოხდება მაშინ? რა გვეშველება?

იქნებ უკვე აიბარგა კიდევ და მე კი ამ “ხაროში” ვრჩები? – სულელურმა ფიქრმა და შიშმა ადგილიდან წამომავლო.

ვინრო ხიდი გადავირბინე. ბორჯომულას დინებას გაჯიბრებული, თავქვე დავეშვი.

ნაბლის ხეზე წითელი ცხენი გამოებათ (გუშინ ეს ცხენი ხეობის სიღრმეში ვნახე). იდგა თავისთვის, დასდიოდა ნვეთი და თახთახებდა.

შავად მზინავ ფაფარზე ხელი ჩამოვუსვი.

მომხედა, დამაკვირდა, ღრმა, ფიქრიანი თვალებით – ნუთუ ვერასოდეს ვერ გავიგებთ რას ფიქრობენ ცხოველები ჩვენზე, მათი სიმუნჯე ღვთის სასჯელია თუ ჯილდო?

შორიახლო, დამსვენებლები მიესალმნენ ერთმანეთს.

– ვაშლივით ხარ, ჯიმა, ვაშლივით! – მიეპირფერა, თავისებურად, ერთი მეორეს.

შევხედე – ის ტიპი მართლაც ვაშლივით იყო, ოღონდ ნაქარი, ჭიანი ვაშლივით.

ამისთანა მეტყველებას შენი სიმუნჯე მირჩვენია-მეთქი, ნაფიქრულე ცხენს.

წვიმა უკვე ხმამაღლა თქრიალებს, ივსებიან და დამძიმებულ ფოთლების პეშვებს წყალი მინაზე ეღვრებათ.

## პაპარი ფხსაცმელი

დილა. ცივი, ღრუბლიანი. ეზოს ჭუჭყიან, შავად მოლაპლაპე გუბებს ნვეთები კენკავენ.

ბავშვები სკოლაში წასასვლელად ემზადებიან.

ვანიკო ჭვინტაპრეხილ ბათინკებს დაჰყურებს და მშობლების გასაგონად ამბობს:

– ეჰ, როგორ დაბერდნენ ჩემი ფეხსაცმელები, ნაოჭებიც კი გაუჩნდათ.

მშობლები ყურს იყრუებენ და სულაც არ ეცინებათ ბავშვის ნათქვამზე.

“ბებერი ფეხსაცმელი” ეზოში მიჭყაპუნებს.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

ფრანგულენოვანი არაბი (მაროკოელი) მწერალი. დაიბადა ქალაქ ფესში 1944 წელს. ავტორია მრავალრიცხოვანი პოეტური კრებულების, ესეების, ნოველების, რომანების. 1987 წელს მისი რომანი „წმინდა ლამე“ აღინიშნა გონკურების პრემიით. „საექვო კაცი“ პირველად 1991 წელს გამოქვეყნდა და მართლაც გასაოცარია მწერლის წინასწარმეტყველური უნარი.

ტაჰარ ბენ ჯელუნი

# ორი ნოველა

საექვო კაცი

მუჰამედ ბუშაიბი მქვია. შუშების მწმენდელი ვარ. თუმცა, პოლონელი არ გეგონოთ, მაროკოელი ვარ. ზოგი მოჰას მეძახის, სხვები, უფრო ენამწარენი – ბუშს. არ ვიცი, რა აქვს სასაცილო, რატომ იგდებენ მასხრად ჩემს გვარს. საშუალო სიმაღლის ვარ, შავგვრემანი, ძალიან შავტუხა, თმბუჭუჭა და წვეროსანი. სადაც უნდა წავიდე, ყველგან ვცდილობ თვალში არავის მოვხვდე. მე ხომ არაბი ვარ, ჩემი ქვეყნიდან გადმოხვენილი ერთი საწყალი არაბი.

წამდვილად რაღაც მაქვს განსაკუთრებული. მეტროში შესვლისას და იქიდან გამოსვლისას, ყოველთვის ვითხოვ, შემამონმონ. ყველგან ვილაც ჩემკენ იშვერს თითს, თითქოს იციან, სად მოვდივარ, და ჩემს გამორჩენას ელოდებიან. ამას ისე მივეჩვიე, რომ, ისეც მომსვლია, საკუთარი თავის გაჩხრეკა და მივალუბია პოლიციელისათვის. ვეუბნები: „ეს მე ვარ!“ ზოგს ელიმება, ზოგიც მანიშნებს, მომწყდი თავიდანო. მართლაც რომ გასაჩხრეკი კაცის ნიშუმი გავხდი. უბედურება ისაა, რომ ისეთს ვერაფერს პოულობენ და ღიზიანდებიან, ბრაზობენ, ტყუილად რომ გაისარჯნენ. ძალიან ვწუხვარ, მაგრამ სულაც არ ვაპირებ ყუმბარა ან რევოლვერი ვატარო იმისთვის, რომ მათ არსებობას გამართლება ჰქონდეს, თავი კმაყოფილად იგრძნონ და დღის ბოლოს, შინ მისულემა, ამაყად განაცხადონ: „ბოლოს ხომ მაინც დავიჭირეთ! არამზადა, ყუმბარა უნდოდა აეფეთქებინა სუპერმარკეტში, ქუჩაში კი ლიცეუმიდან გამოსულ ჩვენს ბავშვებს ნარკოტიკებს სთავაზობდა!“ არა, უნდა გავანბილო ეს ბატონები; მე ასეთი თამაშებით არ ვერთობი.

ეს კი ასეა, სრულიად უდანაშაულო ვარ და სინდისი სუფთა მაქვს, მაგრამ ზოგჯერ მაინც დავეჭვდები ხოლმე საკუთარ თავში. ეჭვი მიმაქვს ჩემს ოჯახზეც, მეგობრებზე, საბუთებზე. მაშინ სარკის წინ ვდგები და ჩემს თავს ვჩხრეკ. ვერაფერს ვპოულობ მეტროს ძველი ბილეთების, ცხვირსახოცის და ხურდა ფულის გარდა. ჩემს ხშირ თმებშიც ვიქექები, როგორც ამას ისინი აკეთებენ; აქაც არც დანაა, არც ნარკოტიკები. ეჭვი მაინც არ მასვენებს, იმდენად, რომ ამას პოლიციელებიც ამჩნევენ და მაჩერებენ, პირადობის მოწმობას მთხოვენ. ცხადია, ყველაფერი რიგზე მაქვს. ცელოფნის ყდა უნდა გადავაკრა ჩემს საბუთებს, თორემ მალე ნაფლეთებად იქცევიან, იმდენს ატრიანებენ ხელში. კარგად გამიგეთ; ავადმყოფი არა ვარ, უბრალოდ, საექვო კაცის იდეალური ნიშუმი გავხდი. ყველაფერი ჩემს წინააღმდეგ განაწყობს ადამიანს. სახლების


ფანჯრები პარიზში ძალიან ჭუჭყიანია. ამიტომ, სამუშაო დღის ბოლოს ტანსაცმლიანად ისეთი შავი ვარ, ქვანახშირის მალაროდან გამოსული გეგონებით. ამასთან, გაუპარსავი, მოშვებული სახის ნაკვთები და დაღლილი თვალები ისეთი კაცის იერს მძლევს, ესენი „ინტეგრისტი ისლამისტს“ რომ ეძახიან. ხშირად მეკითხებიან: „ინტეგრისტი ხარ?“ თითქოს, ეს რასა ან ეროვნება იყოს. ჩემი პასუხი ასეთია: „გინდათ თქვათ, მუსლიმი თუ ვარ? დიახ, მუსლიმი ვარ, მაგრამ ხანდახან სიამოვნებით დავლევე ხოლმე ერთ ჭიკა ლეინოს ძმაკაცებთან ერთად, თუმცა ღორის ხორცს არ გეახლებით. იშვიათად დავდივარ მეჩეთში, არც ყოველდღე ვლოცულობ, მაგრამ მეც და ჩემი შვილებიც რამადანის მარხვას ვიცავთ. ეს წმიდათაწმიდაა, სავალდებულოა, ეს ჩვენი რელიგიაა. თანაც ამით არავის არაფერს ვუშავებთ. საფრანგეთში ჩამოსვლამდე არც მსმენია სიტყვა „ინტეგრისტი“. მგონი, პირველად აქ, ტელევიზორში გავიგონე“.

მამ რატომ უნდა მიყურებდნენ ეჭვის თვალთ? იმიტომ, რომ მუსლიმი ვარ თუ იმიტომ, რომ შეუხედავი ვარ? ამბობენ, წვერი მათ დასაშინებლად გვაქვს მოშვებული. მართლა ასეთი საფრთხობელა თავი მაზია კისერზე? სავსებით შესაძლებელია. პირდაპირ საოცარია; რაც უფრო მეტ ყურადღებას ვაქცევ ჩემს გარეგნობას და ვზრუნავ, რესპექტაბელურად გამოვიყურებოდე, მით უფრო მეტ ეჭვს ვიწვევ პოლიციელებში. „ეს კაცი მთლად წმინდა წყლის არ უნდა იყოს!“ – ამბობენ ისინი. ნეტა რას ნიშნავს „წმინდა წყლის“ კაცი? თეთრი ქათქათა კანი უნდა ჰქონდეს და კარგად იყოს ჩაცმული? ნეტა რა ფერის თვალები უნდა ჰქონდეს „წმინდა წყლის“ კაცს?

რაც ამხანაგებმა ბუში შემარქვეს, სულ უსიამოვნებები მაქვს. ერთ დღეს პოლიციელი მეკითხება:

– შემთხვევით სადამის ჯარისკაცი ხომ არ ხარ?

– ულვამის გარდა არაფერი გვაქვს საერთო მე და სადამს, – ვუპასუხე. გაეცინათ. მოგვიანებით ეს ამბავი ისევ ამომიტივტივდა მეხსიერებაში, სწორედ მაშინ, ომი რომ დაიწყო და გასაგები მიზეზებით შიშმა შემიპყრო. ისე მოვხვდი ომში, თითქოს, არც მეტი, არც ნაკლები, კაფეში შემეველოს, სხვათა შორის, ანგარიშმიუცემლად. ბევრს ეგონა, და მათ შორის მეც, რომ ომს მხოლოდ ტელევიზორში ვნახავდით. ვცდებოდი; ომმა იქამდეც კი მოაღწია, სადაც მე ვმუშაობ. იმ დღეს, ადრევე იყო გადაწყვეტილი, მონპარნასის კოშკის შუშები უნდა გავვენწმინდა. ერთი ფრანგი, ერთი პორტუგალიელი, ორი ევროპელი და ორიც მალრიბელი ვიყავით ბრიგადაში, მაგრამ მე და ჩემს ალჟირელ კოლეგას გამოგვიცხადეს:



– ამჯერად დაწესებულებაში დარჩებით. აქაცაა საქმე. თუნდაც, ტულალებს დაალაგებთ.

გამიკვირდა. მითუმეტეს, რომ მარტინი ჩვენდამი კეთილად იყო განწყობილი. მაგრამ იმ დღით ამკარად ცუდი თვალთ გვიყურებდა, თითქოს რაღაცაში გვადანაშაულებდა, თუმც კი არაფერი დაგვიშავებია.

– როგორც ჩანს, ომი მართლა დაიწყო, – მითხრა ალჟირელმა მეგობარმა.

ის დღე უქმად გავატარეთ. ომმა სამუშაო წაგვართვა. ეს ომი, მეგონა, სპარსეთის ყურეში იყო, აქ კი მაინც სადამის და ისლამის ჯარისკაცებად გვთვლიდნენ და, არ ვიცი, რა დანაშაულის გამო, ეჭვის თვალთ გვიყურებდნენ. იქნებ ტერორისტები ვართ და თავად ვერ ვხვდებით ამას? იქნებ, ჩვენდა უნებურად, რაღაც დავალებას ვასრულებთ?

ამ გონებაამღვრეულს და გულდამძიმებულს მომაგონდა ჩემი სოფელი, მზით გაჩახჩახებული და ამწვანებული-აყვავებული. სინამდვილეში ის არც ისეთი წალკოცია, ხრიოკიც კია. ამიტომაც მივატოვე, მაგრამ მსიამოვნებდა, სხვაგვარად წარმომედგინა. ყველაფერშია რაღაც შინაგანი, უხილავი ხიბლი. ქვებიც კი შეიძლება ლამაზად მოგეჩვენოს.

ეჰ, რა შორია ჩემი სოფელი...

ჩვენი უფროსი ტელევიზორს უყურებს. არაფერი ჩანს, მხოლოდ ხმა ისმის. ამბობენ, ხანგრძლივი ომი ქრისტიანებსა და მუსლიმებს შორის დაიწყო. ვხვდებოდი, რომ მეც ამ ომის მონაწილე ვიყავი, მაგრამ ვერ გამეგო, ვის ვებრძოდი. საბედნიეროდ, არსებობს ტელევიზია, რომ გამარკვიოს. მიხსნიან, რომ ეს ჯიჰადია, რომ ისლამი მალე იზეიმებს გამარჯვებას ურწმუნოებზე... მერე ვგებულობ, რომ არაბები არაბების წინააღმდეგ იბრძვიან. ყველაფერი ეს ძალიან რთულია ჩემთვის. ერთი ის ვიცი, რომ მონპარნასის კოშკი უნდა გამენმინდა, მაგრამ საქმეს ჩამომავს შორეს ტექნიკური მიზეზების გამო.

შვილებზე დავინყე ფიქრი. რა უნდა ვუთხრა ამ საღამოს? მოუყვები თუნდაც იმას, რომ არაბებსაც ჰქონდათ ოქროს ხანა, რომ მათი გამოგონებაა ალგებრა, მათ გააცნეს ქრისტიანულ ევროპას ბერძნული ფილოსოფია და უმნიშვნელოვანესი აღმოჩენები მედიცინაში... უფაბობ დიდებული წარსულის შესახებ, რომელსაც დაცემა მოჰყვა. მერე იყო ბრძოლები დამოუკიდებლობისათვის, შემდეგ ჩამორჩენა, თავი ვერაფრით რომ ვერ დავალწიეთ, დაბოლოს – უბადრუკი დღევანდელობა, უკეთესი მომავლის იმედსაც რომ არ გიტოვებს. იფიქრებენ, მონაწილხია არაბების ეს ოქროს ხანა და სასაცილოდაც არ ეყოფათ ის, რითაც თავი უნდა მოგვკონდეს.

ჩემი შვილები – სამი ვაჟი მყავს – უკვე დიდები არიან, თხუთმეტიდან ოც წლამდე. ყაბულად რომ დაველაპარაკები, ფრანგულად მპასუხობენ. მესმის მათი, რომ ვერ იამაყებენ ჩემნაირი მამით. არაფერს ამბობენ, მაგრამ მე ხომ ვიცი. განა რა საამაყო უნდა იყოს შუშების მწმენდავი მამა? საერთოდ, ცოტას ვლაპარაკობთ და არც ისე ხშირად ვართ ერთად. დღესასწაულებს მეგობრებთან ერთად ატარებენ. ამ საღამოს, ალბათ, ტელევიზორს უსხედან. ფეხები უკან მრჩება, შინისკენ სულ არ მიმიხარია. ბოლოს და ბოლოს იმად უნდა მიმიღონ მეც და თავიანთი თავიც, ვინცა ვართ. ერთ დღეს რამიღმა, უმცროსმა ბიჭმა, შე-

მომივლა, კოლეჯში არაბი მონაფეები რომ წაკინკლავებულან, დამრიგებელს უთქვამს:

– არაფერია, მალე მოვიშორებთ ამ ვირთხებს!

ეს ჩვენ ვართ ვირთხები? არ ვიცი, რომ ვირთხებს გვეძახდნენ. უფრო „პატარა ვირთხებს“ და მათ შემოსევას ამბობენ ხოლმე, თავიანთი აგრესია რომ გამოხატონ არაბების მიმართ. მაგრამ რა შეეცოდეთ ღმერთს და მის მოციქულს, რით დავიმსახურეთ ეს ხვედრი? მუდმივი ლტოლვილობისთვის ვყოფილვართ გაჩენილი. ჩვენი მოციქული მუჰამედიც ისლამის პირველი ლტოლვილი არ არის? მოგესხენებათ, 622 წელს იძულებული იყო მექა დაეტოვებინა და მედინას შეაფარა თავი.

ახლა, ეს ომი რომ გააჩაღეს, ჩვენ რა ბედი გვენევა? ვიცი, უნდა შევეგუო, რომ უწინდელზე მეტი ეჭვის თვალთ დამინყებენ ყურებას, დღეში ათასჯერ გამჩხრეკენ. თავდახრილმა უნდა ვიარო, თვალში არავის მოვხვდე, უნდა შევიკუმმო, დავპატარავდე ისე, რომ თითქმის უჩინარი გავხდე, ენაჩავარდნილი ფეხქვეშ გავეგო ყველას, ჩავყლაპო შეურაცხყოფა, გულში ჩავიკლა ბოლმა.

ამ შავბნელი ფიქრებიდან ისევ მარტინმა გამომიყვანა; ნოტრდამზე გამგზავნა ვიტრაჟების გამწმენდ ჯგუფთან ერთად. სისტემატურად, თვეში ერთხელ ვწმენდთ ხოლმე პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის ვიტრაჟებს. გაცუბული დავრჩი, ვიფიქრე, ომი ხომ არ დამთავრდა-მეთქი, მაგრამ ამანუ ლაპარაკი არ მინდოდა; ცხადია, ქრისტიანები გაიმარჯვებდნენ. მარტინმა კი მხარზე ხელი დამადო და მეუბნება:

– იცი? კაი კაცი ხარ! გიცნობ, შეიძლება გენდო; არ ხარ ბუნებით ბოროტი, ექსტრემისტი ვერ იქნები...

ეს აბდაუბა ქათინაურიც ჩავყლაპე. ჯგუფში ერთადერთი არაბი ვიყავი. გზაში ვფიქრობდი: „რახან უფროსმა ასე თქვა, ესე იგი „კაი კაცი“ ვარ. მაგრამ უცებ ეს „კაი კაცი“ რომ გავბოროტდე და მომინდეს ყველაფერი დავამსხვრიო? ვაითუ თავი ველარ შევიმაგრო ამ „კაი კაცმა“, ყველას რომ ქედს უხრის და ეთელვინება!

რადიო გადმოსცემს – ჩემი პატარა ტრანზისტორი მუდამ თანა მაქვს – ჰოდა ვისმენ, ამერიკელებმა ერაყი დაბომბესო, თვრამეტი ათასი ტონა ყუმბარა ჩამოაგდეს. რამდენი ხალხი დაიღუპებოდა? ამაზე რადიო არაფერს ამბობს. ალბათ იმდენია, ურჩევნიათ ამის შესახებ არ ილაპარაკონ. ერაყელი არ ვარ, მაგრამ ყველაფერ ამას მეც განვიცდი, გულ-ღვიძლი მენვის. ისინიც ხომ არაბები არიან, ჩემსავით მუსლიმები, თავზე ყუმბარები რომ დააყარეს. რადიოსა და ტელევიზორში გაიძახიან, რომ ფანატიკოსები ვართ. მაგრები არიან ეს ამერიკელები: თავიანთი თვითმფრინავებიდან შეუძლიათ ამოიციონ, გამოარჩიონ ფანატიკოსები და ყუმბარებში გახვეული სალამი გაუგზავნონ მათ! ესაა ცივილიზაცია? დავგანახებ, რომ იციან, როგორ იომონ, როგორ დახოცონ ხალხი.

იმ დღეს პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში ხალხმრავლობა იყო. პატარ-პატარა ჯგუფებად შეკრებილიყვნენ და ჩუმად ლოცულობდნენ, ღმერთს მოწყალებას შესთხოვდნენ. გულისამაჩუყებელი იყო. მეც მომინდა ლოცვა, მაგრამ საქმეს უნდა შევედგომოდი. რადიოში ბევრს ლაპარაკობდნენ რაკეტებზე და ისრაელის შესახებ. მაღლა, ხარაჩოებზე მეც ვლოცულობდი გულში, ვევედრებოდი უფალს და მის მოციქულს მუჰამედს, მშვიდობა დაამ-

ყარონ დედამინაზე, რომ ჩვენ, სხვა არაბებს, უკეთ მოგვექცნენ, ეჭვის თვალთ არ გვიყურონ და, ძალით სიყვარულს არავის ვთხოვთ, სულ ცოტა, პატივისცემით მაინც მოგვეპყრან.

მეორე დღეს, ვგონებ, თებერვლის პირველი დღე იყო, ვიტრაჟს სპეციალურ ხსნარს ვუსვამდი, თან ყური ჩემი ტრანზიტორისაკენ მქონდა. მესმის: „ხუთშაბათს, 31 იანვარს, პრეზიდენტი ფრანსუა მიტერანი ტელეფონით ელაპარაკა კიბუც კვარ ჰანასის ებრაელი გლეხების ოჯახს. დაინტერესდა ვითარებით ქვეყანაში და სოლიდარობა გამოუცხადა ისრაელ ხალხს, რომელიც ამჟამად სიძნელეებს განიცდის...“ საქმე ბოლომდე არც მიმიყვანია, სასწრაფოდ დავეშვი ხარაჩოებიდან, მოვუბოდიშე ამხანაგებს და შინისკენ გავქანდი. ცოლმა გაიკვირვა, ჩვეულებრივზე ადრე რომ დავბრუნდი. ვთხოვე, გამოსასვლელი ტანისამოსი მოემზადებინა ჩემთვის: თეთრი გალაბეა, თეთრივე შარვალი, აბრეშუმის პერანგი, და ოთახებში საკმეველი მოეფრქვია. მკითხა, სტუმარს ხომ არ ველითო. „რა იცი, ყველაფერი შეიძლება მოხდეს“, ვუპასუხე.

გავიპარსე, დავიბანე, ტელეფონს მივუჯექი და პრეზიდენტის ზარს დაველოდე.

## ბავშვი, რომელსაც უღალატეს

2001 წლის 10 სექტემბერი

ამერიკის ეს ქალაქი ქათქათა თეთრი და უჩვეულოდ წყნარია. მოწმენდილი ცა დაჰყურებს ოცდამეჩვიდმეტე ქუჩაზე ხის პატარა სახლსაც. ალა, მეტსახელად „ნიჟინერი“ განიბანა, მექას მიმართულებით დადგა და ლოცვა დაიწყო. მეგობრებმა შენიშნეს, რომ შეცდა, დაავიწყდა დაჩოქილიყო. ღმერთს პატიება სთხოვა და ხელახლა შეუდგა ლოცვას. აზრები გაეფანტა, გონება ვერ მოუკრებია, რომ ჩაულრმავდეს იმ სურებს, რომლებიც უნდა წარმოთქვას. შეწყვიტა ლოცვა და ხმამაღლა განაცხადა:

„მერე გავაგრძელებ. უფალი მომიტივებს“.

ბაღში გავიდა. ხის ძირას ჩამოჯდა ისე, რომ მეგობრები ვერ ხედავდნენ. სიგარეტს მოუკიდა. რამდენჯერმე გააბოლა და ჩააქრო. ქუჩას გახედა. მანქანები დაჰქრიან. მერე მაღლა აიხედა, თვალი გააყოლა თვითმფრინავს, რომლის უკან დატოვებული თეთრი კვამლის ორი კვალი ქარმა გაფანტა. მეზობლის ძალი მიშტერებია, თავდახრილი. ამჯერად არ მივიდა, ჩვეულებრივ არ მიეფერა. უცებ, ამ ძაღლის ტყავში წარმოიდგინა თავი, თუმცა, ისიც კი ვერ გაბედა, მისი შეშურებოდა. თავიდან მოიშორა ეს ეშმაკეული ფიქრები. ლოკოკინას მიადევნა მზერა, ხისკენ მიცოცავდა. ადგა და ფეხით გასრისა. სახლში შებრუნდა. ყურანი გადაშალა. კითხულობს, მაგრამ სხვა რაღაცებზე ფიქრობს. თავი გამოტენილი აქვს ხან ნათელი და მკაფიო, ხანაც ბუნდოვანი ხილვებით: ადამიანისსახიანი ცხოველები, თავმოკვეთილი ქალები, დასახიჩრებული სახეები, გადაყირავებული საგნები, ზღვისპირა სახლის თეთრი კედელი, შავი ლაქებით მოთხვრილი გრძნობს, რომ სული ეხუთება. თავს შეუძახა: „არ უნდა ვიფიქრო,

არაფერზე არ უნდა ვიფიქრო, არც მოგონებები, არავითარი მოგონებები. რა ფიქრი, რა მოგონებები, რის კედელი? თავიდან უნდა გამოვიფერთხო ყველაფერი, გადავყარო, მოვისროლო. გამორიცხულია, რაიმე შეიცვალოს. მეტისმეტად დიდი უფსკრულია ჩემსა და ჩემს ორეულს შორის, ფიქრიც კი ზედმეტია ამაზე“.

მამა მოაგონდა, ეუბნებოდა: „თუ ძილი არ გეკარება, ვარსკვლავების თვლა დაიწყე“. ახლა ვარსკვლავები კი არა, საათები და წუთები უნდა ითვალოს, სიკვდილს რომ აშორებს. დიდი ხანია, საკუთარი ნებით დათანხმდა და სრული შეგნებით მიდის ამ აშკარა, წინასწარგანზრახულ სიკვდილზე. მეგობრები არაფერ შუაში არიან. სიკვდილის არ ეშინია, მხოლოდ იმის შიში აქვს, რომ არ შერცხვეს. მისი გადარჩევა მტკიცეა და მას ვერაფერი შეცვლის. უნდა ზუსტი და თანმიმდევრული იყოს. არავითარი ემოციები, ორჭოფობა და ბუნდოვანება. დაფიქრება და დაეჭვება უკან დახევას ნიშნავს. ეს მას აღარ გამოადგება. სიკვდილს უკვე გაუშინაურდა, მასთან დაიდო ბინა წყვდიადში, მას მიანდო ყველაზე იდუმალი ოცნებები. თავს ირწმუნებს, რომ სამოთხე იქაა, ყოველ შემთხვევაში, იქ მაინც არაა. გაიხსენა სურა, რომელიც ღვთის წყალობას ეხება, და თავი უკეთ იგრძნო. არ იცის, რომ მეგობრები უყურებენ. ჰგონიათ, რომ ის მთელი გულისყურით ყურანს კითხულობს. ადგა, ემთხვია წმინდა წიგნს და თავის ადგილას დადო. აფორიაქებულია, ადგილს ვერ პოულობს. რაღაცის გაკეთება უნდა. ახლა ვერაფრით ვერ დანვება და დახუჭავს თვალებს იმ იმედით, რომ დაეძინება. მზერას არიდებს მეგობრებს, რომლებმაც, ჩანს, კარგად მოიგეს ახალი ტყავი. მისი აზრით, ნესიერად არც იცნობენ ერთმანეთს. ერთი თაობისანი არიან, მაგრამ ერთი ქვეყნიდან არ არიან. თუმცა, ახლა მათ არც სამშობლო აქვთ, აღარც ოჯახები და ახლობლები ჰყავთ. ერთი ხელის მოსმით ნაიშალა, გაქრა ყველაფერი. სახელებიც კი შეცვლილი აქვთ. ალა არ არის მისი ნამდვილი სახელი, კიდევ დაავიწყდა, რა ჰქვია; ნაბილი? შეიძლება, ნასიმი. აღარ ახსოვს. დაჯდა, ხელები გულზე გადაიჯვარედინა, ისევ ადგა, ფარდა გადასწია, ბოთლიდან წყალი მოსვა და ნაივარჯიშა. „წყალზე უკეთესი არაფერია შიშის დასაძლევად“, – გაიფიქრა. დღეს უკვე მესამედ ლეზულობს შხაპს. ილღიები და ბაყვები გაიპარსა. თვალში მოხვდა, როგორ განლეოდა პენისი, არასდროს ასე დაპატარავებული არ ჰქონია. „ის უკვე მკვდარია, შიშისგან მოკვდა“, – გაიფიქრა და ინანა, რომ შეხედა. მარტო კი არის, ვერავინ ხედავს, მაგრამ არ უნდა ექნა. ეს ხომ აკრძალულია. უნდა, იტიროს, იყვიროს, თავი კედელს ახალოს, რათა შიში განდევნოს. მოიხსნას ტვირთი, გულზე რომ აწევს. ის საფრთხე კი არ აშინებს, რომლისთვისაც უკვე მზადაა, არამედ ის აშფოთებს, რომ სულ შიშშია. ამ შიშმა კი იმიტომ შეიპყრო, რომ შეცრად მასში ბავშვმა გაიღვიძა, რომელზეც უკვე აღარც კი ფიქრობდა.

ჩაიცვა და მეგობრებთან ერთად მაგიდას მიუჯდა. ჩუმად. მოაგონდა ის დღე, როდესაც გადაწყვიტა, აღარ დალაპარაკებოდა თავის ორეულს, რომელიც თავგზას უბნევდა და პრობლემებს უქმნიდა, მაგრამ ვერაფრით ვერ გააჩუმა და ვერც თავიდან მოიშორა. საინტერესოა, სხვებს რატომ არ დაუდიან მსგავსი სტუმრები? როგორ ჩააჩუმეს და მოიკვეთეს ისინი? თუმცა, რა იცის, რა ხდე-

ბა სინამდვილეში. იქნებ თავი მოაქვთ ისე, ვითომც არაფერი ხდებოდა. დროდადრო ეს ორეული გამოიღვიძებს ხოლმე და მოჰყვება ყვირილს, სიმღერას და ვინ იცის, კიდევ რას. სწორედ ეს ბავშვი, რომელიც ოდესღაც თვითონ იყო, ყურებს უწევს, უყვირის, რომ მახეში გაება, ჩიხში მოემწყვდა, საიდანაც სხვა გამოსავალი არ არის, გარდა სიკვდილისა. ასეთი გამძვინვარებული მხოლოდ მოზრდილი ადამიანი თუ უნახავს ალას. ადგა, ტახტზე წამოწვა და თვალები დახუჭა, ამათ ეგონოთ, რომ ვისვენებო. ყურში კი ამ დროს ეს ბავშვი ჩასძახის:

„გამოგატყინეს, თავგზა ავიზინეს. რაღაცეებს ჩმახავენ, სამოთხეს გპირდებიან, მაგრამ მშვენივრად იცი, ამათ ვინ ეკითხება? მხოლოდ უფალმა უწყის, ვინ იმსახურებს სამოთხეს და ვინ – ჯოჯოხეთს. განკითხვის დღეს კი მხოლოდ შენი ნამოქმედართ განისჯები. მათ განგიტევეს ნებელობა, შენი მოგონებების წილ რაღაც სულელურ დაპირებებს გთავაზობენ, წაგახდინეს, კაცად აღარ ვარგინარ, ჭკუა დაგაკარგვინეს, ცხოვრება დაგინგრიეს, იმედები დაგიმსხვრიეს. შენ კი, ნასწავლმა, იჩინერმა კაცმა, მიუხედავად შენი გონიერებისა და სულის სიფაქიზისა, მიუხედავად მშობლების ლოცვა-კურთხევისა და ახლობლების სიყვარულისა, დედის რძესთან ერთად შეთვისებული გულკეთილობისა და შემწყნარებლობისა, მათი ნაბოდვარი დაიჯერე. ისინი ხომ ურჯულოები, მოღალატეები და ბოროტმოქმედნი არიან, სრულიად უცხონი ჩვენი სულიერებისათვის, შენი სულისკვეთებისათვის... ასე როგორ დაგიმორჩილეს, დაგათმობინეს და დაგაკარგვინეს ყველაფერი? ისე როგორ გაზიარეს სიკვდილს, რომ მისი წილნაყარი და ძმადნაფიცი გახდი? ასეთი რა გაგიკეთეს, რომ სამშობლოც დაგავინწყეს და შენი ბავშვობის საწუკვარ ოცნებებზეც უარი გათქმევენეს, დაგისამარეს ღვთივ ნაბოძები ნიჭი და ჩაგიკლეს ტკბილ-მწარე ცხოვრების წყურვილი? მოიგონე: გრძელი თმები გქონდა და დედაშენი, იგივე დედაჩემი – ჩვენ ხომ ერთნი ვართ – დაგინწავდა და რეზინით შეგიკრავდა, ბიჭს ქუჩაში არ დასცინონო. მოიგონე ჩვენი სურნელოვანი სანელებლების ოხშივარი სამზარეულოში, კვლიავის, ჯანჯაფილის, დარიჩინის, ქინძის სუნი. გაიხსენე შენი ბავშვობის ნათელი ზეცა, აფეთქებული ნუშის ხეები, ახალგაღვიძებული, როგორ ნებივრობდი დედის კალთაში... მაგრამ შენ არ გასურს, უკან მოიხედო, მომყვე მოგონებებში... არაფერს ამბობ. გეტირება, მაგრამ გეშინია, ამხანაგებმა არ დაგინახონ. კაცი, რომელსაც თავი გადადებული აქვს, არ ტირის. თუ გინდა, წამებული გერქვას, გრძნობებს ვერ აჰყვები, ამის უფლება არ გაქვს... შენ ხელიდან გაუშვი შანსი, ცხოვრებამ რომ მოგცა. წარ-

მატებული იჩინერი საცოდავ არარაობად იქეცი, პატიოსანი ოჯახიშვილი უბადრუკი მკვლელი და თვითმკვლელი გახდი... მე შენთან აღარაფერი მესაქმება. გტოვებ. არავითარი სურვილი არ მაქვს, ცაში ცეცხლმა შთანთქმას. არც ათასობით უდანაშაულო ადამიანის მოკვლა მწადაია. მივდივარ. დარჩი მარტო ამ შენს სიკვდილთან, რომელიც ჩვენი აღმსარებლობით სასტიკად ისჯება. ასე რომ, მშვიდობით, თავს უნდა ვუშველო. მე ერთი პატარა ბიჭი ვარ

და შენ მე მილაღატე. გტოვებ და თან მიმაქვს შენი მოგონებები, ტკბილიც და მწარეც. ვივლი ქუჩებში. იქნებ ვიპოვო სხვა მოგონება, იქნებ შემვივრდომოს ვინმე კეთილმა კაცმა, ვინც თავის დაკარგულ ბავშვობას ეძებს. შენ კი, რანამს მოგმორდები, ვიცი, შვებით ამოისუნთქავ; არც მოგონებები შეგანუხებს და არც სინდისის ქენჯნა გაგტანჯავს. მანქანად იქცევი, მკვლელ მანქანად, რომელსაც სხვა მანქანები მართავენ, რათა სისრულეში მოიყვანონ ვიღაც გიჟის ჩანაფიქრი, თავი ღვთის მოციქული რომ ჰგონია. შენ ამ ქვეყნად აღარ იქნები, რომ დაინახო, რამხელა ზიანი მიაყენეთ შენ და შენმა მეგობრებმა ისლამს, მუსლიმებს, არაბებს, იმ უდანაშაულოთა ოჯახებს, რომლებიც ასე უმონყალოდ ამოხოცეთ. არ გეგონოს, ჭკუას გაირიგებდე. ყველაფერთან ერთად, ეს ძალიან გვიანაც არის. მხოლოდ გაფრთხილებ: შენ ჩემთვის უცხო ხარ, ის კაცი ხარ, ვინც ადამიანობა დაკარგა, სიმართლეს უღალატა და საკუთარი ბავშვობა ჩაწიხლა. მე შენ სამუდამოდ განვიდექი“.



მხატვარი გიორგი ჩაჩანიძე

დაკარგა, სიმართლეს უღალატა და საკუთარი ბავშვობა ჩაწიხლა. მე შენ სამუდამოდ განვიდექი“.

ალა კანკალმა აიტანა. ხელებს იწვდის, ცდილობს, დაიჭიროს ბავშვი, მისგან რომ გარბის და თან მიაქვს მისი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი. გრძნობს, ქარი დათარეშობს მის დაცარიელებულ სხეულში, თავი უსკდება, ტანს აღმური ეკიდება, პირი უშრება, ოფლი ასხამს. წამოდგა. წაბარბაცდა და კედელს მიეყრდნო. გული ერეოდა. ტუალეტში შევარდა და ნაღველი არწყია. როგორც კი ამ ყვითელი, მწარე სითხისგან გათავისუფლდა, შიშით გაუქრა. „მორჩა, გათავდა“, – გაიფიქრა მან, – „ეს ბავშვი ჩემში უკვე ჩაკლულია, აღარ არსებობს. ისე გავსრისე, როგორც ლოკოკინა. აღარაფერს ვგრძნობ. არც სინდისის ქენჯნა მანუხებს, არც მოგონებები. თავს აღარ ვეკუთვნი. მზად ვარ, წავიდე და გავაკეთო ყველაფერი, რასაც მომთხოვენ“.

ყურში ორი წლის წინ გარდაცვლილი დედის ხმა ჩაესმა. გადმოაფურთხა და მეგობრებთან ერთად მაგიდას მიუჯდა.

ფრანგულიდან თარგმნა  
ლია რუსაქია

ორი ხელფასი

ორმოცდაოთხი წლის ოლდრიჩ ეიმსი ცოლს გაეყარა და განქორწინების პროცესმა 50 ათასი დოლარი დაადო ვალად. აღარ იცოდა, რა წყალში ჩავარდნილიყო, როგორ გაესტუმრებინა ესოდენ სოლიდური ვალი. არ გაისტუმრებდა და ციხეში ჩააყუდებდნენ. უძილო ღამეები და აფორიაქებული დღეები ნელა მიიზღაზნებოდნენ მწარე ეპილოგისაკენ. რა უნდა ელონა?!

და უეცრად ეიმსის ქუჩაზეც დადგა გაზაფხული. ჯერ იყო და უახლესი გამოშვების ავტომანქანა „იაგუარი“ იყიდა 40 ათას დოლარად, მერე ორსართულიანი სახლი შეიძინა 540 ათას დოლარად და კიდევ – ნახევარი მილიონი დოლარის ღირებულების სხვადასხვა საქონელი, ფუფუნების საგნებს რომ ეძახიან. თავის პანია ვალსაც, ცხადია, გაისტუმრებდა.

იმავე ხანებში მოსკოვში დახვრიტეს „კაგებეს“ ერთი პოლკოვნიკი და რამდენიმე პოდპოლკოვნიკი, აგრეთვე – სსრკ გენერალური შტაბის მთავარი სადაზვერვო სამმართველო ანუ „გერეუს“ გენერალ-ლეიტენანტი პოლიაკოვი და პოლკოვნიკი სმეტანინი.

მაგრამ რა ესაქმება ეიმსის უეცარ გამდიდრებას მოსკოვში ჩატარებულ რეპრესიებთან?

საქმე ისაა, რომ ოლდრიჩ ეიმსი მსახურობდა აშშ ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოში („სი-აი-ეი“) და მისი წლიური შემოსავალი შეადგენდა 69843 დოლარს. დიდი სიბრძნე არ სჭარდებოდა იმის მიხვედრას, რომ ესოდენ მწირი ხელფასით 50 ათას დოლარს ვერ შეაგროვებდა ვალის გასასტუმრებლად.

ბევრი აღარ უფიქრია და მყისვე საბჭოთა დაზვერვას მიაპყრო მზერა. გულთბილად დახვდნენ და ფასეულ ინფორმაციამო კარგ ფასსაც უხდიდნენ.

ეიმსმა გასცა და სასიკვდილოდ განწირა ამერიკელთა 10-მდე საიდუმლო აგენტი, საბჭოთა დაზვერვის თუ კონტრდაზვერვის ორგანოებში რომ იღვწოდნენ. ცხრა წლის

მანძილზე ეიმსმა მოსკოვს მიაწოდა ინფორმაცია „სი-აი-ეის“ 100-მდე საიდუმლო ოპერაციასა და 30-მდე თანამშრომელზე.

ვაშინგტონი კი ბაიბურშიც არ იყო. ეიმსზე ეჭვი აიღეს მხოლოდ 1991 წელს. თვალყურს ადევნებდნენ მოსასმენი აპარატურითა და ფარული კამერებით. 1994 წლის 21 თებერვალს დააპატიმრეს.

„სი-აი-ეიმ“ აღიარა, რომ ამ უწყების ისტორიაში ყველაზე სერიოზული ზიანი სახელმწიფოს მიაყენა სწორედ ეიმსის ჯაშუშურმა საქმიანობამ.

ეიმსის საქმემ წარმოაჩინა დაზვერვის აპარატის თანამშრომელთა გაუგონარი უღარდებლობა. ისინი ეჭვობდნენ კიდევ, რომ მათი არაერთი აგენტი ჩავარდნილი იყო, მაგრამ კრინტსაც არ სძრავდნენ და ურცხვად აწვდიდნენ არასაწმუნო ინფორმაციას თეთრ სახლსა და პენტაგონს!

აშშ სენატის სადაზვერვო კომიტეტის ანგარიშში ვკითხულობთ: „ცენტრალური დაზვერვის უუნარობამ – „გამოეთვალათ“ ეიმსი – საქმე იქამდე მიიყვანა, რომ ჩვენ პრაქტიკულად დავკარგეთ ყველა ფასეული წყარო ინფორმაციისა საბჭოთა კავშირიდან „ცივი ომის“ ყველაზე მსურვალე პერიოდში“.

კონგრესში აურზაური ატყდა. კატეგორიულად მოითხოვდნენ, რომ ამერიკის სპეცსამსახურებში ჩაეტარებინათ მასობრივი წმენდა და სასტიკად დაესაჯათ მთავარი დამნაშავენი.

„სი-აი-ეის“ დირექტორი ჯეიმზ ვულსი იძულებული გახდა გადამდგარიყო თანამდებობიდან. მასთან ერთად დაითხოვეს ამ უწყების თითქმის ყველა დიდი მოხელე.

როგორც გაირკვა, ცხრა წლის განმავლობაში ჯერ საბჭოთა და მერე რუსეთის დაზვერვის ოპერმუშაკებმა ოლდრიჩ ეიმსს, მინოდებული ინფორმაციის საზღაურად, სულ გადაუხადეს 2 მილიონ 700 ათასი დოლარი.

მსოფლიოს ორი უმდიდრესი სახელმწიფო უხდიდა ხელფასს. ოლონდ რუსები ოთხჯერ მეტს უხდიდნენ!

ფილმი და მაყურებელი

ამერიკაში ისე ზრუნავენ ადამიანზე და, კერძოდ, კინომაყურებელზე, რომ პირდაპირ შური დაგახრჩობს.

ფრანსუაზ საგანის რომანის „გიყვართ თუ არა ბრამსი?“ მიხედვით გადაღებულ ფილმს შეერთებულ შტატებში სახელი შეუცვალეს და დაარქვეს „ისევ მშვიდობით“, ვინაიდან გამოკითხვამ ცხადჰყო, რომ ამერიკელი მაყურებელი საგონებელში იყო ჩავარდნილი: ეს ბრამსი ნეტა ვინ არისო? ზოგს ეგსტაპოს მალალჩინოსანის ოფიცერი ეგონა, ზოგს – პოპულარული გერმანელი ფეხბურთელი და ზოგსაც – ბავარიული ლუდის საუკეთესო მარკა.

საბჭოთა კავშირშიც, რასაკვირველია, ზრუნავდნენ კინომაყურებელზე და, არცთუ იშვიათად, უცხოურ ნაწარმს სახელს უცვლიდნენ, უფრო გასაგები გახდესო. ასე მაგალითად, ფელინის სახელგანთქმული ფილმი „გზა“ მონათლეს, როგორც „ისინი დაეხეტებოდნენ გზებზე“ (მართალია, ძამპანო და ჯელსომინა მოხეტიალე ცირკის მსახიო-

ბები იყვნენ, მაგრამ ავტორისეულ სათაურს სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა). ოდინდელ ნეორეალისტურ ფილმს ერქვა „მიეცით ქმარი ანა ზაკეოს“ და ისიც შეალა-

მაზეს – „დამსხვრეული ოცნებები“ უფრო მოუხდებაო.

საბჭოთა კინოგაქირავების მესვეურთა მოქმედება ზოგჯერაც კურიოზული ყოფილა. ანდრეი ტარკოვსკის ფილმი „ივანეს ბავშვობა“ გადიოდა, ძირითადად, დილაობით – საბავშვო სეანსებზე! უაღრესად რთული და ორიგინალური ფილმი, რომლის სრულყოფილი აღქმა გამოცდილ მოზრდილსაც კი გაუჭირდებოდა, გულარხეინად აჩუქეს მოზარდთა აუდიტორიას.

ტარკოვსკი აღიარებდა: მაყურებელთან ჩემი ურთიერთობის პრობლემა დიდად არ მალეღვებსო. ის აკეთებდა თავის საქმეს და იქმნებოდა გარკვეული საზოგადოებრივი აზრი, მაგრამ კრიტიკოსები, რომელთაც ევალებათ კონტაქტის დამყარება ხელოვანსა და მაყურებელს შორის, ვაგლახ, ამას არ აკეთებდნენ.


## მოზაიკა

არსებობდა მაყურებელთა კატეგორია, ვისი გულისთვისაც იღებდა ფილმს სახელოვანი კინორეჟისორი. ისინი სწერდნენ წერილებს, ცდილობდნენ ჩასწვდომოდნენ კინემატოგრაფის არსს და ეს წერილები ტარკოვსკისთვის თურმე უფრო საინტერესო ყოფილა, ვიდრე პროფესიონალ კრიტიკოსთა სტატიები.

ტარკოვსკის ესმოდა, რომ დასავლეთის პირობებში პროდიუსერს სურდა ფილმის გადაღებით ფული მოეგო, მაგრამ იგივე ტენდენცია სოციალისტურ სახელმწიფოში ეუცხოებოდა. ამასთან, მისი სიტყვით, დასავლეთში არსებობდა კომერციული კინემატოგრაფის ალტერნატიული საკლუბო გაქირავება სერიოზული ფილმებისა, რომელთაც ახლდა პრესაში კრიტიკოსთა კვალიფიციური შეფასება. საბჭოეთში კი, მრავალწლიანი დებატების შედეგად, შექმნილა ერთადერთი კინოთეატრი „ილუზიონი“, სადაც მაყურებელს შეეძლო ენახა კინემატოგრაფის კლასიკა.

ტარკოვსკის აზრით, ხელოვანი არ უნდა ესწრაფოდეს, რომ თავი მოაწონოს მაყურებელს – მისთვის დათმობების ფასად. ხელოვანი უნდა იყოს ერთგული მხოლოდ საკუთარი მრწამსისა.

„მე ვერასოდეს შევწვდები რიაზანოვის ან გაიდაის აუდიტორიას, – ამბობდა ტარკოვსკი ერთ-ერთ ინტერვიუში. – მაგრამ მათი ფილმები მიყრუებულ პროვინციაში გასაყიდი საქონელია. მსგავსი კომერციული პროდუქცია დასავლეთში კეთდება უფრო მაღალ პროფესიულ დონეზე და მას საბჭოთა სუროგატები მსოფლიო ბაზარზე კონკურენციას ვერ გაუწევენ“.



ანდრეი ტარკოვსკი

ტარკოვსკის ეჩოთირებოდა, როდესაც თავს დაადგებოდნენ საბჭოთა კინოინდუსტრიის ჩინოვნიკები, მისგან მოითხოვდნენ სურათებს მასობრივი მაყურებლისათვის და ბრალს სდებდნენ, თქვენი ფილმები ძნელად გასაგები არისო. რეჟისორს ეგონა, რომ იგი მიაჩნდათ პარაზიტად, რომელიც ქმნიდა სურათებს საკუთარი თავისათვის – საბჭოთა ხალხის ხარჯზე.

აი, რას ფიქრობდა ტარკოვსკი: „ჩემს მაყურებელს პატივს ვცემ და, რა თქმა უნდა, მემამბა, რაც შეიძლება მეტი მყავდეს თანამოაზრე, ვისი გულისთვისაც ჩემი თავის ერთგული უნდა ვიყო. მე მახსოვს ჩემი მაყურებელი. უფრო მეტიც – მე შეგნებული მაქვს პასუხისმგებლობა მის წინაშე, მაგრამ არასოდეს დაედეგები პოზიციამი: „რას ინებებთ?“

ტარკოვსკის აზრით, აპელაცია ბრბოს შეხედულებაზე, როგორც ჭეშმარიტებაზე უკანასკნელ ინსტანციაში – ეს არის ცრუდემოკრატია, ყალბი ლიბერალიზმი. ამავე დროს სულაც არ ეჭაშნიკებოდა მისი ფილმების წარმატება ე.წ. „მემარცხენეთა“ შორის, რაც გამონვეული იყო მათი აკრძალვის სკანდალური ატმოსფეროთი.

ტარკოვსკის სიტყვით, გამქირავებულს ერჩივნა ფილმი, სადაც მთელი დარბაზის ხორხოცქვეშ, მორგუნოვს უკანალში ურჭობდნენ შპრიცს. ჩემს სურათებს კი არც სერიოზული რეკლამა, არც ნამდვილი პრესა და არც ფართო დისკუსია არ ახლავსო.

რეჟისორი მწარედ ასკვნიდა: „მაგრამ დღეს ვის სჭირდება ეს? ვის უნდა, რომ თვალი გაუხსნოროს სიმართლეს?“

## ქრონიკა

13 მაისს ლიტერატურულ არტ კაფე „ქარავანში“ ჯემალ ქარჩხაძის ხსოვნის საღამო გაიმართა.

დასაწყისში ლელა შუბითიძემ, ვისაც მინდობილი აქვს ლიტერატურულ-კულტურული ღონისძიებების მომზადება და გულითადობასაც არ აკლებს, აღნიშნა, რომ ხსოვნის საღამო საგანგებოდ დაამთხვიეს ჯემალ ქარჩხაძის დაბადების დღეს და ახალი წიგნის – „მოთხრობების სრული კრებული“ – გამოცემას, ოღონდაც ამჯობინა ჟურნალისტ ი ანათაძისთვის დაეთმო მიკროფონიც და საღამოს წარმართვაც.

ჯემალ ქარჩხაძის პიროვნულ გამორჩეულობასა თუ შემოქმედებით თავისებურებებზე საინტერესოდ ისაუბრეს კრიტიკოსებმა: თამაზ ვასაძემ, ლევან ბრეგაძემ, კახა ჯამბურამ, ახალგაზრდა მეცნიერმა ქეთევან გონაშვილმა, მწერალმა გივი შაჰნაზარმა.

საღამოს ითქვა, რომ ჯემალ ქარჩხაძე იყო იმეათი, უნიკალური მწერალი, რადგან თვითონ იყო გულწრფელი, სიმართლისა და სისადავის მოყვარული ადამიანი, მუდმივად ჩრდილში მდგომი, ამდენად, ბუნებრივი და გულწრფელი დამოკიდებულების გამონახატვა ძალიან უხდება მის ხსოვნასო.

ითქვა ისიც, რომ ჯემალ ქარჩხაძის პროზა მდიდარია აზრით, მდიდარია სულითაც, იუმორით, ირონიით, პრინციპულად

გაუბრობდა მოდურ ტენდენციებს და ქმნიდა მხოლოდ მისეულ მხატვრულ სამყაროს, რომელიც რაოდენობრივად შესაძლოა არ გამოირჩეოდეს დიდი სიუჟეტით, მაგრამ ზემოქმედების ხანგრძლივობით უდაოდ იმკვიდრებს თავის ადგილს და ძვირფასი მასალა იქნება სალიტერატურო კრიტიკისათვის. მწერლის კალამი ძალიან სერიოზულ, ღრმა პრობლემებს ეჭიდება და ამავე დროს დიდი სიმსუბუქით აღწევს მისი სათქმელი მკითხველამდე (რომანები „მდგმური“, „ქარავანი“, „ზებულონი“, „განზომილება“ თანამედროვე და ისტორიული მოთხრობების მთელი ციკლი).

ჯემალ ქარჩხაძის პროზა შენაძენია ქართული მწერლობისა, აქვს ძალიან დიდი მომავალი და, შესაბამისად, მრავალმხრივ საინტერესო იქნება თაობებისათვის. რადგან ახალგაზრდებს არ უყვართ სიყალბე, ისინი ეურჩებიან და არ ურიგდებიან ცრუ ფასეულობებს, ცრუ იდეოლოგიას, ამდენად მწერლის პროზა ყოველთვის ღირებული იქნება.

საღამოზე გახმაურდა ფრაგმენტები ჯემალ ქარჩხაძის შემოქმედებიდან, განსაკუთრებით ისტორიული მოთხრობიდან „ანტონიო და დავითი“, რათა დარბაზიდან გასულ თითოეულ მსმენელს თან გაჰყოლოდა შთამბეჭდავი და ფხიზელი აზრი.